

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის  
ინსტიტუტი

ბიორგზი მელნიჰივილი

**ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური  
გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ  
ურთიერთობათა განვითარების  
გოგნიერთი საკითხი**



ბამონცემლოზა „მეცნიერება“

თბილისი

1973

წიგნში გაშუქებულია ქართული ფეოდალური სამეფო-სამთავროების გაერთიანების მიმდინარეობა X ს. ბოლოს, ნაჩვენებია თითოეული მათგანის როლი გაერთიანებისათვის წარმოებულ ბრძოლებში; ამასთან დაკავშირებით განხილულია საქართველოს ცალკეულ რეგიონებში ფეოდალურ ურთიერთობათა გენეზისისა და შემდგომი განვითარების საკითხები, ნაჩვენებია ის თავისებურებანი, რაზელიც დამახასიათებელია მათგან. წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა აგრეთვე ძველ ხანასა და შუა საუკუნეებში ქართველთა კონსოლიდაციისა და ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბების პროცესს. ნაჩვენებია ამ პროცესის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები და ფაქტორები, რომელთაც აღნიშნული კონსოლიდაცია განაპირობეს.

## წინასიტყვაობა

ქართული ფეოდალიზმის ბუნების, მისი სპეციფიკის საკითხი, ისევე როგორც საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ეტაპების გამოყოფა, მისი პერიოდიზაცია, ჩვენი საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. რადგანაც იგი ჯერ კიდევ სათანადო სიღრმით არ არის დამუშავებული, ივ. ჭავჭავაძის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი ვარაუდობს ამ საკითხის ფართო მეცნიერული განხილვის მოწყობას. წინამდებარე წიგნიც ამ განხილვის მზადებასთან დაკავშირებით დაიწერა და აზრთა გაზიარებისათვის გარკვეულ მასალად შეიძლება გამოდგეს.

წიგნის პირველი ნაწილი ეძღვნება ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საქმეში წამყვანი პოლიტიკური ერთეულის საკითხს, რაზეც ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, ვფიქრობთ, მთლად ზუსტი წარმოდგენა არ არის დამკვიდრებული. მეორე ნაწილი ორგანულად ერწყმის წინამაგვალს — გაერთიანების საქმეში სხვადასხვა ქართული ფეოდალური ერთეულის მიერ შესრულებული განსხვავებული როლის მიზეზების ძიებას შეიცავს და მიზნად ისახავს ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების თვალსაზრისით საქართველოს ცალკეულ რეგიონებს შორის არსებული განსხვავებისა და ამ განსხვავებათა მიზეზების ჩვენებას. მესამე ნაწილი წიგნის ერთგვარ დამატებად შეიძლება განვიხილოთ — იგი ეხმაურება ჩვენში ცოტა ხნის წინ წამოყენებულ მოსაზრებებს „ფეოდალური ერების“, კერძოდ „ქართველი ფეოდალური ერის“ არსებობის შესახებ, განიხილავს ეთნო-სოციალურ ერთობათა სახეების საკითხს და, ამასთან დაკავშირებით, იძლევა მოკლე ექსკურსს ერთიანი ქართველი ფეოდალური ეროვნების (ხალხის) წარმოშობა-ჩამოყალიბების შესახებ.

ვფიქრობთ, რამდენადაც წიგნში გამოთქმული მოსაზრებები გარკვეული მეცნიერული განხილვის საგანი შეიძლება გახდეს, მისი გამოქვეყნება ერთგვარ სამსახურს გაუწევს ჩვენი საისტორიო მეცნიერების ზემოხსენებული აქტუალური პრობლემების დამუშავებას.

# 1. ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პროცესში ცალკეული ქართული პოლიტიკური ერთეულების როლის საკითხი

ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება X საუკუნის ბოლოს ერთ-ერთი საინტერესო და საყურადღებო მომენტი საქართველოს ისტორიაში. ამიტომ იგი, ბუნებრივია, ფართოდ არის გაშუქებული სამეცნიერო ლიტერატურაში. მკვლევართ გაერთიანების პროცესი, მისი მიმდინარეობა, მასში სხვადასხვა სამეფო-სამთავროთა და ცალკეულ მოღვაწეთა როლი, როგორც წესი, ერთნაირად ესახებათ, ერთნაირად აქვთ წარმოდგენილი. აღინიშნება, მაგალითად, რომ გაერთიანების მისაღწევად ბრძოლა წარმოებდა სხვადასხვა სამეფო-სამთავროთა შორის. თავდაპირველად ამ ბრძოლაში უპირატესობა „აფხაზეთის“ (ე. ი. დასავლეთ საქართველოს) სამეფოს მხარეზე იყო, მაგრამ X ს. მეორე ნახევარში იგი არეულობებმა მოიცვა. ამავე პერიოდში დიდად გაძლიერდა მეორე ქართული ფეოდალური ერთეული — ტაო-კლარჯეთი, რომლის ხელისუფალი დავით კურაპალატი მოგვევლინა საქართველოს გაერთიანების ინიციატორად და განმახორციელებლად. მას ამ საქმეში აქტიურად უჭერდა მხარს „ქართლის ერისთავი“ იოანე შარუშის ძე და მასთან მყოფი „პროგრესულ მოღვაწეთა დასი“. ამ კონცეფციას, ფეოდალურ საქართველოს გაერთიანების სურათის ამგვარად წარმოდგენას, ჩვენ ბევრ სხვადასხვა ავტორთან შევხვდებით. აი, როგორ არის ეს ფაქტი გადმოცემული „საქართველოს ისტორიის“ უახლეს სახელმძღვანელოებში: „...ძლიერი იყო აფხაზთა სამეფო გიორგის შვილის ლეონის დროსაც... მაგრამ ლეონის სიკვდილის შემდეგ მის შვილებს შორის დიდი უთანხმოება და შფოთი ჩამოვარდა. აფხაზთა სამეფო ეხლა ადგილს ტაო-კლარჯეთს უთმობს... 70-იან წლებში, როცა აფხაზთა მეფეების ტახტზე უძლური თეოდოსი იჯდა, დავითმა ისარგებლა აფხაზეთის შინაგანი აშლილობით და თავისი შვილობილი ბაგრატ ბაგრატიონი, თეოდოსის დისწული, მეფედ გამოაცხადა ქართლში (975 წ.), ხოლო შემდეგ აფხაზეთშიც გადაიყვანა (978 წ.). ამ საქმეში დავითის თანამშრომელი იყო ქართლის



ერისთავი იოანე მარუშის ძე. ამით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს გაერთიანებას<sup>1</sup>, ან კიდევ: „X ს. დამდეგს ქართლი აფხაზეთის მეფემ დაიჭირა... აფხაზთა მეფეებმა X ს. შუაწლებისათვის კახეთის ნაწილიც თავიანთ გავლენას დაუმორჩილეს. მაგრამ ამავე საუკუნის 70-იან წლებისათვის აფხაზეთის სამეფო სახლში დიდი უთანხმოება და შფოთი ჩამოვარდა, რის შედეგადაც მათ ჯერ კახეთ-ჰერეთი დაჰკარგეს, შემდეგ კი ქართლიც. აფხაზთა სამეფომ პირველობა ამ ბრძოლაში ისევ ტაო-კლარჯეთს დაუთმო... X ს-ში ტაო-კლარჯეთი უძლიერესი იყო საქართველოს სამეფო-სამთავროთა შორის... ის კიდევ უფრო გაძლიერდა დავით კურაპალატის დროს... დავით კურაპალატმა ისარგებლა აფხაზეთის შინაგანი აშლილობით და თავისი შვილობილი ბაგრატი... პირველად ქართლში 975 წელს, ხოლო სამი წლის შემდეგ აფხაზეთში მეფედ დასვა“<sup>2</sup>. ასევეა სხვაგანაც; მაგალითად, საქართველოს ისტორიისადმი მიძღვნილ მოკლე ნარკვევში, რომელიც „Большая Советская Энциклопедия“-ს მეორე გამოცემის მე-13 ტომშია გამოქვეყნებული, გაერთიანებასთან დაკავშირებით აფხაზეთის სამეფო საერთოდ არ იხსენიება; სამაგიეროდ, ბერია ლაპარაკი დავით III-ზე: „Давид III положил начало объединению Грузии“<sup>3</sup>. სხვა ასეთივე მოკლე ნარკვევში ჩვენ ვკითხულობთ: „X ს. მეორე ნახევარში ტაო-კლარჯეთი უძლიერესი სახელმწიფო იყო და მისმა მეთაურმა დავით III (969—1001), რომელიც უკვე „მეფეთა მეფის“ ტიტულს ატარებდა, დასაბამი დაუდო ქართული მიწების პოლიტიკურ გაერთიანებას. მისი შემკვიდრე ბაგრატი III (975—1014) უკვე საქართველოს მეფე იყო“<sup>4</sup>. ასევე დამახასიათებელია ამ თემაზე საუბარი „Советская Историческая Энциклопедия“-ს ფურცლებზე: „...Упорная борьба грузинских князей из династии Багратиони за расширение своих владений, усилившаяся с начала 9 в. завершилась в начале 11 в. объединением основных грузинских земель в единое феодальное государство во главе с царем Багратом III (975—1014)“<sup>5</sup>. პროფ. ზ. ანჩაბაძე წიგნში „Из истории средневековой Абхазии

<sup>1</sup> „საქართველოს ისტორია“, აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით, თბ., 1946, გვ. 156—158.

<sup>2</sup> „საქართველოს ისტორია“, აკად. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1960, გვ. 82—83, 88.

<sup>3</sup> БСЭ, т. 13, 1952, გვ. 41.

<sup>4</sup> „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა. 1921—1967 წ.“, თბ., 1967, გვ. 14—15.

<sup>5</sup> «Советская Историческая Энциклопедия», т. 4, стр. 812.

(VI—XVII вв.)“ წერს: „Когда объективные условия объединения всей феодальной Грузии полностью созрели то победителем в борьбе за гегемонную роль в этом объединении должно было стать феодальное образование Грузии, которое к тому времени оказалось бы в наиболее в благоприятном положении. До Дмитрия II включительно... Абхазское царство... прочно держало в своих руках гегемонию в борьбе за объединение Грузии... Однако, несмотря на упорное усилие, у Абхазского царства не оказалось реальных сил для осуществления этой задачи. Завершение объединения Грузии, как мы увидим... приняло иную форму“<sup>6</sup>. ზ. ანჩაბაძის აზრით, „После воцарения Баграта в Абхазском царстве фактическим правителем его становится Давид Куропалат“<sup>7</sup>. ბაგრატისა და დავით კუროპალატის ცნობილი კონფლიქტის შემდეგ, წერს ზ. ანჩაბაძე, „вплоть до смерти Давида Куропалата мир между ними не нарушался, и Баграт, как видно, правил Абхазским царством, признавая политическое верховенство своего воспитателя“<sup>8</sup>. პროფ. შ. მესხიას წიგნში „История Грузии“ კვითხულობთ: „Среди новых феодальных объединений наиболее усилился Тао-Кларджети... Давид Куропалат положил начало политическому объединению грузинских земель“<sup>9</sup>. ასევეა შეფასებული ეს მოვლენა „სსრკ ისტორიის ნარკვევებში“: „В борьбе князей за главенство во всей Грузии первоначально преобладание оставалось за абхазскими царями... Но при преемнике Леона, Дэметрэ (967—975), Абхазское царство начало клониться к упадку и уступило место Тао-Кларджети. Влиятельная политическая группировка передовых картлийских азнауров во главе с Иоанном Марушисдзе, найдя действенную поддержку со стороны таокларджетских Багратидов, успешно претворила в жизнь намеченный ею план объединения Грузии в одно царство“<sup>10</sup>.

<sup>6</sup> З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии (VI—XVII вв.), Сухуми, 1959, стр. 134—135.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 166.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 169.

<sup>9</sup> Ш. А. М е с х и а, История Грузии (Краткий обзор), Тб., 1968, стр. 9—10.

<sup>10</sup> «Очерки истории СССР. Период феодализма. IX—XV вв.», в двух частях, ч. 1. М., 1953, стр. 557.

ამგვარი ამონაწერები კიდევ ბევრი შეიძლება მოვიტანოთ. ყველა ისინი ერთ გარკვეულ შთაბეჭდილებას ჰქმნიან: საქართველოს გაერთიანებისათვის არაერთი ქართული გაერთიანება იბრძვის, ამ კიდილში უპირატესობა კარგა ხნის მანძილზე აფხაზეთის სამეფოს ხელშია, მაგრამ შემდეგ იგი სუსტდება და ამ საქმეს დავით კურაპალატის დროს ტაო-კლარჯეთის სამეფო ამთავრებს, იგი ახერხებს საქართველოს გაერთიანებას.

არსებობს ზოგიერთი ფაქტი, რომელიც თავიდანვე ექვს აღგვიძრავს ამ საქმეში ტაო-კლარჯეთის (ანუ „ქართველთა“) სამეფოს როლის ამგვარი გაზვიადების მიმართ. ცნობილია, რომ გაერთიანებული საქართველოს მეფეები თავის თავს პირველყოვლისა „აფხაზთა მეფეებს“ ეძახდნენ, ხოლო „ქართველთა მეფის“ ტიტულს მათ ტიტულატურაში მეორე ადგილი ეკავა. გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქად რჩება „აფხაზთა სამეფოს“ დედაქალაქი ქუთაისი — აქა აქვთ რეზიდენცია ამ სამეფოს მესვეურთ კიდევ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე. აქედან უხდებათ მათ, უეჭველია, ისევ და ისევ ძველ „აფხაზთა სამეფოს“ ძალებზე დაყრდნობით უპირატესად, ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლების წარმოება სწორედ იმ ტაო-კლარჯეთის შემოსაერთებლად, რომელმაც თითქმის გააერთიანა საქართველო X ს. ბოლოს.

უნდა აღინიშნოს, რომ ფეოდალური საქართველოს გაერთიანებაში „ქართველთა სამეფოს“, ბაგრატიონთა დინასტიისა და საკუთრივ ქართლის როლის გაზვიადებას გარკვეული საფუძველი მოეპოვება პირველწყაროებში, კერძოდ „ქართლის ცხოვრებაში“, სადაც მთელი ეს პროცესი სწორედ ამ უკანასკნელთა როლის ჩვენებისა და ხაზგასმის ნიშნითაა გადმოცემული. ეს გასაგებიცაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ თხზულებათა ავტორებს სწორედ რომ ქართლის ცხოვრება, ქართლის თავგადასავალი აინტერესებთ. „აფხაზეთი“, ე. ი. დასავლეთი საქართველო, მათ თვალთახედვაში ექცევა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ქართლის ცხოვრებაში იღებს მონაწილეობას. „მატიანე ქართლისაჲ“—სათვის კერძოდ, ისევე როგორც ამ ამბების თანადროული სომხური წყაროებისათვის, დამახასიათებელია დავით კურაპალატის პიროვნების ყოველმხრივ განდიდება. უეჭველია, აქედან მოდის მისი როლის გაზვიადებაც საქართველოს გაერთიანების საქმეში თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში, სადაც იგი, როგორც ზემოთ დავინახეთ, არა მარტო საქართველოს გამაერთიანებლად, არამედ თავის სიკვდილამდე ამ გა-

ერთიანებული სამეფოს ფაქტიურ გამგებლად და მბრძანებლად არის გამოყვანილი.

ჩვენს წყაროებში, რომლებიც ამ ამბების შესახებ მოგვითხრობენ, ყველაფერი არ არის ნათელი, ყველაფერი არ არის თქმული. ამიტომ ისინი უფრო ფრთხილ მოპყრობას, უფრო კრიტიკულ მიდგომას საჭიროებენ. არ არის სავალდებულო ჩვენ განუხრელად მივსდით და გავიზიაროთ მოვლენათა მსვლელობის წყაროსეული ინტერპრეტაცია, საჭიროა მეტი ყურადღება მივაქციოთ, კერძოდ, იმას, რასაც წყარო შეგნებულად თუ შეუგნებლად არ ამბობს და შევეცადოთ აღვადგინოთ მოვლენათა მსვლელობის ეს ნაკლოვანი ნაწილიც.

ფეოდალური საქართველოს გაერთიანებასთან დაკავშირებული ამბების შესახებ ჩვენს უმთავრეს წყაროს, როგორც ცნობილია, წარმოადგენს „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესული თხზულება, რომელიც ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში „მატიანე ქართლისაჲ“-ს სახელითაა ცნობილი. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, ამ თხზულების „ავტორი უეჭველია აღმოსავლეთ საქართველოდან უნდა ყოფილიყო, ქართლელი ყოფილა. საზოგადოდ ამ ისტორიაში ქართლის შესახებ ყოველთვის დაწვრილებითი ცნობებია ხოლმე მოყვანილი... როცა იგი... აფხაზეთის მიწა-წყალში შესდგამს ხოლმე ფეხს, მაშინ ჩვენს ავტორს გზა-კვალი ეკარგება. აფხაზეთის შესახებ მას მხოლოდ საზოგადო ცნობები მოეპოვება... როცა ისტორიკოსი აფხაზეთზე ლაპარაკობს, მუდამ დაშორების აღმნიშვნელ ელფერს აძლევს ხოლმე ზმნას...“<sup>11</sup> და ა. შ. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სწორედ ეს, ივ. ჯავახიშვილის მიერ ესოდენ კარგად შენიშნული გარემოება, არის ერთ-ერთი მიზეზი ამ თხზულებაში აფხაზეთის სამეფოს შესახებ არასრული ინფორმაციისა, რასაც ნაწილობრივ, ემყარება მოვლენათა მსვლელობაში სხვა ძალების (კერძოდ, ტაო-კლარჯეთის მმართველების) როლის ერთგვარი გაზვიადება.

მაგრამ, გავეცნოთ უფრო ახლოს აღნიშნული წყაროს ცნობებს ფეოდალური საქართველოს გაერთიანებისათვის წარმოებული ბრძოლების დამამთავრებელი ეტაპის შესახებ. წყაროს მიხედვითაც, ამ ამბებში ცენტრალურ ფიგურად წარმოგვიდგება ფაქტიურად არა გაერთიანებული საქართველოს მომავალი მეფე ბაგრატე და არც დავით დიდი კურაპალატი — ტაო-კლარჯეთის ხელისუფა-

<sup>11</sup> ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 199.

ლი, არამედ ყოვლისშემძლე „ერისთავი ქართლისა იოანე მარუშის-ძე“. აფხაზეთში, გიორგი მეფის გარდაცვალების შემდეგ გამეფდა ჯერ მისი ძე ლეონი, მისი სიკვდილის შემდეგ კი ამ უკანასკნელის ძმა დემეტრე. მისადმი მტრულად განწყობილმა პარტიამ საბერძნეთიდან მოუხმო იქ მყოფ მის ძმა თეოდოსის, რომელმაც ბრძოლა გააჩაღა დემეტრეს წინააღმდეგ. ამ უკანასკნელმა ბოლოსდაბოლოს მოტყუებით ხელში ჩაიგდო თეოდოსი და თვალები დასთხარა მას. მაგრამ მალე, დემეტრეს გარდაცვალების შემდეგ, ტახტზე დასვეს ეს უსინათლო თეოდოსი. ამას „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი უშუალოდ აყოლებს უფლისციხის ასაღებად კახელთა მოსვლის ამბავს. ქართლის ერისთავი ივანე მარუშის ძე — აფხაზთა მეფის მიერ ქართლის მმართველად დაყენებულ<sup>12</sup>, საშველად მოუხმობს დავით კურაპალატს და (რაც განსაკუთრებით გაკვირვებას იწვევს) საერთოდ სთავაზობს ქართლს — შეუთვლის, რომ ან თვით მას ჰქონდეს, ან კიდევ მისცეს გურგენისა და აფხაზთა მეფის გიორგის ასულის გუარანდუხტის ძეს ბაგრატს. დავით კურაპალატი მართლაც გამოილაშქრებს, მაგრამ კახელნი უკუიქცევიან, ხოლო დავითი მიიღებს ივანე მარუშის ძისაგან უფლისციხეს და უბოძებს მას ბაგრატს, რომელიც მას „გაეზარდა შვილად თვსად“ (ქც, I, 270—272); ამასთანავე იგი ჰკრებს ქართლის აზნაურთ და უბრძანებს, რომ აღნიშნული ბაგრატი „არს მკვდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე; ამას დაემორჩილენით ყოველნი“ (ქც, I, 274). ყველაზე მეტ გაკვირვებას იწვევს აქ სწორედ ქართლში აფხაზთა მეფის ნაცვლის ივანე მარუშის ძის საქციელი. იგი ისე თავისუფლად განაჩუქებს ქართლს, რომ მეფის ნაცვლისათვის უეჭველად შეუფერებელ როლში გვევლინება. უფრო საკვირველი ის არის, რომ სახელმწიფოს ერთი ნაწილის ამგვარად გაჩუქების შემდეგ, იგი, ჩანს, მშვიდად განაგრძობს საქმიანობას საკუთრივ აფხაზეთში (სხვაგან მისი არსებობა თითქოს გამორიცხულია) და სამი წლის შემდეგ ახლა უკვე მთელ აფხაზეთს მიართმევს ბაგრატს. ამჯერად მასთან ერთად არიან ამ საქმეში „ყოველნი დიდებულნი, ერისთავნი და აზნაურნი აფხაზეთისა და ქართლისა“ (ქც, I, 275). საკუთრივ ქართლის „აზნაურებზე, ერისთავებზე და დიდებულებზე“ ასეთი

<sup>12</sup> იხ. მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 253, 257; ვ. ცისკარიშვილი, ქაახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 14; З. В. Анчабадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 166.

რამის თქმა ალბათ არ შეიძლებაოდა. ეს უკანასკნელი იშვიათი ერთ-სულოვნებით, როგორც კომიუნიკაციით შესაძლებლობა, ბაგრატიის თაყიდან მოშორებაზე ზრუნავდნენ. ასე რომ, იგვრჩებიან მხოლოდ „აფხაზეთის დიდებულნი, ერისთავნი და აზნაურნი“, რომელნიც ჩანს, ამჟერად ივანე მარუშის ძესთან ერთად თანაუგრძობდნენ ბაგრატიის მეფედ მიწვევას აფხაზეთში. წყაროს მიხედვით თითქოს დავგრჩენია ვიფიქროთ, რომ ამ პერიოდში აფხაზეთში სამეფო ხელისუფლება ფაქტიურად მოშლილია. ავტორი ასეც ამბობს: თეოდოსის სამწლიან მეფობის მანძილზე „განიჩყუნა ქუეყანა იგი და შეიცვალა ყოველი წესი და განგება, პირველთა მეფეთაგან განწესებული“, რის გამოც „წარჩინებულნი ჰის ქუეყანისანი“ „იყვნეს ყოველნი ერთობით მწუხარებასა შინა დიდსა“ (ქც, I, 275). ბუნებრივია, ამასთანავე დავასკვნათ, რომ 975 წ., როდესაც ბაგრატი გაამეფეს ქართლში, ივანე მარუშის ძე ჯერ კიდევ არ სარგებლობდა აფხაზი დიდებულების ასეთი ერთსულოვანი მხარდაჭერით და ბაგრატიის გამეფება ქართლში მას შეეძლო დაესახა როგორც დავით კურაპალატის აგრესიული აქტი. მაგრამ კიდევ უფრო ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ყველაფერი ეს თვით აფხაზეთის ცენტრალური ხელისუფლების დასტურით მოხდა, რამდენადაც ამ უკანასკნელის რეაქცია ქართლის დაკარგვაზე აბსოლუტურად არ ჩანს. ეგების ქართლის დათმობა წარმოადგენდა გარკვეულ საფასურს დავით კურაპალატის მხრით თეოდოსისათვის გაწეული შემწეობისათვის? მათ შორის ხომ აღრეც და მერეც მკიდრო კონტაქტი ჩანს: ერთხანს ძმასთან (აფხაზეთის მეფე დემეტრესთან) მებრძოლი თეოდოსი დავით კურაპალატთან არის შეხიზნული (ქც, I, 271), ხოლო აფხაზეთიდან ბაგრატიის მიერ გამოძევების შემდეგაც იგი დავითს შეაფარებს თავს (ქც, I, 275—276). ასეა თუ ისე, ჩანს, რომ 975 წ. აფხაზეთში ბაგრატიის გამეფებისათვის ნიადაგი ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული და ამისათვის მისი მომხრე პარტიის კიდევ სამწლიანი მეცადინეობა შეიქნა საჭირო. მაგრამ „მატიანეს“ ზოგიერთი ცნობა იმასაც გვაფიქრებინებს, რომ 975 წ. ეს საკითხი თითქოს საერთოდ არ უნდა მდგარიყო. დამახასიათებელია, რომ როდესაც 978 წ. დადგა ეს საკითხი, დავით კურაპალატი ეკვის თვალთ უცქერის მთელ ამ წამოწყებას და მძევლებსაც კი მოითხოვს აფხაზთაგან, რათა ბაგრატი გაატანოს მეფედ აფხაზეთში. ეგების მართლაც 975 წლის ამბებს საკუთრივ დავითის სამფლობელოების გაფართოების სახე ჰქონდა და ბაგრატი ისახებოდა ტო-კლარჯეთ-ქართლის მომავალ მმართველად. როგორც მოვლენათა მსვლელო-

ბამ შემდეგ, მართლაც, დაგვანახვა, ბაგრატი აფხაზეთში გამეფება კარგს არაფერს უქაღდა თვით დაეითს... ამას გარდა, შემთხვევითი არაა, რომ ბაგრატის ქართლში გაბატონებასთან ერთად საკმაოდ აქტიურად ფიგურირებენ ამ უკანასკნელის მშობლები — მამა გურგენი და განსაკუთრებით დედა გუარანდუხტი. ცნობილია, რომ ქართლის აზნაურებმა კახელების დახმარებით დავით კურაპალატის ქართლიდან წასვლის შემდეგ დაატყვევეს უფლისციხეში ნსხდომი ეს სამეული: ბაგრატი თავისი დედ-მამით და კახეთში წაიყვანეს ისინი. დავით კურაპალატმა ილაშქრა მათ გასათავისუფლებლად. კახელებმა არ დაუცადეს მის შეჭრას კახეთში და ზავი შესთავაზეს: „განუტევენს გურგენ და ბაგრატი და დედოფალი გუარანდუხტი, და შეუქციეს ქართლი და უფლისციხე, ხოლო წირქუალის ციხე და გრუი თვით დაიპირეს. მას ეამსა ეპყრა უფლისციხე და ქართლი გუარანდუხტი დედოფალსა. ესე გუარანდუხტი დედოფალი ასული იყო გიორგი აფხაზთა მეფისა და დედა ბაგრატისი“ (ქც, I. 274—275). ვფიქრობთ, ძალზე დამახასიათებელია ავტორის ეს ცნობა. აქ ბაგრატი დიდ არაფერ როლში არ ჩანს, ხოლო ქართლის მმართველად მინცადამინც გუარანდუხტია გამოყვანილი და იქვე თითქოს განმარტებულია, თუ რის ძალით: იგია ასული გიორგი აფხაზთა მეფისა! შემდეგშიც, უკვე ბაგრატის აფხაზეთში გამეფების შემდეგ, ქართლის მმართველად იგივე გუარანდუხტი ჩანს (ქც, I, 276), ყველაფერი ეს გვევლის მართებულად გავიგოთ 975 წლის აქტი: ეს არ შეიძლება ყოფილიყო აფხაზეთის მიერ ქართლის დაკარგვა, ეს იყო ქართლის — სამეფოს ერთი ნაწილის — დათმობა, მეფედ გამხდარი თეოდოსის მიერ თავისი დისათვის. ქართლი, ჩანს, რჩებოდა ნომინალურად აფხაზეთის შემადგენლობაში, მაგრამ იგი ივანე მარუშის ძის ზელიდან გადადიოდა გუარანდუხტის ხელში. აშკარაა, რომ ეს აფხაზეთის ცენტრალური ხელისუფლების თანხმობით მომხდარი აქტი იყო, თუმცა ისიც აშკარაა, რომ ყველაფერი ეს დავით კურაპალატის ძალითა და მფარველობით განხორციელდა. მაგრამ 978 წელს დავით კურაპალატის მერყეობა ბაგრატის აფხაზეთში გამეფებასთან დაკავშირებით ექვს აღძრავს — რამდენად იყო ეს პერსპექტივა გათვალისწინებული უკვე 975 წელს? პირიქით, ხომ არ ვარაუდობდა დავითი ქართლის აფხაზეთიდან საბოლოოდ ჩამოცილებასა და ტაო-კლარჯეთისათვის შეერთებას? აფხაზეთის სამეფოს, ჩანს, ძალა არ შესწევდა იმეამად წინ აღსდგომოდა მოვლენათა ასეთ მსვლელობას.

მაგრამ ერთი იყო, ჩანს, დავითისათვის ბაგრატი — ქართლის მფლობელი და მეორე — ბაგრატი — აფხაზეთის მეფე. პირველი თუ პერსპექტივას შლიდა ქართლის შემოერთებისათვის, მეორე არავითარ იმედს აღარ უტოვებდა მას საამისოდ. აფხაზეთი იმდენად დიდი და ძლიერი, თანაც ტაო-კლარჯეთისგან განსხვავებით ბიზანტიისაგან ბევრად დამოუკიდებელი ქვეყანა იყო, რომ ტაო-კლარჯეთის მმართველები, ჩანს, თავს არ იტყუებდნენ: აფხაზეთის შემოერთებას ისინი ვერ დაისახავდნენ მიზნად; პირიქით, ბაგრატის აფხაზეთში გამეფებით ქართლის დაუფლების იმედიც ქრებოდა და ეს უკანასკნელი მტკიცედ გადადიოდა აფხაზეთის ხელში. მაგრამ, თუკი ასეა, რატომ არ გაუწია დავითმა უფრო ენერგიული წინააღმდეგობა 978 წლის აქტს? ორში ერთია: იგი ხელადა ამ აქტის დადებით შედეგებსაც — მეზობელი დიდი სამეფოს გადასვლას მეგობრულად განწყობილი მმართველის ხელში, ანდა — იგი უძლური იყო ამ აქტისათვის უფრო მტკიცე წინააღმდეგობა გაეწია და ის აღეკვეთა. ეგებ მოქმედებდა როგორც ერთი, ისე მეორე გარემოება.



საქართველოს გაერთიანების საქმეში საჭიროა ჩვენ, ამასთანავე, მთელი სერიოზულობით გავითვალისწინოთ ბიზანტიასთან ურთიერთობის როლი. თუკი ამას გავაკეთებთ, უკვე *a priori* სერიოზულ ეჭვებს აღძრავს ტაო-კლარჯეთის მეთაურობით საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების შესაძლებლობაც კი. ცნობილია, რომ სულ სხვადასხვაგვარი იყო ბიზანტიისადმი, ერთი მხრით, ტაო-კლარჯეთის, „ქართველთა სამეფოს“ და, მეორე მხრით, „აფხაზეთა სამეფოს“ დამოკიდებულება. ამ ორი ქართული პოლიტიკური გაერთიანების თვით წარმოშობაც კი, ბიზანტიასთან ურთიერთობის თვალსაზრისით, სრულიად განსხვავებული და ერთმანეთის საწინააღმდეგო ვითარებაში მოხდა: მაშინ როდესაც ტაო-კლარჯეთის სამთავრო ფაქტიურად ბიზანტიის კრეატურა იყო, მისი მფარველობით შეიქმნა (იხ. აშოტ ბაგრატიონის გამოქცევა არაბთა მფლობელობის ქვეშ მყოფი ქართლიდან, ტაო-კლარჯეთში დამკვიდრება და ბიზანტიის მფარველობაში შესვლა<sup>13</sup>). აფხაზეთის სამეფოს შექმნა, პირი-

<sup>13</sup> ქართლიდან არაბთა მფლობელობას გამოქცეული აშოტი მკვიდრდება არტანუჯში: „და დაემკვიდრა მუნ. და მისცა ღმერთმან გამარჯუება და აქელმწიფა იგი შემოეთ-კლარჯეთსა ზედა... და მისცა ღმერთმან და განამტკიცა კელმწიფება მისი ნებითა ბერძენთა მეფისათა“ (სუმბატ დავითის ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“ — ქტ. I, გვ. 376).



ქით, ბიზანტიის წინააღმდეგ მიმართული აქტი იყო და არსებითად მისგან ჩამოშორებას მოასწავებდა (გავიხსენოთ, რას წერს „მატიანე ქართლისაჲ“ აფხაზთა ერისთავ ლეონის მიერ ამ სამეფოს დაფუძნების შესახებ: „ხოლო რაჟამს მოუძღურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიეცა სამკვდროდ აფხაზეთი... ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელიდგა მეფე აფხაზთა...“ (ქც, I, 251) და ა. შ.). ორივე ეს ამბავი VIII ს-ის მიწურულში მოხდა. მაგრამ როგორ განვითარდა მოვლენათა მსვლელობა შემდეგში ამ თვალსაზრისით? შეიცვალა თუ არა ვითარება არსებითად IX—X საუკუნეების მანძილზე? ტაო-კლარჯეთი მთელი ამ ხნის მანძილზე ისევდაისევ ბიზანტიის მფარველობის ქვეშ იყოფება, მას ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულებით აღჭურვილი ადგილობრივი მთავრები მართავენ, იურიდიულად IX—X სს-ის მანძილზე ქართველი ბაგრატიონები ბიზანტიის ვასალები არიან<sup>14</sup>. ბიზანტია ამ სამთავროს პირველსავე მთავარს აშოტ ბაგრატიონს აძლევს „კურაპალატის“ ბიზანტიურ ტიტულს. როდესაც ეს სამთავრო ფაქტიურად ორად გაიყო: ტაოს და კლარჯეთის სამთავროებად, ეს ბიზანტიური ტიტული ტაოს მმართველ სახლში მკვიდრდება, ისინი ატარებენ აგრეთვე უმაღლეს ადგილობრივ ტიტულსაც — „ქართველთა მეფის“ ტიტულს. ტაოს ცენტრი ბანაშია, კლარჯეთისა კი — არტანუჯში. უფროსობა ტაოსა აქვს და ნომინალურად ტაოს სახლი ითვლება უფროსად, თუმცა ფაქტიურად კლარჯეთი მისგან სრული დამოუკიდებლობით სარგებლობს<sup>15</sup>. ბიზანტიელები უხვად ურიგებენ საკარისკაცო ტიტულებს (მაგისტროსის, ანტიპატროსის, პატრიკის), კურაპალატს გარდა ბაგრატიონთა სახლის სხვა წარმომადგენლებსაც<sup>16</sup>. ჩანს, ისინი საკმაოდ ზრუნავენ აქ ერთიანი ძლიერი ხელისუფლების ჩამოყალიბების წინააღმდეგ: ალბათ მათი მფარველობის ქვეშ ასე ძლიერ იფურჩქნება ტაო-კლარჯეთის ცალკეული ნაწილების მფლობელთა ერთმანეთისაგან ფაქტიურად სრული დამოუკიდებლობა. თვით ძლევამოსილი დავით კურაპალატის დროსაც, X ს. მეორე ნახევარში, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სამფლობელო ფაქტიურად სამად იყო გაყოფილი და

<sup>14</sup> შ. ლ ა რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 215.

<sup>15</sup> ი ქ ე ე, გვ. 211—212.

<sup>16</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948, გვ. 108.

თითოეულ მათგანს ბაგრატიონთა საგვარეულოს გარკვეული შტოს წარმომადგენელი მართავდა<sup>17</sup>. მკვლევარნი მხოლოდ ვარაუდობენ, რომ შესაძლებელია ასეთ ვითარებაშიც დავითის უზენაეს ხელისუფლებას, ფორმალურად მაინც, ცნობდნენ სხვა ბაგრატიონი მფლობელები<sup>18</sup>. დამახასიათებელია, რომ ტაო-კლარჯეთის ბიზანტიასთან ურთიერთობაში IX—X საუკუნეების მანძილზე სრული სიმშვიდე სუფევს, რომელიც მაშინვე ირღვევა, როდესაც XI საუკუნის დასაწყისიდან აფხაზეთის მეფეები ტაო-კლარჯეთის დაუფლებისათვის ენერგიულ ბრძოლას აჩაღებენ. ეს ბრძოლა შემდეგ მრავალი ათეული წლის მანძილზე არ ცხრება და ჩვენ ქვემოთ შესაძლებლობა გვექნება თვალი გავადევნოთ მის მიმდინარეობას. ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, ამ დრომდე ბიზანტია ტაო-კლარჯეთს თავის სამფლობელოდ მიიჩნევდა.

რაც შეეხება აფხაზეთის სამეფოს, ჩვენ არავითარი საბუთი არ გვაქვს ბიზანტიასთან მისი ასეთივე დამოკიდებულება ვივარაუდოთ. თვით იგი, როგორც აღვნიშნეთ, ბიზანტიისაგან განდგომის გზით, მათთან ბრძოლის შედეგად ჩამოყალიბდა. ამ სამეფოს უკვე პირველი ხელისუფალნი, როგორც ფიქრობენ, ბიზანტიისაგან პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად ახორციელებენ უაღრესად მნიშვნელოვან საეკლესიო დამოუკიდებლობას — დასავლეთ საქართველოს ეკლესიას იერარქიულად ჩამოაშორებენ ბიზანტიურ ეკლესიას. ივ. ჭავჭავიძე ბიზანტიის ეკლესიისაგან აფხაზეთის ეკლესიის გამოყოფას უკვე ამ დროს, VIII—IX საუკუნეებში მომხდარ ფაქტად მიიჩნევს<sup>19</sup>. პ. ინგოროყვა ამას IX ს. I ნახევრით ათარილებს<sup>20</sup>, ნ. ბერძენიშვილი კი ბაგრატ აფხაზეთა მეფის (861—873) დროს მომხდარ ამბად მიიჩნევს. იგი ფიქრობს, რომ ეს გამოყოფა ეტაპობრივ განხორციელდა და ამ დროს სრულდება მცხეთის ტახტთან შეერთებით<sup>21</sup>. ამრიგად, აფხაზეთის მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებას ორგანულად უკავშირდება, მოსდევს, აფხაზეთის ეკლესიის გამოყოფა ბიზანტიის ეკლესიიდან<sup>22</sup>. ამავე პროცესის გამონახტულებაა დას. საქართველოს ასპარეზზე ბერძნული

17 ვ. კ. პ. ა. ლ. ი. ა. ნ. ი., ბიზანტია — საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თსუ შრომები, ტ. 61, 1956, გვ. 111.

18 მ. ლ. ო. რ. თ. ქ. ი. ფ. ა. ნ. ი. ქ., დასახ. ნაშრ., გვ. 226—227.

19 ივ. ჭ. ა. ე. ა. ხ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 119—120.

20 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 244.

21 ნ. ბერძენიშვილი, საეპიგრაფო ფოლადურ საქართველოში, ენიმესის შრომები, V—VI, თბ., 1940, გვ. 291 შმდ.

22 მ. ლ. ო. რ. თ. ქ. ი. ფ. ა. ნ. ი. ქ., დასახ. ნაშრ., გვ. 193.

ენის მიერ საეკლესიო და ურთიერთობის ფუნქციის დაკარგვა და მის ნაცვლად ქართული ენის გაბატონება. ს. ჭანაშვიას აზრით, უკვე IX ს. დამდეგიდანვე აფხაზთა სამეფოში მწიგნობრობის, სამეფო კანცელარიისა და ეკლესიის ენა ხდება ქართული<sup>23</sup>. ასევე VIII—IX საუკუნეთა მანძილზე დასავლურ-ქართულ სამშენებლო ხელოვნებაშიც იგრძნობა თანდათან ბიზანტიური გავლენის აღმოფხვრა და ქართული სტილის დამკვიდრება<sup>24</sup>.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ, ტაო-კლარჯეთის ვითარებისაგან განსხვავებით, არაფერი ვიცით ამ პერიოდში აფხაზთა მეფეების მიერ რაიმე ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების ტარების თაობაზე. სამაგიეროდ, ჩვენ მოგვეპოვება ცნობები ბიზანტიასა და აფხაზეთს შორის მტრული შეტაკებების შესახებ. ცნობილია, მაგალითად, აფხაზებისა და ლაზების მონაწილეობა ბიზანტიის წინააღმდეგ მიმართულ თომა სლავის აჯანყებაში, რომელიც 821—823 წწ-ში მოხდა, რაც, მკვლევართა აზრით, აფხაზეთის სამეფოს ბიზანტიის გავლენისაგან საბოლოო განთავისუფლების სურვილით შეიძლება აიხსნას<sup>25</sup>.

მართალია, ბიზანტია დროდადრო ცდილობს ჩაერიოს აფხაზეთის საქმეებში, კერძოდ, სამეფო ტახტზე დასვას სასურველი კანდიდატი<sup>26</sup> და ა. შ., მაგრამ ასეთ ცდებს ეპიზოდური ხასიათი აქვს. რა თქმა უნდა, არც ტაო-კლარჯეთში იყო ბიზანტიელთა უშუალო მმართველობა დამყარებული, ძალაუფლება აქ მთლიანად ადგილობრივ ხელისუფალთა ხელში იყო, საკუთრივ ბიზანტიური ადმინისტრაცია აქ არ მოქმედებდა და ადგილობრივი მფლობელები კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ ბიზანტიელთა ჭარის ჩაყენებასაც აქაურ ციხეებში<sup>27</sup>. მაგრამ ეს ქვეყანა მაინც ბიზანტიის ვასალურ ფეოდალურ ერთეულს წარმოადგენდა, რაც არ ითქმის აფხაზეთის შესახებ.

<sup>23</sup> ს. ჭ ა ნ ა შ ვ ი ა, აფხაზთა სამეფოს ისტორიიდან, თეზისები, შრომები, II, გვ. 306.

<sup>24</sup> პროფ. ლ. რჩეულიშვილზე დაყრდნობით ამაზე მიუთითებს მ. ლ ო რ თ-ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, — იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 195—196.

<sup>25</sup> მ. ლ ო რ თ ქ ი უ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 194.

<sup>26</sup> მაგალითად, IX ს. მეორე ნახევარში ბიზანტიაში მყოფი აფხაზეთის ტახტის მაძიებელი ბაგრატ უფლისწული, ბიზანტიელთა დახმარებით, გამეფდა აფხაზეთში — იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 99.

<sup>27</sup> 923—944 წლებში ადგილი ჰქონდა ერთ ასეთ ფაქტს, როდესაც ადგილობრივმა მმართველმა არტანუჯის ციხე ჩააბარა ბიზანტიელებს. ამაზე დიდი გულისწყრომა გამოიწვია ტაო-კლარჯეთის სხვა მმართველთა შორის — იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ-ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948, გვ. 109—110.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ბიზანტიის ურთიერთობაზე ქართულ სამეფო-სამთავროებთან X ს. მეორე ნახევარში, ე. ი. იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა საქართველოს გაერთიანება. მართალია, ქართული და სომხური წყაროები სამხრეთი ტაოს მფლობელს დავით კურაპალატს გვიხატავენ როგორც დამოუკიდებელ და ძლევამოსილ ხელისუფალს (ამ წყაროების კვალდაკვალ მას ასევე გვიხატავს თანამედროვე ქართული და სომხური საისტორიო ლიტერატურა), მაგრამ ძნელია დავეკვდეთ იმაში, რომ დავითი იმპერიის ვასალს წარმოადგენდა, მთელი მისი საქმიანობა კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარის მუდმივი კონტროლის ქვეშ მიმდინარეობდა და მდგომარეობაც საკმაოდ არამყარი ჰქონდა — მას ადვილად შეეძლო როგორც მოეპოვებინა, ისე დაეკარგა ვრცელი სამფლობელოები. 978 წელს, როდესაც მან სწორი არჩევანი გააკეთა, ქმედითი დახმარება აღმოუჩინა ბიზანტიის იმპერატორს ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩაქრობაში, მას „მისცნეს მეფეთა (ბიზანტიისათა) ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი, რათა თავისა სიცოცხლესა ჰქონდინ“ (ერ. იერ. სი და ეფ. სი). სომეხი ისტორიკოსის ასოლიკის თქმით, იმპერატორს დავითისათვის მიუცია ხალტოძარიკი, კელასური, ჩორმაირი, კარინი, ბასიანი, ციხე სევეუქისა, ჰარქი და აპაჰუნი. სამაგიეროდ, როდესაც ერთი მორიგი აჯანყების დროს იგი არჩევანში შეცდა და იმპერატორ ბასილის წინააღმდეგ აჯანყებულ ბარდა ფოკას მიემხრო (989 წ.), ამ უკანასკნელის დამარცხების შემდეგ იძულებული შეიქნა პირობა დაედო, მთელი მისი სამფლობელო მისი სიკვდილის შემდეგ უშუალოდ ბიზანტიის კეისრის განკარგულებაში გადაევიდოდა. დავით კურაპალატი თავისი სიცოცხლის მანძილზე წარმატებულ ომებს აწარმოებდა მეზობელი მაჰმადიანი მფლობელების წინააღმდეგ, ართმევდა მათ სამფლობელოებს და იფართოებდა თავის საგამგებლო ტერიტორიას<sup>28</sup>. წყაროებში, მართალია, არ ჩანს ამ საქმეში საიმპერიო ხელისუფლების უშუალო დახმარების ფაქტი, მაგრამ ისიც ჩანს, რომ იგი სრულიად არ უშლიდა ხელს მის ამ საქმიანობას, თვლიდა რა ალბათ რომ საქმე ეხებოდა ფაქტიურად იმპერიის საზღვრების გაფართოებას<sup>29</sup>. რა თქმა უნდა, დავით კურაპალატის ჭარები მონაწილეობდნენ იმ ბრძოლებშიც, რომელსაც საკუთრივ იმპერიის ხელისუფლება აწარმოებდა.

<sup>28</sup> იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948, გვ. 126 შპლ.

<sup>29</sup> შდრ. М. Д. Лордкипанидзе, Из истории грузинно-византийских взаимоотношений на границе X—XI вв., კრებული „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები“, II, თბ., 1972, გვ. 42.

დამახასიათებელია, რომ არც ერთ მომენტში ჩვენ არ ვხედავთ დავით კურაპალატს, როგორც მეზობლს ბიზანტიასთან საერთოდ, როგორც თავისი სამფლობელოების სრული დამოუკიდებლობისათვის და ბიზანტიისაგან სრული ჩამოშორებისათვის მეზობლს<sup>30</sup>. ეტყობა, მას იმხანად საამისო ძალა არ შესწევდა. არც იმპერიის ცენტრალური ხელისუფლება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იღვწოდა პირადად მისი ძალაუფლების შესაზღვრდავად, ამ მიმართულებით არაფერს აკეთებდა მაშინაც კი, როდესაც იგი ერეოდა კეისრის ტახტის გარშემო გამართულ ბრძოლებში და დამარცხებულის მხარეზე აღმოჩნდებოდა.

ასეთი ვითარების ფონზე ჩვენი ყურადღება არ შეიძლება არ მიიქციოს ბიზანტიის, კერძოდ, იმავე კეისარ ბასილის სრულიად განსხვავებულმა დამოკიდებულებამ აფხაზეთის სამეფოსადმი, რომლის სულ მცირე წინსვლაც, ეტყობა, ბიზანტიის მხრით უკიდურესად მკვეთრ რეაქციას იწვევდა. ეს გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ აფხაზეთის სამეფოსა და მისი მმართველის ბაგრატ III-ის სახით ბიზანტიას საქმე ჰქონდა სრულიად სხვა სახის ერთეულთან და მის ხელისუფალთან, ვიდრე ეს იყო დავით კურაპალატის საგამგებლო. აქ საქმე ეხებოდა ბიზანტიისაგან სრულიად დამოუკიდებელ, ძლიერ პოლიტიკურ ერთეულს, რომლის მიერ თუნდაც დავით კურაპალატის სამფლობელოთაგან რაიმეს მითვისება განიხილებოდა როგორც იმპერიის საზღვრების, იმპერიის სამფლობელოების ხელყოფა და, ამიტომაც, შესაფერ რეაქციას იწვევდა.

ამრიგად, თავიდანვე სერიოზულ ეჭვს იწვევს ტაო-კლარჯეთისა და მისი ხელისუფლის დავით კურაპალატის შესაძლებლობა, გამოსულიყო საქართველო-კავკასიის ფარგლებში დიდი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების ინიციატორად და განმხორციელებლად. მისი ძლიერება მნიშვნელოვანწილად გაპირობებული ჩანს იმპერიასთან მჭიდრო კონტაქტით, ხოლო ასეთი მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა იმპერიის მფარველობის ქვეშ; იგი უცილობლად უნდა განხორციელებულიყო იმპერიასთან ბრძოლით, მისადმი დაპირისპირების გზით. სხვა გზა ამ სიტუაციაში არ ჩანდა.

---

<sup>30</sup> გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ დავითის მონაწილეობა ბარდა სკლიაროსის ხელახალ აჯანყებასა და ბარდა ფოკას აჯანყებაში თითქოს გამოწვეული იყო უკმაყოფილებით, რომ 978 წ. მიღებული მიწები მას მიეცა მხოლოდ სიოცხლის პერიოდში მფლობელობის პირობით (იხ. М. Д. Л о р д к и п а н и д з е, დასახ. ნაშრ., გვ. 34), მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდს წარმოადგენს.

მაგრამ ისმის, რა თქმა უნდა, საკითხი, რამდენად შედიოდა თვით დავით კურაპალატის გეგმებში ასეთი დიდი გაერთიანების — გაერთიანებული საქართველოს ჩამოყალიბება? ჩვენ ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ 975 წელს მომხდარი აქტის შესახებ, რომელსაც ქართული წყარო სწორედ საქართველოს გაერთიანებისაკენ განზრახულ ღონისძიებად მიიჩნევს და დღევანდელი საისტორიო ლიტერატურაც ასეთად თვლის. ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ეს აქტი უფრო განხილულ უნდა იქნეს როგორც აფხაზთა სამეფოსაგან ქართლის ჩამოცილებისაკენ გადადგმული ნაბიჯი, რაშიც, გამოირიცხული არ არის, ბიზანტიის ხელიც ერია. ეს, შეიძლება, იყო დათმობა ბიზანტიის კანდიდატის თეოდოსის მიერ სამეფო ტახტზე მოხვედრის სანაცვლოდ. იგი, რა თქმა უნდა, გარკვეული გაერთიანების პერსპექტივას სახავდა. თუ შეიძლება ვენდოთ წყაროს მტკიცებას, რომ ბაგრატი ამ დროს დავით კურაპალატს გათვალისწინებული ყავდა თავის მემკვიდრედ, პერსპექტივაში მართლაც ისახებოდა ამით მთელი ტაო-კლარჯეთისა და ქართლის გაერთიანება. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ძნელია ვივარაუდოთ, რომ აქ აფხაზეთის შემოერთებაც იგულისხმებოდა. ეს რომ არა, გაუგებარი ხდება დავითის პოზიცია მაშინ, როდესაც სულ მალე, 978 წელს, რეალურად დადგა საკითხი ბაგრატის აფხაზეთში გამეფების შესახებ. დავითი ამ შემთხვევაში არავითარ ენთუზიაზმს არ იჩენს. პირიქით, დიდად ფრთხილობს და სანამ მძევლებს არ გამოართმევს „აფხაზებს“, მეფედ ბაგრატს არ ატანს.

„მატიანე ქართლისაჲ“ ამბობს: „ამანვე ივანე მარუშის-ძემან ინება, რათა მოიყვანოს ბაგრატ მეფედ აფხაზეთისა და მის თანა ყოველთა დიდებულთა, ერისთავთა და აზნაურთა აფხაზეთისა და ქართლისათა გამოითხოვეს ბაგრატ მეფედ დავით კურაპალატისაგან. ხოლო მან დიდითა იძულებითა ძნელად აღასრულა თხოვა მათი; ვითარცა ვთქუ პირველად, უშვილო იყო დავით კურაპალატი, და ბაგრატ გაეზარდა შვილად, მპყრობელად ორისავე კერძოსა ტაოსა. გარნა რაჟამს უმკვდრო ქმნილ იყო ქუეყანა ქართლისა და აფხაზეთისა, მოსცა მათ სიმტკიცითა და მძევლითა“ (ქც, I, გვ. 275). უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორს ავიწყდება დავით კურაპალატისავე ნათქვამი სამი წლის წინ, როდესაც მან ქართლში მმართველად დასვა ბაგრატი. მაშინ მან დაუბარა ქართლის აზნაურთ: „ესე (ბაგრატი) არს მკვდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე; ამას დაემორჩილენით ყოველნი“ (ქც, I, გვ. 274). როგორც ვხედავთ, მაშინ ის თვლიდა,

რომ ბაგრატი გამიზნული იყო მთელი ტაოს, ქართლისა და აფხაზეთის მფლობელად, ახლა კი ირკვევა, რომ იგი სდომებია მარტოოდენ "ტაოს ორივე მხარის" მფლობელად! გაუგებარია, რამ გამოიწვია ეს შიში დავით კურაპალატში იმის მიმართ, რისთვისაც თითქოს იგი თავიდანვე იღწვოდა. უნდა დავასკვნათ, რომ, როგორც ჩანს, ან იგი თავიდანაც არ იღწვოდა ამისათვის და შემატიანე მიაწერს მას ამ ზრახვებს, ანდა მოხდა რაიმე ისეთი, რამაც აიძულა იგი თავის გეგმებზე ხელი აეღო. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ იგი (ეგების: ბიზანტია?) ამჯერად მძევლებსაც კი მოითხოვს ბაგრატის აფხაზეთში გამეფებასთან დაკავშირებით. ვისგან მოითხოვს ის მძევლებს? რა თქმა უნდა, აფხაზი დიდებულებისაგან, რომლებიც ითხოვენ ბაგრატს გასამეფებლად. ჩანს, რომ დავით კურაპალატის აზრით (ეგების: საერთოდ ბიზანტიის სამეფო კარის აზრით), ბაგრატი ამით ისეთი ხალხის ხელში გადადიოდა, ისეთი პოლიტიკის იარაღი და განმახორციელებელი შეიძლება გამხდარიყო, რომელიც საშიში შეიძლება აღმოჩენილიყო თვით დავითისათვის (აგრეთვე: ბიზანტიისათვის საერთოდ). მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ გვიჩვენა, რომ ეს მართლაც ასე იყო. მალე აფხაზთა სამეფომ ბაგრატის მეთაურობით ბოლო მოუღო ქართლის სტატუსის ერთგვარ გაურკვეველობას. ქართლში ბაგრატის დედა გუარანდუხტი იჭრა კვლავ. თუ ნომინალურად 975 წლის შემდეგაც და ახლაც, უნდა ვიფიქროთ, ქართლი აფხაზეთის შემადგენლობაში განიხილებოდა, მისი ქეშმარიტი მფლობელები — ქართლის აზნაურები, ჩანს, ამისი მოსურნენი მაინცადამაინც არ იყვნენ. ყოველ შემთხვევაში, ახლა ისინი ცდილობდნენ ბაგრატთან და აფხაზეთთან შემაერთებელი ძაფები გაეწყვიტათ და გუარანდუხტის ქართლში ჯდომას შეიძლება სხვაგვარ ახსნას აძლეოდნენ, ტაოსთან ერთიანობის ნიშნად სთვლიდნენ. ეგებ ამის გამოა, რომ როდესაც მათ გადაწყვიტეს შეიარაღებული ძალით წინ აღდგომოდნენ ბაგრატის გადმოსვლას აფხაზეთიდან ქართლში და ბრძოლაც გაუმართეს მას, თვით უფლისციხეში მჯდომ გუარანდუხტს, ეტყობა, არაფერს ერჩოდნენ. ყოველ შემთხვევაში, მემატიანე ამაზე სდუმს, ხოლო აზნაურებზე გამარჯვებული ბაგრატი თავისი დედისაგან იბარებს უფლისციხეს და თვით გუარანდუხტი მიყავს თან აფხაზეთში (ქც, I, გვ. 276). უნდა ვიფიქროთ, ქართლში ამით უშუალოდ აფხაზეთის სამეფო აღმინისტრაცია მყარდება. ამით აფხაზეთი ახდენს ქართლის ნახევრადამოუკიდებელი სტატუსის ლიკვიდაციას, რასაც 975 წლის აქტით ჩაეყარა საფუძველი.

მალე „აფხაზები“ ასეთივე ღონისძიების გატარებას შეეცადნენ კიდევ უფრო სამხრეთით მდებარე მიწა-წყლის — კლდეკარის საერისთაოს მიმართ, სადაც ერისთავად იჯდა რატი ბაღვაში, რომელსაც „ჰქონდა ციხე ატენისა და ქართლისაგან მტკუარს სამხრით-კერძო ყოველივე, თრიალეთი, მანგლის-ქვევი და სკურეთი“. აღნიშნული რატი, ჩანს, ტაო-კლარჯეთის (და მათი გზით: ბიზანტიის?) მფარველობას ეძიებდა, ამიტომაც ამან დავით კურაპალატისა და ბაგრატის შეტაკება გამოიწვია. ბაგრატისა და მისი მამის, ჩრდ. ტაოს მფლობელის გურგენის წინააღმდეგ დავით კურაპალატმა დიდი ძალები შეკრიბა. დავით კურაპალატისადმი უაღრესად სიმპათიურად განწყობილი ქართველი მემკვიდრე ცდილობს ეს შეტაკება გაუგებრობის ნიადაგზე მომხდარად დაგვისახოს. აი რას წერს იგი: „შეკრიბა უცნაურად სპა თვისი ყოველი ბაგრატი მეფემან და გამოვიდა ქართლს: ენება შეპყრობა რატი ერისთავისა. მაშინ უკუე აუწყეს მსწრაფლ დავით კურაპალატსა და უთხრეს ესრე სახედ: „არა სადა წარვალს სხუაგან, არამედ განმზადებულ არს სიკუდილად შენდა. და შეკაზმულ იყო გურგენ, მამა ბაგრატისი, მისლვად შვილისა თვისისა თანა. ხოლო დავით კურაპალატი წარმოვიდა მსწრაფლ, მოუწოდა ლაშქარსა თვისსა და უკმო ყოველთა მეფეთა სომხითისათა. და მაშინ ჭრეთ ცოცხალი იყო პაპა ბაგრატისი, ბაგრატი ქართველთა მეფე; იგიცა მოვიდა დავით კურაპალატისა წინაშე, რამეთუ ეშინოდა ძისა თვისისა გურგენისაგან წაღებასა მეფობისასა. მოვიდეს და დადგეს დლივს სპითა დიდითა, რომელთა არა იყო რიცხვ, და გაგზავნა ლაშქარნი გურგენს ზედა. მიეგებნეს წინა გურგენს, და შეიბნეს გარდათხრილთა, თავსა შავშეთისასა, გააქციეს გურგენ და შთაიხუეწა მეოტი, და შევიდა ციხესა წეფთისასა. მას უამსა მოსრულ იყო ბაგრატი თრიალეთს; დადგა კარუშეთს. გაგზავნა მოციქული, განახნა ლაშქარნი და იხილა, რომელ ძალითა არა ეგებოდა წინააღმდეგთა დავით კურაპალატისა. მაშინ დაუტევნა სპანი თვისნი ადგილსა ზედა, და თვთ მარტო მივიდა წინაშე მისსა, ითხოვა შენდობა და აუწყა, ვითარმედ: სხვისა არა რომლისათვის მოვედ, გარნა არა მორჩილებისათვის რატისა“. ხოლო მან გაგზავნა და უბრძანა ესრეთ: „მითხრეს რომელ სიკუდილად ჩემდა გამოსრულ იყავ, გარნა აწ ვსცან დასტური, რომელ უბრალო ხარ. არამედ მითავისუფლებიხარ რატის ზედა: დაიმორჩილე ვითაცა სახედ გწადიან“ (ქც, I, გვ. 276—277). ბაგრატისა და დავით კურაპალატის ამ შეტაკების შესახებ მოგვითხრობს აგრეთვე სომეხი ისტორიკოსი ასოლიკი, რომლის მიხედვითაც დავით კურაპალატს გურგენისა და ბაგრატის წინააღმდეგ დიდი მხედრობა გამოუყვანი,



მოუწვევია სომეხთა მეფე სუმბატი, კარის მეფე აბასი და სხვა. ასე რომ, ბაგრატ III-ისა და მისი მამის წინააღმდეგ იდგა შეერთებული მხედრობა ქართველთა, ვასპურაკანელთა, სივნიელთა და ალბანთა<sup>31</sup>. ასოლიკის სიტყვით, დავითს ბაგრატ III-გან მხოლოდ „ციხე საკურეთი“ მოუთხოვნია და მიუღია სომეხთა მეფისათვის გადასაცემად. ყველაფერი ეს, ასოლიკის მიხედვით, მომხდარა 988 წელს<sup>32</sup>.

თუ შევაჯერებთ ორივე ამ ცნობას, ქართული და სომხური წყაროების მონაცემებს, უნდა დავასკვნათ, რომ ამგვარად შეტაკების ინიციატორი თვით დავით კურაპალატი ჩანს, რომელსაც შეუკრებია დიდი ძალები, რათა წინააღმდეგობა გაეწია ბაგრატის ცდისათვის — დაემორჩილებინა კლდეკარის ერისთავი რატი (ასოლიკის მიხედვით კი შეტაკება მოჰყვა იმას, რომ დავითის მოკავშირე „ქართველთა მეფე“ ბაგრატ შეეცადა ბაგრატ III-ის მამის გურგენის განდევნას მისი სამფლობელოდან). მართალია, ქართველი მემკვიდრე გადმოგვცემს, თითქოს ყველაფერი ეს გაუგებრობის შედეგი იყო, რომ შერიგების შემდეგ დავითმა რატის მიმართ მოქმედების სრული თავისუფლება მისცა ბაგრატს და ა. შ., მაგრამ ძნელია ყველაფერ ამას ვერწმუნოთ. ჩანს, რომ ამგვარად დავითმა მოახერხა ძალთა საგრძნობი უპირატესობის შექმნა და ამის მეოხებით თავისი პირობები უქარნახა ბაგრატს: დაათმობინა ერთ-ერთი ციხე თავისი მოკავშირისათვის და, უნდა ვიფიქროთ, „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობის საპირისპიროდ, იხსნა თავისი მომხრე კლდეკარის ერისთავი რატი. ფაქტია, რომ ამ კონფლიქტის შემდეგ ბაგრატი დაბრუნდა აფხაზეთში და რატის თავი დაანება. მართალია, ამას ქართველი მემკვიდრე ტაქტიკურ ემშაობად უთვლის ბაგრატს — იმიტომ წავიდაო აფხაზეთში, რომ მერე უცაბედად თავს დატყდომოდა რატის, რ. ცა ის ამას არ მოელოდა, — მაგრამ ძნელია ამას ვერწმუნოთ<sup>33</sup>.

დავით კურაპალატისა და ბაგრატ III-ის ამ შეტაკების შესახებ საგანგებოდ მსჯელობს და მას საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ფართო ფონზე განიხილავს პროფ. მ. ლორთქიფანიძე თავის

<sup>31</sup> იხ. ივ. ჯ ა ე ა ხ ი ე ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948, გვ. 125.

<sup>32</sup> იხ. Всеобщая история Степаноса Таронского Асохика по прозванию. переведена Н. Эминим, М. 1864, стр. 180—181.

<sup>33</sup> იხ. ქც., I, გვ. 277: „და წარვიდა მას ეამსა აფხაზეთადე, რათა ვერ უგრძნას რატი და უგრძნეულად მივიღეს ოდეს არა გონებდეს“. ი. შაიშუმელაშვილი ბაგრატ III-ის ამ საქციელს „ცრუ მარშს“ ეძახის და ქართული სამხედრო ხელოვნების დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევს — იხ. ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ე ი ლ ი, ი. შ ა ი შ მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, დიდგორის ბრძოლა, თბ., 1973, გვ. 67.

ახლახან გამოქვეყნებულ წერილში „Из истории грузино-византийских взаимоотношений на грани X—XI вв.“ იგი ფიქრობს, რომ ბაგრატის გამოსვლა დავით კურაპალატის წინააღმდეგ ინსპირირებული უნდა ყოფილიყო ბიზანტიის იმპერიის მიერ<sup>34</sup>. 987 წლიდან კეთილად ბასილი II-ის წინააღმდეგ, როგორც ცნობილია, დაიწყო დიდი აჯანყება, რომელსაც სათავეში ედგნენ ბარდა სკლიაროსი და ბარდა ფოკა. ამჯერად დავითი აჯანყებულთა მხარეზე აღმოჩნდა. ძნელია თქმა, რამდენად ინსპირირებული იყო ბაგრატის გამოსვლა ბასილ II-ის ადმინისტრაციის მიერ; უფრო საფიქრებელია, რომ მან მოინდომა ბიზანტიაში ამ დროს არსებული არეულობის გამოყენება, მაგრამ დავით კურაპალატის ენერგიულ წინააღმდეგობას წააწყდა. იძულებული შეიქმნა ხელი აეღო რატი ერისთავის დამორჩილებაზე, რომელსაც მფარველობდა დავითი და ერთი ციხის დათმობაც მოუხდა. მაგრამ სულ მცირე ხნის შემდეგ იგი მიზანს მაინც აღწევს — ყოველგვარი გართულების გარეშე იმორჩილებს კლდეკარის საერისთავოს. „ვითარ მოიწია ჟამი ზამთრისა, — გვეუბნება „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი მას შემდეგ, რაც აღნიშნა დავითთან კონფლიქტის მერე ბაგრატის აფხაზეთში წასვლა, — მოვიდა (ბაგრატ III) ძალითა თვისითა ყოვლითა და მოადგა კლდე-კართა. იხილა რა ესე რატი, გამოვიდა გარე და გამოიტანა შვილი მისი ლიპარიტ თანა, შევედრა ბაგრატ აფხაზთა მეფესა, და მისცა ციხე თვისი ბაგრატს, და თვთ დაჯდა მამულსა თვისსა არგუეთს“ (ქც, I, გვ. 277—278).

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მცირე დროის მანძილზე ვითარება არსებითად შეიცვალა და დავით კურაპალატს ძალა აღარ შესწევდა აქტიურად დაეცვა რატი (მართალია, ქართველი მემკვიდრის აზრით, მას მისი დაცვა თითქოს აზრადაც არ მოსვლია და ბაგრატს მასთან ურთიერთობაში სრული თავისუფლება მიანიჭა, მაგრამ, როგორც ვთქვით, ყველაფერი ეს უნდა მიეწეროს მემკვიდრის ცდას — ყოველმხრივ მიჩქმალოს ბაგრატსა და დავით კურაპალატს შორის დაპირისპირების რეალური საფუძველი და იგი უბრალო გაუგებრობად გამოაცხადოს).

თუ დავით კურაპალატსა და ბაგრატს შორის შეტაკება 988 წელს მოხდა, ჩვენ ვიცით, რომ მალე ვითარება მართლაც არსებითად შეიცვალა. 989 წელს აჯანყებულთა წინააღმდეგ ბასილ II-ის

<sup>34</sup> М. Д. Лордкипанидзе, *დასახ. ნაშრ.*, კრებ. „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები“, II, თბ., 1972, გვ. 35—37.

ბრძოლა ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა: ბარდა ფოკა ბრძოლაში მოკლეს, ხოლო ბარდა სკლიაროსი დამოჩჩილდა ბასილ II-ს. ბუნებრივია, რომ დამარცხებულთა ბანაკში მყოფი დავით კურაპალატი ასეთ სიტუაციაში აღარ წარმოადგენდა საშიშ ძალას, რითაც, ეტყობა, დაუყოვნებლივ ისარგებლა ბაგრატ III და ადვილად განახორციელა ის, რაც სულ ცოტა ხნის წინ დავით კურაპალატის მეოხებით ვერ შეძლო — კლდექარის ერისთავ რატისთვის საერისთაოს ჩამორთმევა.

მაგრამ გამარჯვებული ბასილ II და დავით კურაპალატი მალე მორიგდნენ. არაბი მემატიანის დაჰმა ანტიოქელის ცნობით, ბასილ II დავით კურაპალატის დასჯა დააპირა, მაგრამ ამ უკანასკნელმა კეისარს შენდობა სთხოვა და თავი იმით იხსნა, რომ მომავალში მორჩილება აღუთქვა და დაჰპირდა: როგორც უძეო და უმემკვიდრეო, იგი თავისი სიკვდილის შემდეგ მთელ თავის სამფლობელოს ბიზანტიის კეისარს უანდერძებდა<sup>35</sup>. დავით კურაპალატი ამის შემდეგაც განაგრძობს თავისი სამფლობელოების გაფართოებას, ართმევს მეზობელ მაჰმადიან მმართველებს რიგ ქალაქებს და უერთებს თავის სამფლობელოს. ასე რომ, თავის სიცოცხლეში მისი საგამგებლო ტერიტორია სრულიად არ შეიზღუდა, სამაგიეროდ ბიზანტიის კეისრისადმი მისი დამოკიდებულება, უნდა ვიფიქროთ, გაძლიერდა, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ დაისახა სამხრეთ ტაოს ტერიტორიაზე უშუალოდ ბიზანტიური ადმინისტრაციის დამყარების პერსპექტივა, რაც, როგორც ვიცით, განხორციელდა კიდევ — ამ ტერიტორიაზე შეიქმნა ბიზანტიური ადმინისტრაციული ერთეული — იბერიის კატეპანატი და აფხაზეთის სამეფოს ბიზანტიასთან საერთო საზღვარი გაუჩნდა. ძნელი არ არის იმისი მიხვედრა, რომ ეს ღონისძიება მიმართული იყო სწორედ აფხაზეთის სამეფოს წინააღმდეგ და, მართლაც, დასაბამი მიეცა ამ უკანასკნელის ბიზანტიასთან ომების სერიას... მართებულად აქცევენ ყურადღებას ბიზანტიისა და დავით კურაპალატის ამ შეთანხმების ანტიაფხაზეურ ხასიათს, აგრეთვე იმას, რომ წყაროს ცნობით დავითი მზად იყო დაეთმო ბიზანტიისათვის თავისი სამფლობელო, რადგანაც მას არც ძე და არც სხვა მემკვიდრე არ ყავდა. მიაჩნიათ, რომ დავითის ეს განცხადება მოწმობს ადრე მიცემული დაპირების უარყოფას, რომ მისი მემკვიდრე ბაგრატ III უნდა ყოფილიყო<sup>36</sup>. თუ ვენდობით ქართული მატინანეს ცნობას, რომ ერთ ღროს დავითს მართლაც ასეთი განზრახ-

<sup>35</sup> ივ. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 126.

<sup>36</sup> М. Д. Л о р д к и п а н и д з е, დასახ. ნაშრ., გვ. 36.

ვა გააჩნდა, უექველია, რომ არა მარტო ამ დროს, არამედ როგორც დავასკეენით, უკვე 978 წ., ბაგრატის აფხაზეთში გამეფებისთანავე, ამისი კვალი უკვე აღარ ჩანს.

ყველაფერ ამას, ექვს გარეშეა, სერიოზული კორექტივები შეაქვს ძველი ქართული წყაროების მიხედვით თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილ წარმოდგენაში დავით კურაპალატსა და ტაოზე, როგორც საქართველოს გაერთიანების ინიციატორებსა და განმახორციელებლებზე.

თუ ეს ასეა, მაშინ ვინღა გვრჩება ჩვენ ამ როლში? რა თქმა უნდა, ისევ და ისევ საკუთრივ აფხაზეთის სამეფო და მისი მმართველი წრეები, თუნდაც იმავე ივანე მარუშის ძისა და სხვა აფხაზი დიდებულების სახით, რომელნიც, თუ კარგად ჩავუკვირდებით, თვით წყაროებშიც მოჩანან ამ საქმის ინიციატორებად და განმახორციელებლებად.

ბაგრატი, ექვს გარეშეა, მეტად მიმზიდველი ფიგურა იყო აფხაზეთის ამ წრეებისათვის, რომლებიც სამეფოსათვის ტაო-კლარჯეთის ქართული მიწების შემოერთებას ისახავდნენ მიზნად. იგი იყო მემკვიდრე, ერთი მხრივ, დედის ხაზით, აფხაზეთის სამეფო ტახტისა, ხოლო, მეორე მხრივ, მამით, ტაო-კლარჯეთის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის, ხოლო, თუ ვენდობით წყაროს ცნობებს, თავდაპირველად განკუთვნილი იყო სამხრეთ ტაოს, დავით კურაპალატის სამფლობელოს, მემკვიდრედაც. გამორიცხული არ არის, რომ ამავე როლში (ყოველ შემთხვევაში მთელი ტაო-კლარჯეთისა და ქართლის გამაერთიანებლად) იგი ესახებოდა თვით დავით კურაპალატს, მაგრამ მის იმედებს, ჩანს, განხორციელება არ ეწერა და ამ საქმის ინიციატივა და განხორციელება ისევ საკუთრივ აფხაზეთის ხელში აღმოჩნდა.

შემთხვევითი იყო თუ არა ეს? რა თქმა უნდა, არა; აფხაზეთის გამოსვლას საქართველოს გამაერთიანებლად მეტად ღრმა საფუძვლები ჰქონდა, მეტად არსებითი გარემოებებით იყო განპირობებული.

იმისათვის, რომ გავერკვეთ იმ მიზეზებში, რომელთაც განსაზღვრეს აფხაზთა სამეფოს წამყვანი როლი საქართველოს გაერთიანების საქმეში, საჭიროა უფრო შორეული ექსკურსი გავაკეთოთ, გავერკვეთ ყველა ამ ქართული სამეფო-სამთავროების წარმოშობა, სა და განვითარებაში, მათ განსხვავებულ ხასიათში, რამაც განსაზღვრა სწორედ განსხვავება იმ როლში, რომელიც მათ შეასრულეს ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პროცესში.

## II. ადრე შუა საუკუნეების საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების საკითხისათვის

ა, ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების დონის მიხედვით საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს შორის არსებულ განსხვავებულ ურთიერთობათა შესახებ

საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების პროცესისადმი მიძღვნილი გამოკვლევების ერთ არსებით ნაკლს, ჩვენი აზრით, წარმოადგენს არადიფერენცირებული მიდგომა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებისადმი. თითქმის ყოველთვის სამეცნიერო ლიტერატურაში (მათ შორის უკანასკნელ დროს გამოქვეყნებულ ნაშრომებში) ჩვენ ვხვდებით ამგვარ მიდგომას, საქართველოს შესახებ ერთიან მსჯელობას, საქართველოს ყველა ძირითად რეგიონში ვითარების ერთგვარად წარმოდგენის, ნიველირების ტენდენციას. მხოლოდ „მაღალმთიან რაიონებს“ თუ გამოჰყოფენ ხოლმე მკვლევრები, აღნიშნავენ რა, რომ აქაური მოსახლეობა სოციალურად განსხვავებულ დონეზე იდგა, ბარის რაიონებისაგან განსხვავებით, ჯერ კიდევ ძირითადად პირველყოფილ-გვაროვნული წყობილების რღვევისა თუ ადრეკლასობრივი წყობილების პირობებში ცხოვრობდა. „Всемирная история“-ში, მაგალითად, ვკითხულობთ: „К X в. вся земля в Грузии, кроме высокогорных районов, в которых еще и в последующие столетия сохранялся первобытнообщинный строй, принадлежала феодалам, составлявшим сословие азнауров, высшими из которых считались дидецули“<sup>1</sup>.

მ. ლორთქიფანიძე წერს, რომ IX—X სს. თავისუფალი მწარმოებელი საზოგადოება საქართველოში ძირითადად ქრება. მწარმოებელი ან ფეოდალის მიწაზე ზის და მისი ყმაა, ან მეფის მიწაზე ზის და მეფის ყმაა<sup>2</sup>. იგი ასკვნის, რომ X ს-თვის ქართველი მწარმოებელი საზოგადოება ძირითადად გაგლეხებულია, გლეხობა კლასის სახითაა წარმოდგენილი. IX—X სს. საქართველოში იგი ადრე-

<sup>1</sup> «Всемирная история», т. III, М., 1957, стр. 483.

<sup>2</sup> მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963; გვ. 62.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 88.

ფეოდალურიდან განვითარებული ფეოდალიზმის საფეხურზე გადასვლის ხანად თელის<sup>4</sup>, მიაჩნია, რომ XI—XII სს. საქართველოში სოციალური განვითარება ბატონყმობის გამარჯვების ნიშნით მიმდინარეობდა<sup>5</sup>. X—XI საუკუნეები საქართველოში განვითარებული ფეოდალიზმის დასაწყისად მიაჩნიათ<sup>6</sup> და ა. შ.

უკვე აკად. ს. ჯანაშია, რომელმაც ფაქტიურად შექმნა საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა გენეზისის თანამედროვე კონცეფცია, ამგვარ ერთიან მიდგომას იჩენს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებისადმი — ყველგან მის მიერ ვლინდება ერთი და იგივე ხასიათის მოვლენები, რომლებიც ხასიათდება როგორც „ადრეფეოდალური“, „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში“, რომელიც, მკვლევრის აზრით, VI საუკუნეში მთავრდება და ა. შ. მისი კონცეფცია შემდეგ უცვლელად წარმოდგენილია ბევრი სხვადასხვა მკვლევრის ნაშრომებში. სულ ახლახან გამოქვეყნებულ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ II ტომში (ავტორი შ. მესხია)<sup>7</sup> სრული იგივეობა ჩანს ამ პროცესის დახასიათებისას დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის, კერძოდ VI ს-შია მოქცეული ორივეგან „მეფობის მოსპობა“ — ფეოდალიზაციის პროცესის დამთავრება და სხვ. განსაკუთრებით მკაფიოდ ამ კონცეფციის გამოყენება ჩანს ზ. ანჩაბაძის წიგნში. „Из истории средневековой Абхазии (VI—XVII вв.)“, სადაც აფხაზეთში მიმდინარე, პროცესი სრულიად ისევეა დახასიათებული, როგორც, მავალითაუ: ქართლში მიმდინარე პროცესი, რის შედეგადაც უეჭველად ვიღებთ აფხაზეთში სოციალურ ურთიერთობათა განვითარების დონის, ჩვენი აზრით, სრულიად არარეალურ განსაზღვრას. ზ. ანჩაბაძე წერს „Абхазия в VI веке, тогда же, когда я в Картли и Лазике, пережила „Феодалную революцию“, с тем отличием, что если в Картли этот процесс растянулся на два с лишним столетия (IV—VI вв.), то в Абазгии он протекал в основном в рамках VI века“<sup>8</sup>.

<sup>4</sup> მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 259.

<sup>5</sup> მ. ლორთქიფანიძე, სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XII ს. საქართველოში (ბატონყმობის გამარჯვების საკითხისათვის), კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 32; ამ საკითხზე იხ. აგრეთვე ქვემოთ.

<sup>6</sup> შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილსში, თბ., 1962, გვ. 26, შტრ. «Всемирная история», III, გვ. 483.

<sup>7</sup> „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, II, თბ., 1973, გვ. 17.

<sup>8</sup> З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии (VI—XVII вв.), Сухуми, 1959, стр. 21.

ს. ჭანაშიას კვალდაკვალ ზ. ანჩაბაძე ამ დროის აბაზგების წყობილებას არასწორად განსაზღვრავს როგორც ადრეფეოდალურს<sup>9</sup>; აბაზგების ბრძოლას თავის მთავრებთან და მათ გაძევებას სახავს როგორც „ფეოდალურ რევოლუციას“, თითქოს აქ საქმე ეხებოდა „ფეოდალური წრეების“ ბრძოლას „მეფეებთან“<sup>10</sup>, ორად გაყოფა აბაზგიისა მას მიაჩნია ქვეყნის „ადმინისტრაციულ დაყოფად“<sup>11</sup> და ა. შ. ნამდვილად ძნელია დავუჭვდეთ, რომ ეს იყო ტომობრივი გაერთიანებები და მათ სათავეში მდგომი „მეფე“ — ბაზილევსები ტომთა ბელადებს წარმოადგენდნენ, რომლებიც თვითონ განასახიერებდნენ ფეოდალიზაციის პროცესს, ბელადიდან სუვერენულ ხელისუფლად და ბატონად გადაქცევის სურვილს იჩენდნენ, ავიწროებდნენ თანამემამულეებს, ართმევდნენ და მონად ყიდდნენ მათ ბავშვებს. მათ წინააღმდეგ გამოსვლა, ეკვს გარეშეა, „ფეოდალური წრეების“ გამოსვლა კი არ იყო, არამედ სწორედ რომ „ანტიფეოდალურ“ — ერთგვარ „მეთემეთა რევოლუციას“ წარმოადგენდა ბიზანტიელთა მიერ გათახსირებული და გადაგვარებული საკუთარი ბელადების წინააღმდეგ. აბაზგებმა ისინი გააძევეს და, როგორც პროკოპი კესარიელი მეტად ნიშანდობლივ წერს, „თავისუფლად ცხოვრება დაიწყეს“.

როდესაც კითხულობთ საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების პროცესისადმი მიძღვნილ ნაშრომებს, ძნელია გავეჭვით შთაბეჭდილებას, რომ მათი ავტორები საერთოდ არ გრძნობენ ამ პროცესის საქართველოს ცალკეული რეგიონების მასშტაბით შესწავლის საჭიროებას, ერთ რომელიმე რეგიონში დამოწმებული ფაქტის საფუძველზე სრულიად თავისუფლად მსჯელობენ საერთოდ საქართველოში არსებული ვითარების შესახებ.

მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რა რიგის მასალაა მათ განკარგულებაში ჩვენთვის საინტერესო ეპოქისათვის, უკვე *a priori* შეიძლება ვთქვათ, თუ როგორი დამახინჩება შეიძლება მოგვცეს ასეთმა გაუდიფერენცირებულმა მიდგომამ. ცნობილია, რომ ამ დროის სოციალურ ურთიერთობათა ამსახველი მასალა წერილობით წყაროებში ძირითადად შეეხება ქართლსა და ტაო-კლარჯეთს, სადაც ყველა ნიშნის მიხედვით ფეოდალიზაციის პროცესი, მართლაც, ძალზე დაწინაურებული უნდა ყოფილიყო, ყველა დანარჩენ რეგი-

<sup>9</sup> З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии (VI—XVII вв), Сухуми, 1959, гл. 20.

<sup>10</sup> ი ქ ე ე, გვ. 46.

<sup>11</sup> ი ქ ე ე, გვ. 32.

ონზე ფაქტიურად ხდება სწორედ ქართლისა და ტაო-კლარჯეთის ვითარების ამსახველი მასალის საფუძველზე მიღებული დასკვნების გავრცელება.

თვით იმ დროსაც კი, როდესაც მათ ხელთ არსებული მასალები მკვლევართ აიძულებენ საქართველოს ცალკეულ რეგიონებს, ცალკეულ პოლიტიკურ გაერთიანებათა შორის არსებული არაერთი თვალნათლივი განსხვავება აღნიშნონ, ისინი ამ განსხვავების მიზეზს ეძებენ არა იქ, სადაც იგი საძებნია — სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობათა სფეროში, არამედ სხვა, ხელოვნური მიზეზების ძებნას იწყებენ.

მაგალითად, ყველა ხელდას არსებულ განსხვავებას ქართულ ადრეფეოდალურ ერთეულებს შორის სახელმწიფო ცენტრალიზაციის ხარისხის თვალსაზრისით. აი როგორ არის, კერძოდ, წარმოდგენილი ეს ვითარება მ. ლორთქიფანიძესთან, რომელმაც ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საკითხს სპეციალური წიგნი მიუძღვნა.

ავიღოთ ტაო-კლარჯეთის სამთავრო. მისი ორგანიზაცია ასეთ სახეს ატარებს: „სამთავროს სათავეში დგას „კურაპალატი“ ან „ქართველთა მეფე“, ესაა „დიდი მთავარი“ (ტაოს ბაგრატიონები). არტანუჯელ-კლარჯი ხელმწიფეები ამ „დიდი მთავრის“ ქვეშევრდომებად ითვლებიან. ტაოს შტოში შექმნილი განშტოებაც „მეფის“ ქვეშევრდომი უნდა იყოს. ესაა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფორმალური ვითარება. ამ „დიდი მთავრის“, „მეფის“, „კურაპალატის“ ხელისუფლება, როგორც დანარჩენ ბაგრატიონ მთავრების სიუზერენისა სრულიად ნომინალურია“ (ხაზი ჩემია, გ. მ.)<sup>12</sup>. განსხვავებულია ამ მხრივ ვითარება აფხაზეთის სამეფოსა და კახეთის სამთავროში: „აფხაზთა სამეფოცა და კახეთის სამთავროც ადრინდელი ფეოდალური ხანის პოლიტიკური ერთეულებია, მაგრამ შედარებით ტაო-კლარჯეთის სამეფოსთან, ესენი ბევრად უფრო ცენტრალიზებულნი არიან. აფხაზთა მეფე ერთი უზენაესი ხელისუფალია, რომელსაც ქვეყანა საერისთაოებადა აქვს დაყოფილი. ეს ერისთავები მეფის მოხელეები არიან და მეტნაკლებად მას ექვემდებარებიან. ასევე, კახეთის მთავარსაც სამთავრო საერისთაოებად აქვს დაყოფილი. კახეთის ერისთავებიც კახეთის მთავრის (შემდეგ მეფის) მოხელეები არიან. რასაკვირველია, ისევე როგორც ყველა ადრეფეოდალურ სამეფოში, აფხაზეთის და კახეთის სამეფოებშიც შინა-

<sup>12</sup> მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 214.



განი დეცენტრალიზაცია გამორიცხული არაა, განსაკუთრებით დეცენტრალისტური ტენდენციები, მაგრამ ძირითადად იქ ხელისუფლება უფრო ერთი პირის, მეფის, მთავრის ხელშია გაერთიანებული“<sup>13</sup>. ავტორი ამასთან დაკავშირებით სვამს საკითხს — რისი მიზეზია „ეს შინაგანი სტრუქტურული განსხვავება ამ სამთავროთა ორგანიზაციაში?“. და ამ მიზეზს ძირითადად იმაში ხედავს, რომ აფხაზეთისა და კახეთის სამეფო-სამთავროთა ჩამოყალიბება უცხოელებთან ბრძოლის ვითარებაში მიმდინარეობდა, რაც მათი ხელისუფლების, ძალაუფლების გაძლიერებას უწყობდა ხელს: „აფხაზეთის სამთავროს ორგანიზაცია, — წერს იგი, — ბიზანტიის იმპერიასთან ბრძოლასა და მისგან დამოუკიდებლობის მოპოვების პირობებში მიმდინარეობდა. აფხაზეთის მეფე აერთიანებს დასავლეთ საქართველოს ცალკეულ კუთხეებს, იმორჩილებს ადგილობრივ ფეოდალებს (აფხაზთა მეფის გაზრდილ ხელისუფლებას უნდა გამოქცეოდა ლიპარიტ ბაღვაში არგვეთიდან თრიალეთში), და იპოვებს დამოუკიდებლობას ბიზანტიისაგან. ბიზანტიასთან და ადგილობრივ ფეოდალებთან ბრძოლაში ყალიბდება შედარებით ძლიერი, ერთპიროვნული ხელისუფლება აფხაზთა მეფისა. კახეთის სამთავროს ორგანიზაცია არაბების განდევნის პარალელურად მიმდინარეობს. წანარებისა და მათი მთავრის გარშემო ხდება კახეთის შინაგანი ძალების მობილიზაცია და დარაზმვა არაბების წინააღმდეგ. წანართა მთავრები არაბების განდევნასთან ერთად ახდენენ კახეთის ცალკეული კუთხეების შემომტკიცებას და სამთავროს ორგანიზაციას. ასეთ ვითარებაში კახეთშიც შედარებით ძლიერი, ერთპიროვნული ხელისუფლება იქმნება კახთა მთავრებისა. სხვა ვითარებაში მიმდინარეობს ტაო-კლარჯეთის სამთავროს ორგანიზაცია. აშოტ ბაგრატიონი არაბებთან კონფლიქტის შედეგად მკვიდრდება სამხრეთ საქართველოში. არაბები მას ებრძვიან, შავშეთ-კლარჯეთში მისი ადგილობრივი დასაყრდენი ძალა სუსტია. ის მოსული კაცია. მას მხარს უჭერს ბიზანტია და ის ამაღლა, რომელიც თან მოჰყვა. მისი ამაღლა ალბათ არც თუ ისე დიდ სამხედრო რაზმს შეიძლება შეადგენდეს. აშოტ ბაგრატიონი თავისი რაზმის დახმარებით ზოგ მიწებს იპყრობს, ზოგს ყიდულობს, ზოგს ოხერს გააშენებს, ყოველივე ამაში მას ბიზანტია უნდა უჭერდეს მხარს. ასეთ ვითარებაში აშოტ ბაგრატიონი იძულებულია მეტი ანგარიში გაუწიოს ბიზანტიის იმპერიასაც და თავისი ამაღლის წევრებსაც. ის ალბათ იძულებულია თავისი ამაღლის წევრებს დიდი პრივილეგიები მისცეს. საფიქრებელია, რომ

<sup>13</sup> მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 223—224.

ისინიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწაზე სხდებიან და ადვილობრივ ფეოდალურად იქცევიან... „და ა. შ.<sup>14</sup>. ამავე ფაქტს ხაზი ესმევა იმავე ავტორის ნაშრომში, რომელიც 1973 წელს არის დასტამბული „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ II ტომში: „ეგრის-აფხაზეთის მეფეები, — ვკითხულობთ ჩვენ აქ, — თავიდანვე სახელმწიფო ხელისუფლების მკაცრი ცენტრალიზაციის პოლიტიკას ადგენენ... ეგრის-აფხაზეთის მეფეთა გაზრდილ ხელისუფლებას და მათ მკაცრ ცენტრალურ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას უნდა გამოქცეოდა არგვეთის მფლობელი ლიპარიტ ბაღვაში... (იგი) IX ს. 80-იან წლებში წამოვიდა თავის სამკვიდრო მამულიდან, არგვეთიდან და კლდეკარს დასახლდა, ტაო-კლარჯეთის სამთავროს ტერიტორიაზე, სადაც ნაკლებად იგრძნობოდა ერთიანი ცენტრალური ხელისუფლების ძალა და მეტი გასაქანი ჰქონდა სამფლობელო ქვეყნების დამოუკიდებელ მართვას მიჩვეულ და მოსურნე ფეოდალთა მისწრაფებებსა“<sup>15</sup>.

საგარეო ურთიერთობის ფაქტორთან აფხაზეთის ძლიერების დაკავშირების ცდას ჩვენ სხვა ავტორებთანაც ვხვდებით — აღინიშნება, რომ მისი დაწინაურება დაკავშირებულია ქვეყნის (დასავლეთ საქართველოს) განთავისუფლებასთან არაბთა ბატონობისაგან და ა. შ.<sup>16</sup>; ასევე აფხაზეთისა და კახეთის ქართლთან და ტაო-კლარჯეთთან შედარებით მეტი ცენტრალიზაციის ფაქტს ხაზი ესმევა ბევრი სხვა მკვლევრის მიერ<sup>17</sup>.

მკვლევართ იმის დანახვას, თუ რაში უნდა ვეძებოთ აფხაზეთისა და კახეთის ქართლისა და ტაო-კლარჯეთისაგან განსხვავებულობის მიზეზი, მათი „მეტი ცენტრალიზებულობის“, მეტი მონოლითურობის მიზეზი, რამაც საბოლოო ჯამში განსაზღვრა მათი, განსაკუთრებით აფხაზეთის, აქტიური როლი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ხელს უშლის გაუდიფერენცირებელი მიდგომა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებისადმი, იმ განსხვავების არდანახვა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ რეგიონებში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების პროცესში.

ჩვენ ვფიქრობთ, ამგვარი განსხვავება საქართველოს ცალკეულ რეგიონებს შორის შეინიშნება უკვე ამოსავალ ვითარებაში: ანტი-

<sup>14</sup> შ. ლ. ო. რ. თ. ქ. ი. ფ. ა. ნ. ი. ძ. ე. დასახ. ნაშრ.. გვ. 224—225.

<sup>15</sup> „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, II, გვ. 429.

<sup>16</sup> იხ. მაგალითად: ქრ. რ. ა. კ. ვ. ე. ლ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., საქართველოს მოკლე ისტორია (დასაბამითიდან 1917 წლამდე), თბ., 1925, გვ. 55.

<sup>17</sup> იხ. მაგალითად: გ. ნ. ა. თ. ა. ძ. ე., საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა, ნაწ. I, ქუთაისი, 1925, გვ. 30—31.

კურ ხანასა და ანტიკურიდან შუასაუკუნეებზე გარდამავალ ეპოქაში.

უკვე გვიანანტიკურ ხანაში ქართლის (იბერიის) საზოგადოება სოციალურად საკმაოდ განვითარებულ ორგანიზმს წარმოადგენდა. აქ ჩვენ სამეფო საგვარეულოს გვერდით ვხვდებით სამხედრო და სამოხელეო არისტოკრატის ძლიერ ფენას. ამ ეპოქის ბერძნულ-„არამაზულ“ წარწერებში და ამ ეპოქის ამსახველ ძველ ქართულ წყაროებში დამოწმებულია დიდმოხელეთა არა ერთი სამოხელეო ინსტიტუტი: „ეზოს მოძღვრის“ (ბერძნ. *ἐπίτροπος*, ირანული *hazārāpāli*), სპასპეტის, ერისთავების, პიტიახშების და სხვ. სამეფო საგვარეულო, სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატია, ქურუმობა აწარმოებს მეფეთა ფართო მახის ექსპლუატაციას გადასახადების აკრეფის, შრომითი და სხვ. ვალდებულებათა გზით<sup>18</sup>. ამას გარდა, ექსპლუატაციის ობიექტს წარმოადგენდნენ მონები და სამეფო მიწებზე მსხდომი ხალხი — ე. წ. „ლაოი“, როგორც მათ სტრატონი უწოდებს. სამეფო მიწების ნაწილი ეკავათ „ტაძრეულებს“ — სამხედრო სამსახურის შესრულებისათვის სამეფო მიწების პირობით მფლობელ თავისუფლებს<sup>19</sup>; სათემო, სამეფო და სატაძრო მიწის-მფლობელობასთან ერთად განვითარებას იწყებს მსხვილი კერძო მიწათმფლობელობა — მიწის ნაკვეთები სამსახურისათვის სამემკვიდრეო მფლობელობაში შეიძლება მიეღოთ სამეფო საგვარეულოსა და სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატის წარმომადგენლებს<sup>20</sup>. ამ უკანასკნელთა წრეში უკვე იმ დროს შეიმჩნევა თვით სამოხელეო თანამდებობების მემკვიდრეულად დაჩემების ტენდენცია<sup>21</sup>.

ანტიკურიდან შუასაუკუნეებზე გარდამავალ ეპოქაში სოციალურ ურთიერთობათა ეს სისტემა რაიმე კატასტროფას კი არ განიცდის<sup>22</sup>, არამედ ტრანსფორმაციას — გადადის ფეოდალურ ურთიერთობაში. პრივილეგიური ფენა სამხედრო წოდების — აზნაურობის — სახით ყალიბდება, რომელშიც უკვე V საუკუნის ძეგლებით, როგორც ცნობილია, დამოწმებულია დიდი გრადაცია. ნაწილობრივ უკვე ანტიკურ ხანაში მოპოვებულ ეკონომიურ და პო-

<sup>18</sup> „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, I, თბ., 1970, გვ. 653—654.

<sup>19</sup> ი ქ ვ ე, გვ. 606 შმდ.

<sup>20</sup> ი ქ ვ ე, გვ. 593 შმდ.

<sup>21</sup> ი ქ ვ ე, გვ. 657.

<sup>22</sup> მხოლოდ ქურუმობა და წარმართული სატაძრო მიწათმფლობელობა, ქრისტიანობის მიღებასთან ერთად, გასაგებია, ლიკვიდირებულ იქნა.

ლიტიკურ პრივილეგიებზე დაყრდნობით პრივილეგიური წოდება განიმტკიცებს საკუთრების უფლებას ძირითად საწარმოო საშუალებაზე — მიწაზე და მასზე მსხდომ მწარმოებელთა მასაზე, პირად ეკონომიურ და პოლიტიკურ დამოკიდებულებაში აბამს ამ უკანასკნელთ.

ზემოხსენებული შედარებით განვითარებული საზოგადოებრივი ურთიერთობა ანტიკურ ხანაში ძირითადად ქართლის ბარის რაიონების მოსახლეობაში არსებობდა. იბერიის მთიელები, ექვს გარეშეა, ამ დროს რღვევის პროცესში მყოფი პირველყოფილ-თემური წყობილების პირობებში ცხოვრობდნენ. მაგრამ, ამათ გარდა, თავისებური ვითარება უნდა ყოფილიყო იბერიის (ქართლის) კიდევ ერთ რეგიონში, სახელდობრ კახეთში. ანტიკურ ხანაში აქ სავარაუდებელია სათემო მიწათმფლობელობის პოზიციების დიდი სიმტკიცე, დიდი სატაძრო მამულების — სატაძრო მეურნეობების სახით<sup>23</sup>. გაქრისტიანების შემდეგ (IV ს. დასაწყისი) ეს სატაძრო მამულები ალბათ ძირითადად სამეფო კარის, სახელმწიფოს ხელში გადავიდა. ამიტომ იყო, რომ კახეთი კუხეთითურთ (შდრ. მისი ცენტრის — ქალაქ რუსთავის — მეორე სახელწოდება „ბოსტან-ქალაქი“, ე. ი. „სამეფო ქალაქი“) ადრე შუასაუკუნეებში ჩვენ გვევლინება, როგორც სამეფო დომენი. გასაგებია, რომ ფეოდალიზაციის პროცესი აქ უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდა, „აზნაურთა“ წოდებას აქ მტკიცე პოზიციები არ მოეპოვებოდა. დაწინაურებულმა მეთემეებმა კი შეადგინეს ძირითადად „ტაძრეულთა“ ფენა. მხოლოდ VIII საუკუნეში, არჩილის დროს, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, მეფემ კახეთი ამ ქვეყნის ტაძრეულთ უბოძა და ისინი „აზნაურები“ გახადა<sup>24</sup>. ჩვენ სამეცნიერო ლიტერატურაში წყაროს ამ ცნობას ჩვეულებრივ საერთოდ ქართულ ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების დასახასიათებლად იყენებენ<sup>25</sup>, მაგრამ იგი უფრო ლოკალურ მოვლენას — კახეთის მასშტაბით ჩატარებულ აქტს წარმოადგენს; იგი ფეოდალიზაციის თვალსაზრისით ქართლის სამეფოს სხვა ნაწილებთან კახეთის ნიველირების გამომხატველია, ფეოდალიზაციის გზაზე კახეთის მიერ წინ გადადგმულ

<sup>23</sup> „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, I, გვ. 606— იხ. აგრეთვე სტრაბონის ცნობები ამ ტერიტორიაზე არსებული სატაძრო გაერთიანებების შესახებ (იქვე, გვ. 585—592).

<sup>24</sup> „ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 243: „ამის შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად, და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი, და აზნაურ ყენა იგინი“.

<sup>25</sup> იხ. ნ. ბერძენიშვილი: საქართველოს ისტორია, I, თბ., 1956 (მაკეტო), გვ. 114.

ნაბიჯს წარმოადგენს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს იყო აქტი, რითაც კახეთი, რომელიც აქამდე „ტაძრულთ ეპყრათ“, „აზნაურთა“ ხელში გადავიდა. აქამდე კი, როგორც წესი, აზნაურებს ხელი არ მიუწვდებოდათ ამ რეგიონზე.

სრულიად განსხვავებული ვითარება უნდა ყოფილიყო ქართლის სამეფოს სხვა მხარეებში. იგივე „ქართლის ცხოვრება“, VI ს. ამბების გადმოცემისას, ქართველ ბაგრატიონთა საგვარეულოს მამამთავრის გუარამ კურაპალატზე საუბრისას, აღნიშნავს: „ესრეთ რა უცალო იქმნეს სპარსნი, მაშინ შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქუემონი. და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა, და ითხოვეს, რათა უჩინოს მეფე ნათესავეთაგან მეფეთა ქართლისათა და რათა იყვნენ ერისთავნი იგი თვს-თვსსა საერისთავოსა შეუცვალებელად. მაშინ კეისარმან აღასრულა თხოვა მათი, და მოსცა მეფედ დისწული მირდატისი, ვახტანგის ძისა, ბერძნის ცოლისაგან, რომელსა ერქუა გუარამ, რომელი მთავრობდა კლარჯეთს და ჭავახეთს. ამას გუარამს მისცა კეისარმან კურაპალატობა, და წარმოგზავნა მცხეთას... და მეფობდა (გუარამ) კეთილად და უშფოთველად. არამედ ერისთავნი ქართლისანი ვერ სცვალნა საერისთავოთაგან მათთა, რამეთუ სპარსთა მეფისაგან და ბერძენთა მეფისაგან ჰქონდეს სიგელნი მკვდრობისათვის საერისთავოთა მათთა, არამედ იყვნეს მორჩილებასა გუარამ კურაპალატისა“<sup>26</sup>. ხოლო სუმბატ დავითის ძის თხზულებაში „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“ ამავე ეპოქაზე ლაპარაკისას ნათქვამია: „ხოლო ვინათგან მოაკლდა მეფობა შვილთა გორგასლისათა, მით უამითგან ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა ვიდრე ამათადმდე. არამედ დაესრულა უფლება ქართლისა აზნაურთა ბოროტთა საქმეთა მათგან“<sup>27</sup>. აკად. ნ. ბერძენიშვილი, ეხება რა VIII ს. შუახანების (არჩილის მეფობის) ამბებს, წერს: „ორასი წლის მანძილზე ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ, აზნაურ-წარჩინებულთა სოციალური დაწინაურება, მიუხედავად არახელსაყრელი საგარეო პირობებისა, სწრაფად მიმდინარეობდა. ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა პროცესი აზნაურების მიერ მწარმოებელი საზოგადოების დამორჩილებისა. მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში და მის შედეგად იქმნებოდა „სამთავროები“, რომელნიც თანდათან, ამავე კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე, ფეოდალურ პოლიტიკურ ორგანიზაციებად ყალიბდებოდნენ... ბუნე-

<sup>26</sup> „ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 217—221.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 373.

ბრივი იყო, რომ ახალ პირობებში ქართლის ერისთავები, რომელთაც უკვე ორი საუკუნის განმავლობაში ჰქონდათ სამემკვიდრეო სამმართველოდ დაჩემებული საერისთაო ქვეყნები, თანდათან ამ საერისთაო ქვეყნების „მთავრებად“ იქცნენ. VIII საუკუნის შუა ხანებში ამ მხრივ საქმე იქამდე იყო მისული, რომ ქართლის ერისმთავარს სხვა აღარა დარჩენოდა—რა და მანაც აღიარა ერისთავთა „ხელმწიფობა“ საერისთაოებში... ასეთ რეფორმას ძველი ქართული წყარო მიაწერს არჩილს, რომელიც VIII საუკუნის 40-50-იან წლებში მართავდა ქვეყანას... ქვეყნის ნახევარი არჩილმა სამეფო საკუთრებად დაიტოვა, ხოლო მეორე ნახევარი ერისთავებს გადასცა, მაგრამ არა პირობით და დროებით, არამედ მკვიდრად და სამამულოდ. ამის შემდეგ ერისთავი თავის საერისთაო ქვეყანაში ხელმწიფე იყო და მისი მორჩილება ქართლის მმართველისადმი სუსტი მთავრის მორჩილებას ძლიერი მთავრისადმი... უფრო ჰგავდა, ვიდრე მოხელის მორჩილებას თავისი ხელმწიფისადმი“<sup>28</sup>.

ამგვარად, საკუთრივ ქართლში, ქართლის სამეფოს ფარგლებში უკვე VIII საუკუნისათვის — ე. ი. საქართველოში ახალი ფეოდალური სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბების წინ, ფეოდალიზაციის პროცესი მეტად შორს წასული ჩანს. შემდეგშიც აქ ეს პროცესი დიდი ტენილების გარეშე, ევოლუციური გზით კიდევ უფრო ღრმავდება (ამაზე ცოტა უფრო ქვემოთ გვექნება საუბარი). ამ რეგიონის ფარგლებში თავისებურია ვითარება, როგორც აღვნიშნეთ, კახეთში, — აქ ფეოდალიზაციის პროცესი რიგი გარემოებების (სათემოსატაძრო და შემდეგ სამეფო მიწათმფლობელობის დომინირება) გამო შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

ჩვენი აზრით, ფეოდალიზაციის პროცესის საკუთრივ ქართლთან შედარებით ნელი ტემპით განვითარებაა სავარაუდებელი დასავლეთ საქართველოს ფარგლებშიც (რა თქმა უნდა, იმ რეგიონების გამოკლებით, რომლებიც ტრადიციულად, ძველთაგანვე ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდნენ). ჩვენი ერის დასაწყის საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში ჩვენ არსებითი ხასიათის ცვლილებებს ვვარაუდობთ: აქ ადგილი აქვს მთიელი ტომების მასობრივ ჩამოსახლებას და შათი ჰეგემონობით ახალი ადრეკლასობრივი წინაფეოდალური პოლიტიკური ერთეულების ჩამოყალიბება ხდება. ერთი სიტყვით, მიმდინარეობს ქვეყნის ერთგვარი ბარბარიზაციის პროცესი, რასაც გზა გაუხსნა აქ ადგილობრივი სახელმწიფოებრიობის ფაქტიურმა მოშლამა და უცხო სახელმწიფოების (პონტო,

<sup>28</sup> საქართველოს ისტორია, I, მაკეტი, თბ., 1955, გვ. 113—114.

როში) ხშირად საკმაოდ ეფემერული ძალაუფლების დამყარებამ. ამ ამგვარი პროცესის შედეგად ჩამოყალიბდნენ დასავლეთ საქართველოში მიწა-წყალზე დასახლებული ხასიათის ისეთი სამეფო-სამთავროები, როგორცაა: ლაზთა სამეფო, აფშილების, აბაზგებისა და ზოგი სხვა სამთავროები. ამათგან ახ. წ. III—IV საუკუნეებში დიდად დაწინაურდა ლაზთა სამეფო. ამ პროცესზე ჩვენ დაწვრილებით სხვა ადგილასა გვაქვს საუბარი<sup>29</sup> და ამიტომაც ამაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. როგორც აღნიშნული გვაქვს, მთიელთა ჩამოსახლებამ, რომელთა შორის ძლიერი იყო გვაროვნული წყობილების ტრადიციები, ერთგვარად გააახალგაზრდა კოლხეთის საზოგადოება, გააძლიერა „ერი“ — თავისუფალ მეთემეთა ფენა, თუმცა ამასთანავე ჩამოსახლებული მთიელებიც ადრეკლასობრივი საზოგადოების დონეზე აიყვანა<sup>30</sup>.

მაგრამ გარკვეული განსხვავება სოციალური განვითარების დონის თვალსაზრისით უნდა არსებულიყო მთიელთა ჰეგემონობით ჩამოყალიბებულ ამ ერთეულებს შორის. როგორც იქვე აღნიშნული გვაქვს, თუ ლაზთა სამეფო და კიდევ უფრო სამხრეთით არსებული „მახელონებისა და ჰენიოხების სამეფო“ ასეთი ადრეკლასობრივი სახელმწიფოები უნდა ყოფილიყვნენ, ამისი თქმა გაძნელებდა აფშილებისა და აბაზგების „სამეფოების“ შესახებ. ამ რეგიონში (დღევ. სოხუმისა და მის ჩრდილოეთით მდებარე რაიონები) ჩვენ ვერ ვივარაუდებთ ისეთ ძლიერ ურთიერთმოქმედებას ჩამოსახლებული მთიელებისა და სოციალურად განვითარებული ბარის მოსახლეობისას, რასაც ადგილი ჰქონდა კოლხეთის ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებში. აქ მთიელთა სრული დომინირება სუფევდა. ამასთანავე, აქაურ მოსახლეობას ნაკლები შეხება ჰქონდა იმ დროის განვითარებულ სახელმწიფოებთან. შინაგანი განვითარება ამ მწირ მთიან რაიონებში სწრაფი ტემპით ვერ წავიდოდა. ამიტომაც, საფიქრებელია, რომ აქ არსებული გაერთიანებები (აფშილების, აბაზგების, სანიგების) ტომთა კავშირებს წარმოადგენდნენ სახელმწიფოებრიობის ძლიერი ჩანასახებით<sup>31</sup>.

ლაზთა მეფეები IV საუკუნისათვის, როგორც ცნობილია, იმორჩილებენ ჩრდ. კოლხეთის მთიელ ტომთა გაერთიანებებს (აფშილებს, აბაზგებს, სვანებს). აფშილების ტერიტორია, როგორც ჩანს, უშუალოდ შევიდა ლაზთა სამეფოში — აქ ლაზთა გარნიზონები

<sup>29</sup> „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, I, გვ. 537—564.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 547.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 547—548.

იღგენ (Proc., Bel. goth., VIII, 10), აბაზგებს კი საკუთარი „მთავრები“ შერჩათ (VI ს-ში აქ ორი ასეთი „მთავარი“ იყო — ერთი ქვეყნის აღმოსავლეთ, მეორე — დასავლეთ ნაწილში: Bel. goth., VIII, 3). ლაზებმა დაიმორჩილეს აფშილების მეზობლად არსებული მისიმიანების სვანური გაერთიანება, რომელიც აგრეთვე შინაგან საქმეებში, ჩანს, სრულ ავტონომიას ინარჩუნებდა და ლაზთა მიმართ დამოკიდებულებას გარკვეული ხარკის გადახდითა და ალბათ სამხედრო ვალდებულების შესრულებით ახორციელებდა.

ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით ლაზთა სამეფოს შინაგანი სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურის შესახებ, ამიტომაც საკმაოდ ძნელია ამ რიგის საკითხებზე მსჯელობა. მაინც, ვფიქრობთ, ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებულია არასწორი ტენდენცია — აქ არსებული ვითარება აღმ. საქართველოში, კერძოდ ქართლში არსებულ ვითარებას გაუტოლონ და სრულიად ერთგვაროვანი სიტუაცია ივარაუდონ საქართველოს ორივე ამ რეგიონში. ჩვენი აზრით, ამისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს. ფეოდალიზაციის პროცესი აქ, უეჭველია, უფრო ნელი ტემპით მიმდინაობდა, ვიდრე ქართლში. ამისი განმაპირობებელი ერთი ფაქტორი უნდა ყოფილიყო ეკონომიურად ამ რაიონების შედარებითი სიმწირე. ამ ფაქტს მკაფიოდ ესმევა ხაზი ბიზანტიელი ავტორების ცნობებში ლაზიკის შესახებ. პროკოპი კესარიელის (VI ს.) თხზულებაში, კერძოდ, საგანგებოდ გამოიყოფა ლაზიკის ტერიტორიაზე მხოლოდ მუხირისი — დღევანდელი ქუთაისის რაიონი, სადაც, მისი თქმით, „ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფნიც იქ კარგად ხარობენ, თუმცა ლაზიკის სხვა ადგილებზე არ შეიძლება იგივე ითქვას“<sup>32</sup>. მის დროს ლაზიკის ის მხარე, რომელიც რიონის დინების სამხრეთით მდებარეობდა, საერთოდ მოსახლეობას მოკლებული ჩანს. „მდინარის მარცხნივ, — წერს პროკოპი, — ისეთ მანძილზე, რომელსაც ერთ დღეში გაივლის მსუბუქად დატვირთული კაცი, ლაზიკის საზღვრებია, ხოლო ეს მხარე მოსახლეობას მოკლებული ჩანს“<sup>33</sup>. როდესაც ახასიათებს ლაზიკაში არსებულ ვითარებას საერთოდ, პროკოპის აღნიშნული აქვს: „ლაზიკაში არსად არ არის მარლი, არც ხორბლეული მოდის. არც ღვინო, არც სხვა რამ სიკეთე. ყველაფერი შემოაქვთ მათთან ნავებით რომაელთა სანაპიროებიდან, და ამაში ისინი ფულს კი არ აძლევენ მიმწოდებლებს, არამედ ტყავებს, მონებს და თუ სხვა რამ სიჭარბით აღმოაჩნდე-

<sup>32</sup> გეორგია, II, 1965, გვ. 96.

<sup>33</sup> გეორგია, II, 1965, გვ. 101. შტრ. იქვე, გვ. 182.



ბათ<sup>34</sup>. სხვაგანაც პროკოპი ხაზს უსვამს ლაზთათვის საგარეო ვაჭრობის დიდ მნიშვნელობას: „ლაზები მუდამ აწარმოებდნენ პონტოში მცხოვრებ რომაელებთან საზღვაო ვაჭრობას. თვით მათ არც მარილი ჰქონდათ, არც ხორბალი, არც სხვა რამე სიკეთე; ისინი მხოლოდ აწვდიდნენ ტყავსაფრებს, ტყავეს და მონებს და თავისთვის საჭირო საგნებს იძენდნენ“<sup>35</sup>. როგორც ცნობილია, იმავე პროკოპის ცნობით, ბიზანტიელი მმართველის იოანე ციბეს მიერ სავაჭრო მონოპოლიის დაწესებას ლაზიკაში აქ დიდი აღშფოთება და აჯანყებაც კი მოჰყვა. იგივე პროკოპი არა ერთხელ უსვამს ხაზს ლაზიკაში რომაელთა ჯარის მომარაგების სიძნელეებს. „იბერიის საზღვრებიდან რომ შედიხარ, — წერს პროკოპი, — იქვეა ლაზების მიწა-წყალზე ორი სიმაგრე, რომელთა დაცვა ძველთაგანვე ადგილობრივი მცხოვრებლების საზრუნავს შეადგენდა, თუმცა მათ ბევრი ნაკლებობის გადატანა უხდებოდათ, რადგან იქ არ მოდის არც ხორბალი, არც ღვინო, არც სხვა რამე სიკეთე. ადგილებიდან რისამე შემოზიდვა, ვიწრობების წყალობით, შეიძლება მხოლოდ ისე, თუ კაცები თვითონ მოიტანენ. მაინც, რადგან იქ რამდენადმე ქვრიმა მოდიოდა, ლაზები ახერხებდნენ, ჩვეულებისამებრ, თავის გამოკვებას“. როდესაც ამ ციხეებში ჩააყენეს რომაელები (resp. ბიზანტიელები), მათ თავდაპირველად „ლაზები აწოდებდნენ ძლივს-ძლივობით სურსათს, მაგრამ შემდეგ მათ უარი განაცხადეს ამ სამსახურზე და რომაელებმა ეს სიმაგრეები დატოვეს“<sup>36</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ პროკოპის ცნობები შეიძლება გარკვეულად გადაჭარბებულიც იყოს — ბიზანტიელებთან ურთიერთობაში ალბათ თვით ლაზებიც ყოველნაირად ცდილობდნენ თავისი ეკონომიური მდგომარეობის გამუქებას და სხვ., ამ დროს მხარის ეკონომიკის შედარებითი სიმწირე მაინც ძნელია უარეყოთ. საჭიროა გავითვალისწინოთ აგრეთვე ლაზიკის მნიშვნელოვანი ტერიტორიის დაჭოპიანება და დასამუშავებლად გამოუსადეგრობაც. ყველაფერი ეს, როგორც აღვნიშნეთ, არ შეიძლება ფეოდალიზაციის პროცესის დამაბრკოლებელი ფაქტორი არ ყოფილიყო. უშუალო მწარმოებლის — მიწისმოქმედის ექსპლუატაციის შესაძლებლობა აქ, ჩანს, საკმაოდ შეზღუდული იყო. ამიტომ სამხედრო-გვაროვნული არისტოკრატია (იმავე პროკოპის ცნობებში მრავალგზის არიან დასახელებულები „კოლხთა“ — ლაზთა — შორის „დიდებულები“, „წარ-

<sup>34</sup> გეორგიკა, II, 1965, გვ. 96. შტრ. იქვე, გვ. 103.

<sup>35</sup> იქვე, გვ. 73.

<sup>36</sup> იქვე, გვ. 51—52.

ჩინებულები“ — λογ(μω)»<sup>37</sup> თავის გაზრდილ მოთხოვნებებს, ჩანს, უფრო სხვა გზით იკმაყოფილებდა: ხარკავდა მეზობელ გაერთიანებებს (იხ., მაგალითად, ლაზთა და სევანთა გაერთიანებებს შორის ურთიერთობა, შეიძლება საკუთრივ ლაზებს შორისაც იყო თემების ამგვარი დახარკვა), მაქსიმალურად იყენებდა თავდასხმებს სუსტ მეზობლებზე (შესაძლებლობის შემთხვევაში ალბათ თანამემამულეებზეც) ტყვეების ხელში ჩასაგდებად და მონებად მათ გასაყიდად უცხოეთში და ა. შ.

ამასთან ერთად ზოგიერთი გარემოება მიუთითებს ლაზებს შორის ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილების ზოგიერთი ინსტიტუტის შემორჩენაზე. ასეთი უნდა იყოს, კერძოდ, „სახალხო კრების“ ინსტიტუტი, რომელიც, ჩანს, იწვევდა მთელი ხალხისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის საჭიროებისას. ამის მაგალითს იძლევა სახალხო კრება, რომელიც მოწვეულ იქნა ბიზანტიელი სარდლების მიერ ლაზთა მეფე გუბაზის ვერაგულად მოკვლის შემდეგ საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხის გადასაწყვეტად. მართალია, აკად. ივ. ჯავახიშვილი ამ კრებას დიდებულთა თავყრილობას ეძახის, აღნიშნავს რა: „მეფე გუბაზის ვერაგულმა მკვლელობამ მთელი ლაზიკა ააშფოთა. ხალხი განრისხებული იყო ბიზანტიელ სარდლებზე: დიდებულები შეიყარნენ ამ საქვეყნო საქმეზე მოსალაპარაკებლად...“ და ა. შ.<sup>38</sup>, მაგრამ აგათია სქოლასტიკოსთან დაცული აღწერილობა უფრო დიდი სახალხო ყრილობის სურათს იძლევა, რომელიც ლაზთა თემების წარმომადგენელთა ხალხმრავალი შეკრება უნდა ყოფილიყო<sup>39</sup>. აი რას ვკითხულობთ ამასთან დაკავშირებით აგათიასთან: გუბაზის მკვლელობის შემდეგ „ქვეყნის მმართველები ყველანი დამაფიქრებელ მდგომარეობაში იყვნენ, არ იცოდნენ რა ექნათ, რისთვის მიემარ-

<sup>37</sup> გეორგიკა, II, 1965, გვ. 112, 162, 191, შდრ. გვ. 200 („არა უგვარო“ — τὸν ἀφαιρῆς). იხ. აგრეთვე აგათია სქოლასტიკოსთან: „დიდებულები“ (ὁὶ δὲ βαρῶντες), „წარჩინებულები“ (λογ(μω) და სხვ. ამგვარი „წარჩინებულები“ და „დიდებულები“, სხვათა შორის, იხსენიებიან სოციალური განვითარების დონის მხრით ბევრად უფრო დაბალ საფეხურზე მდგომ ერთეულებშიც, მაგალითად, ჭანებში (იხ. აგათია — გეორგიკა, III, 1936, გვ. 34), მისიმიანებში (იქვე, გვ. 87) და სხვ.

<sup>38</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1961, გვ. 256.

<sup>39</sup> აკად. ს. ჭანაშვილი სწორად შენიშნავს: „ეს კრება მეტად საინტერესო მოვლენაა. იგი მოწმობს, რომ ეგრისში VI ს. კიდევ არსებობდა გვაროვნული წყობილების ეს გარდმონაშთი, საერო კრება, რომელსაც განსაკუთრებულ შემთხვევაში იწვევდნენ“ — იხ. ს. ჭანაშვილი, შრომები, I, 1949, გვ. 63.

თათ. და, აი, კავკასიის ერთ ხეობაში შეყარეს დიდძალი ხალხი ჩუმად, რომ რომაელებს არ შეეტყობთ, რასაც იქ მოაგვარებდნენ, და დასვეს საკითხი — სპარსელების მხარეზე გადავიდეთ, თუ ისევ რომაელებთან დავრჩეთო. მაშინვე მრავალმა წარმოთქვა სიტყვა; ზოგი ერთ წინადადებას იძლეოდა, ზოგი კიდევ სხვას, იყო უთავბოლო და არეული ყვირილი, კაცი ნათლად ვერ გაარკვევდა ვერც იმას, თუ ვინ ლაპარაკობდა, ვერც იმას, თუ რას ამბობდა. მაშინ დიდებულებმა მოუწოდეს ხალხს სიწყნარე დაეცვათ, ყოველი მსურველი, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, წყნარად გამოსულიყო და ეთქვა თავისი წინადადება, როგორც შეეძლო. იყო წარჩინებულთა შორის ერთი, სახელად აიეტი... აიეტი აღელვებული წამოდგა, შუაში გავიდა და ილაპარაკა ისე, როგორც სახალხო საბჭოში ლაპარაკობდნენ — ...ასე ილაპარაკა აიეტმა და მთელი ხალხი აღაფრთოვანა...“<sup>40</sup>. მაშინვე აპირებდნენ სპარსელების მხარეზე გადასვლას დაუფიქრებლად, — „ეს სჩვევია ბრბოს, — დასძინს აგათია — რომ გაიტაცებს ხოლმე სიახლე და ძველი ვითარების შეცვლა“<sup>40</sup>.

აღსანიშნავია ისიც, რომ იმავე აგათიას ცნობით, ასევე საჯარო ხასიათი მიიღო გუბაზის მკვლელთა გასამართლებამ. არქეოპოლისში „დიდძალი ხალხი და ჭარი დაესწრო ამ საქმის გარჩევას. ბრალმდებლები ლაზების მოწინავე კაცები იყვნენ“<sup>41</sup>. ერთი სიტყვით, სახეზეა ხალხის, დემოკრატიის აშკარა აქტივობის სურათი.

საინტერესოა, რომ ასეთი ფართო მსჯელობის საგანია არა მარტო საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია, არამედ მეფის კანდიდატურაც. ლაზთა წარმომადგენლები ამ კრების შემდეგ სთხოვენ იუსტიციანეს, რომ მეფედ მათ გამოუგზავნოს წათე, გუბაზის უმცროსი ძმა<sup>42</sup>. ამ დროის ლაზეთში, აფხაზეთში, ყურადღებას იქცევს ტახტის მემკვიდრეობის არც თუ მტკიცედ დადგენილი წესი. სამეფო საგვარეულო, როგორც ეს დამახასიათებელია შედარებით განუვითარებელი კლასობრივი საზოგადოებისათვის, სამეფოს უყურებენ როგორც თავის საგვარეულო საკუთრებას. ამიტომაც ტახტზე გარდაცვლილი მეფის შემდეგ უფრო ხშირად მისი ძმები აღიან, ვიდრე შვილები. აკად. ივ. ჯავახიშვილი, სამართლიანად ავლებდა რა პარალელს ამ დროის ლაზეთში ამ მხრივ დადასტურებულ ვითარებასა და დიდი ხნის წინ სტრაბონის ცნობით იბერიაში დამოწმებულ ვი-

<sup>40</sup> გეორგიკა, III, 1936, გვ. 63 შპდ.

<sup>41</sup> იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1961, გვ. 258.

<sup>42</sup> გეორგიკა, III, 1936, გვ. 82.

თარებას შორის, წერდა: „მეფის უფლება ლაზიკაში სამეფო საგვარეულოს ეკუთვნოდა და ამ უფლების მემკვიდრეობა, როგორც ჩანს, იმაზე გადადიოდა, ვინც განსვენებული მეფის მომდევნო და წლოვანებით უფროსი იყო საგვარეულოში. მაგალითად, ლაზიკის მეფის წათე I-ის შემდეგ, რომელიც იუსტინე კეისრის დროს ცხოვრობდა, ტახტზე ავიდა მისი შვილი გუბაზი კი არა, არამედ — მისი ძმა ოფსიტე. ოფსიტეს მემკვიდრედ კიდევ სამეფო ტახტზე წათეს პირველი შვილი გუბაზი იყო, ხოლო მისი მოკვლის შემდგომ გამეფდა წათე I-ის მეორე შვილი და გუბაზის უმცროსი ძმა წათე II: მაშასადამე, ლაზიკაშიც იგივე მემკვიდრეობის წესი სუფევდა, როგორც იბერიაში იყო I ს. ქრ. შ., პირდაპირი, მემკვიდრეობის უფლება კი არა, არამედ საგვარეულოში უფროსობისდა მიხედვით“<sup>43</sup>.

ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება მივუთითოთ აგრეთვე გარკვეულ გართულებაზე, რომელიც, როგორც ჩანს, მოჰყვა V ს-ის მოღვაწის ლაზთა მეფე გუბაზის ცდას სიცოცხლეშივე განემტკიცებინა თავისი ვაჟის უფლება, როგორც ტახტის მემკვიდრისა. V ს-ის ავტორი პრისკე პანიონელი წერს, რომ „გუბაზმა ელჩები გაგზავნა რომაელებთან. რომაელებმა უპასუხეს გუბაზის მოციქულებს, რომ შეწყვეტდნენ ომს, თუ ან თვითონ გუბაზი გადადგებოდა ტახტიდან ან შვილს გადააყენებდა მეფობიდან. ძველი კანონის თანახმად არ არის კანონიერი, რომ ორივენი მეფობდეთ; ასე რომ ერთ-ერთი უნდა იყოს კოლხიდის ტახტზე: ან გუბაზი ან მისი შვილი, და მაშინ შევწყვეტთ ომსო“<sup>44</sup>. ამ ცნობასთან დაკავშირებითაც აკად. ივ. ჯავახიშვილი პარალელს ავლებდა სტრაბონის ცნობასთან, იბერიაში ტახტის მემკვიდრეობის წესის შესახებ და აღნიშნავდა: „დასავლეთი საქართველოს, ე. წ. ლაზიკის სამეფოს მეფის ხელისუფლებისა და სოციალური წეს-წყობილების შესახებ სტრაბონს, სამწუხაროდ, არაფერი აქვს ნათქვამი და ამის გამო ამ საკითხზე იმ დროისათვის არაფრის თქმა არ შეიძლება. მხოლოდ მერმინდელ ავტორს პრისკე პანიელს აღნიშნული აქვს, რომ ლაზიკაში შესაძლებელი იყო მამასაც და შვილსაც ერთსა და იმავე დროს ემეფნა (ისტორია გუთებისა, 4, 26 — ლატიშევის I, 840—842). მაშასადამე, თანამოსაყდრეობის წესი ყოფილა. საფიქრებელია, რომ ეს მოვლენა უხუცესობაზე დამყარებული ტახტის მემკვიდრეობის წესის დასარღვევად და პირველობის კანონის დამტკიცებისათვის ლაზთა მეფეთაგან გამოყენე-

<sup>43</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 273.

<sup>44</sup> გეორგიკა, I, 1965, გვ. 255.

ბული საშუალება უნდა იყოს. საექვოა, რომ იგი ძველი ჩვეულებათა ყოფილიყო“<sup>45</sup>.

აკად. ს. ყაუხჩიშვილიც იმ აზრისაა, რომ პრისკე პანიონელის მიერ გადმოცემული ცნობით გუბაზ მეფეს სურდა შეეტანა რეფორმა სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობის წესში<sup>46</sup>. საფიქრებელია, რომ გუბაზ მეფის ამ მეცადინეობის წინააღმდეგ პროტესტები საკუთრივ ლაზეთში იღებდნენ სათავეს და რომელთა მოთხოვნებიცაა ლაზთა გარკვეული წრეების სურვილის გამოხატულებას წარმოადგენდა.

ასეა თუ ისე, აშკარაა, ამ მაგალითის საფუძველზეც, სოციალური განვითარების დონით ლაზთა საზოგადოების იმ საფეხურზე ყოფნა, რომელიც მეზობელმა იბერიამ დიდი ხნის წინ განვლო. ამიტომაც არავითარი გამართლება არ უჩანს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებულ ტენდენციას — ფეოდალიზაციის თვალსაზრისით იბერიაცა და ლაზიაცა ერთ დონეზე მყოფად წარმოგვიდგინონ.

კიდევ უფრო აშკარაა ამ ტენდენციის უსაფუძვლობა, როდესაც ცდილობენ ქართლში მიმდინარე პროცესის ანალოგია დაინახონ აგრეთვე შორეულ აბაზგიაშიაც (საკუთრივ აფხაზეთში). აკად. ს. ჭანაშია, კერძოდ, ყურადღებას აქცევდა პროკოპი კესარიელის ცნობას აბაზგების შესახებ: „აბაზგები ძველთაგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ, ხოლო მუდამ ყავდათ ორი თვისტომი მთავარი, ამათგან ერთი დადგენილი იყო დასავლეთის ნაწილში, ხოლო მეორე — აღმოსავლეთისაში... თავიანთი მთავრებისაგან საშინელი ჩაგვრა აქვთ მათ გამოცდილი იმათი ვერცხლისმოყვარეობის წყალობით. მათი ორივე მეფე, როგორც კი დაინახავდნენ ამ ტომში კარგი გარეგნობისა და ლამაზი ტანის ბავშვებს, დაუყოვნებლივ დააშორებდნენ მათ მშობლებს, ევნუქებად გადააქცევდნენ და გზავნიდნენ რომაელთა ქვეყანაში, რათა იქ მიეყიდათ მსურველთათვის დიდძალ ფულზე. მათ მამებს კი მაშინვე კლავდნენ, რათა ზოგიერთი მათგანი არ ცდილიყო ოდესმე უზლო მეფისათვის მათი შვილების მიმართ ჩადენილი უსამართლობის გამო, ხოლო ზოგიერთი ქვეშევრდომთაგანი კიდევ მათთვის საექვო არ ყოფილიყო, და ამრიგად, შვილების სილამაზე მათთვის დაღუპვის მომასწავებელი იყო, ვინაიდან ისინი იღუპებოდნენ საცოდავნი, შვილების საბედისწერო სილამაზით გაუ-

<sup>45</sup> ივ. ჭ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. I, გვ. 182; აგრეთვე II, ბ, გვ. 191.

<sup>46</sup> გეორგიკა, I, 1965, გვ. 251.

ბედურებულნი. აქედან არის, რომ მეტი წილი ევნუქებისა რომაელთა ქვეყანაში, განსაკუთრებით კი მეფის სასახლეში, ტომით აბაზგები არიან. შემდეგ, იუსტინიანეს მეფობისას აბაზგების მდგომარეობა შეიცვალა, უმჯობესი გახდა. იმათ მიიღეს საქრისტიანო რწმენა და იუსტინიანე მეფემ მათ პალატის ერთი ევნუქთაგანი გაუგზავნა, ტომით აბაზგი, სახელად ეფერატი. მან სასტიკად აუკრძალა მათ მეფეებს, რომ მათ ამიერიდან აღარავინ დაესაქურისებინათ, ბუნებაზე ძალა არ ეხმარათ დანით. ამას აბაზგები სიხარულით შეხვდნენ, რომაელთა მეფის ბრძანებით გამხნეებულნი, ისინი მთელი თავისი ძალღონით ეწინააღმდეგებოდნენ ამ საქმის ჩადენას: თითოეულ მათგანს ხომ ეშინოდა, ოდესმე არ გამხდარიყო ლამაზი ბავშვის მამა... მალე ორივე მეფე მოსპეს აბაზგებმა და გადაწყვიტეს თავისუფლად ეცხოვრათ“<sup>47</sup>. ს. ჯანაშიას აზრით, ყველაფერი ეს მიუთითებს, რომ „კეისრის მთავრობას კურსი ადგილობრივ წარჩინებულთა წრეების გადმობირებაზე აქვს აღებული, მათი მეფეების წინააღმდეგ. წინააღმდეგობა მეფეებსა და წარჩინებულთა ამ წრეებს შორის ხელოვნურად არ იყო გაჩენილი. ადგილობრივ მთავართა ხელისუფლება, წარმოშობილი იმ სპეციფიკურ ადრინდელ სამყაროში, სადაც სოციალურ დიფერენციაციის თავდაპირველს, მონათმფლობელურ სახეს ადრე უჩნდება ფეოდალური მეტოქე, რაც პოლიტიკური ზედნაშენის თავისებურებას განსაზღვრავს, ეს ხელისუფლება შემდეგში კვლავ იხრება პირველი ელემენტებისაკენ, რომელსაც, სასურველ პირობებში გაძლიერების ტენდენცია უჩნდება. ყველაზე ხელსაყრელი ამ სასურველ პირობათა შორის არის მეტნაკლებად... ინტენსიური საგარეო ვაჭრობა, რომელსაც აღებულ მონეტისათვის ვხედავთ აფხაზეთშიც, როგორც ზემოთ იყო მოთხრობილი: „ანტიკურ ქვეყანაში ვაჭრობის ზეგავლენა და ვაჭრული კაპიტალის განვითარება შედეგად მიიღებს მუდამ მონურ მეურნეობას“ (კ. მარქსი, კაპიტალი, III, ნაწ. I, გვ. 289, ქართ. თარგმ. 1932 წ.)... რა თქმა უნდა, იმდროინდელ აბაზგიაში ეს მონათმფლობელური მეურნეობა მეტად სუსტი იყო და, შესაძლებელია, რომ იგი უპირატესად მხოლოდ მონების, როგორც საბაზრო საქონლის, „წარმოებაში“ გამოიხატებოდა, მაგრამ იგი მაინც საფუძვლად იქცა აბაზგთა მთავრების ზემოთ აღწერილი დესპოტიისათვის. ეს უკანასკნელი კი შეუთავსებელი იყო, თუმცა განუვითარებელს, მაგრამ ზრდის პროცესში მყოფ, ფეოდალურ ელემენტთან. აღნიშნული ბრძოლა დამთავრდა იმ გადატრიალებით, რომლის შესახებაც ზემოთ იყო საუ-

<sup>47</sup> გეორგიკა, II, 1965, გვ. 133—135.

ბარი. რომ გადატრიალება სწორედ წარჩინებულ ებმა, ჩვენი გაგებით, ე. ი. ახალგაზრდა ფეოდალურმა კლასმა, მოახდინეს, ეს ჩანს, აგრეთვე აღნიშნული ფაქტიდან, რომ აბაზგიის პირველ დაქვრისთანავე ირანელებმა მძევლები სწორედ ამ წარჩინებულებს გამოართვეს<sup>48</sup>; ქვეყნის ბატონი ეს წოდება იყო და პასუხისმგებლობასაც მას აკისრებდნენ<sup>49</sup>. ქრისტიანობის დანერგვის ფაქტში ს. ჯანაშია იმის ნიშანს ხედავს, რომ „აზნაურობა აბაზგიაში გაბატონებულ ძალას წარმოადგენდა“<sup>50</sup>, თვლის, რომ „ამრიგად, საკუთარი პოლიტიკური აპარატის მოპოვებასთან ერთად აბაზგიის წარჩინებულებმა საკუთარი ოფიციალური რელიგიაც მოიპოვეს. დიდი სოციალური მნიშვნელობა ამ მოვლენებისა აფხაზური ფეოდალიზმის განვითარების ისტორიაში თვალსაჩინოა“<sup>51</sup>. აჯამებს რა თავისი გამოკვლევის „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში“ შედეგებს, ს. ჯანაშია ასევე იმის საერთოდ საქართველოს მასშტაბით, რომ „მეექვსე საუკუნე ფეოდალიზმის საბოლოო გამარჯვების საუკუნე იყო. ეს გარდატეხა აშკარად რევოლუციურ გარდატეხის ხასიათს ატარებს... ქართლის ისტორიაში... ახალგაზრდა ფეოდალურმა კლასმა თავის პირველ დიდ გამარჯვებას მეოთხე საუკუნის შუაწლებისათვის მიაღწია. მაგრამ მაშინ მას ერთი დიდი საკითხი დარჩა გადაუწყვეტელი — ეს იყო ხელისუფლების საკითხი, რომელიც, როგორც ვიცით, საზოგადოდ ძირითადია რევოლუციისათვის (ლენინი). ეს საკითხი ქართველმა ფეოდალებმა მეექვსე საუკუნის დამდეგისათვის გადასჭრეს, როცა მათ ძველი, მონათმფლობელთა საჭიროებების ნიადაგზე აღმოცენებული და ფეოდალიზმისათვის შეუფერებელი, სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია დაამხვეს. ეს ამბავი მშვენივრად აქვს გამოხატული, როგორც ვამბობდით, ძველ ქართულ მატინანეს, როცა, მისი მტკიცებით, მეექვსე საუკუნეში „ეპყრათ უფლება ქართლისა აზნაურთა“... ასევე აშკარაა აფხაზეთში (აბაზ-

<sup>48</sup> ს. ჯანაშიას მხედველობაში აქვს პროკოპი კესარიელის ცნობა, რომ VI ს. 50-იანი წლების დასაწყისში ჩადგა ირანელთა ჯარი „რომელებისა და ლაზებისაგან განდგომილ აფხაზთა ქვეყანაში და ხელთ იგდო მათგან მძევლებად სამოცი ბავშვი წარჩინებულთა (λαοὶ μὲν) გვარებიდან“ (იხ. გეორგიკა II, 1965, გვ. 156). ს. ჯანაშია ამის მიხედვით ასევე — „აქედან ჩანს, რომ ქვეყნის ბატონ-პატრონი სწორედ წარჩინებულნი არიან და რომ ეს წოდება ამ დროისათვის საკმაოდ მრავალრიცხოვანია“ — იხ. მისი „შრომები“, I, 1949, გვ. 68.

<sup>49</sup> ს. ჯანაშია, „შრომები“, I, 1949, გვ. 70—71.

<sup>50</sup> ს. ჯანაშია წერს, რომ „კეისარმა გზაზე წარჩინებულებს ქრისტიანობის მიღება დაავალა“ (შრომები, I, გვ. 74), მაგრამ პროკოპის სათანადო ცნობაში საერთოდ აბაზგებზეა ლაპარაკი და არა მათ წარჩინებულებზე.

<sup>51</sup> ს. ჯანაშია, „შრომები“, I, გვ. 74, 75.

გიაში) მომხდარი გადატრიალების მნიშვნელობაც. განსხვავება ქართლთან შედარებით ისაა, რომ აქ, ძირითადად, აღებული პროცესი მეექვსე საუკუნის ფარგლებში განვითარდა მთლიანად<sup>52</sup>.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ყველა მკვლევარი, რომელიც შემდეგში შეეხო ამ პერიოდში საქართველოში, კერძოდ დასავლეთ საქართველოში (ლაზიკა — აბაზგიაში), ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების საკითხს, ძირითადად იმეორებს აკად. ს. ჯანაშიას ამ თვალსაზრისს, განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს, ეს სპეციალურად ამ პერიოდის დასავლეთ საქართველოს, კერძოდ აფხაზეთის ისტორიისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში.

პროფ. ზ. ანჩაბაძე, მაგალითად, როგორც ზემოთაც ითქვა, მთლიანად იზიარებს აკად. ს. ჯანაშიას ამ თვალსაზრისს<sup>53</sup>. აბაზგების ორ ერთეულად გაერთიანებას იგი ქვეყნის „ადმინისტრაციულ დაყოფას“ უწოდებს<sup>54</sup>, სპარსელების მიერ აბაზგებისაგან მძევლების აყვანის გამო შენიშნავს, რომ სპარსელმა სარდალმა „взял себе от них в качестве заложников шестьдесят мальчиков из числа самых знатных“ და ამასთან დაკავშირებით მიუთითებს ს. ჯანაშიას თვალსაზრისზე, რომელიც ამას მიიჩნევდა „свидетельством наличия у абазгов родовитой феодальной знати“<sup>55</sup>.

ასევეა შეფასებული ამ დროის აფხაზეთში არსებული ვითარება მ. გუნბას ნაშრომში „დასავლეთ საქართველო და ბიზანტია. VI—VIII სს.“ იგი, კერძოდ, წერს: „აბაზგიაში ფეოდალურმა კლასმა VI საუკუნეში შესძლო მონათმფლობელური მეფის ხელისუფლების გაუქმება, რომლის მსგავს მოვლენას ადგილი ჰქონდა იმავე ხანებში ქართლში“; აქ მომხდარი გადატრიალებით („მეფეების“ ლიკვიდაცია), მისი აზრით, „ყველაზე მეტად აზნაურთა მოთხოვნობა იქნა დაკმაყოფილებული“<sup>56</sup>. „აბაზგების მთავრები, — აღნიშნავს იგი, — მონათმფლობელურ პოლიტიკას ატარებდნენ იმ დროს, როცა აქ ფეოდალური მეურნეობა საკმაოდ განვითარებულ იყო და სწორედ ეს წარჩინებულები იყვნენ ფეოდალური ფენის წარმომადგენლები, რომელთა ინტერესები ეწინააღმდეგებოდა მეფის პოლიტიკას... აბაზგიაში VI საუკუნეში მომხდარი რევოლუციის შედეგად მონათმფლობელური მეფის ხელისუფლება უქმდება და

<sup>52</sup> ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 125—126.

<sup>53</sup> З. В. А н ч а б а д з е, Из истории средневековой Абхазии (VI—XVII вв.), Сухуми, 1959, გვ. 21.

<sup>54</sup> ი ქ ვ ე, გვ. 32.

<sup>55</sup> ი ქ ვ ე, გვ. 17.

<sup>56</sup> მ. გ უ ნ ბ ა, დასავლეთ საქართველო და ბიზანტია. VI—VIII სს., სოხუმში, 1962, გვ. 76.



ძალა-უფლება გადადის წარჩინებულთა ხელში. ამიერიდან აქ მონათმფლობელურ წყობილებას ბოლო ედება<sup>57</sup>.

აბაზგიის შესახებ VI საუკუნის წყაროებში დაცული ცნობების ამგვარ ინტერპრეტაციას საფუძვლად უდევს სრულიად გაუმართლებელი მისწრაფება მთელი საქართველოს მასშტაბით სოციალურ-ეკონომიური ვითარების ერთგვარად წარმოდგენისა. საამისო საფუძველი კი არ არსებობს. VI საუკუნის აბაზგების შესახებ ცნობები ჩვენ უფრო მოგვაგონებს ამ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის შესახებ უფრო ადრეული ხანის, ჩვენი ერის დასაწყისის წყაროებში დაცულ ცნობებს. სტრაბონის მიხედვით, შავი ზღვის სანაპირო რაიონში დიოსკურიიდან (სოხუმი) ვიდრე თანამედროვე გელენჯიკისა და ნოვოროსიისკის რაიონამდე მცხოვრები ტომები ფართოდ მისდევდნენ მეკობრეობას — თავს ესხმოდნენ არა მარტო გემებს, არამედ დასახლებულ პუნქტებსაც, მათ შორის ზღვისპირა ქალაქებს (Strabo, XI, 2, 12). როგორც ბოსფორის, ისე აღმ. შავიზღვისპირეთის ბერძნული ქალაქების მესვეურები სიამოვნებით იძენდნენ მათ გან ნაძარცვსა და ტყვეებს. აქ მცხოვრებ აქაელებზე, ჯიქებსა და ჰენიოხებზე სტრაბონს ნათქვამი აქვს, რომ ისინი ყაჩაღურ და მომთაბარულ ცხოვრებას ეწევიანო ვიწრო და უნაყოფო ადგილებში (Strabo, XVII, 3, 24). აქაური მოსახლეობა მსხვილ ტომთა კავშირებად იყო გაერთიანებული. ჰენიოხებში, მაგალითად, მითრიდატე ევპატორის ამ ადგილებზე გავლის დროს (ძვ. წ. 66/65 წწ.) ოთხი ასეთი დიდი ტომთა კავშირი ყოფილა („მეფეებით“ — ბასილევსებით, ე. ი. ბელადებით სათავეში), რომლებშიც მრავალი ტომი იყო გაერთიანებული თავისი ბელადებით (სტრაბონი ამ მომცრო ტომთა ბელადებს „სკეპტუხებს“ უწოდებს) (Strabo, XI, 2, 13).

თანდათან აქ, რა თქმა უნდა, განვითარება წინ უნდა წასულიყო. II საუკუნეში აქ ჩვენ უკვე ვხედავთ საკმაოდ მყარ გაერთიანებებს. — სამთავროებს“, მათ შორის არის აფშილებისა და აბაზგების „სამთავროები“. მაგრამ მათი სახით ჩვენ ისევ და ისევ ტომთა კავშირებთან ან ადრეკლასობრივ პოლიტიკურ წარმონაქმნებთან უნდა გვქონდეს საქმე. როგორც სხვა ადგილას აღნიშნული გვაქვს, აქ, კოლხეთის ჩრდილოეთ მთიან რაიონებში, ადგილი არ უნდა ჰქონოდა ძლიერ ურთიერთმოქმედებას ჩამოსახლებული მთიელებისა და სოციალურად განვითარებული ბარის მოსახლეობისა, რაც ივარაუდება იმ დროს კოლხეთის ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებში. იქ მთიელთა სრული დომინირება სუფევდა. ამასთანავე, იქა-

<sup>57</sup> მ. გუნდა, დასახ. ნაშრ., გვ. 79.

ურ მოსახლეობას ნაკლები შეხება ჰქონდა იმ დროის განვითარებულ სახელმწიფოებთან. შინაგანი განვითარება ამ მწირ მთიან რაიონებში სწრაფი ტემპით ვერ წავილოდა<sup>58</sup>.

მომდევნო საუკუნეებში აბაზგები, აფშილები და სხვა მთიელები გაძლიერებულ ლაზთა სამეფოსადმი პოლიტიკურ დამოკიდებულებაში მოექცნენ. VI საუკუნეში, ჩანს, აბაზგები განთავისუფლდნენ ლაზებისადმი დამოკიდებულებისაგან. მათ ამ დროს ორი გაერთიანება უჩანთ, რომელთა სათავეში მდგომთ „ბასილევსებს“ ეძახიან უცხოური წყაროები. ამ წყაროების თანახმად, აბაზგების საზოგადოება მართლაც სოციალური რევოლუციის ზღურბლზე მდომი ჩანს, მაგრამ ეს „რევოლუცია“ არ უნდა დახასიათდეს როგორც „მონათმფლობელური წყობილების დამხობა“ და ფეოდალიზმის გამარჯვება, „ფეოდალური რევოლუცია“ და ა. შ., არამედ როგორც უკლასოდან კლასობრივზე გარდამავალი ნახტომი. აბაზგების გაერთიანებათა სათავეში მდგომი ბელადები — ბასილევსები, რომლებიც, ჩანს, ემყარებიან თავის სამხედრო რაზმებს, ამ მხარისათვის ტრადიციული მონათვაქრობის წარმოებისას იძულებული არიან, ალბათ ტყვეთა მოპოვების გარეშე წყაროების დახშობის გამო, საკუთარ თანამემამულეთა დატყვევებასა და მონად გაყიდვაზე გადავიდნენ. სწორედ ეს მეფე-ბელადები თავიანთი რაზმებითურთ და ყველა სხვა დასაყრდენით (სათემო-საგვარეულო არისტოკრატიით) არიან კლასობრივი ექსპლუატაციის განმასახიერებელნი. ალბათ იყო ექსპლუატაციის სხვა გზებიც (ხარკი — ძღვენი, ნადავლში უქეთესი წილი), მაგრამ მათ შესახებ წყაროები სდუმან, სამაგიეროდ ხაზს უსვამენ ამ ექსპლუატაცია-თარეშის ყველაზე მახინჯი ფორმის გავრცელებას — ბავშვებზე ნადირობასა და ტყვე-მონებად ბიზანტიაში გაყიდვას. ბიზანტიელებთან ვაჭრობა ძირითადი წყარო იყო აბაზგების ისევე, როგორც მეზობელი ლაზების და სხვ., არისტოკრატიის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ფუფუნების საგნებით. ამის მოპოვება კი მათ ტრადიციულად, ჩანს, მხოლოდ ტყვეთა გაყიდვით შეეძლოთ.

<sup>58</sup> „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ I, თბ., 1970, გვ. 547—548. აკად. ს. ჯანაშია, არიანეს ცნობის საფუძველზე, რომ აფშილების, აბაზგების და სხვ. მთავრებს თავიანთი უფლებები ამა თუ იმ რომელი კეისრისგან ჰქონდათ მიღებული, თვლის, რომ მაშასადამე მათ ეს უფლებები არ ჰქონიათ მიღებული საკუთარი საზოგადოებისაგან და, ამრიგად, ტომურ-გვაროვნული საზოგადოების ბელადებად ვერ ჩაითვლებიან (შრომები, II, გვ. 309). მაგრამ ასეთი გაგება არიანეს ცნობისა სრულიადაც არ არის სავალდებულო. აქ უფრო საქმე ეხება მფარველი სახელმწიფოს მიერ მათი უფლების ცნობას, სანქციონირებას და ა. შ.

ის რომ, პროკოპი კესარიელის ცნობით, „ორივე მეფე მოსპეს აბაზგებმა და გადაწყვიტეს თავისუფლად ეცხოვრათ“ (τὸν δὲ τε βε-  
σ-λῆϊς ἄμφι Ἀβασγοῖ! ἀμφελόντες ἀντιχὰ ἐν ἔλευθέρῳ βί-  
ουσι)<sup>59</sup>, რა თქმა უნდა, არავითარი „ფეოდალური რევოლუცია“ არ იყო,  
არამედ, პირიქით, შეიძლება დახასიათდეს როგორც „მეთემეთა რე-  
ვოლუცია“, რევოლუცია — მიმართული კლასობრივი ჩაგვრისა და  
ამ ჩაგვრის განმახორციელებელი სამხედრო არისტოკრატიის წინა-  
აღმდეგ „ბასილევსიძე“ სათავეში. ტყუილად კი არ ამბობს წყარო,  
რომ ამით აბაზგები „თავისუფლად ცხოვრებას“ ლამობდნენ. ამას-  
თანავე, მეტად საინტერესო ცნობა აბაზგიაში მოსული სარდლის  
მიერ 60 ბავშვის მძევლად წაყვანისა „წარჩინებულთა გვარებიდან“  
იმაზე კი არ მიგვითითებს, რომ აქ საქმე ეხება გამარჯვებულ ფეო-  
დალთა გვარებს, რომელთაც ამ ე. წ. „ფეოდალური რევოლუციის“  
შემდეგ აქ ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს, არამედ ლაპარაკია ალბათ  
ცალკეული აფხაზური თემების მეთაურთა გვარების შესახებ. არც  
ის არის გასაკვირი, რომ აბაზგები მტრულად შეხვდნენ აგრეთვე ბი-  
ზანტიელთაგან დანიშნული მმართველის მიერ „ახალ-ახალ რაღაც  
წესების დამყარებას“, რაც, ჩანს, მიზნად ისახავდა იმავე კლასობ-  
რივი ექსპლუატაციის უღელში ამ საზოგადოების ჩათრევას, თუმცა  
სხვა, განსხვავებულ ფორმებში. პროკოპი კესარიელი წერს: „რო-  
დესაც მათ თავიანთი მეფეები მოსპეს, როგორც ეს ჩემ მიერ ახლა-  
ხან იყო მოთხრობილი, რომაელთა ჭარისკაცები, კეისრის მიერ წარ-  
გზავნილები, მათ ქვეყანაში იღგნენ ხოლმე ძალიან ხშირად და მათ  
უნდოდათ ეს ქვეყანა დაემორჩილებინათ რომაელთა ძალაუფლე-  
ბისათვის, მათ ახალ-ახალ რაღაც რეგულაციებს უმყარებ-  
დნენ. ამ ძალადობის გამო აბაზგები პირდაპირ აუტანელ მდგომარე-  
ობაში ჩაეარდნენ. იმის შიშით, რომ ამიერიდან რომაე-  
ლთა მონებად არ გამხდარიყვნენ, მათ კვლავ დაიწყეს თავისთავის მთავრები, აღმოსავლეთის ნაწილსათვის ოფსიტე სახე-  
ლად, ხოლო დასავლეთისათვის სკეპარანა“<sup>60</sup>.

ამრიგად, „რევოლუციის მომხდენი“ ხალხისათვის ერთნაირად  
მიუღებელი იყო მონობა, სულერთია, იქნებოდა ეს საკუთარი მთავ-  
რების თუ ბიზანტიელების მიმართ, მათ მიზანს „თავისუფლად  
ცხოვრება“ შეადგენდა. რა თქმა უნდა, „მეთემეთა რევოლუციის“

<sup>59</sup> გეორგიკა, II, 1965, გვ. 135.

<sup>60</sup> იქვე. გვ. 157.

ეს მიზანი განუხორციელებელი იყო. ცხოვრება შეუკავებლად მიდიოდა „მონობის“ ასეთი თუ ისეთი ფორმის დამყარებისაკენ და ის ახალი „მეფეები“, რომლებიც მათ დაიყენეს, ადრე თუ გვიან ისევ ამ გზით წავიდოდნენ.

როგორც ჩანს, ეს ასეც მოხდა. VII საუკუნეში ყალიბდება ერთიანი, საკმაოდ მძლავრი და დამოუკიდებელი აფხაზთა სამთავრო — უეკველია, ადრეკლასობრივი სახელმწიფო ერთეული. აფხაზთა შორის დაცულმა წერილობითმა საისტორიო ტრადიციამ შემონახა კიდევ ამ ერთიანი აფხაზთა სამთავროს (სამეფოს) დამაარსებლისა და მისი მემკვიდრეების სახელები. ჩვენამდე, როგორც ცნობილია, მოაღწია ბაგრატ III-ის სახელით შედგენილმა აფხაზთა მეფეების სიამ, რომელიც თავდება ბაგრატ III-ის ძის გიორგის სახელით. დაწყებული ლეონ მეფიდან ამ სიაში აღნუსხულია მეფობის წელთა რაოდენობაც: ლეონ — 45, თეოდოსი — 27, დემეტრე—36, გიორგი—7, ბაგრატ—12, კონსტანტი — 39, გიორგი — 35, ლეონ—10, დიმიტრი—8, თეოდოსი — 3, ბაგრატ (II) — 36, გიორგი — 13. რადგანაც ბაგრატ III აფხაზეთში 978 წელს გამეფდა, ჩამოთვლილ მეფეთა შორის პირველის — ლეონის „გამეფება მოვა VIII ს-ის შუახანებზე. სიაში ამის წინ კიდევ ათი მეფეა დასახელებული: ანოს, ლოზარ, ისტვინე, ფინიქტიოს, ზარუკ, დიმიტრი, თეოდოსი, კოსტანტი, თეოდორე, კოსტანტინე<sup>61</sup>. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ სიის პირველი მეფეები VII საუკუნის დასაწყისში ან, ეგუბის, თვით VI საუკუნის დასასრულში არიან მოსათავსებელი, ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ ამ სიაში არ არის ასახული VI საუკუნის შუახანებში ორად გაყოფილი აბაზგიის მმართველთა სახელები, რომელთაგან ზოგიერთის სახელი ჩვენთვის ცნობილია ბიზანტიური წყაროებიდან (მაგალითად, ოფსიტე და სკეპარნა — იხ. ზემოთ).

ჩვენ უაღრესად მწირი ცნობები მოგვეპოვება VII საუკუნის მანძილზე აბაზგიის მეზობელი ლაზიკის შესახებ. ერთი რამ აშკარაა, რომ ლაზიკა ამ დროს ბიზანტიელთა ბატონობის ქვეშ იმყოფება. ადგილობრივი ცენტრალური ხელისუფლება საკმაოდ სუსტი ჩანს. დროდადრო იხსენიებიან პატრიკიოსის ტიტულის მატარებელი მმართველები. ასე, მაგალითად, თეოდოსი განგრელი (VII ს. მეორე ნახევრის ავტორი) იხსენიებს, როგორც თავის ინფორმატორს, „ლა-

<sup>61</sup> იხ. ე ქ ვ თ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საისტორიო მასალანი. რას შეიცავდა ეგრეთ წოდებული აფხაზეთის ისტორია ბაგრატ მეფისა, რომლითაც უსარგებლია იერუსალიმის პატრიარხს დოსითეოსს თავის იერუსალიმის პატრიარხთა ისტორიაში, „ძველი საქართველო“, ტომი II, თბ., 1911—1913, განყოფილება III, გვ. 28—54.

ზიკის პატრიკიოს ლებარნიკიოსს<sup>62</sup>, ხოლო თეოფანე ჟამთააღმწერელი 697 წლის ამბებში აღნიშნავს, რომ „აჯანყდა ლაზიკის პატრიკიოსის სერგი, ბარნუკის ძე და ეს ქვეყანა არაბებს დაუქვემდებარა“<sup>63</sup>. ძნელია დავეკვიდეთ მასში, რომ სერგის მამა ბარნუკი იგივე პირი უნდა იყოს, რაც ცოტახნის წინა ამბებში მოხსენიებული „ლებარნიკიოსი“. ამ უკანასკნელ სახელში იგივე „ბარნუკი“ გვაქვს ბერძნული დაბოლოებითა და სევანური (?) პრეფიქსით (შდრ. „მარიამი“ და სევანური „ლამარია“ > ლამარა — შეიძლება ამ საფუძველზე ჩვენ სევანური ელემენტის გარკვეული აქტივობა ვივარაუდოთ ამ დროის ლაზიკაში).

საერთოდ, შინაპოლიტიკური ვითარება ამ დროის ლაზიკაში, ზოგიერთი ცნობის თანახმად, საკმაოდ არამყარი ჩანს. საინტერესოა ამ მხრივ იმავე თეოლოსი განგრეღთან დატული წერილი ბიზანტიიდან ლაზიკაში გადასახლებული ერთი საეკლესიო მოღვაწის ანასტასისა: ადგილობრივი (ლაზიკის) მთავარი (princeps) ათასგვარად აწვალებს ანასტასის. მაგრამ მალე იგი (ეს princeps-ი) იქიდან (ლაზიკიდან) გააძევეს, ხოლო მის ადგილას მოსული ერთხანს კარგად ეპყრობა მას, შემდეგ კი ისიც დევნას უწყებს. ეტყობა, თავისი მთავრობის ერთი წლის შემდეგ ისიც გააძევეს იქიდან (ლაზიკიდან) და „დახეტიალობდა ქრისტესმოყვარე აბაზგების ქვეყანაში. იქაურმა ქრისტესმოყვარე მმართველებმა ურჩიეს, რომ ჩემთან თანაგრძნობით ყოფილიყო და სრულიადაც არ ეწარმოებინა დევნა... და ისიც შეჰპირდა მათ, რომ, თუ ის იქიდან დააღწევდა თავს და აღიდგენდა მმართველობას, ყველაფერს შეასრულებდა ჩემს სანუგეშოდ და დასამშვიდებლად... რამდენიმე დღის შემდეგ — არ ვიცი საიდან — დანშარება მიიღო, კვლავ გაემართა და მმართველობა დაიბრუნა. მაგრამ არაფერი შეასრულა იმ დაპირებათაგან, რომლებიც აღუთქვა ღმერთს და ზემოხსენებულ ღვთისმოყვარე მთავრებს. პირიქით, ამ კაცების ხელებით გაჭირვებიდან გამოყვანილმა არამზადმ დაივიწყა დაპირება: უბრძანა გამოვეყვანე მე ფუსტელთა ციხიდან და სასწრაფოდ გავეგზავნე სხემარის ციხეში. ამასობაში მოხდა ისე, რომ, როდესაც მე ზემოხსენებულ ციხეში მივყავდი, ის (მმართველი) კვლავ გააძევეს, და ის გაიქცა იქ, სადაც წინათაც იყო...“ და ა. შ.<sup>64</sup>

<sup>62</sup> გეორგიკა, IV<sub>1</sub>, 1941, გვ. 49.

<sup>63</sup> იქვე, გვ. 105.

<sup>64</sup> იხ. „გეორგიკა“, IV<sub>1</sub>, გვ. 44—45.

ადგილობრივი ადმინისტრაციის ამგვარი მოშლილობის ფონზე გასაგები ხდება, რომ VIII საუკუნეში ლაზიკას მეზობელი მთავრები ეპატრონებიან: ჯერ ქართლის მეფე არჩილი, ხოლო შემდეგ „აფხაზეთის ერისთავი ლეონი“. „მატიანე ქართლისაჲ“-ში დაცული ცნობის თანახმად, „რაჲამს მოუძღურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომლისაჲდ მიეცა სამკვდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულისწული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იდვა მეფე აფხაზთა, რამეთუ მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერ, და შემდგომად ამისსა ჯუანშერცა მიიცვალა“ (ქც. I, 251).

უნდა ვიფიქროთ, რომ საკუთრივ ლაზიკაში VI საუკუნის სპარსეთ-ბიზანტიის ომიანობის შემდეგ არ არსებობდა ხელსაყრელი პირობები ადგილობრივი ფეოდალური კლასის სწრაფი მომძლავრებისათვის. ამოსავალი, VI საუკუნის შუახანების, ვითარება გულისხმობს ლაზიკაში მრავალრიცხოვანი „წარჩინებულების“ *λεγενας* — სამხედრო-გვაროვნული არისტოკრატიის წარმომადგენლების) არსებობას, მაგრამ საეკვოა, ამ „წარჩინებულთა“ პოზიციები ისე მყარი ყოფილიყო, რომ საკმარისი აღმოჩენილიყო ძირითად საწარმოო საშუალებაზე — მიწასა და უშუალო მწარმოებელთა მასაზე მათი საკუთრების დამყარებისა და განმტკიცებისათვის უახლოეს მომდევნო პერიოდში. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ VII—VIII საუკუნეებშიც მსხვილი ფეოდალური მიწისმფლობელობა არ უნდა ყოფილიყო მაინცდამაინც განვითარებული. ქვეყნის უშუალოდ ბიზანტიური ადმინისტრაციის ხელში ყოფნაც აქ მსხვილი ფეოდალური მიწისმფლობელობის განვითარების ხელისშემწყობ ფაქტორად ვერ გახდებოდა. მხოლოდ არჩილის სამეფოში შესვლის შემდეგ, უნდა ვიფიქროთ, თუ გავითვალისწინებთ არჩილ მეფის მიერ მისი სამეფოს სხვა რაიონებში (ქართლში, კახეთში) ჩატარებულ ლონისძიებებს (სამხედრო სამსახურის დამყარება სამამულო ურთიერთობის საფუძველზე), ლაზიკაშიც ფეოდალურ მიწისმფლობელობას გარკვეულად პოზიციები უნდა განმტკიცებინა.

საკუთრივ აფხაზეთში ეს პროცესი კიდევ უფრო საწყის სტადიაში უნდა ყოფილიყო. უშუალო მწარმოებელთა ძირითადი მასა, უეჭველია, პირად თავისუფლებას ფლობდა და არც საწარმოო საშუალებებზე — მიწაზე (პირადი თუ თემური სახით) საკუთრებას იყო მოკლებული. ქვეყნის ეკონომიკაში თემური საკუთრების ხვედრითი წონის კიდევ უფრო განმტკიცებისათვის ხელი უნდა შეეწყო

აფხაზეთის სამთავროს შემადგენლობაში ჩრდილოეთით მდებარე და სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონით კიდევ უფრო დაბლა მდგომი მოსახლეობის მქონე ვრცელი რეგიონის შესვლას — VIII საუკუნეში აფხაზეთის საზღვარი ჩრდილოეთით ნიკოფსიამდე აღწევს (ტუაფსეს ჩრდილოეთით, დღევ. მდ. ნეჩეფსუხოს შესართავთან) და, შეიძლება, კიდევ უფრო ჩრდილოეთითაც მდებარეობს (ქართულ წყაროებს ეს საზღვარი გაჰყავთ „ხაზარეთის მცირე მდინარეზე“, ე. ი. ყუბანზე!)<sup>65</sup>.

სწორედ ამ ფაქტში უნდა ვეძებოთ აფხაზეთის მთავრების ძალა. არა ფეოდალური ურთიერთობის განვითარების მაღალი დონე, არამედ, პირიქით, ამ ურთიერთობის შედარებითი განუვითარებლობა, სოციალურად მცირედდიფერენცირებული საზოგადოების და თავისუფალ მწარმოებელთა ფართო მასის არსებობა განსაზღვრავს აფხაზთა მთავრების დასაყრდენი ბაზის სიფართოვეს. სწორედ ამან, უნდა ვიფიქროთ, გადამწყვეტი როლი ითამაშა აფხაზთა სამთავროს შემდგომ წარმატებებშიც — მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანებაში მათი ჰეგემონობით, და კარგა ხნის მანძილზე განსაზღვრა ხელსაყრელი პირობების არსებობა ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების არსებობისათვის ამ ადრეფეოდალურ, ძირითადად უკვე ქართულ, სახელმწიფოში, რომელიც ასე თვალნათლივ ჩანს და მკვლევართა საყოველთაო ყურადღებას იქცევს (ამის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი).

როცა დასავლურქართული ადრეფეოდალური სახელმწიფოს („აფხაზეთის“) თავისებურებაზე ვმსჯელობთ, სუსტადიფერენცირებული აფხაზეთის სამთავროს მოსახლეობის გვერდით არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ასევე სუსტადიფერენცირებული სვანთა საზოგადოება, რომელსაც აგრეთვე არამცირედი ხვედრითი წონა ჰქონდა დასავლეთ საქართველოში. ყოველივე ამის გამო მოხდა, რომ დასავლურქართული სახელმწიფო („აფხაზეთი“) სოციალურ-ეკონომიური განვითარების მიხედვით საკმაოდ „ახალგაზრდად“ გამოიყურებოდა — იგი ფაქტიურად სუსტადიფერენცირებული მთიელთა საზოგადოების პოლიტიკური ჰეგემონობით ჩამოყალიბებულ ერთეულს წარმოადგენდა და ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების თვალსაზრისით ქართლსა და ტაო-კლარჯეთთან შედარებთ ბევრად უფრო ადრეულ ეტაპზე იმყოფებოდა.

აფხაზეთის წარმატება განსაზღვრა აგრეთვე მკიდრო მეგობრული ურთიერთობის დამყარებამ ხაზარებთან. დიდ ჩრდილოკავკა-

<sup>65</sup> ქს. I, 242. შტრ. 3. В. А н ч а б а д з е, დასახ. ნაშრ., გვ. 67.

სიურ გაერთიანებებთან კავშირი აღრეც, როგორც ვიცით, ქართულ სახელმწიფოების, კერძოდ იბერიის, ძლიერების ერთ-ერთი საწინდარი იყო.

\* \* \*

დაახლოებით ასეთივე ვითარება უნდა ვივარაუდოთ ჩვენ საქართველოს მეორე რეგიონში — კახეთში. ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი ამოსავალი ვითარების შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. აღინიშნა, რომ აქ ივარაუდება ანტიკურ ხანაში თემური (სატაძრო ფორმით) მიწისმფლობელობის დიდი ხვედრითი წონა, ხოლო ქრისტიანობის დამკვიდრებიდან კახეთი და კუხეთი ფაქტიურად სამეფო დომენი ხდება. კერძო ფეოდალური მიწისმფლობელობა აქ შედარებით გვიან იკიდებს ფეხს — მეფე არჩილის რეფორმები VIII საუკუნეში ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

მაგრამ კახეთში ფეოდალურ ურთიერთობათა განმტკიცების ეს პროცესი, საფიქრებელია, მნიშვნელოვნად შეაჩერა და მისი შემდგომი გაღრმავება შეაფერხა აქაც მთიელთა ჰეგემონობის დამყარებამ, რაც აფხაზეთის მიერ მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანების პარალელურად, იმავე VIII საუკუნის დასასრულს, მოხდა. აფხაზეთის მსგავსი როლის შემსრულებლად აქ, კახეთში, გამოდიან მთიელი წ ა ნ ა რ ე ბ ი.

შემთხვევითი არ არის, რომ როგორც აფხაზეთში დასავლეთ საქართველოში, ისე წანარებში კახეთში, განსაკუთრებული როლი ითამაშეს უცხოელ დამპყრობლებთან (დას. საქართველოში — ბიზანტიელებთან და არაბებთან, ხოლო კახეთში — არაბებთან) ბრძოლაში, დიდი სიმტკიცე გამოიჩინეს. ეს, უეჭველია, ახსნას ჰპოვებს ამ სუსტადდიფერენცირებულ მთიელთა საზოგადოებების მონოლითურობაში, რაც თავის მხრივ საწინდარი აღმოჩნდა მათი წარმატებებისათვის ქვეყნის შიგნითაც — მან მათი ჰეგემონობით მსხვილი და მტკიცე, საკმაოდ ცენტრალიზებული გაერთიანებების წარმოქმნა განაპირობა.

ერთ-ერთი ასეთი პოლიტიკური ერთეული იყო კახეთის სამთავრო (ისტორიული კახეთი და კუხეთი — დღევანდელი შიდა კახეთის ჩრდ.-დასავლეთით მდებარე ტერიტორია), რომელიც VIII ს. დასასრულსა და IX ს. დასაწყისში ჩამოყალიბდა წანართა მოთავეობით და, ამასთანავე, ამავე წანარების მიერ არაბებთან წარმო-



ებული ხანგრძლივი ბრძოლების შედეგად, იმავე ხანებში უნდა განთავისუფლებულიყო ამ უკანასკნელთა უღლისაგან<sup>66</sup>.

ამრიგად, კახეთის ეს სამთავრო მთიელთა ჰეგემონობით ჩამოყალიბდა. წანარების ცენტრად ყაზბეგის რაიონია მიჩნეული. აქედან მთიელი წანარები უტევენ ბარს, სამხრეთს და იქვემდებარებენ მას<sup>67</sup>. VIII ს. დასასრულს ამ სამთავროს პოლიტიკური ცენტრი უკიდურეს ჩრდილოეთშია, შემდეგ კი თანდათან ინაცვლებს სამხრეთისაკენ — დღევ. თიანეთის რაიონში, ივრის დინების მიმართულებით ალაზნისაკენ. XI ს. ეს სამთავრო ისტორიულ ჰერეთს — ესე იგი თანამედროვე კახეთის დიდ ნაწილს იერთებს და სამთავროს ცენტრიც თელავში გადმოდის.

წანარების ვინაობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ჩვენთვის ამ საკითხს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ისაა, რაც უცილობლად არის მიჩნეული — მათი სახით ჩვენ გვაროვნული წყობის პირობებში მცხოვრებ მთიელ ტომებთან გვაქვს საქმე, რომელთა მეთაურობით მოხდა კახეთის სამთავროს ჩამოყალიბება. საინტერესო ცნობებს იძლევა წანარების შესახებ IX ს. ავტორი თომა არწრუნი: „ბინადრობენ მიუვალ ადგილებში, გარეშე მტრის შემოსევისაგან თავს უფრო გულმშვიდად გრძნობენ. სამეფო გამოსაღები და გადასახადები მათთანვე რჩება, მმართველად აყენებენ ერთ ვინმეს, რომელსაც თავიანთი ნება-სურვილის მიხედვით ირჩევენ, ერთმანეთთან თანხმობით და ერთსულოვნად ცხოვრობენ, სახლობენ გვარებად და თემებად“<sup>68</sup>. უეჭველია, ამ მთიელებს უნდა მოეხდინათ კახეთის ბარის საზოგადოების ერთგვარი „გაახალგაზრდაება“, თემური საკუთრების პოზიციები დასაწყისში კიდევ უფრო უნდა განმტკიცებულიყო და ფეოდალიზაციის პროცესს კი შეფერხება უნდა განეცადა. ეს თავს იჩენს აგრეთვე კახეთის სამთავროსათვის დამახასიათებელ ცენტრალიზაციის მაღალ ხარისხში — აქ რეალური ხელისუფლების მატარებლად მთავრები გვევლინებიან, რომლებიც ქართულ წყაროებში „ქორეპისკოპოსის“ ტიტულით არიან მოხსენიებულნი. ის, რომ სამთავროს სათავეში მდგომი პირი საეკლესიო ტიტულს ატარებს („ქორეპისკოპოსი“ — ბერძნულად უსამწყსო ეპისკოპოსს ერ-

<sup>66</sup> მ. ლ. ო. რ. თ. ქ. ი. ფ. ა. ნ. ი. ძ. ე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 141.

<sup>67</sup> იხ. ი. ქ. ე. ე. გვ. 147.

<sup>68</sup> შდრ. თ. პ. ა. პ. უ. ა. შ. ე. ლ. ი, ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970, გვ. 281.

ქვა), აგრეთვე ახსნას ჰპოვებს მთიელთა შორის დამოწმებულ ვითარებაში, როდესაც ხალხის სათავეში მდგომი პირებისათვის (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში „ხევისბერებისათვის“) დამახასიათებელია სწორედ საერო და საეკლესიო მეთაურის ხელისუფლების გაერთიანება. კახეთის მთავრის ხელისუფლებაც, ეტყობა, მთიელთა (ამ შემთხვევაში — წანართა) ასეთი მეთაურის ხელისუფლებიდან არის წარმომდგარი.

მართალია, ერთხანს, კახეთში აქტიურ ძალად წანარების ნაცვლად „გარდაბნელები“ გამოდიან, მაგრამ არაბული წყაროები ამ დროსაც თანმიმდევრულად ინარჩუნებენ კახეთისათვის „წანარეთის“ (სანარიას) სახელწოდებას და, უნდა ვიფიქროთ, გარდაბნელთა ეს აქტივობა წანარების ჰეგემონობით ჩამოყალიბებული დიდი სამთავროს ფარგლებში მიმდინარეობდა და წანართა პოზიციები კახეთში მაინცადამაინც არ შერყეულა — მთიელთა ეს ნაკადი მთავრების (ქორეპისკოპოსების) საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა ამ პოლიტიკური ერთეულის მონოლითურობას, მასში ცენტრალური ხელისუფლების სიმტკიცეს.

\* \* \*

ამრიგად, ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების თვალსაზრისით მდგომარეობა აფხაზეთის სამეფოსა და კახეთში გარკვეულად თავისებურია საკუთრივ ქართლსა და ტაო-კლარჯეთთან შედარებით. თუ ამ უკანასკნელებში ფეოდალიზაციის პროცესი ძალზე ღრმად და შორს არის წასული, „აფხაზეთში“ და „კახეთში“ ჩვენ ვხედავთ ფეოდალიზაციის შედარებით დაბალ საფეხურს, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ამ რეგიონებში თავისუფალ მთიელთა მასის აქტივობით, თავისუფალ მეთემეთა მრავალრიცხოვანი მასის არსებობით. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა სწორედ ამ სამეფოსამთავროებში ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენს და განსაზღვრავდა აქ მის დიდ სიძლიერეს.

ფეოდალიზაციის თვალსაზრისით საქართველოს ამ რეგიონებს შორის განსხვავება კარგად ჩანს უფრო გვიანდელი, IX—XI სს. მასალის საფუძველზეც. ამიტომაც გაკვირვებას იწვევს პროფ. ს. კაკაბაძის თვალსაზრისი, რომელიც რეალური ვითარების სრულიად საწინააღმდეგო სურათს გვთავაზობს. „Разразившаяся, — წერს იგი, — при внуке Баграта III Баграте IV (1027—1072) борьба царской власти вместе с наследственными владельцами с феодальным родом Липаритидов, имевшем большое влияние в южной

Грузии, фактически вскрывала противоречия между северными областями, сильно феодализированными, и южными провинциями, где наряду с значительным слоем самостоятельных азнауров были очень сильны свободолюбивые тенденции крестьян—общинников. При этом крестьяне наряду с азнаурами принимали в борьбе с монархией самостоятельное и активное участие<sup>69</sup>. ამის საპირისპიროდ, სავსებით სწორად აქვს საკითხის არსი დაჭერი-რილი, მაგალითად, პროფ. გ. ნათაძეს, რომელიც, ეხება რა ქართლში არსებულ ვითარებას, დასძენს: „ასეთი მდგომარეობა იყო მხოლოდ ქართლში, კახეთის შესახებ ცნობები კიდევ უფრო ნაკლები გვაქვს. იქაურ მთავრებს, ისე ჩანს, თავის ქვეყანაში დიდი ოპოზიცია არ ჰყოლიათ“<sup>70</sup>, ხოლო აფხაზეთის მიმართ ნათქვამი აქვს, რომ აქ „წვილი და საშუალო საკუთრება მიწისა უფრო გავრცელებული იქნებოდა, ვიდრე მსხვილი, ამიტომ მეფის ძლიერების განვითარებას წინ ვერ ელობებოდა რა“<sup>71</sup>.

ქართულ ისტორიოგრაფიაში IX—X სს. მიჩნეულია საქართველოში ადრეფეოდალურიდან განვითარებული ფეოდალიზმის საფეხურზე გარდამავალ ეპოქად<sup>72</sup>: აღნიშნულია, რომ ამ პერიოდში თავისუფალი მწარმოებელი საზოგადოება ძირითადად ქრება. მწარმოებელი ან ფეოდალის მიწაზე ზის და მისი ყმაა, ან მეფის მიწაზე ზის და მეფის ყმაა<sup>73</sup>, რომ X ს-თვის ქართველი მწარმოებელი საზოგადოება ძირითადად გაგლეხებულია, გლეხთა კლასის სახითაა წარმოდგენილი<sup>74</sup>.

რა თქმა უნდა, განვითარებული ფეოდალიზმის ეტაპის გამოსაყოფად მეტად არსებითია მწარმოებელი საზოგადოების სტატუსი, რასაც უქცევა კიდევ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადი ყურადღება, მაგრამ ამას გარდა, ფეოდალიზმის ასეთი მაღალი ეტაპი ხასიათდება აგრეთვე გაბატონებული ფეოდალური კლასის ორგანიზაციის გარკვეული ნიშან-თვისებებით. მაგალითად, განვითარებული ფეოდალიზმისათვის დამახასიათებლად თვლიან ისეთი ინ-

<sup>69</sup> С. Н. Какабадзе, Краткий обзор истории Грузии (с древнейших времен до конца XIX века), Сухуми, 1941, гл. 22—23.

<sup>70</sup> გ. ნათაძე, საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა, ნაწ. II, ქუთაისი, 1925, გვ. 30.

<sup>71</sup> იქვე, გვ. 31.

<sup>72</sup> იხ. მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 22, 259.

<sup>73</sup> იხ. იქვე, გვ. 62.

<sup>74</sup> იქვე, გვ. 88; შტრ. З. В. Анчабадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 84, 161.

სტიტუტების გაფორმებას, როგორცაა: საერო და საეკლესიო სენიორია, იმუნიტეტი, მიწათმფლობელობის იერარქიული სტრუქტურა, სიუზერენიტეტ-ვასალიტეტის სისტემა და სხვ.<sup>75</sup>

თუ ამ კრიტერიუმებით (მწარმოებელი საზოგადოების სტატუსი, გაბატონებული კლასის ორგანიზაცია) მივუდგებით საქართველოში IX—X სს. მანძილზე (ე. ი. საქართველოს გაერთიანებისათვის სამეფო-სამთავროთა ბრძოლის პერიოდში) არსებულ მდგომარეობას, ვფიქრობთ, აგრეთვე არ იქნება სწორი ქვეყნის ყველა რეგიონის მიმართ ერთი და იგივე ვითარების ვარაუდი. თუ ქართლისა და ტაო-კლარჯეთის ფეოდალურად განვითარებული რაიონების მიმართ ზემომოტანილი განსაზღვრებანი შეიძლება სწორიც იყოს, აფხაზეთის სამეფოსა და კახეთის საქორეპოსკოპოსოს მიმართ ამისი თქმა, ვფიქრობთ, გაკირდებოდა. ამ რეგიონებში ჩვენ, როგორც აღინიშნა, ვგულისხმობთ თავისუფალ მთიელთა ელემენტის დიდ აქტივობას, რასაც საერთოდ გავლენა უნდა მოეხდინა აქ მწარმოებელი მოსახლეობის სტატუსზე. მისი დაყმევების პროცესი აქ, უეკველია, მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობდა და მწარმოებელთა ძირითადი მასა პირადად თავისუფალი უნდა ყოფილიყო. ასევე განსაკუთრებით თვალსაჩინოა განსხვავება გაბატონებული წრის ხასიათში, მის ორგანიზაციაში აფხაზეთ-კახეთისა, ერთი მხრით, და ქართლი-ტაო-კლარჯეთის რეგიონებს შორის, მეორე მხრით. აფხაზეთ-კახეთის სამეფო-სამთავროთა განსაკუთრებული ცენტრალიზაციის ფენომენი, რომლის შესახებაც ზემოთ არაერთგზის იყო საუბარი, სწორედ გაბატონებული წრის ხასიათში კპოვებს ახსნას. ამ რეგიონში მსხვილ ფეოდალურ მიწისმფლობელობას ჯერ კიდევ, ეტყობა, ფეხი ვერა აქვს მტკიცედ მოკიდებული, გაბატონებული წრის ზედაფენა — დიდებულები, წარჩინებულები აქ ჯერ კიდევ მსხვილ მემამულეებად, სენიორებად კი არ არიან ქცეული, არამედ მეფის მოხელეებს წარმოადგენენ, მაშინ როდესაც ქართლსა და ტაო-კლარჯეთში აზნაურთა სრული მეფობა სუფევს, ისინი ვინმეს მოხელეები კი არა, სრულუფლებიანი მემამულენი არიან, აქ მიწისმფლობელობის იერარქიული სტრუქტურაც სახეზეა, სიუზერენ-ვასალიტეტის სისტემა მტკიცედაა ფეხმოკიდებული და მთავრის ხელისუფლებაც მკვეთრად ატარებს ცნობილი *primus inter pares*-ის ინსტიტუტის სახეს.

<sup>75</sup> იხ. აკად. ლ. ვ. ჩერეპნიხთან, წიგნში: Пути развития феодализма (Закавказье, Средняя Азия, Русь, Прибалтика), М., 1972. გვ. 250.

უკვე ანტიკური ხანის ქართლის სამეფოში, როგორც ცნობილია, სათემო, სატაძრო და სამეფო მიწათმფლობელობის გვერდით ვხვდებით კერძო მიწათმფლობელობასაც. ამ უკანასკნელის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო ტერმინი „აგარაკი“, რომელიც ძველ ქართულ ტექსტებში, მართალია, იხმარება სახნავ-სათესის, დამუშავებული მიწის ნაკვეთის ზოგადი მნიშვნელობითაც, მაგრამ საკუთრივ აღნიშნავს კერძო მფლობელობაში, სათემო მიწების გარეშე მყოფ მიწის ნაკვეთს<sup>76</sup>. ამავე რიგის ტერმინად გამოიყურება ირანული სამყაროდან შეთვისებული ტერმინი „ქარდაგი“. აღრე შუასაუკუნეების ქართლში ტერმინი „აგარაკი“ — „აგარა“ მტკიცედ ინახავდა თავის ამ მნიშვნელობას და აღნიშნავდა ხშირად სყიდვის ან ბოძების გზით მოპოვებულ მიწის ნაკვეთს, რომელიც მისი პატრონის სრულ მფლობელობაში იმყოფებოდა.

უკვე IV—V სს. ქართლში აკად. ს. ჯანაშია ხედავს „მისწრაფებას ადრინდელ ფეოდალურ ძალთა მხრივ განმტკიცებულ იქნას ფაქტიურად არსებული მიწისმფლობელობა მემკვიდრეობითი მყარი მემამულეობის სახით“<sup>77</sup>. მიწა რომ სყიდვა-გაყიდვის ობიექტი იყო და კერძო საკუთრებაში მყოფ მიწებზე იდგმეოდა საგანგებო ნიშნები — წარწერიანი ჯვრის მოყვანილობის ქვები — კარგად ცნობილი ფაქტია. 616—619 წლებით დათარიღებული წარწერა სოფ. წყისედან (ახალციხის რაიონი, სოფ. უდეს სამხრეთ-დასავლეთით 4 კმ მანძილზე) გვაუწყებს: „ესე ჯ(უარ)ი ქ(რისტ)ჴსი, მე კოსტანტი, ძ(ემ)ან სტეფანესმან და გუდასმან აღჰუმართე სახელსა მცხეთისა ჯ(უარ)ისასა, ნასყიდევსა ქუეყანასა (ზედ)ა, შაჰრამანსა ა, ს(ალო)ც(ველად) ჩ(უე)ნდა, ცოლისა და შვილთა, ნოენ(ბე)რსა, იზ, ა(მე)(ნ)<sup>78</sup>. ამ სახის ადრეული ძეგლები ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე სხვაც გვაქვს, მაგრამ დასავლეთ საქართველოში არ მოგვეპოვება XI ს-მდე<sup>79</sup>. ქართლისათვის ჩვენ აგრეთვე საკმაოდ ადრეული ცნობები გავგაჩნია, რომლებიც გაბატონებული კლასის—

<sup>76</sup> იხ. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, I, გვ. 593 შმდ.

<sup>77</sup> ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I, გვ. 288.

<sup>78</sup> იხ. ვ. ს ი ლ ო გ ა ვ ა, ქართული სამართლის ძეგლები დასავლეთ საქართველოს ლაბიდარულ წარწერებში, „მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“, 1972, № 4, გვ. 146— შდრ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, გვ. 99 შმდ.

<sup>79</sup> იხ. ვ. ს ი ლ ო გ ა ვ ა ს იმავე ნაშრომში.

„აზნაურობის“ ხალხის დანარჩენი მასისაგან მკვეთრად გამოყოფასა და პრივილეგიურ წოდებად ჩამოყალიბებაზე მიგვიითებებს. ნიშანდობლივია ამ მხრივ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში დამოწმებული ცნობები აღრექრისტიანულ ხანაში პირველი ეკლესიების მშენებლობის შესახებ. დასახელებული ძეგლის ცნობით ვარაზ-ბაკურის მეფობაში (IV ს. დასასრული) „აღაშენეს აზნაურთა წრე იგი ეკლესიაჲ მცხეთას, და დაამოათაულეს დიდსა მას ეკლესიასა სოფლებითა და ქარდაგებითა ქართლს შინა“ (კელიშურში: „აღაშენეს აზნაორთა ეკლესიაჲ გრიწისა — მცხეთას და მიათლეს დიდსა მრს ეკლესიასა სოფლებითურთ“). აკად. ს. ჯანაშია ამასთან დაკავშირებით შენიშნავს: „ცხადია, რომ თუ გიორგი წმინდის ეკლესია აზნაურებმა ააშენეს, მამულიც ამ ეკლესიას აზნაურებმავე გაუჩინეს; შემდეგ — აშკარაა ისიც, რომ ეს „სოფლები“ მაშენებელ აზნაურთა საადგილმამულო ფონდიდანაა გამოყოფილი; ამრიგად, უკვე მოძრავი მამულები აქვს აზნაურობას და ეკლესიას და მათი პირვანდელი განმკარგულებელნი სწორედ „აზნაურნი“ (წარჩინებულნი) არიან“<sup>80</sup>. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში ამ აღრინდელი ხანის მიმართ დამოწმებულია სხვა ანალოგიური ცნობებიც: აზნაურებმა ააშენეს სტეფანწმინდის ეკლესია; როდესაც თბილისის მცხოვრებლებმა VI ს.-ში იწყეს დიდი ეკლესიის შენება, ნახევარს აშენებდა „ყოველიერი“, ნახევარს კი — ერისთავები და ა. შ.

ცნობილია აგრეთვე, რომ უკვე V ს-თვის ქართლის აზნაურები თვით არიან დიფერენცირებული სახით წარმოდგენილნი — „მთავრები“, „ერისთავები“ და სხვ. აზნაურთა მაღალ ფენას კმნიან; ჩვეულებრივი აზნაურების გვერდით არსებობენ „აზნაურნი დიდ-დიდნი“ (იხ. „შუშანიკის წამება“) და ა. შ. ამავე ქართლიდან ცნობილია საინტერესო ფაქტები მიწის გარშემო ბრძოლებისა ეკლესიასა და აზნაურობას შორის. ამ მხრივ საინტერესოა შიო მღვიმის მონასტერსა და ქართლის ერისთავარს შორის გაშლილი ბრძოლა<sup>81</sup>, საინტერესო მასალებს შეიცავს ამ მხრივ ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, სადაც წარმოდგენილია ის დაძაბული ბრძოლა, რომელიც VIII—IX სს-ების მიჯნაზე მიმდინარეობდა ტაო-კლარჯეთში დიდი თუ მცირე მთავრების მიერ მიწების მისათვისებლად თემების თუ ადგილობრივი წვრილი მიწისმფლობელე-

<sup>80</sup> ს. ჯანაშია, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 286.

<sup>81</sup> იხ. ს. ჯანაშია, ბრძოლა მიწის ფეოდალური მითვისებისათვის ძველ საქართველოში, შრომები, II, გვ. 438—448. — შდრ. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 101 შმდ.

ბის შევიწროების ხარჯზე. მიწის ფეოდალური მითვისებისათვის ეს ბრძოლა აკად. ს. ჯანაშიას საგანგებო განხილვის საგანი გახდა.

ის, რომ ქართლში ფეოდალური კლასის ორგანიზაცია სამამულო მიწისმფლობელობის საფუძველზე იყო მოწყობილი, ჩანს VIII ს-ში მეფე არჩილის მიერ ჩატარებული რეფორმიდან, რომელიც იძულებული გახდა სამეფო დომენშიც — კახეთშიც ამგვარი წესები შემოეღო და, ჩანს, სამეფოს სხვა რაიონებისათვის გაეთანაწილორებინა აქაური მსახურეული კლასის მდგომარეობა — მან აქაურ „ტაძრეულთ“ — სამეფო მიწებზე საკარგავების მქონე მსახურეულ წოდებას — ეს მიწა უბოძა და „აზნაურ ყენა ისინი“. როგორც ზემოთ უკვე იყო ნათქვამი, ეს ღონისძიება მხოლოდ კახეთის განსაკუთრებული მდგომარეობის ლიკვიდაციას და სამეფოს სხვა ნაწილებისადმი გათანაბრებას მოასწავებდა, სადაც პრივილეგიური წოდების მდგომარეობა დიდი ხანია ამგვარ მიწათმფლობელურ ურთიერთობაზე იყო დაფუძნებული. ამრიგად, არჩილის ეს აქტი ცენტრალური ხელისუფლების მორიგი, ერთ-ერთი უკანასკნელი, უკანდახევა იყო. სხვა მხრივ აზნაურთა სრული ბატონობის ფაქტი ქართლში კარგად აქვთ შენიშნული ძველ ქართველ მემკვიდრეებს, რომლებიც VI ს. ქართლში მეფობის გაუქმებასთან და აქ ერისმთავრობის ინსტიტუტის შექმნასთან დაკავშირებით მეტად მკვერამეტყველურ განცხადებებს აკეთებენ. სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში ჩვენ ვკითხულობთ: „ხოლო ვინათგან მოაკლდა მეფობა შვილთა გორგასლისათა, მით ყამითგან ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა“ (ქც, I, გვ. 373). საინტერესო სურათია მოცემული ჯუანშერთან ბაკურმეფის გარდაცვალების შემდეგ, „და რჩეს შვილნი მისნი წურილნი, რომელნი ვერ იპყრობდეს მეფობასა“. მაშინ სპარსეთის მეფე ურმიზდმა „მისცა ძესა თვსსა რანი და მოვაკანი, რომელსა ერქუა ქასრე ამბარვეზი. მოვიდა და დაჯდა ბარდავს, და უწყო ზრახვად ერისთავთა ქართლისათა: აღუთქვა კეთილი დიდი, და დაუწერა საერისთაოთა მათთა მამულობა შვილითი-შვილამდე, და ესრეთ წარიბირნა ლიქნითა. და განდგეს ერისთავნი და თვს-თვსად ხარკსა მისცემდეს ქასრე ამბარვეზსა“. მალე ბერძენებმა განდევნეს სპარსელები. „ესრეთ რა უცალო იქმნეს სპარსნი, მაშინ შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქუემონი, და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა, და ითხოვეს, რათა უჩინოს მეფე ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა და რათა იყვნენ ერისთავნი იგი თვს-თვსსა საერისთაოსა შეუცვალებელად. მაშინ კვისარმან აღასრულა თხოვა მათი“ (ქც, I, 217—218). მეფედ კეისარმა გამოავაზენა ქართლის მეფის მირდატი, ვახტანგის ძის, დის-

წული, მამით ბაგრატიონი, გუარამი, რომელიც აქამდე კლარჯეთისა და ჭავჭავთის მთავარი იყო. ამ გუარამს კურაპალატობის ტიტულიც ებოძა კეისრისაგან. ქართული წყარო, აქამებს რა მისი მეფობის ამბავს, აღნიშნავს, რომ იგი „მეფობდა კეთილად და უშფოთველად. არამედ ერისთავნი ქართლისანი ვერ სცვალნა საერისთვოთაგან მათთა, რამეთუ სპარსთა მეფისაგან და ბერძენთა მეფისაგან ჰქონდეს სიგელნი მკვდრობისათვის საერისთვოთა მათთა. არამედ იყვნეს მორჩილებასა გუარამ კურაპალატისასა“ (ქც, I, 221). შემდეგ მისი ძინ სტეფანოზის მმართველობაა აღწერილი და, ბოლოს, ნათქვამია: „მაშინ კუალად წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა: სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღვს პირი და შვილნი სტეფანოზისნი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა, სხუა ყოველი ქართლი დაიპყრა ადარნასე ბაკურის ძემან მთავრობით, და მეფობისა სახელი ვერცა მან იკადრა, და ერისთავნი იგი თვის-თვისსა საერისთოსა შინა მკვდრობდეს შეუცვალებელად, და მორჩილებდეს ადარნასე მთავარსა“ (ქც, I, 226). ასევე დიდად საინტერესოა მესამე ძველქართული საისტორიო წყაროს, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ჩვენება, როდესაც იგი ეხება გუარამის ქართლის მმართველად გახდომას: „ნელად-რჴ შეკრბა ქართლი, — ვკითხულობთ ჩვენ აქ, — განაჩინეს ერისთავად გუარამ“ (Опис., II, 724). აკად. ს. ჭანაშია ამასთან დაკავშირებით მართებულად შენიშნავს, რომ ეს გუარამი „თვით წარჩინებულთა მიერ „განჩენილი“, დადგენილი, დანიშნულია, თვითონაც წარჩინებულია და მემამულე, მსგავსად თავის „განმაჩენელთა“. იგი მხოლოდ ყველაზე წარჩინებულია წარჩინებულთა შორის, სხვებზე დიდი მემამულე, ერთი სიტყვით — „პრიმუს ინტერ პარეს“ (ტოლთაგან პირველი)<sup>82</sup>. როგორც ს. ჭანაშია აღნიშნავს, VII ს. დამდეგის სომხურ-ქართულ საეკლესიო მიწერმოწერიდანაც ნათლად ჩანს, რომ ქართლს იმ დროს „მთავარნი და ყოველნი წარჩინებულნი“ მართავენ<sup>83</sup>.

საინტერესოა, რომ ასეთივე წესრიგი ჩანს დამყარებული ტოკლარჯეთის სამეფოს — ძველი ქართლის სამეფოს ამ განშტოების — წიაღში უკვე მისი წარმოქმნისავე ხანაში. მაგალითად, ბასილ ზარზმელი თავის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ ასახელებს ზარზმის მიდამოებში „დიდ მთავარს“ ვინმე გიორგი ჩორჩანელს: „იყო ვინმე მთავარი დიდი და წარჩინებული“, იგი „ყოველთა ჰმატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთათა, რო-

<sup>82</sup> ს. ჭანაშია, შრომები, I, გვ. 107.

<sup>83</sup> იხ. იქვე, გვ. 106.



მელთა სივრცე საზღვართ-ვრცელ და მრავალ იყო“. ამ დიდ მთავარს ყავს თავისი „წინაშემდგომელნი“ და „საკუთარნი“. ამასთანავე რომელიმე „დიდი მთავრის“ ასეთი „საკუთარი“ თვითონ აზნაური და თვით მთავარიც შეიძლება იყოს. დიდი მთავარია ამ თხზულებაში მოხსენიებული „მირიანი, ძე ბეშქენ ბაჰლათუნდისა“<sup>84</sup>.

აშოტ კურაპალატის საგვარეულომ, როგორც ცნობილია, მალე დაინაწილა სამთავრო. ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლი სულ მალე აშოტის სიკვდილის შემდეგ ორ შტოდ იყოფა: ტაოს მეფეებისა და კლარჯი ხელმწიფეების შტოებად. ტაოს შტოც თავის მხრივ ორად გაიყო. უკვე აშოტის შემდეგ მეორე თაობაში მიმდინარეობს დაძაბული ბრძოლა სამფლობელოთა გამიჯვნისათვის, რომელიც ხშირად სისხლისმღვრელი შეტაკებების სახეს იღებს. ფორმალურად საგვარეულოში უფროსობა ტაოს შტოში იყო, მეფობაც მათ დაიმკვიდრეს. კლარჯეთის სახლი ფორმალურად ემორჩილებოდა ტაოს სახლს, მაგრამ ფაქტიურად სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის საკითხებში. აქ „დიდი მთავრის“, „მეფის“, „კურაპალატის“ ხელისუფლება, როგორც დანარჩენ ბაგრატიონ მთავრების სიუზერენისა, სრულიად ნომინალურია<sup>85</sup>.

მიჩნეულია, რომ სწორედ აფხაზთა მეფეების ხელისუფლებას უნდა გამოქცეოდა და ტაო-კლარჯეთის ხელისუფალთა ვასალობაში უნდა შესულიყო არგვეთის მმართველი ლიპარიტ ბაღვაში, რომელიც IX ს. 80-იან წლებში მკვიდრდება თრიალეთში. „მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობით ლიპარიტ ბაღვაშმა „შეიპყრნა... ქუეყანანი თრიალეთისანი, ალაგო ციხე კლდეკართა და იპატრონა დავით ბაგრატის ძე“ (ქც. I, 258)<sup>86</sup>. ცენტრალიზაციისაგან შორს იყო ტაო-კლარჯეთი თვით გამოჩენილი დავით კურაპალატის მმართველობის დროსაც — X ს. მეორე ნახევარში ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სამფლობელო ფაქტიურად სამად იყო გაყოფილი და თითოეულ მათგანს ბაგრატიონთა საგვარეულოს გარკვეული შტოს წარმომადგენელი მართავდა<sup>87</sup>.

საქართველოს გაერთიანებისათვის წარმოებული ბრძოლების ხანაში საკუთრივ შიდა ქართლის მფლობელები ამ ქვეყნის აზნაუ-

<sup>84</sup> შ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 90—96.

<sup>85</sup> იქვე, გვ. 208, 211, 214.

<sup>86</sup> ი ქ ე ე, გვ. 224 შენ. 257, გვ. 58.

<sup>87</sup> ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, „თბილისის უნივერსიტეტის შრომები“, ტ. 61, 1956, გვ. 111.

რები ჩანან, რომლებიც ხშირად კოლექტიურად გამოდიან ამა თუ იმ საგვარეულოს, ჩვეულებრივ ტბელების საგვარეულოს მეთაურობით. მაგალითად, როდესაც X ს. 20-იან წლებში აფხაზთა მეფე გიორგიმ ქართლის მმართველად თავისი ვაჟი კონსტანტინე დააყენა, ამ უკანასკნელმა განდგომა მოინდომა და: ამ საქმეში მას „შეუდგეს თანა ტბელნი და სხუანი მრავალი აზნაურნი“ (ქც, I, 267). ჩანს, სწორედ ეს უკანასკნელნი იყვნენ აფხაზთაგან დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლის ინიციატორები. როდესაც დავით კურაპალატმა ბაგრათი და მისი მამა გურგენი დასვა უფლისციხეში, წყაროს მიხედვით, საჭიროდ მიიჩნია ქართლის აზნაურთა შეკრება: „შემოკრიბნა ქართველნი აზნაურნი და უბრძანა: „ესე არს მკვდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე; ამას დაემორჩილენით ყოველნი“ (ქც, I, 274) — ჩანს, რომ სწორედ „ქართლის აზნაურებს“ განიხილავს იგი ამ ქვეყნის პატრონად. მაგრამ „ვითარ წარკდეს ამას შინა ჟამნი რაოდენნიმე, იწყეს კუალად მდგრობად ზაქულებით, ვითარცა არს ჩვეულება ქართლისა აზნაურთა“ — მათ შეიპყრეს ბაგრათი თავისი დედ-მამითურთ და კახეთში წაიყვანეს (ქც, I, 274). შემდეგში, როდესაც უკვე აფხაზეთში გამეფებული ბაგრათი (ბაგრატ III) მოინდომებს ქართლში გადმოსვლას აქაური საქმეების მოსაწესრიგებლად, „მას ჟამსა აზნაურთა ქართლისათა რომელთანე არა ენება გარდამოსლვა მისი, რამეთუ თითოეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა, დადაცათუ იყვნეს მორჩილებასა შინა გუარანდუხტისასა. იწინამძღურეს. ქავთარ ტბელთ, მოეგებნეს ბრძოლად და დაუდგეს თავსა ზედა მოღრისასა“ (ქც, I, 276). „ქართლის აზნაურნი“, ისევე როგორც „მესხნი აზნაურნი“, „ტაოელნი აზნაურნი“ (იხ., მაგ., ქც, I, 270, 291) სხვა შემთხვევაშიც გვხვდებიან ჩვენ წყაროებში ამგვარი კოლექტიური პოლიტიკური აქტების წამომწყებად და გამტარებლად<sup>88</sup>. შეიძლება აღინიშნოს, რომ X ს. ზოგჯერ აღმ. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური როლის შემსრულებლად თავს იჩენენ კახელი აზნაურებიც.

როგორი მკვეთრი კონტრასტი გვაქვს ჩვენ ქართლსა და ტაო-

<sup>88</sup> ქართლის აზნაურთა შორის თავისი ძლიერებით ტბელთა საგვარეულო გამოირჩევა. ჩანს, იგი შიდა ქართლში IX—X სს-ში პირველობას იჩემებს (იხ. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 255). საინტერესოა, რომ ტბელთა საგვარეულოს სამფლობელოს ლიახვის ხეობაში ათავსებენ, მათი გავლენის ქვეშ მთის რაიონებიცაა საგულეებელი და ეგების აქაც, თუმცა განსხვავებული ფორმითა და მასშტაბით, სახეზეა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მთიელთა ხვედრითი წონის ზრდა, რაც VIII—IX საუკუნეებში ასე რელიეფურად ჩანს აფხაზეთსა და კახეთში.

კლარჯეთში ყველა ამ მრავალრიცხოვან აზნაურთა, წარჩინებულ-  
დიდებულთა და მთავართა ყოვლისშემძლეობასა და ცენტრალურ-  
ხელისუფლებასთან მათი მტრული დამოკიდებულების ფონზე იმა-  
ში, რაც ჩვენ ვიცით აფხაზეთის შესახებ! ზემოთ ჩვენ უკვე ვილა-  
პარაკეთ აფხაზთა მეფეების მიერ ქართლის მმართველად (ერისთა-  
ვად) დაყენებული იოანე მარუშის ძის შესახებ, რომელიც გამოდის  
აფხაზი დიდებულების გარკვეულ ჯგუფთან ერთად აფხაზეთის მე-  
ფეთა ჰეგემონობით საქართველოს გაერთიანების ინიციატორად და,  
ამრიგად, ობიექტურად, აფხაზთა მეფეების ხელისუფლების დიდად  
გაფართოებისათვის მებრძოლად. მეტად ნიშანდობლივია აგრეთვე  
აფხაზეთს გამეფებული ბაგრატ III საქმიანობა. წყაროს ცნობით,  
ქართლის ამბოხებული აზნაურების დამარცხების შემდეგ მან თავი-  
სი დედა გუარანდუხტიც კი მოაცილა ქართლს, სადაც იგი, ეტყო-  
ბა, მეფის ნაცვლის როლში გამოდიოდა აქამდე და, ჩანს, უშუალო  
სამეფო ადმინისტრაციას დაუქვემდებარა ეს ქვეყანა. ამის შემდეგ  
იგი „წარვიდა ქუეყანად აფხაზეთისა. და ვითარცა ჯელოვანმან მენა-  
ვეთ-მოდლუარმან განაგო ყოველი საქმე აფხაზეთისა: რამეთუ მცი-  
რედ ამხილის ყოველთა, ვინ უკუე პოვის ურჩი, და მისსა ადგილსა  
განადიდის ერთგული და მისანდობელი თვისი“ (ქც, I, 276). მემა-  
ტიანე შემდეგში კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს აფხაზეთში ბაგრატ  
III ამ ხასიათის საქმიანობას; იგი წერს: „კუალად ვითარ წარკდეს  
ამას შინა ჟამნი რაოდენნიმე და ვითარ ვთქუ პირველვე, მოიწყუნა  
და განაგნა ყოველნი საქმენი აფხაზეთისანი: ურჩინი თვისნი შეცვალ-  
ნა დიდებისაგან და ადგილთა მათთა დაადგინნა ერთგულნი და  
მოსწრაფედ მორჩილნი ბრძანებათა მისთა“ (ქც. I, 278). ტყუილ-  
უბრალოდ არ უსვამს ამ გარემოებას ხაზს ქართველი მემატიანე,  
ეტყობა, ნათლად გრძნობს იგი იმ კონტრასტს, რასაც ბაგრატის ამ-  
გვარი საქმიანობა ქმნის საკუთრივ ქართლში დიდხნის წინათ (VI  
საუკუნიდან!) დამკვიდრებულ ვითარებასთან შედარებით, სადაც  
ცენტრალური ხელისუფლება ვერაფერს უხერხებს ადგილობრივ  
მმართველებს და ველარ ცვლის მათ (იხ. ზემოთ).

თუ აფხაზეთში ბაგრატის ამგვარი „წმენდა“ ალბათ საკვირველს  
არაფერს წარმოადგენდა და რაიმე გართულებას არ იწვევდა (ამის  
შესახებ წყაროები არაფერს ამბობენ), იმავე მიზნების (სახელმწი-  
ფო ცენტრალიზაციის) მიღწევა ქართლსა და ტაო-კლარჯეთში სი-  
სხლისღვრის გარეშე არ მოხერხდებოდა. ამიტომ არის, რომ ბაგ-  
რატს ომის გადახდა მოუხდა ქართლის აზნაურებთან, ხოლო ტაო-  
კლარჯეთში მას შემდეგ, რაც მამის გარდაცვალების შემდეგ მისი  
კუთვნილი ტაოს ნაწილი შეიერთა, მეზობელ „კლარჯ ხელმწიფეთა“

საგვარეულოს უკვე მთლად ვერაგულად მოულო ბოლო. სუმბატ დავითის ძე გვამცნობს: „და ამან ბაგრატ კურაპალატმან მოიყვანნა კლარჯნი ქელმწიფენი სუმბატ და გურგენ, ძენი ბაგრატ არტანუჯელისანი, თვისნი მამის დისწულისანი, დარბაზობად მის წინაშე ციხესა შინა ფანასკერტისასა, და მუნ შინა შეიპყრნა იგინი. და აღიხუნა ქუეყანანი და ციხენი მათნი, რამეთუ იგინი პატიმარ ყვნა ციხესა შიგა თმოგვსასა. და მუნ ციხესა შინა თმოგვსასა გარდაიცვალა სუმბატ არტანუჯელი ქრონიკონსა ს<sup>რ</sup>ლ<sup>ა</sup>. და ეგრეთვე მასვე წელსა შინა გურგენცა გარდაიცვალა, ძმა სუმბატისი, ქრონიკონსა ს<sup>რ</sup>ლ<sup>ბ</sup>, ხოლო შვილნი ამათნი წარვიდეს კონსტანტინეპოლედ, ძე სუმბატისი ბაგრატ და ძე გურგენისი დემეტრე, ბასილი მეფის წინაშე, და მათნივე შვილნი კლარჯთა მეფეთანი რომელ დაშთეს ამათ ქუეყანასა, მოისრნეს ყოველნი სიკუდილითა პატიმრობასა შინა“ (ქც, I, 382).

მართალია, აფხაზეთის სამეფოს მიმართ ჩვენთვის ცნობილია სხვა რამ — სისხლისმღვრელი ბრძოლები სამეფო ტახტისათვის, ამ ტახტის პრეტენდენტებს შორის<sup>89</sup>. მაგრამ ეს გარემოება კიდევ ერთი საბუთია ამ რეგიონში მეფის ხელისუფლების დიდი მნიშვნელობისა, მისი დიდი ხვედრითი წონისა — *primus inter pares* ტიპის ხელისუფლებისათვის ასეთი გაშმაგებული ბრძოლა უაზრო იქნებოდა.

საქართველოს გაერთიანება ბაგრატ III დროს, უეჭველია, დიდი ტეხილი იყო ქვეყნის ისტორიაში. ამის შემდეგ ერთიანი სოციალურ-ეკონომიური პროცესები იწყებენ მთელი ძალით მოქმედებას სამეფოს მთელ ტერიტორიაზე, თუმცა ნიველირების ამ მძლავრ პროცესში მაინც იგრძნობა კიდევ კარგახანს ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების თვალსაზრისით განვითარების სხვადასხვა დონეზე მდგომი სხვადასხვა რეგიონის განსხვავებული როლი.

<sup>89</sup> ერთი ასეთი ბრძოლა გაჩაღდა გიორგი I გარდაცვალების შემდეგ, რის შემდეგაც ტახტი დაახლოებით ოცი წლის მანძილზე დაიპყრო შავლიანთა დინასტიამ (З. В. А н ч а р а з д е, დასახ. ნაშრ., გვ. 123—124). IX ს. 80-იანი წლების დასასრულს აფხაზეთში ბიზანტიელთა დახმარებით მეფდება ჩამოგდებული დინასტიის წარმომადგენელი ბაგრატი (იქვე, გვ. 125). არეულობა და ტახტისთვის ბრძოლა წინ უძღოდა აგრეთვე გიორგი II (929—957) გამეფებას (იქვე, გვ. 128), დაბოლოს, დიდი ბრძოლა გაჩაღდა აფხაზეთის ტახტის გარშემო, როგორც ცნობილია, იმ პერიოდში, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს ბაგრატ III გამეფებას აფხაზეთში (978 წ.) (იქვე, გვ. 132 შმდ.). აფხაზეთის ტახტისათვის გამართულ ამ ბრძოლებში, რა თქმა უნდა, აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც აფხაზი დიდებულების ცალკეული დაჯგუფებები, ისე მუზობელი პოლიტიკური ერთეულები და თვით ბიზანტიაც.

გაერთიანებული სამეფოს წინაშე ახალი ამოცანები დადგა. უმათერესი ამათგან იყო ახლადშემოერთებული აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს შემომტკიცება. ქვეყნის საგარეო მდგომარეობის მკვეთრად გაუარესების გამო (ჯერ ბიზანტიელთა, ხოლო შემდეგ თურქ-სელჩუკების აგრესია) ამ ამოცანების შესრულება მეტისმეტად ძნელი აღმოჩნდა. ახალ პირობებში აფხაზთა სამეფოს საამისოდ ძალები აშკარად არ ჰყოფნიდა. აღვნიშნეთ, რომ ბაგრატ III შემოერთებულ რაიონებში, როგორც წესი, უშუალო სამეფო მმართველობას აწესებდა — თავის მოხელეებს — ერისთავებს ნიშნავდა. მისი მეგკვიდრის გიორგი I-ის მეფობის დასაწყისშივე კანთში გაერთიანებული სამეფოს ეს მოხელენი შეიპყრეს და კახეთი ჩამოაცილეს „აფხაზთა და ქართველთა სამეფოს“: „დაჯდა რა ესე გიორგი მეფედ, — ვკითხულობთ ჩვენ სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში, — განუდგა ამას ქუეყანა ჰერეთ-კახეთისა, და ღადრობითა აზნაურთათა შეპყრობილ იქმნეს ერისთავნი. მათ ქუეყანათ კუალადვე ეუფლნეს მათნი უფალნი, რომელთა პირველ აქუნდა იგი“ (ქც, I, 383). მართალია, ცოტა ხნის შემდეგ ჰერ-კახთ ჩვენ ეხედავთ გიორგი I-ის დამხმარეთა შორის ბიზანტიელებთან ბრძოლაში: „განძლიერდა გიორგი მეფე და მოირთო ძალი კახეთისა და ჰერეთისა“, ნათქვამია „მატიანე ქართლისაჲ“-ში (ქც, I, 285), მაგრამ „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ნუსხა — „თეიმურაზისეული“, ამას უმატებს: „რამეთუ მოიყვანნა წანარნი და შაქნი“. თუ ეს დანართი ძველი ხელნაწერებიდან მომდინარეობს, შეიძლება ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა კახეთ-ჰერეთის მთიელთა დახმარებას გიორგი მეფისადმი. რა თქმა უნდა, გამორიცხული არც ის არის, რომ გიორგის ეხმარებოდნენ თვით ის კახ-ჰერი აზნაურები, რომელნიც ადრე მას განუდგნენ და მისი ერისთავები შეიპყრეს.

კიდევ უფრო აქტიურად მოქმედებენ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ „ტაოელი აზნაურები“. სუმბატ დავითის ძე ამბობს: „და გამოვიდა ბასილი ბერძენთა მეფე, და მისცნეს მას ციხენი აზნაურთა ამა დავითისთა, და დაიპყრა ბასილი მეფემან მამული დავით კურაპალატისა“ (ქც, I, 382), ხოლო ამ ბრძოლების დასასრულს, „მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობით, გიორგი მეფემ ბასილი კეისარს „ციხენი რომელ პირველ გაეცნეს აზნაურთა დაუცალნა და მისცნა; სხუანიცა ციხენი პირველ მიცემულნი და უკანის თოთხმეტნი; და ქუეყანა, რომელი ჰქონდა დავით კურაპალატსა

ტაოსთა, ბასიანს, კოლა-არტანსა და ჭავჭავთს“ (ქც, I, 288). გიორგი I-ის მემკვიდრის ბაგრატ IV-ის მეფობის დასაწყისშიც ტაოელი აზნაურები მასიურად განუღებებიან „აფხაზთა და ქართველთა მეფეს“: „მასვე ეამსა წარვიდეს აზნაურნი ტაოელნი საბერძნეთს: ვაჩე კარიქის ძე და ბანელი ეპისკოპოსი იოვანე, და მათ თანა სიმრავლე აზნაურთა ტაოელთა“ (ქც, I, 291); მალე კიდევ შავშეთის რიგი ციხის მფლობელნი მიდიან საბერძნეთს და თავის ციხეებს ბერძნებს გადასცემენ (ქც, I, 292), ბერძნები ზოგჯერ ახერხებენ აფხაზთა და ქართველთა მეფის წინააღმდეგ დაბალი ფენების მიმხრობასაც — ასე იყო, მაგალითად, კლარჯეთში, სადაც მათ მიემხრნენ „ერნი სოფლიონი“, „მრავალნი კაცნი მის ქუეყანისანი წურილისა ერისაგან“ (ქც, I, 292). მაინც, ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი ყველა ძალა ძირითადად, როგორც ცნობილია, კლდეკარის ერისთავის ლიპარიტ ბაღვაშის გარშემო იკრიბება. ლიპარიტის გარშემო უფრო მეტად თავს იყრიან ისევ სამხრეთ საქართველოს მფლობელნი. მთელი ეს ბრძოლა თავდება იმით, რომ ლიპარიტი ერთხანს ბაგრატის სამფლობელოს დასავლეთ საქართველოთი შემოფარგლავს, ხოლო თვით, მისადმი ვასალური დამოკიდებულების აღიარების პირობით, მთელი ქართლისა და მესხეთის მემკვიდრეული მთავარი ხდება. თუმცა მალე იგი მისი ესოდენ გაძლიერების მსხვერპლი შეიქნა, ახლა უკვე მის ფაქტიურ მეფობას ვეღარ ურიგდებიან მისი ვასალები — მესხი დიდებულები, შეიპყრობენ მას და ბაგრატს მოჰგვრიან (ქც, I, 301).

გაცილებით ნაკლები გართულებები აქვს ბაგრატს დასავლეთ საქართველოში. თუ არ ჩავთვლით მისი ნახევარძმის განდგომას და მის მიერ ანაკოფიის ბერძნებისათვის გადაცემას, რაშიც თითქოს ვიღაც აზნაურთა ხელიც ერიბა (ქც, I, 295), დასავლეთ საქართველოს აზნაურობა და ლაშქარი წყაროებში ძირითადად ბაგრატის მხარდამკერის როლში გვევლინებიან. ასეთ სიტუაციაში ვხვდებით, მაგალითად, „აფხაზ დიდებულებს“ (ქც, I, 297), „აფხაზეთის ლაშქარს“ (ქც, I, 299, 304), „ქუთათისისა სამოქალაქოსა ლაშქარს და გურიელ აზნაურებს“ (ქც, I, 299), „შიდა ლაშქარს“, რაც დასავლეთ საქართველოში, დედაქალაქ ქუთაისის რეგიონში მყოფი სამეფო დომენის ლაშქარი უნდა იყოს<sup>90</sup> (ქც, I, 301), „ყოველ ლაშქარს აფხაზეთისა“ (ქც, I, 304) და ა. შ. განსაკუთრებით

<sup>90</sup> იხ. ქ. ჩხატარაიშვილი, ქართული ფეოდალური სამხედრო ორგანიზაციის ისტორიიდან („შიდა ლაშქარ:“), „მაცნე. ისტორიის არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“, 1971, № 4.

საინტერესოა, რომ „რომელთამე დიდებულთა აფხაზთა“ რჩევით ბაგრატ IV უკვე გასაქცევად გამზადებულ თბილისის ამირას შეი-რიგებინა და ამირადვე ტოვებდა<sup>91</sup> (ქც, I, 297—298). ჩანს, „აფხაზ დიდებულებს“ კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ ლიპარიტის ინი-ციტივით წამოწყებულ ამ ლაშქრობას თბილისის საამიროს გაუქ-მების შემთხვევაში მხოლოდდამხოლოდ ლიპარიტის გაძლიერება და მისი სამფლობელოს გაფართოება შეიძლება მოჰყოლოდა<sup>92</sup>.

მომდევნო ხანაში, გიორგი II და დავით აღმაშენებლის დროს, სურათი ძირითადად ასეთივე რჩება. მართალია, ერთეული გამოსე-ლები დასავლეთ საქართველოშიც ჩანს [მაგალითად, გიორგი II მე-ფობის დასაწყისში ვარდან სვანთა ერისთავი, რომელიც ქვეყნის სხვა „თავადებთან“ ერთად განუდგა მეფეს, სვანთა ლაშქრით საეგ-როს არბევს (ქც, I, 315—316)], მაგრამ მეფის წინააღმდეგ მოქმე-დების ინიციტივა კვლავინდებურად უმთავრესად ქართლიდან და მესხეთიდან მომდინარეობს. იმ მრავალრიცხოვანი ბრძოლების გვერდით, რისი წარმოებაც მეფეებს ლიხსაქეთ უხდებოთ, წყაროებ-ში ხაზი ესმევა „სიწყნარეს“ „აფხაზეთში“. მემატიანეთა მიერ გი-ორგი III შესახებ ნათქვამია: „აფხაზეთი, სუანეთი და ყოველი სა-მოქალაქო აქუნდა დაწყნარებით. და ოვსთა და ყივჩაყთა რაოდენი ათასი კაცი უბრძანის, მოვიდიან“ (ქც, I, 367); ასევე თამარის შე-სახებ აღინიშნება: „ძუელი სამეფო მათი აფხაზეთისა დაწყნარებით ჰქონდა“ (ქც, I, 369). მართალია, ამ უკანასკნელს ერთხელ მთელი დასავლეთი საქართველო განუდგა და ტახტზე აქაური დიდებულები გიორგი რუსის დასმას ლამობდნენ, მაგრამ ამის მიზეზი ცალკეა სა-ძებნი, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

XI ს. 10—80-იან წლებში, გაერთიანებული ქართული სამეფოს ამ გასაჭირის უამს, განვითარება სწრაფად უნდა წასულიყო ყველ-გან, აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც, ფეოდალთა კლასის შემ-დგომი გაძლიერების, მის მიერ ახალ-ახალი პოზიციების მოპოვების გზით. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც აფხაზთა მეფეები ქართლში, ჯავახეთსა თუ კახეთში (იხ. ზემოთ) მმართველებად თა-ვის მოხელე — ერისთავებს ნიშნავდნენ, ახლა „ქართლის ერის-თავობა“ ბაგრატ IV-სგან მიიღო, მაგალითად, მისმა დაუძინებელმა

<sup>91</sup> ამაზე აღრეც, ბაგრატ IV-ის ბ ა ე შ ე ო ბ ა შ ი ე ე, ერთხელ უკვე ლიპარიტი-სა და ივანე აბაზას ძის მიერ შეპყრობილი ამირა გამოიხსნა მეფემ და თავისსავე ადგილს დაუბრუნა — უნდა ვიფიქროთ, რომ ესეც „აფხაზი დიდებულების“ საქმე იყო.

<sup>92</sup> შტრ. შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, გვ. 51.

მტერმა ლიპარიტმა, მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა ბერძენთა ლაშქრით ომი აუტეხა ბაგრატს (ქც, I, 298). დამსახურებისათვის ბაგრატ მეფე თავის დიდებულებს ციხეებით ასაჩუქრებს: მაგალითად, სულა კალმახელს, რომელმაც შეაპყრობინა ლიპარიტი, ბაგრატმა „ამის მსახურებისა ნაცვლად უბოძა მამულობით ციხისჭყარი და ოძრკე ბოდო-კლდითა, და სხუაცა შრავალი საქონელი და სამღდელო-მოძღურონი, და რაცა უნდა“ (ქც, I, 305). ასევე ორგულობისა და განდგომისათვისაც ჯილდოდ ციხეებს ღებულობენ გიორგი II დროს ივანე ლიპარიტის ძე, ნიანია ქუაბულის ძე და ვარდან სვანთა ერისთავი — „უბოძა ივანეს სამშვილდე; და ძესა ივანესსა ლიპარიტს მისცა ლოწობანნი ნაცვლად რუსთავისა, რომელი მიეცა კახთა; და ნიანიას თმოგვ და სხუანი საქონელნი რჩეულნი; ვარდანს უბოძა ასკალანა და უთაღუბო ჭაყელთა, ივანეს სიტყვთ, უბოძა და ყოველივე ერთგული და ორგული დაფარა წყალობითა, და დაიწყნარა მეფობა თვისი გიორგი მეფემან“ (ქც, I, 316). მეორედ განდგომის შემდეგ ივანე ლიპარიტის ძე მეფემ „დაიმტკიცა კლდე-კართა და სამშვილდესა ზედა“ (იქვე). საინტერესოა, რომ მორიგი განდგომისას იმავე ივანემ გაგი წაართვა „ციხოვანთა მეფისათა“ და მიჰყიდა იგი განძის მმართველ ფადლონს (იქვე) და ა. შ.

ახალ სიტუაციაში, ახალი ამოცანების წინაშე, გაერთიანებული ქართული სამეფოს მესვეურთ აღარ ყოფნით ძალა „აფხაზეთის სამეფოსათვის“ ადრე დამახასიათებელი ცენტრალიზაციის შესანარჩუნებლად და იძულებული არიან შეურიგდნენ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში გამეფებულ ფეოდალურ დეცენტრალიზაციას, ფეოდალური კლასის ორგანიზაციას მემამულეობის და არა მოხელეობის ბაზაზე, მათ გაბატონებას ეკლესიაშიც და ა. შ. უნდა ვიფიქროთ, რომ გაერთიანებული სამეფოსათვის ამ ძნელბედობის უამს ამავე მიმართულებით მიდიოდა განვითარება თვით დასავლეთ საქართველოშიც, რის გამოც ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენი ბაზა აქაც თანდათან იზღუდებოდა.

მომდევნო პერიოდში საერთაშორისო მდგომარეობის მნიშვნელოვანმა გაუმჯობესებამ (ჯვაროსანთა ლაშქრობები და თურქებისა და ბიზანტიის დასუსტება), ერთი მხრით, და ჩრდილოეთის მეომარი ხალხების (ოსები, ყივჩაყები) სამხედრო ძალის ფართო მასშტაბით გამოყენებამ, საქართველოს მეფეებს საშუალება მისცა ენერგიულად გადასულიყვნენ ფეოდალური არისტოკრატის შეზღუდვის პოლიტიკაზე, განეხორციელებინათ ხელისუფლების მნიშვნელოვანი ცენტრალიზაცია, მაგრამ, საიმედო შინაგანი დასაყრდე-



ნი ბაზის შეზღუდულობის გამო, ამ პოლიტიკამ ბოლოსდაბოლოს მაინც მარცხი განიცადა.

ჩვენ, რა თქმა უნდა, წყაროების სიმცირის გამო, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას დეტალურად ვაჩვენოთ იმდროინდელი ქართული საზოგადოების თითოეული ფენის ხვედრითი წონა და როლი ამ დროს მიმდინარე დიდ ჭიდილში ცენტრალურ ხელისუფლებასა და დეცენტრალიზაციისაკენ მიმართულ ფეოდალურ ძალებს შორის, მაგრამ გაშლილი ბრძოლის შედეგების მიხედვით გარკვეული დასკვნების გაკეთება ძალთა თანაფარდობის შესახებ მაინც შესაძლებელია. მაგალითად, XI ს. 10—80-იანი წლების მანძილზე ცენტრიდანული ფეოდალურ-პარტიკულარისტული ძალების დიდი აქტივობა და მათ მიერ მოპოვებული წარმატებები მნიშვნელოვანწილად აიხსნება ამ უკანასკნელთა მჭიდრო და ეფექტური კავშირით უცხო ძალებთან — განსაკუთრებით ბიზანტიასთან, რომელიც ენერგიულად იღწვოდა ერთიანი და ძლიერი ქართული სამეფოს ჩამოყალიბების წინააღმდეგ. მაგრამ საკმარისი იყო ვითარების შეცვლა, განსაკუთრებით XI ს. 90-იანი წლებიდან, რომ საქართველოს სამეფოს მესვეურთ აღმოაჩნდათ საკმარისი ძალები, რათა გამკლავებოდნენ ფეოდალურ პარტიკულარიზმს. ეს კარგად ჩანს დავით აღმაშენებლის მეფობის ფონზე. ცენტრალურმა ხელისუფლებამ მის დროს, ჯერ კიდევ უცხო სამხედრო ძალის დიდი მასშტაბით გამოყენებამდე (ყოჩაყთა ლაშქარი), შესძლო დიდი წარმატებებისათვის მიეღწია. ეს ძალთა გარკვეული თანაფარდობის არსებობაზე მიგვითითებს.

სრულ დამოუკიდებლობასა და მთავრობაზე პრეტენზიების მქონე მმართველთა დათრგუნვაში (თრიალეთის საერისთავთერისთავო, კახეთის სამეფო) გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლება მნიშვნელოვანწილად, ეტყობა, დაეყრდნო თვით ამ რეგიონების ფეოდალურ წრეებს. გავიხსენოთ, რომ დიდად გაძლიერებული, ფაქტიურად მეფეზე უფრო ძლიერი ლიპარიტი შეიპყრეს და ბაგრატ IV მიჰგვარეს თვით აქაურმა დიდებულებმა: „და მცირედისა ჟამისა შემდგომად, — ვკითხულობთ „მატიანე ქართლისაჲ“-ში, — ამის სამეფოსა დიდებულთა მოეწყინა პატრონობა ლიპარიტისი. სულა კალმახელი და ყოველნი მესხნი გამოექცეს ლიპარიტს, და შეიპყრეს დლივის ლიპარიტ და ძე მისი ივანე, ხოლო ნიანია გარდაეხუეწა...“ (ქც, I, 304). ბაგრატმა ამ სამსახურისათვის „უბოძა სულას მამულობით ციხისჯუარი და ორძკე ბოლო-კლდითა და სულას მამულობით ციხისჯუარი და ოძრქე ბოლო-კლდითა და უნდა“ (ქც, I, 305), თვით ლიპარიტი ბერად აღაკვეცინა, ხოლო

მის ვაჟს ივანეს ბოლოსდაბოლოს, ალბათ ბიზანტიის ჩარევით, „უბოძა მამული არგუეთისა და ქართლისა“ (იქვე). ანალოგიურად მოხდა კახეთის სამეფოს ლიკვიდაცია დავით აღმაშენებლის დროს: „ესე აღსართან, კახთა მეფედ ქსენებული, — ნათქვამია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან, — შეიპყრეს ჰერეთა დიდებულთა, არიშიანმან და ბარამ, და დედის ძმამან მათმან ქავთარ ბარამის ძემან, და მოსცეს მეფესა. და აღიხუნა მეფემან ჰერეთი და კახეთი“, შემდეგ დავითმა მაინც ბრძოლა გადაიხადა ამასთან დაკავშირებით და „თვთმპყრობელობით დაიპყრა ჰერეთი და კახეთი“ (ქც, I, 328 — 329)<sup>93</sup>.

ამრიგად, გაერთიანებული ქართული სამეფოს მესვეურთა ესოდენ დიდი წარმატებები მხოლოდ ნაწილობრივ თუ შეიძლება განხილულ იქნეს ცენტრალისტური ტენდენციების წარმატებად. აქ ჩვენს წინაშეა რეგიონალური ცენტრალიზაციის წინააღმდეგ მიმართული და საერთო ქართული ცენტრალისტური ძალების კავშირი; ეს უკანასკნელნი წარმატებას აღწევენ პირველთა მოკავშირეობით, რაც იწვევს ფაქტიურად დეცენტრალიზაციის განმასახიერებელი უფრო საშიში ტენდენციების დათრგუნვას, ხოლო უფრო ნაკლები მასშტაბის დეცენტრალიზაციის (ფეოდალთა მიერ „მამულობით“ ქვეყნის ფლობის) განმტკიცებას. ამრიგად, საერთო ქართული სახელმწიფოს ერთიანობა იჭედებოდა და მტკიცდებოდა ქვეყნის „მამულობით“ ფლობის პირობით დანაწილების გზით, რაც მომავლისათვის მომაკვდინებელი შეიძლება აღმოჩენილიყო, და აღმოჩნდა კიდევ, საერთო-ქართული ერთიანობისათვისაც.

რა თქმა უნდა, გაერთიანებული სამეფოს ცენტრალური ხელისუფლება ამ გზით იღწვოდა მაშინ, როდესაც სხვა გზა არ ჰქონდა. სხვა შემთხვევაში იგი ყოველნაირად ცდილობდა განვითარება უკან შემოებრუნებინა, საერო და საეკლესიო დიდებულები სამეფო მოხელეებად გადაექცია. საამისო ფაქტები კარგად ცნობილია: დავით აღმაშენებელმა თრიალეთის მფლობელი ივანე ლიპარიტის ძე საბერძნეთს გადაასახლა, ხოლო რადგანაც „მამული ლიპარიტეთი უმკვდროდ დარჩომილ იყო, არამედ სხუათა მრავალთა და სამართლიანთა უსარჩლელ-მოუხუეკელთა სოფელთა თანა მისცნა დე-

<sup>93</sup> ცენტრალურ ხელისუფლებას ამ ორი დიდი სამეფო-სამთავროს ლიკვიდაციაში დავით აღმაშენებლის დროს უეჭველად ხელი შეუწყო, ჯერ ერთი, უშუალოდ ამის წინაპერიოდში თურქთა მიერ აღმოსავლეთ საქართველოს ძირიანად მოხარებაჲ, ხოლო შემდეგ თავისი ხასიათით დავით აღმაშენებლის მეტად პოპულარულმა საქმიანობამ ამ მხარეთა განსათავისუფლებლად თურქებისაგან.

დასა ღმრთისასა სამსახურებელად მისსა წინაშე მდგომელთა მის-  
თათჳს, და უზრუნველი ტრაპეზი განუჩინა“ (ქც, I, 330). შემდეგ  
ნათქვამია, რომ „თრიალეთი და კლდე-კარნი ჰქონდეს თვედორეს,  
კყონდიდელისა დისწულსა, კაცსა გონიერსა და დიდად მყოფსა“  
(ქც, I, 331). ამრიგად, დავით აღმაშენებელი თავის ძლიერ მოკავ-  
შირედ იხდის ეკლესიას, რომელიც მან, ეტყობა თვით ეკლესიის  
გარკვეულ წრეებზე დაყრდნობით, დიდგვარიანთაგან საფუძვლიან-  
ნად გაწმინდა: „რამეთუ წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი,  
ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს, და უღირსთა და უწესთა მამულო-  
ბით უფროს ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსო-  
ნი, ვითარცა ავაზაკთა, და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპის-  
კოპოსნი დაედგინნეს, რომელნი ნაცვლად სჯულთა საღმრთოთა  
უსჯულებასა აწურთიდეს მათ ქუეშეთა ყოველთა. და თვთ სახ-  
ლით უფლისათ და მღდელთაგან გამოვიდოდა ყოველი ურჯულოება  
და ცოდვა, რომელთა თუალი ღმრთისა ხედვიდა ყოველთა და გან-  
რისხებულნი იყო, ვითარცა ზემო ვთქვთ“ (ქც, I, 327). მოწვეული  
საეკლესიო კრების შედეგად „უღირსად გამოჩინებულნი განკუეთ-  
ნეს, და შეაჩუენნეს, გარდამოსთხინეს საყდართაგან, დალათუ ძნელ-  
და იყო ესე, რამეთუ იყვნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა  
შვილნი, რომელთა უწესოდ დაეპყრნეს საყდრები; და მათ წილ  
ქეშმარიტნი მწყემსნი და სათნონი ღმრთისანი დაადგინნეს...“ (ქც,  
I, 328). დავითის ამავე რიგის საქმიანობას მიეკუთნება კყონდიდელი  
ეპისკოპოსის დაწინაურება, მისი სახელოს დაკავშირება „პირველი  
ვაზირის“ — მწიგნობართუხუცესის სახელოსთან<sup>84</sup>. შემდეგ, ჩვენ ვი-  
ციტ, თუ რა ენერგიით ატარებდა ამავე რიგის ღონისძიებებს და-  
ვითის შვილიშვილი გიორგი III, როდესაც ვაზირებად და, როგორც  
ჩანს, ეკლესიაშიც აწინაურებდა „უგვარო“ ხალხს, ნაყივჩაყარებს,  
და სხვ. დავითსავე მიეწერება „მოსაკარგავე აზნაურთა“ (ე. ი. მოხე-  
ლე აზნაურთა) ფენის გამრავლება<sup>85</sup> და საერთოდ ცენტრალური სა-  
მოხელეო აპარატის ჩამოყალიბება. აქვე აღსანიშნავია მცირე (ხუთ-  
ათასიანი), მაგრამ ძლიერი, პირადი გვარდიის — „მონა-სპის“ — შე-  
ქმნა და ა. შ.

დასახელებულ ძალებს გარდა, ცენტრალური ხელისუფლების  
დასაყრდენად ჩვენ საერთოდ უნდა ვივარაუდოთ ქალაქებიც და,

<sup>84</sup> იხ. ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში. კყონ-  
დიდელ-მწიგნობართუხუცესი, წიგნში: საქართველოს ისტორიის საკითხები, III,  
ტბ., 1966.

<sup>85</sup> შ. მესხია, ძლევაჲ საყვირელი, თბ., 1972, გვ. 21.

საერთოდ, სავაჭრო-სახელოსნო საქმიანობაში ჩათრეული მოსახლეობა, რა თქმა უნდა, როდესაც ეს ურთიერთობა არ იყო გართულებული მკვეთრი რელიგიურ-ტომობრივი დაპირისპირებით (ქალაქების, კერძოდ თბილისის მოსახლეობის დიდი ნაწილი არაქრისტიანი და არაქართველი იყო)<sup>96</sup>. რამდენადაც ჩვენ მოგვეპოვება მეტად მკვევრმეტყველური მოწმობანი დავითის მხრით მამადიანთა მფარველობისა, ისინი ჩვენ, როგორც ჩანს, უნდა განვიხილოთ, როგორც მოწმობა სამეფო ხელისუფლების ზრუნვისა მის ამ პოტენციურ დასაყრდენზე — ქალაქების სავაჭრო-სახელოსნო მოსახლეობაზე.

რა თქმა უნდა, როდესაც ჩვენ ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენ ბაზაზე ვმსჯელობთ, უნდა გავერკვეთ საკუთრივ იმ საზოგადოებრივი ფენის პოზიციაში, რომლისგანაც უპირატესად დგებოდა ქვეყნის სამხედრო ძალა. ცნობილია, რომ დავით-თამარის საქართველო მაქსიმალურად იყენებდა ლაშქარში თავისუფალ მთიელებს, უცხო ტომის ხალხს (ოსები, ყივჩაყები), სამეფო დომენში შეკრებილ ლაშქარს — „შიდა სპას“, მაგრამ ძირითადი ნაწილი ლაშქრისა, უეჭველია, შედგებოდა ცალკეული ფეოდალური „ქვეყნებიდან“ ამ ქვეყნების მმართველთა თუ პატრონთა მიერ გამოყვანილი კონტინგენტებით. დამახასიათებელი სურათია გადმოცემული „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ში. როდესაც ისმის საკითხი ლაშქრობის მოწყობაზე, სამეფო კარი მოუწოდებს „ყოველთა წარჩინებულთა ამის სამეფოსათა, იმერთა და ამერთა“, ესენი სწყვეტენ ლაშქრობის მოწყობის საკითხს და მერე, ჩანს, გამოყავთ თავ-თავისი ლაშქარი (ქც, II, 104). ამ ეპოქის წყაროები ქართველთა ლაშქარზე საუბრისას, როგორც წესი, ჩამოთვლიან ცალ-ცალკე კუთხეებიდან გამოყვანილ რაზმებს, ამავე დროს, ჩანს ტრადიცია მათ სამეფო კართან სხვადასხვაგვარ სიახლოვეში მყოფად თვლიდა. ამის მანიშნებელია დასახელებული თხზულების ერთი ადგილი, სადაც ლაპარაკია, თუ რა რიგით ზვდებიან თამართან და დავით სოსლანთან აუდიენციაზე მომავალ შარვანშას — მას ზვდებიან ჯერ ოვსნი და ყივჩაყნი (ახალნი), მერე — ჰერნი და კახნი, მერე — ქართლელნი, მერე — მესხნი და თმოგველნი, შავშკლარჯ-ტაოელნი, მერე — სომხითარნი, მერე — აფხაზნი და სვან-მეგრელ-გურიელნი, რაქა-თაკურ-მარგუელითურთ, ხოლო ბოლოს „თვით კარვისა კარსა ქელისუფალნი და შინაურნი“ (ქც, II, 63—

<sup>96</sup> ქ. ჩხატარაიშვილი. შაიშმელაშვილი, დიდგორის ბრძოლა, თბ., 1973, გვ. 30 შმდ.

65), აქედან ჩანს, რომ ლაშქარში დასავლეთი საქართველოდან გამოყვანილი რაზმები შეფესთან ყველაზე ახლობელ კონტინგენტად განიხილებოდნენ.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ გაზიარებულია დებულება, რომ XI—XII სს. ადგილი ჰქონდა მდაბიო-მოლაშქრეთა ანუ ერისაგან-მოლაშქრეთა საზოგადოებრივი ფენის გაქრობის პროცესს, რომ თითქოს სწორედ ეს იყო ამ დროს „საზოგადოებრივი განვითარების პროცესის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი“<sup>97</sup>. ეს დებულება ძნელია გავიზიაროთ. მართალია, ამ ეპოქის ძირითადი შინაარსი მდგომარეობდა განვითარებულ ფეოდალიზმზე გადასვლაში, რაც გამოიხატებოდა ქვეშევრდომებზე ცალკეული ფეოდალების ძალაუფლების მაქსიმალური განმტკიცებით, ფეოდალების, სადაც ეს ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი, გადაქცევით მოხელებიდან „მამულობით“ ქვეყნის მფლობელებად და ა. შ., მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ ამზადებდა ნიადაგს გლეხთა მთელი მასის მიწაზე მიმაგრებისა და ფეოდალისადმი მათი პირადი და ეკონომიური დამოკიდებულების უკიდურესი გარმავეებისათვის, რაც დამახასიათებელია განვითარებული ფეოდალიზმის ეტაპისათვის. XI—XII სს. საქართველოში ინტენსიურად მზადდებოდა საამისო პირობები მომავლისათვის, მაგრამ არსებული სიტუაცია, რომელიც მოლაშქრეთა დიდ რიცხვს მოითხოვდა, უეჭველია, აბრკოლებდა ამ დამოკიდებულების ბატონყმურ დამოკიდებულებად გაფორმების პროცესს<sup>98</sup>. უნდა ვიფიქროთ, პირიქით, ადგილი ჰქონდა სამხედრო ვალდებულების ხვედრითი წონის ზრდას, ეკონომიური ვალდებულებების ნაწილობრივ შეცვლას მოლაშქრეობის ვალდებულებით. საისტორიო წყაროები მრავალგზის უსვამენ ხაზს საქართველოს სამეფოს მიერ წარმოებული მრავალრიცხოვანი ომების შედეგად დიდძალი ნადავლისა და ტყვეების ხელთგდებას და, ამის გამო,

<sup>97</sup> საქართველოს ისტორია, I, მაკეტი, თბ., 1956, გვ. 165; შტრ. 3. В. Аппенандзе, Из истории средневековой Абхазии (VI—XVII вв.), Сухуми, 1959, გვ. 231: «К Концу XII в. в ведущих районах Грузии побеждает крепостничество, т. е. такая форма феодальных производственных отношений, при которой уже достигнута ступень всеобщего закрепощения крестьян. Общественный слой свободных крестьян-земледельцев почти полностью исчез».

<sup>98</sup> ამიტომაც ვერ დაეთანხმებით ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოთქმულ და ამჟამად საყოველთაოდ გავრცელებულ მოსაზრებას, თითქოს XII საუკუნისათვის ბატონყმობა საქართველოში ხდებოდა სოციალურ ურთიერთობათა გაბატონებულ ფორმად — იხ. Н. А. Бердзенишвили, Очерки из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв.), Тб., 1938, стр. 1.

ქვეყნად შექმნილ საყოველთაო კეთილდღეობის სურათს გვიხატავენ — „გააზნაურდეს ქუეყანისა-მოქმედნი და გადიდებულდეს აზნაურნი და გაქელმწიფდეს დიდებულნი“ — ამბობს თამარის ისტორიკოსი (ქც, II, 34). სხვაგან თამარისავე ხანის შესახებ ამგვარ კეთილდღეობას მიღწეულთა ჩამოთვლისას „აზნაურის ყმებია“ დასახელებული, რომელნიც თურმე იმოსებოდნენ ისევე როგორც მათი პატრონი აზნაურნი (ქც, I, 368). კიდევ უფრო მეტი: ერთ ადგილას დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი „გლახებსაც“ კი იხსენიებს ლაშქრობათა აქტიურ მონაწილეებს შორის: დიდგორის ბრძოლის დროს, ნათქვამია წყაროში, „გლახთა იხილემცა, ოდეს არაბთა მეფენი მოჰყვანდეს ტყუედ. და სხუათა გოლიათათაცს რადლა რამცა გვნდოდა თქმად“ (ქც. I, 341—342). მართალია, დასახელებულ შემთხვევებში კონტრასტებზე დამყარებულ ერთგვარ ფიგურალურ თქმებთან გვაქვს საქმე, მაგრამ ისინი მაინც ნიშანდობლივია და მიუთითებენ ამ ეპოქაში ლაშქარში ზოგიერთ შემთხვევაში მაინც თვით სოციალური იერარქიის სულ დაბალ კიბეზე მდგომ პირთა მონაწილეობის შესახებ.

რა თქმა უნდა, XI—XII საუკუნეების ქარიშხლიან ეპოქაში განსაკუთრებით არამყარი მდგომარეობა იყო შექმნილი მდაბიო ხალხისათვის, მწარმოებელი მასისათვის. აქ იყო შესაძლებლობა როგორც აღზევება-დაწინაურებისათვის, ისე დამცრობისა და კალაპოტიდან ამოვარდნისათვის. სამართლიანად შენიშნავს ნ. ბერძენიშვილი ამ ეპოქაზე საუბრისას: „მდაბიორთა ოდესლაც ერთფეროვანი მასა სწრაფად იშლებოდა. ზოგი მდაბიორი მდიდრდებოდა, პატრონის წინაშე სასახელო ხდებოდა, ლაშქრობასა და ზღვება-სამსახურს აზნაურულად ასრულებდა, აზნაურდებოდა, გლახებს იჩენდა, სხვები კი (უმრავლესობა) სუსტდებოდნენ, ღარიბდებოდნენ, ვალებში ცვივდნენ, მიწა-ადგილს ჰყიდდნენ, ქვეყნისა და პატრონის მძიმე საპატიო სამსახურს ვერ ასრულებდნენ და გლახურად იბეგრებოდნენ, გლახდებოდნენ“. იქვე კარგად არის მითითებული წყარო XI—XII საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული „გლახაკობისა“ და „მეკობრეობისა“. ნ. ბერძენიშვილი ამბობს: „თუ ერთი მდაბიორი აღზევდებოდა ლაშქრობა-სამსახურის საფუძველზე, სამაგიეროდ ათეულები ღარიბდებოდნენ. სა ლ ა შ ქ რ ო ს ა ქ მ ე ს და ჩ ვ ე უ ლ ი გა დ ა რ ი ბ ე ბ უ ლ ი მ დ ა ბ ი ო რ ი გ ლ ე ხ უ რ მი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს არ კ ა დ რ უ ლ ო ბ დ ა. მ რ ა ვ ა ლ ი მ ა თ გ ა ნ ი მ ე კ ო ბ რ ე ო ბ ა ს ა მ ო ბ ი ნ ე ბ დ ა ა ნ გ ლ ა ხ ა კ ო ბ დ ა, უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა კ ი გ ლ ე ხ უ რ ა დ ი ბ ე გ რ ე ბ ო დ ა, პ ა ტ რ ო ნ ი ც დ ა ბ ე გ რ ი ლ მ დ ა ბ ი ო რ ს ა და გ ლ ე ხ ს არ ა ს ხ ვ ა ე ვ ბ დ ა ერთ-

მანეთისაგან“. აქვე ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: „XII საუკუნის მიწურულს მდაბიორ-მოლაშქრეთა საზოგადოებრივ ფენას კრიტიკული ხანა უდგა. ამას მოწმობს მეკობრეთა (ყაჩაღი, მძარცველი, ფირალი) და გლახაკთა (მაწანწალა, მათხოვარი) სიმრავლე, რაც აგრე დამახასიათებელი ჩანს განვითარებული ფეოდალიზმის ხანის საქართველოში“<sup>99</sup>. მართლაც, მეკობრეთა სიმრავლეს მოწმობს ის უმკაცრესი საგანგებო ღონისძიებები, რომელიც გიორგი III და თამარის დროს ხორციელდებოდა მათ წინააღმდეგ, მაგრამ რომელთაც მაინც ვერ აღმოფხვრეს მეკობრეობა, ხოლო გლახაკთა მრავალრიცხოვნებას მოწმობს მათ შესანახად გამოყოფილი დიდძალი თანხები: დავით აღმაშენებელმა ერთჯერობაზე გლახაკთათვის დასარიგებლად გადასცა უზარმაზარი თანხა 24 ათასი დრაჰკანი, ხოლო თამარის დროს დაკანონებული იყო „გლახაკთა ნაათალი“— მათთვის სახელმწიფო შემოსავლის მეათედის ბოქება<sup>100</sup>.

ნ. ბერძენიშვილი სამართლიანად უკავშირებს XII ს. საქართველოში გავრცელებულ ამ მოვლენებს მდაბიორ-მოლაშქრეთა (ე. ი. რიგითი თავისუფალი მწარმოებელი საზოგადოების) მასიური გადატაკების, დამცრობის პროცესს, მაგრამ, ჩვენი აზრით, არ აკეთებს ზოგიერთ დასკვნას, რაც აქედან გამომდინარეობს. ესოდენ მასობრივი „გლახაკობა“ და „მეკობრეობა“ არ შეიძლება წამოზრდილიყო მიწაზე მიმაგრებული, იურიდიულად არათავისუფალი, პირად თავისუფლებას მოკლებული გლეხობის ბაზაზე და თავისთავად არის მოწმობა იმისა, რომ ჯერ კიდევ სულაც არ იყო დამთავრებული მწარმოებელი საზოგადოების გაგლეხების, მიწაზე მიმაგრების, ბატონყმურ ურთიერთობაში ჩაბმის პროცესი, რომ იურიდიულად მწარმოებელთა ძირითად მასას ჯერ კიდევ თავისუფალი ადამიანის სტატუსი ჰქონდა შენარჩუნებული. ამაზევე მიუთითებს ამავე ეპოქაში წყაროებით დამოწმებული საინტერესო ვითარება საშოვარზე სიარულისა. „XI—XII საუკუნეებში, — წერს ნ. ბერძენიშვილი, — გარკვევით ჩანს, თუ როგორ დადიან ამ სოციალური ფენიდან გამოსულნი საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში და ეძებენ სამუშაოს „მოსარეწელად რაღსამე ღონედ სიგლახაკისა თვისისა“: ხუროები, კალატოზები, მევენახეები და სხვა დარგის მუშები<sup>101</sup>; რა თქმა უნდა, იგი მართალია, როდესაც დასძენს: „მაგრამ ესენი ერთობ ცოტა არიან იმათთან შედარებით, ვინც წარმოების

<sup>99</sup> „საქართველოს ისტორია“, I, მკვტი, თბ., 1956, გვ. 166.

<sup>100</sup> ი. კ. ვ., გვ. 166—167.

<sup>101</sup> ი. კ. ვ., გვ. 165.

ფეოდალურ წესს გამოუძევებია და რომელთა თავისუფალი შრომა მას ვერ აუთვისებია. დიდი არხების გატანა, წყალსადენების გაყვანა, მადნებზე მუშაობა, ზერებისა და ხოდაბუნების შემუშავება, გზების მშენებლობა, ზღუდე-გალავნებისა, ციხეებისა, ტაძრებისა და სასახლეების აგება, უეჭველია, დიდძალ მუშახელს მოითხოვდა, მაგრამ აქ თავისუფალი შრომის სარბიელს ზღუდავდა გლეხებისა და ტყვეების არათავისუფალი შრომა<sup>102</sup>. მიუხედავად ამისა, ასეთი თავისუფალი „მოსარეწლად“ მოსიარულე ხალხის არსებობა აგრეთვე მიუთითებს იმ წყაროს რეალურ არსებობაზე, საიდანაც გამოდიოდა ეს ხალხი — ე. ი. პირადი თავისუფლების მქონე უშუალო მწარმოებლის ფენის არსებობის მოწმობას წარმოადგენს<sup>103</sup>.

შეიძლება ისიც აღვნიშნოთ, რომ თავისუფალ მთიელთა მასაც ამ დროს ხშირად საქართველოში მეკობრე-მძარცველთა როლში გვევლინება. ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს თამარის ხანის მიმართ: ისეთი კეთილდღეობა დამყარდა ქვეყნად, რომ „ოვსმან, მთიულმან და ყივჩაყმან, და სუანმან ვერ იკადრებინ პარვა“ (ქც, I, 369). ამრიგად, ეკონომიურად შეჭირვებული და პირადად თავისუფალი მასის არსებობა აუცილებელი პირობაა ყველა ამგვარი გლახაკების, მეკობრე-მძარცველების კადრების დასაკომპლექტებლად და, ამიტომაც ქვეყნად ამ უკანასკნელთა მასიური არსებობა მისი წარმომშობი ბაზის — ამგვარი ეკონომიურად დამცრობილი და პირადად თავისუფალი მასის — მრავალრიცხოვნების არაპირდაპირ მოწმობას წარმოადგენს.

რა თქმა უნდა, XI—XII ს-ებშიც ზემოხსენებულ მდაბიო თავისუფალთა გვერდით არსებობდა არათავისუფალ მწარმოებელ-

<sup>102</sup> „საქართველოს ისტორია“ I. მკეტი, თბ., 1956, გვ. 165—166.

<sup>103</sup> ასე „მოსარეწლად სიარულის“ ყველაზე მკაფიო მაგალითად ჩვეულებრივ მიუთითებენ აქარელი ხელოსნის ბოლოკ-ბასილის საქმიანობაზე, რომელიც ჯერ თბილისის მახლობლად აშენებს ციხეს, შემდეგ ოპიზაში ხელოსნობს, შემდეგ აქარაში ხიხათა ეკლესიას აშენებს და სხვ. (იხ. აბუჯერიძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა, თბ., 1941). პროფ. შ. ლორთქიფანიძე თვლის, რომ „მართალია, აღებული ხანისათვის ჩვენ პირდაპირი მითითება არ მოგვეპოვება, მაგრამ სავარაუდებელია, რომ ასეთ შემთხვევაში გლეხი თავისი „მორეწილიდან“ ნაწილს ბატონს უხდის“ (იხ. შ. ლორთქიფანიძე, გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა (VI ს.—XIII ს. დამდეგამდე), კრებ. „ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან, ნაწ. I, თბ., 1967, გვ. 55), მაგრამ ამგვარი ვარაუდი რითიმე არგუმენტირებული არ ჩანს. ჩვენ XIII ს. შუაწლებიდანაც გვაქვს საბუთები, სადაც ჩანან თავისუფლად მავალი „კაცნი არამემამულენი“, რომლებიც ეენახის გაშენებას აწარმოებენ და ამისათვის სათანადო გასამრჩელოს იღებენ—იხ. შამხისაბერიძე ილი, საქართველო XI—XII სს-ში, თბ., 1970, გვ. 30—31.



თა — გლეხთა ფენა. იგი ამ დროს გარკვეულად უნდა გაზრდილიყო კიდევ, თუ გავითვალისწინებთ წარმატებულ ომებში ხელთგდებული დიდძალი ტყვის ნაწილობრივ მაინც მიწაზე დასმის შესაძლებლობას, მაგრამ არავითარი საბუთი არ მოგვეპოვება უკვე ამ დროს ვივარაუდოთ სოფლის მწარმოებელი მოსახლეობის მთლიანად ბატონყმურ ურთიერთობაში ჩაბმა, მათი მიწაზე მიმაგრება. ამ ეპოქიდან ჩვენამდე მოღწეულ მცირერიცხოვან საბუთებში, სადაც „გლეხი“ იხსენიება, სრულიადაც არ ჩანს, რომ ეს ტერმინი ვრცელდებოდა ქვეყნის მთელ მიწისმოქმედ მოსახლეობაზე. პირიქით, ამ ხანის დოკუმენტებში მრავლად ჩანან იურიდიულად თავისუფალი მიწისმოქმედნი. მხოლოდ XIII—XIV საუკუნეებში ხდება გლეხსა და ყმას შორის განსხვავების წაშლა, ისიც ძირითადად, რადგანაც იურიდიულად თავისუფალი მწარმოებლები დროდადრო ამ დროსაც გვხვდებიან<sup>104</sup>. უკვე XII ს. ბატონყმობის გამარჯვების დებულების მომხრეთა ერთი უმთავრესი საბუთი არის მხითარ გოშის სამართლის ის მუხლი (იხ. კოდექსის მეორე ნაწილის მესამე მუხლი), სადაც სამართლიანად არის მიჩნეული, რომ თუ კაცი, ბატონისა რაც არის, იმას დატოვებს, შეუძლია სადაც უნდა, იქ იცხოვროს. კოდექსის ავტორს მიაჩნია, რომ თუ ასე წასულ კაცს მაინც დააბრუნებენ (ეტყობა, რეალურად ასეთ ცდებს ადგილი ჰქონდა), მის შვილებს, რომლებიც სხვა ადგილას დაიბადნენ, უნდა შეეძლოთ სადაც უნდათ, იქ იცხოვრონ. რამდენადაც საყოველთაო აღიარებით მხითარ გოშის სამართალი ეხება საქართველოს სამეფოში შემავალ ჩრდილოსომხურ ოლქებს, რომელთა ანალოგიური ვითარებაა საგულისხმევი საქართველოს მომიჯნავე რეგიონში — ქართლსა და მესხეთში ყოველ შემთხვევაში, უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა ამ რეგიონში XI—XII საუკუნეებში სოფლის მიწისმოქმედი მოსახლეობის მიწაზე მიმაგრების არსებობა სავარაუდებელია, როგორც ტენდენცია, რომელსაც ჯერ საყოველთაოდ გაბატონებული მღვო-

<sup>104</sup> იხ. მ ა მ ი ს ა ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 25, 27—30. უკვე XI ს-თვის მიწისმოქმედთა ძირითადი მასის „გაგლეხების“ და მიწაზე მიმაგრების საბუთად იყენებენ ე. წ. „ზაგრატ კურაპალატის სამართალსაც“ (იხ. მ. ლ ო რ თ ქ ი თ ვ ა ნ ი ძ ე, კრებულში „საქართველო რუსთაველის ხანაში“, გვ. 33 შმდ.), მაგრამ გვიანდელი სახით მოღწეულ და მრავალ ცვლილება განცილდნ ამ ძეგლზე დაყრდნობა არ იქნება მართებული (სხვადასხვა მკვლევრის შეხედულებისათვის ამ ძეგლზე იხ. ი. დ ო ლ ი ძ ი ს „ქართული სამართლის ძეგლები“, I, თბ., 1963, გვ. 625—626; ა. კ ი კ ვ ი ძ ე, ვის ეუთვნის ზაგრატ კურაპალატის სამართლის სახელით ცნობილი სამართალი?, კრებ. „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, XVI—XVII, თბ., 1972, გვ. 228—243.

მარეობა არ უნდა ჰქონოდა მოპოვებული<sup>105</sup>; მაგრამ, რადგანაც ბე-  
ქა-აღბუღას სამართლის მიხედვით (XIV ს.) გლეხთა მიმაგრება მი-  
წაზე — ფაქტია, უნდა ვიფიქროთ, რომ ბატონყმური ურთიერთო-  
ბის გამარჯვება და გლეხთა მიწაზე მიმაგრება XIII—XIV სს. უნდა  
დასრულებულიყო, თუმცა ეს მნიშვნელოვან წილად მოამზადა სწო-  
რედ ფეოდალიზაციის პროცესის გაღრმავებამ XII საუკუნეში. ერთ-  
ერთი უმთავრესი ფაქტორი ამისა გახდა დიდებულ ფეოდალთა  
წრის სრული გამარჯვება ცენტრალურ ხელისუფლებაზე, რომელიც  
XII საუკუნის მანძილზე, და უფრო ადრეც, მთელი ენერჯით მისი-  
წრაფოდა ცენტრალისტური მონარქიის შექმნისაკენ, მაგრამ ეს,  
რიგი გარემოების გამო, ვერ შესძლო. ეს ამოცანა საქართველოში  
განუხორციელებელი აღმოჩნდა ქართული საზოგადოებისათვის ად-  
რიდანვე დამახასიათებელი მეტად ღრმა სპეციფიკის გამო, რაც  
მდგომარეობდა ადრეული ხანებიდან აქ მეურნეობის წარმოების  
კოლექტიური ფორმების ხვედრითი წონის შეზღუდულობასა და  
წარმოების პროცესის ინდივიდუალიზაციაში, რასაც თან სდევდა  
კერძო საკუთრების ინსტიტუტის მაღალი განვითარება. ეს გარემო-  
ება, იმასთან ერთად, რომ დიდი სახელმწიფოების მეზობლობა აქ  
ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების არსებობის საწინააღმდეგო  
ფაქტორად გამოდიოდა, მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ქართული  
ფეოდალიზმის „დასავლური ფეოდალიზმის“ გზით განვითარებას.  
აკად. ნ. ბერძენიშვილმა ყურადღება მიაქცია კიდევ ერთ საინტერე-  
სო გარემოებას: საქართველოს ცალკეულ „ქვეყნებად“ (საერის-  
თაო-სამთავროებად) დაყოფა, რაც ასე რელიეფურად ჩანს გვიან  
პერიოდში, მართო ადმინისტრაციული დაყოფის ნაყოფი კი არ  
არის, არამედ ძველი ტომობრივი დანაწილების მოდიფიკაციაა, რაც  
მთლიანად ვერასდროს ვერ იქნა გადალახული. ამაში ხედავდა ნ.  
ბერძენიშვილი იმის მიზეზს, რომ საქართველოს საზოგადოებრივი  
განვითარება „აღმოსავლური“ არ ყოფილა და „ქვეების“ (resp.  
„ქვეყნების“) საზოგადოებრივი მნიშვნელობა იმ ძალისა იყო, რომ  
გადაულახავ დაბრკოლებას უქმნიდა აქ აღმოსავლური დესპოტიის  
შექმნას. რა თქმა უნდა, ქვეყნის გეოგრაფიული პირობები დიდად  
უწყობდა ხელს და გარკვეულად განსაზღვრავდა ამ გარემოებას.

---

<sup>105</sup> მ. ლორთქიფანიძე, კრებულში „საქართველო რუსთაველის ხა-  
ნაში“, თბ., 1966, გვ. 45 შპდ., შტრ. А. П. Новосельцев, წიგნში: Путь  
развития феодализма (Закавказье, Средняя Азия, Русь, Прибалтика), М.,  
1972, გვ. 99 შებ. 214; А. А р у т ю н я н, Социально-экономическое положение  
крестьян в Армении XII в., «Вопросы Истории», № 8, 1952, გვ. 53—55.

ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენად შეიძლება გამხდარიყვნენ სავაჭრო-სახელოსნო წრეები და ქალაქები, მაგრამ ამ უკანასკნელთა სისუსტის გარდა აქ გარკვეულ როლს ასრულებდა საერთოდ აღმოსავლეთისათვის, მათ შორის საქართველოსათვის დამახასიათებელი მოვლენა, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ ქალაქების ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობა, როგორც წესი, ეთნიკურად (ტომობრივად, რელიგიურად) განსხვავებული იყო ქვეყნის ძირითადი მოსახლეობისაგან. ცენტრალური ხელისუფლების მეორე დიდი, საქართველოს სინამდვილეში უფრო ეფექტური, დასაყრდენის როლში გამოდიოდა მთიელთა მრავალრიცხოვანი, ფეოდალურ ურთიერთობაში ჯერ კიდევ ჩაუბმელი ან მეტად სუსტად ჩაბმული მოსახლეობა. ეს გარემოება, აზნაურთა — ფეოდალთა კლასის დაბალი ფენის მრავალრიცხოვნობასთან ერთად, ქართული ფეოდალიზმის სპეციფიკას წარმოადგენს და ასრულებდა ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება-გაძლიერების ხელისშემწყობი ერთ-ერთი ფაქტორის როლს. მთიელთა ეს მასა ფაქტიურად ასრულებდა იმავე როლს, როგორსაც თავისუფალ მეთემეთა მასა ასრულებდა სხვაგან, ფეოდალიზაციის თვალსაზრისით უფრო ნაკლებ განვითარებულ საზოგადოებებში, სადაც იგი ცენტრალური ხელისუფლების საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა. მაგრამ საქართველოს სინამდვილეში მთიელთა ამ პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობა მაინც შეზღუდული იყო. ჯერ-ერთი, თვითონ მთიელები არც ისე ხალხმრავალ მასას ქმნიდნენ და, მეორეც, მათი ეკონომიური ბაზის შეზღუდულობა ხშირად ბარის მოსახლეობის მიმართ ანტაგონიზმს ბადებდა — ვითარდებოდა ყაჩაღური თავდასხმები მთიელთა მხრით ბარის საზოგადოებაზე და, ამრიგად მთიელთა მიმართ მტრულ დამოკიდებულებაში ექცეოდა არა მარტო ფეოდალური ზედაფენა, რომელიც მთიელთა ფეოდალური ექსპლუატაციის უღელში ჩაბმას ესწრაფოდა, არამედ ბარის მწარმოებელი მოსახლეობაც, რომელიც მთიელთა თარეშის ობიექტი ხდებოდა. საყურადღებოა, რომ ძველი ქართული მატიაწე, თამარის დროს დამყარებული კეთილდღეობის სურათის დახატვისას საჭიროდ თვლის ალნიშნოს: „ოვსმან, მთიულმან, და ყივჩაყმან, და სუანმან ვერ იკადრიან პარვა. და იყო მდიდრად ესე სამეფო, რომელ აზნაურის ყმანი მათთა პატრონთა სწორად იმოსებოდეს“ (ქც, I, 369).

უეჭველია, დავით-თამარის ხანაშიც ცენტრალური ხელისუფლება ფართოდ სარგებლობდა მთიელთა სამხედრო ძალით. ზოგჯერ ამ ძალას იყენებენ თვით განმდგარი მთიელების დასამორჩილე-

ბლადაც კი — ასე იყო, მაგალითად, თამარის დროს, როდესაც აჯანყებული ფხოველებისა და დიდოელთა წინააღმდეგ ათაბაგმა მოუწოდა „ყოველთა მთიელთა“. დვალთა, ცხრაზმელთა, მოჭვევეთა ჯადელთა, ცხავატელთა, ქართალთა, ერწოთიანელთა (ქც, II, 111). მთიელებს ჩვენ ვხედავთ საქართველოს სამეფოს ფარგლებში ატეხილი სხვა საშინაო ბრძოლების მონაწილეებადაც — მაგალითად, გიორგი რუსის მხარეზე თამარის წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობასთან ერთად გამოდიან აგრეთვე „ვიეთნიმე ქართლელნიცა და სიმრავლე ყოვლისა კავკასიისა და მთეულობისა“ (ქც, II, 53). რა თქმა უნდა, მთიელთა ლაშქარი აქტიურად მონაწილეობდა აგრეთვე დავით-თამარის საგარეო ომებში.

მაგრამ დავით-თამარის დროის საქართველოს სამეფოს წინაშე მდგომი ახალი დიდი ამოცანების განსახორციელებლად — თავდაცვიდან მეზობელ მაჰმადიანურ გარემოცვაზე აქტიური შეტევის პოლიტიკაზე გადასასვლელად — საჭირო შეიქნა საქართველო-კავკასიის მთიელთა გვერდით კიდევ უფრო დიდი ძალის — ჩრდილო-კავკასიის ტერიტორიაზე არსებული ხალხმრავალი გაერთიანებების (ოსების, ყივჩაყთა) ძალის ფართოდ გამოყენება.

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა დავით აღმაშენებლის მიერ XII ს. ოციანი წლებისათვის ჩრდილო კავკასიიდან საქართველოს ტერიტორიაზე 40 000 ყივჩაყთა ოჯახის გადმოსახლება<sup>106</sup>. შემდეგშიც, ეტყობა, გრძელდებოდა ყივჩაყთა ახალ-ახალი ნაკადის გადმოყვანა, რადგანაც თამარის მეფობაში, მაგალითად, იხსენიებიან „ყივჩაყნი ახალნი“ (ქც, II, 63—65). ქართველთა ლაშქარში ამავე პერიოდში არაერთგზის იხსენიებიან „ოვსნი“ — ჩანს, ისეთივე ხასიათის ლაშქარი იმიერკავკასიიდან, როგორნიც იყვნენ ყივჩაყნი. გიორგი III-ის მიმართ წყაროში ნათქვამია, რომ „ოვსთა და ყივჩაყთა რაოდენი ათასი კაცი უბრძანის, მოვიდიან“ (ქც, I, 367); მის შესახებაა აგრეთვე ნათქვამი, რომ მან „გამოასხნა ოვსნი და ქუეყანანი დიდძალნი“ და ასე ილაშქრა სულტნის წინააღმდეგ (ქც, II, 11). თამარის დროს „ოვსნი და ყივჩაყნი ახალნი“ იხსენიებიან ერთად, როგორც ლაშქრის ყველაზე უფრო უცხო ელემენტი (ქც, იქვე, ამ ცნობის ინტერპრეტაცია იხ. ზემოთ). იმიერკავკასიელთაგან ქართველთა სამხედრო ძალად სხვა ტომის ხალხიც გვხვდება, მაგალითად, თამარის წინააღმდეგ გიორგი რუსის მხარდასაჭერად ამხედრებულ დას. საქართველოს ლაშქართან ერთად ჩვენ ვხედავთ სანიგებსა და ქაშაგებს (ქც, II, 48), უნდა ვიფიქროთ, რომ მათი

<sup>106</sup> იხ. შ. მესხია, ძლევაჲ საკვირველი, გვ. 40 შმდ.

მონაწილეობა არ შემოიფარგლებოდა მარტოოდენ საქართველოს სამეფოს შიგნით ატეხილ ბრძოლებში მონაწილეობით, ისინი ალბათ მონაწილეობდნენ ქართველთა მიერ წარმოებულ საგარეო ომებშიც.

ამ მეომარი ხალხების სამხედრო ძალის გამოყენებამ, უეჭველია, დიდი გაქანება მისცა ქართველთა სამეფოს აქტიურ საგარეო პოლიტიკას — მეზობელ მაჰმადიანურ გაერთიანებებზე შეტევითი ომების წარმოება გახადა შესაძლებელი. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან ჩვენ ვკითხულობთ: „...და განაგო მეფემან ყოველი საქმე შარვანისა, ალაგსნა კეთილითა და საბოძვართა ქურდნი, ლეკნი და თარასნი, მოვიდა ქართლად, და ყივჩაყთა თვსთა უჩინა საზამთროდ სადგური, და საზრდელი, და კაცნი ზედამდგომნი მათნი. და განაგო ყოველი საქმე ქართლისა, სომხითისა და ანისისა და ეგულებოდა გაზაფხულ ქმნა დიდთა საქმეთა და უფროსთა ლაშქრობათა, ვინათგან არავინ წინააღუდგა მას. რამეთუ თვთ სულტანი მუნ, სადა იყო, ძრწოდა შიშისაგან მისისა, და არცაღა თვთ ძუელად ქონებულთა ქალაქთა და ქუეყანათა ჰგონებდა თვსად ქონებად, არამედ რაოდენცა შორს იყო, ეგრეცა ეოცებოდა მძინარესა შიში და მღვძარესა სიკუდილი. ამისათვსცა ზედას-ზედა წარმოაღვლენდის მოციქულთა ძღუენითა დამშვდებად პირსა მისსა. რამეთუ წარმოსცნის საჭურჭლენი მძიმენი, ტურფანი, მრავალფერნი, მფრინველნი და ნადირნი უცხონი და ძვრად საპოვნელნი, და ეძიებენ მშვდობასა და სიყუარულსა და ყივჩაყთაგან არა რბევასა. ამისათვსცა არა-რას მიხედვიდეს წარსაგებელთა სიმრავლესა, ოდენმცა მუნ თვთ სად იყვის, იპოვის მშვდობა და სიცოცხლე თავისა თვსისა. და ვგონებ, ვითარმედ მამათა და პაპათაგან წაღებულნი ქუეყანანი, ტყუენი და სიმდიდრენი მრავალ-წილად უკუმოიზღუნა ამან მკნემან, დაამშვდა ქუეყანა, აღივსო და გარდაეცა ყოვლითა კეთილითა. განავსო და აღაშენა ყოველი ოკერ-ქმნილი. და გარდაემატა ყოველთა ჟამთა მშვდობითა და სიმდიდრითა სამეფო ჩუენი, ნაცვლად, გარდასრულთა ოკრებათასა“ (ქც, I, 345—346).

ყივჩაყთა ასე ფართოდ გამოყენებას, რა თქმა უნდა, არა მარტო საგარეოპოლიტიკური მიზანი ჰქონდა, არამედ იგი უეჭველად ფეოდალური დეცენტრალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და სახელმწიფო ცენტრალიზაციის განმტკიცების მეტად ეფექტური საშუალება იყო, რაც კარგად გამოჩნდა ცოტა უფრო გვიან, გიორგი III-ისა და თამარის დროს მომხდარ ამბებში.

მაგრამ არ იქნება სწორი, თუ ჩვენ უცხო სამხედრო ძალის ფართო მასშტაბით გამოყენებას მხოლოდ და მხოლოდ დადებით მოვლენად მივიჩნევთ სამეფო ხელისუფლებისათვის. ასეთი კომპ-

აქტური და დიდი მასშტაბის სამხედრო ძალა, უეპველია, გარკვეულად დამოუკიდებლად გრძნობდა თავს თვით სამეფო ხელისუფლების მიმართ. ტყუილად არ შესთხოვენ დავითს მეზობლები „ცივიჩაყთაგან არა რბევასა“. შეიძლება ეს ლაშქრობები მულამ ცენტრალური ხელისუფლების მიერ წამოწყებული და რაიმე პოლიტიკური მიზნისათვის განკუთვნილი კი არ იყო, არამედ უბრალოდ ამოდენა დაქირავებული ჯარის შესანახად განკუთვნილ ლონისძიებას წარმოადგენდა. აღნიშნული ოვსნი და ყივჩაყნი ზოგჯერ, როგორც ჩანს, საკუთრივ საქართველოს სამეფოს მოსახლეობის ძარცვასაც არ ერიდებოდნენ, რადგანაც თამარის დროს ისინი საქართველოს მთელელებთან ერთად დასახელებული არიან იმათ შორის, ვინც საყოველთაო კეთილდღეობის გამო სხვათა ქონების მითვისებას აღარ საჭიროებდა — „ოვსმან, მთიულმან, და ყივჩაყმან, და სუანმან ვერ იკადრიან პარვა“, — ნათქვამია წყაროში (ქც, I, 369). ასევე, ზოგჯერ მეფეს თავისი ყივჩაყებიდან, ჩანს, საგანგებოდ ჰქირდებოდა მათ მიერ ხელთგდებული ტყვეების (ადგილობრივ მკვიდრთა?)<sup>107</sup> გამოსყიდვა — დავით აღმაშენებლის შესახებ ისტორიკოსს ნათქვამი აქვს: „ვინ აღრიცხუნეს ტყუენი, რომელნი მან განათავისუფლნა, და რომელნი უკუმოიქსნნა თვსთა ყივჩაყთაგან ფასითა“ (ქც, I, 354), მეორე ადგილას იგივე ისტორიკოსი ყივჩაყებს ასახელებს იმათ შორის, ვინც დავითის მკვლელობასაც კი გეგმავდა არაერთხელ. იგი ამბობს: „რაოდენ-გზის ყივჩაყთა თვსთა განიზრახეს ღალატი, და განაჩინნეს კაცნი მქნენი, რომელნიმე კრმლითა, რომელნიმე შუბითა, სხუანი ისრითა; და ესე არა ერთი და ორ, გინასამ, არამედ მრავალგზის...“ (ქც, I, 362).

ნიშანდობლივია აგრეთვე არაბი ისტორიკოსის იბნ ალასირის ცნობა დავით აღმაშენებლის ლაშქრობის შესახებ შირვანში (1123 წ.). ქ. შამახისთან დავითის ლაშქრისაგან სულტანს სრული განადგურება ელოდა, მაგრამ „ღმერთმა იხსნა იგი“: მან ქართველთა და ყივჩაყთა შორის უთანხმოება და უსიამოვნება ჩამოაგდო, ისინი ერთიმეორეს დაერივნენ და მერე აიყარნენ და წავიდნენო. ივ. ჯავახიშვილის აზრით, იბნ ალასირის ეს ცნობა ქართველთა და ყივჩაყთა შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების შესახებ სწორი უნდა იყოს<sup>108</sup>. რა თქმა უნდა, ეს იყო დასაწყისი ყივჩაყთა საქმიანობისა საქართვე-

<sup>107</sup> იხ. ქ. ჩხატარაიშვილი, კრებულში: „საქართველო რუსთაველის ხანაში“, გვ. 185.

<sup>108</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948, გვ. 205—206.

ლოში. შემდეგ და შემდეგ ისინი, ჩანს, სულ უფრო და უფრო ერწყმოდნენ ქართულ სინამდვილეს და ცენტრალურ ხელისუფლებას ამოდენა საფრთხეს აღარ უქმნიდნენ. პირაქით, ეტყობა, ისინი სულ უფრო და უფრო თანმიმდევრულად ასრულებდნენ მისი დასაყრდენის როლს. ამაზე მეტყველებს თუნდაც ყიფჩაყთა მონაწილეობა გიორგი III-ის დროს დემნა უფლისწულის აჯანყების ჩაქრობაში და ამის შემდეგ ზოგი მათგანის დაწინაურება უმაღლეს სახელმწიფო პოსტებზე (ყუბასარი — ამირსპასალარი<sup>109</sup> და სხვ.).

უეჭველია, ის განუწყვეტელი შეტევითი ომები, რასაც აწარმოებდა საქართველოს სამეფო XII—XIII სს. ნაწილობრივ გამოწვეული იყო უცხო ლაშქრის შენახვის აუცილებლობით. ამ ომებს მოჰქონდა დიდძალი ნადავლი, უამრავი ტყვე, რაც აუცილებელი იყო ყიფჩაყთა და სხვა მოქირავნეთა სამსახურის ანაზღაურებისათვის. ამგვარი პოლიტიკა, ამასთანავე, საშუალებას იძლეოდა ასევე ნადავლისა და ტყვეების, ნაწილობრივ კი დაპყრობილ-შემოერთებული ქვეყნების ბოძების ხარკზე დაეკმაყოფილებინა ადგილობრივი ფეოდალური კლასის სულ უფრო და უფრო მზარდი მოთხოვნილებებიც. ასეთ ვითარებაში ქართველთა ლაშქრის როლი მატერიალური დოვლათის „წარმოებაში“ სულ უფრო და უფრო წინა პლანზე გამოდიოდა, შეტევითი ომის ხვედრითი წონა დიდად გაიზარდა ქვეყნის ცხოვრებაში. თავის მხრივ, ეს პოლიტიკა მომგებიანი ჩანდა ცენტრალური ხელისუფლებისათვისაც, რამდენადაც ლაშქარი და დიდებულნი ასეთ პირობებში ქვეყნის ერთიანობის აუცილებლობას კარგად გრძნობდნენ და ანტიცენტრალისტური საქმიანობისათვის ვერ იცლიდნენ. კარგად აქვს ეს ხაზგასმული თვით ძველ მემკვიდრეს, ბასილი ეზოსმოდვარს, როდესაც თამარის მიმართ ამბობს: „ამას ყოველსა დაუშრომელად რა მოქმედებდა, არა თვისისა ქონებისა მოქენე იყო და არცა სამეფოდ იმქირვიდა ესეოდენთა ქალაქთა და ციხეთა, არამედ თვთ მათვე მისცემდა, რომელთა აუცალოებდა, თვსთა ლაშქართა<sup>110</sup>, ვითარ წამებს დიდი და სახელგანთქმული სახლი სომეხთა მეფეთა ანისი, რომელი წარუდო სპარსთა შანშეობისა თანა მრავალყამ მათგან ქონებული, ხოლო სპარსთა სახლი სახელოვანი დვინი. და ამათ ორთა პირთათვის იქმო-

<sup>109</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948, გვ. 241.

<sup>110</sup> ამ ადგილის ინტერპრეტაციისათვის იხ. ჟ. სტეფანაძე, ტერმინ „აუცალოება“-ს განმარტებისათვის, „მაცნე. ისტორიის... სერია“, 1972, № 1.

და: პირველად, რათა მარადის გული უთქუმიდეს და შური აღწოდ  
ერთმანერთისა წარმართთა შეძინებისათვის თვისისა, და მეორედ, რა-  
თა მოუკუეთოს ყოველი მიზეზი, რომელი დაქსნის ერთგულობასა.  
და კუალად ამისთვის არა უღებებდა, რათა არა მოცილითა განსუ-  
ენებად სიჩუქენდ განსცენ თავი და სხუათა განზრახვათა დამოეკიდ-  
ნენ, ვითარცა სიმდიდრითა აღაღებულთა, ანუ ერთი-ერთისა მტე-  
რობად მოიცილიდეს და ბრძოლად, ვითარ ყვესცა ვიეთმე დაწყე-  
ბასავე ამისსა მეფობისასა მისვე დრკუსა ძირისა ნაყოფთა ლიბა-  
რიტეთთა, შვილთა კახაბერთა, რამეთუ იწყეს ძმაცუად და ბრძო-  
ლად მახლობელთა თვისთა, რომელთა არცა მხილებულთა შეიგონეს,  
არცა წყალობათაგან თამარისთა შეიკდიმეს, არამედ ძუელად  
მათთვის დაწერილი კუალად განახლდეს და კუდსა ძალისასა, გინა  
კუთხსა ფლასისასა ემსგავსებოდეს. და ქმნესცა დიდი ბოროტი: და  
ორნი ძმანი ანტონი ჰყონდიდელისანი დაკოცნეს და ამით შეაწუხეს  
მართალი იგი და განარისხეს თავთა თვისთა ზედა ლმერთი და თა-  
მარ, რამეთუ ჰალასა მდგომმან, მოუწოდა ხუთთავე, და სიბრძნითა  
თვისითა შეიბყრნა და თვთო თვთოსა ციხესა შესუა, რათამცა განი-  
წუართნეს. არამედ იგინი იგივე იყვნეს, ამისთვის ექსორია ყვნა მა-  
კედონიას საბერძნეთისასა და მუნ მოსწყდეს ყივჩაყთა მიერ კარგნი  
ჰაბუკნი ბრძოლასა შინა, ვითარცა გუესმა, ამისთვის არავის  
მიცემდა მოცალეობასა...“ (ქც, II, 130—131).

ჩვენამდე მოღწეულ საისტორიო წყაროებს დავით აღმაშენებ-  
ლიდან ვიდრე ლაშა გიორგის ხანამდე წითელ ხაზად გასდევს ქარ-  
თველთა მიერ მეზობელი მაჰმადიანური ქვეყნების რბევის, იქიდან  
უზარმაზარი ნადავლის წამოღებისა და უამრავი ტყვის ხელთგდების  
აღწერა, ამ საფუძველზე ქვეყნად შექმნილი მატერიალური კე-  
თილდებობის ფაქტის ხაზგასმა.

უკვე დავით აღმაშენებლის მეფობის დასასრულს, ყივჩაყთა  
ჯარის შექმნის შემდეგ, მეზობელ მაჰმადიან მფლობელებს თავზა-  
რი დაეკათ და „ეძიებენ მშვიდობასა და სიყუარულსა და ყივჩაყთაგან  
არა რბევასა“ (ქც, I, 346). გიორგი III-ის მიერ დვინის აღებასთან  
დაკავშირებით „ისტორიანი და აზმანი შარავანდელდანი“-ში ნათქ-  
ვამია, რომ „წარმოტყუენა ქალაქი, რომლისა სიმრავლემან ტყუე-  
თა და საუნჯეთამან დაფარა პირი ველთა და მთათა. ვინათგანცა  
აღივსო სამეფო ქალაქი ტფილისი, რომელ ტყუესა თვთო დრამად  
გინა ფუკად მომსყიდავთაგან მომსყიდელობდეს“ (ქც, II, 5—6).  
საინტერესოა ამავე გიორგის მეფობის ამბების თხრობისას მემატია-  
ნის ერთი ცნობა ამავე თხზულებაში: როდესაც მრავალი ამგვარი  
სამხედრო წარმატების შემდეგ ქვეყნად ერთხანს მშვიდობა ჩამო-



ვარდა და მეფე ნადირობით ირთობდა თავს, მისმა დიდებულებმა და ლაშქარმა მოახსენეს მეფეს, რომ ლაშქრობის გარეშე მათ არ შეუძლიათ დარჩენა: „და ვინათგან უღონო იქმნეს ლაშქარნი და დიდებულნი ამის სამეფოსანი, — ნათქვამია იქ, — მკადრებლნი (იტყოდეს) ესრეთ: „არა არს ღონე დარჩომისა ჩუენისა თვნიერ ლაშქრობისა და რბევისა“. მეფე ამ მოთხოვნას სწრაფად ეხმაურება და სარბევად უშვებს მათ: „და მომსმენელმან მეფემან წარსცნა ზავნი და ფიცნი შინა, და ესრე სახედ ილაშქრა: ლიხთ-იქით ყოფასა შინა დამსკუნელმან ლაშქრობისამან და ერთსა დღესა შინა პაემან-შემქმნელმან უბრძანა ტაოელთა, კლარჯთა და შავშთა მორბევა ოლთისისა და ბანისა, მესხთა და თორელთა — კარისა და აშორნისა, და ამირ-სპასალარსა და სომხითართა — მტკუარს აქეთ ვიდრე განძამდის: თვთ ხასაგანიანთა, ლიხთიერთა და ქართველთა — განძას დამართებით მტკურის პირი იმიერ და ამიერ ხოლთამდის, ჰერთა და კახთა — ალაზნის შესართავით ვიდრე შარვანამდის. იქმნა ესევეითარი უცხო ლაშქრობა, რომლისა სიგრძე არაოდეს ვის ეხილვა“ (ქც, II, 15—16).

თამარის დროს ასევე მრავალგზის აღინიშნება მეზობელი თუ შორეული ქვეყნების რბევა და დიდძალი ნადავლისა და ტყვეების ხელთგდება. აი როგორ არის აღნუსხული წყაროში ერთი გამარჯვების შედეგად ხელთგდებული ტყვეებისა და ნადავლის რაოდენობა: „მოიღეს ნიჭი, არმალანი და განძი აურაცხელი: კაცი (კელმწიფე-აზნაურთა მონამდის) თორმეტი ათასი, ავაზა ორმოცი, ცხენი ოცი ათასი, ჯორი შვიდი ათასი, აქლემი თხუთმეტი ათასი, დროშათა სხუათა, სიმრავლეთა საჭურჭლეთა, ოქროთა და ლართა ვინმეცა უძლო აღრიცხვად?“ (ქც, II, 73—74). განსაკუთრებით შთამბეჭდავია ქართველთა გრანდიოზული ლაშქრობა ჩრდილო ირანში, როდესაც ქართველთა ლაშქარი თავრიზს მიაღწა: „ხოჯანი, და ყოველთა წარჩინებულნი და მიმდგომნი თავრეყისანი განიზრახვიდეს, რათა ხარკის მიცემითა, და ძღუენითა და შევრდომითა და ზენარისა თხოვნითა დაამშვდნეს ქართველნი თავადნი და სპანი, წარმოავლინეს მოციქული, ითხოვეს მშვიდობა, არა მოოქრება ქალაქისა მათისა. აღუთქვეს ძღუენი: ოქრო და ვეცხლი, უამრავი თუალი პატიოსანი და მარგალიტნი ძვრფასისანი, განკვრდეს ყოველნი წარჩინებულნი ქართველთანი, ზაქარიაცა და ივანე მკარგრძელნი; აღუთქუეს მშვიდობა და უწნებელ განვლა ქუეყანისა მათისა, მოიმტკიცეს ფიცისა მიერ. მოვიდეს ყალნი, ხოჯანი, დარვეშნი და ყოველნი თავადნი თავრეყისანი, მოიღეს ოქრო და ვეცხ-

ლი, ლარი, ცხენები, ჯორი და აქლემი, თუალი, მარგალიტი, შესამოსელი, საზრდელი კმა-საყოფი ლაშქართათვს. აღივსნეს დიდი და მცირე“ (ქც, II, 105—106). შემდეგ მოთხრობილია ქართველთა ლაშქრის შემდგომი სვლა ჩრდილო ირანის ტერიტორიაზე და აქ დიდძალი დოვლათის ხელთგდება, ბოლოს ნათქვამია, რომ „მიიწივნეს ვიდრე გურგანისად ქალაქად და მოაოქრეს ქუეყანა იგი. ვერ ძალ-ედვა წიად მისლვად ალაფისაგან... ესრეთ უზომოთა და ურიცხვთა სიმდიდრითა შემოქცეულნი მივიდეს კერძოთა ერაყისათა“ (ქც, II, 107). როდესაც ერთ-ერთ დალაშქრულ ქალაქში დატოვებული ქართველთა რაზმი ადგილობრივმა მელიქმა ამოწყვიტა, ქართველნი სასტიკად გაუსწორდნენ მათ: „და ვითარ ესმა ესე ზაქარიას და ივანეს, ძლიერად გამწარდეს და ბოროტად აღუჩნდა; და შეიპყრეს მელიქი და თვსნი მისნი, და ყოველნი სიკუდილად დასაჯეს; და მოაქუდინეს თვთ იგი და შვილნი მისნი, და განჯადეს ტყავები და საყვიარსა, რომელსა მენარა უწოდეს, ზედა ჩამოჰკიდეს, და ქალაქი მოაოქრეს, მოწუეს, ტყუე-ყვეს. ხოლო სიმდიდრე რომელ წარმოიღეს შეუძლებელ სადამე არს აღრიცხვად“ (ქც, II, 108).

აღმოსავლეთისათვის (არაბები, სპარსელები და სხვ.)<sup>111</sup> დამახასიათებელი წესისამებრ ნაალაფევის 1/5 სამეფოდ აიღებოდა, ხოლო დანარჩენი ლაშქარს უნაწილდებოდა. ბასილი ეზოსმოდვართან ვკითხულობთ: „აღივსნეს ყოველნი ველნი გარემო ტფილისისა და ვერლარა იტევდა კაცსა, ცხენსა, ჯორსა და აქლემსა. და ესეოდენ მოსაწყინელიცა იყო სიმრავლე იგი ტყუეთა, ვიდრემდის შეიყვანიან ქალაქად და ერთად კუტლად ფუქისად გაყიდიან... ნამდკლვე ერმიონთასა უსახელოვნესთა მათ კაცთა, ზაქარია და ივანე, აღიღეს ფანჯიაკი სამეფოდ და განაწყვეს ველისა დიდუბისასა ავკალამდი აქლემი ყუელა ტვრითთა, ცხენი ყუელა შეკაზმული... ამისსა შემდგომად შევიდეს ქალაქად, და თვთეულმან იწყოდლუენტა მოღებად: ოქროსა და სამკაულისა, და ჭურჭელთა მისთა, თუალთა პატროსანთა და მარგალიტთა უსასყიდლოთა, ჯაჭუთა, მუზარადთა, კრმალთა ამათ გამოცდილთა, ნაქსოვთა ფერად-ფერადთა, ოქროქსოვილთა და შესამოსელთა მრავალ-სასყიდლოანთა, ცხენთა და ჯორთა, მანიაკთა ოქროსათა თუალიან — მარგალიტიანთა, სულნელთა მრავალფერთა და ალვისა ხეთა სპილენძებითა ტვრთულად. იწყეს ანაკოფის ციხით ვიდრე ციხემდღე გულისტანისა. სეფენი აზნაურთან იღივსნეს ტყვთა რჩეულითა, და ყოველ-

<sup>111</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, თბ., 1907, გვ. 50.

ნი საგანძურნი ოქროთა, ვითარცა მიწათა, და ინდოურითა ქვითა, და პატიოსანთა მარგალიტთა მიერ ურიცხუთა“ (ქც, II, 128—129).

თამარის დროს უცხო მხარეთა რბევამ, ჩანს, უფრო ორგანიზებული ხასიათი მიიღო და გეგმაზომიერად სწარმოებდა. ახლა ლაშქრისა და დიდებულების მოთხოვნით კი არ ხდებოდა ლაშქრობათა წამოწყება, როგორც ეს გიორგი III-ის დროს მოხდა (იხ. ზეშოთ), არამედ სისტემატური მეთვალყურეობა იყო დაწესებული გარემო ქვეყნებზე და მოსარბევი ქვეყნები ვლინდებოდა „მონაპირეთა“ — ე. ი. სასაზღვრო ოლქთა მმართველების მიერ: „მონაპირეთა მონახიან საქმე, ანუ ციხე ასაღებელი, ანუ თურქმანი შემოდგომილი, ანუ ქალაქი განსატეხელი, ანუ ქუეყანა მოსარბეველი, შოაკსენიან თამარს და მან გასინჯის საქმე იგი და გამოიკითხის. უკეთუ ღირს იყვის შეყარასა ლაშქართასა, უბრძანის ზაქარიას და ივანეს და შეყარნიან ლაშქარნი...“ (ქც, II, 130).

მამა-პაპის მიერ მოპოვებული პოზიციების დაკარგვას შიშმდგანიცდის მეფე ლაშა გიორგი და ცდილობს არ დაუშვას ეს. მეფის ეს საქმიანობა, ამასთანავე, დიდად ახარებს „ყოველთა წარჩინებულთა სამეფოსათა“. ასე მოხდა, როდესაც განძის ათაბაგი განუდგა საქართველოს და შეწყვიტა დადგენილი ხარკის ხდა. ლაშა გიორგიმ მოუწოდა „ყოველთა სპათა საქართველოსათა იმერთა და ამერთა“ და ილაშქრა განძაზე, რის შედეგადაც განძის ათაბაგმა კვლავ იკისრა „ხარკი პირველი“ (ქც, II, 152—154).

ივ. ჭავჭავაძის მიერ უცხო ქვეყნების ამ განუწყვეტელ რბევას, ნადავლისა და ტყვეების მოპოვების მიზნით წარმოებულს, ერთგვარად მორალური კრიტერიუმით აფასებს და ჰკიცხავს კიდევ: „სამწუხაროდ, — წერს იგი, — ძლევამოსილებამ და დიდძალმა დავლამ, რომელიც მოჰქონდათ ხოლმე ქართველ მეომრებს მტრის ქვეყნითგან, იმდენად გაიტაცა და წაახალისა საქართველოს მხედრობა, რომ სულ ლაშქრობის ნატურაში იყვნენ. ჭარი და მხედართმთავარნი ომიანობას ისე მიეჩვივნენ, რომ ხანგრძლივი მშვიდობიანობის მოთმენა არ შეეძლოთ... ამიტომ იყო, რომ ქართველები ზოგჯერ სრულებით უმიზეზოდაც აუტეხავდნენ ხოლმე ომს, როგორც მაგ., გიორგი III დროს, როდესაც ლაშქრის დაინებითი თხოვნის გამო მეფე იძულებული იყო თითქმის ყველა მეზობლებისათვის ომი გამოეცხადებინა. ომიანობას ქართველები ზოგჯერ ისე უყურებდნენ, როგორც გასართობსა და საკაბუკო საქმეს. როდესაც მაგ., ტახტის მემკვიდრე ლაშა-გიორგი დაიბადა, იქმნა გალაშქრება... ბედსა და სუესა ზედა ლაშასა“ (ისტორიი და აზმნი \*660, გვ. 448). ხოლო როდესაც ამგვარი „მიზეზი უმიზეზ-

ზო“-ც არ არსებობდა და სახელმწიფოში სრული მშვიდობიანობა სუფევდა, მაშინ ლაშქრობის საჭიროების დასასაბუთებლად ისეთს უცნაურს მოსაზრებასაც კი ებლაუჭებოდნენ, რომ ომიანობა საჭიროა, „რათა არა ცუდად დავიწყებასა მიეცეს სიმკნე სპათა“ საქართველოსათო (იქვე, \*711, გვ. 515). რამდენად გათამამებულები იყვნენ საქართველოს მხედართმთავარი და ომი გასართობად მიაჩნდათ, იქიდგანაც ნათლად ჩანს, რომ ლაშა-გიორგის დაბადების დროს ჯერ ტახტის მემკვიდრის ბედზე არაწი ილაშქრეს ბარდავამდის, მრავალი ტყვე და საუნჯე ჩაიგდეს ხელში, მერე კი „ათავისუფლეს სამბევერობა ტყუეთა დღეგრძელობისათუჟს თამარისა და ძისა მისისა“ (ისტორი და აზრნი \*660, გვ. 448), თუმცა 30 000 ტყვის განთავისუფლება დიდი სიკეთე და ბედნიერებაა, მაგრამ რა საჭირო იყო არანელთა დაწიოკება, თუ ამგვარი სათნოებით აღკურვილნი იყვნენ საქართველოს მმართველნი? ქართველთა ამგვარი ქცევა, მეზობლების ქვეყნებში შექრა და ხშირი ლაშქრობა, ერთი სიტყვით ამნაირი აგრესიული მოქმედება დიდი შეცდომა იყო იმიტომ, რომ ტყუილ-უბრალოდ მეზობლებში სიძულვილს იწვევდა. რასაკვირველია, სანამ ქართველთ ძლევამოსილება ხელთა ჰქონდათ, მეზობლებს სხვა რაღა დარჩენოდათ, თუ არ ძლვენი და პირმოთნეობა. ამიტომაც იყო, რომ „ყოველნი გარემოს [მყოფნი] მეფენი, ქალაქნი და ამირნი ძლუნითა და ხარკითა მოამშვიდებდეს პირსა მკნეთა სპათასა“ (ისტორი და აზრნი \*698, გვ. 495). მაგრამ როდესაც კი მოხერხებულ დროს და გარემოებას მოესწრებოდნენ, მაშინ უეჭველია მთელ თავის ჯავრს ამოიყრიდნენ. გრძობათა გამწვავება ტყუილ-უბრალოდ მით უმეტეს არ იყო სასურველი, რომ ნამდვილად ქართველები მოსაზღვრე თურქ მმართველებს და სამფლობელოებს ებრძოდნენ, მათ ქვეყნებს იპყრობდნენ, მაგრამ მაჰმადიანობასთან და მათი სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლა ფიქრადაც არ მოსვლიათ...“<sup>112</sup>.

რა თქმა უნდა, არ არის სწორი, როდესაც ავტორი ქართველთა ამ საქმიანობას „ტყუილ-უბრალოს“ ეძახის. ნამდვილად, როგორც ზემოთ ითქვა, იგი ორგანულად აუცილებელი იყო იმ სისტემისათვის, რომელიც ფუნქციონირებდა ამ დროის საქართველოს სამეფოში. შეიძლება ნაწილობრივ აღნიშნული საქმიანობის იგივე ჩავახიშვილისეული „დაწუნებიდან“ მოდის ქართველთა ამ საქმიანობის

<sup>112</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948, გვ. 304—305.

უარყოფითი შეფასება უფრო გვიანდელ ისტორიოგრაფიაში. ასე, მაგალითად, „საქართველოს ისტორიის“ 1956 წ. გამოქვეყნებულ მაკეტში<sup>113</sup> ნ. ბერძენიშვილი წერდა: „საზოგადოებრივ განვითარებაში კრიზისს მოწმობდა ქართველთა ლაშქარში შექმნილი მიდრეკილება ქონების შექმნის მიზნით მეზობელი ქვეყნების ბოლომოუღებელი რბევისადმი“. მამისა ბერძენიშვილთან კი ვკითხულობთ: „XII ს-დან, რაკი საქართველოს პოლიტიკური უპირატესობა მეზობლებზე ცხადი გახდა, ამიტომ ამ ქვეყნის მიერ წარმოებულ ომები ქართველთა გამარჯვებით მთავრდებოდა. გამარჯვებით დამთავრებული ომი კი მდიდარი დავლისა და ალაფის შოვნის საწინდარი იყო. ალაფი და დავლა გახდა ქართველთა ლაშქრის მოქმედების სტიმული. ლაშქრობა მოლაშქრეთა ფიზიკური ძალის გამოსამყვანებელ და შემოსავლის ადვილ წყაროდ იქცა. ამიტომ უკვე გიორგი III-ის დროს ლაშქარი და დიდებულები ასეთ პრეტენზიას უყენებენ მეფეს: „არა არს ღონე დარჩომისა ჩუენისა თვნიერ ლაშქრობისა და რბევისა“. თამარის დროს, როდესაც ლაშქრობაში ძლევა უკვე ჩვეულ საქმედ იქცა, ლაშქრობის წადილი უფრო და უფრო მოუთმენელი ხდება. ლაშქრობის მოწყობას სახელმწიფო უმაღლესი სამხედრო წრე იმით ასაბუთებს, რომ „არა ცუდად დავიწყებასა მიეცეს სადმე სპათა შენთა (ე. ი. თამარის) საქმენი“, ხოლო თვით ლაშქარი იქამდეა მისული, რომ ძალით იჩერებს თავს სახლში უომრად: „ყოველი მკედარი... რომელნი ძალით იპყრობდეს თავთა შინა თვსთა“. ყოველივე ეს კი ერთ-ერთი ნიშანი იყო არსებულ საზოგადოებრივი წყობის მოქველებისა“<sup>114</sup>.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დასახელებული მოვლენა სრულიადაც არ იყო ქართველთა ლაშქრის „ტყუილუბრალო“ გატაცება ომით, იგი იმეამად საქართველოს სამეფოს შიგნით შექმნილი ვითარების კანონზომიერი შედეგი იყო.

რა თქმა უნდა, ამ სამეფოს წიაღში მიმდინარეობდა ღრმა პროცესები, მოქმედებდა ღრმა წინააღმდეგობანი: ერთი შეხედვით საქართველოს სამეფო დიდი სამხედრო სახელმწიფო გახდა, რომელიც მნიშვნელოვანწილად მეზობლების რბევითა და ექსპლუატაციით ცხოვრობდა. ამით იგი დიდ აღმოსავლურ შონარქიებს ემსგავსებოდა, რომლებიც ასეთსავე პოლიტიკას ახორციელებდნენ.

<sup>113</sup> საქართველოს ისტორია, I, მაკეტი, თბ., 1956, გვ. 175.

<sup>114</sup> მამისა ბერძენიშვილი, საქართველო XI — XII საუკუნეებში, თბ., 1970, გვ. 153.

ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებას თითქოს ხელი უნდა შეეწყოს სახელმწიფო ცენტრალიზაციის განმტკიცებისათვის და ქართული ფეოდალიზმის „აზიური“ ანდა ასევე საკმაოდ ცენტრალიზებული ბიზანტიური ფეოდალიზმის რელსებზე გადაყვანა უნდა გამოეწვია. ამ უკანასკნელათვის არსებითია სამოხელეო არისტოკრატის პრევალირება, ფეოდალური ურთიერთობის უღელს გარეშე მყოფი მდაბიო თავისუფალთა — შოლაშქრეთა ფენის არსებობა და სხვ. საქართველოს სამეფოს ცენტრალური ხელისუფლება მართლაც ცდილობდა განვითარება ამ გზით წაეყვანა. ამ მხრივ ყველაზე მეტად ნიშანდობლივია დავით აღმაშენებლისა და გიორგი III-ის ბრძოლა ქვეყანაში „დიდგვარიანთა“ მონოპოლიის ლიკვიდაციისათვის, „უგვართა“ დაწინაურება („ნაყივჩაყარი ყუბასარი“, „აზნაურის ყმა აფრიდონი“ და სხვ.), ცენტრალური სახელმწიფო აპარატის (სავაზირო) გაძლიერება და მის სათავეში ჭყონდიდის უბისკოპოსის ჩაყენება, „მოსაკარგავე აზნაურთა“ (მოხელე აზნაურთა) ფენის გაძლიერება, რეპრესიები საერო თუ საეკლესიო დიდებულთა მიმართ, ფეოდალური სიუზერენ-ვასალიტეტის სისტემის გარეშე მდგომი ლაშქრის შექმნა (ყივჩაყთა, ოსთა და სხვათა დაქირავებული ჯარი, სამეფო გვარდია — „მონა-სპა“) და ა. შ.

მაგრამ აღმოსავლეთისაგან და, თუნდაც, ბიზანტიისაგან სრულიად განსხვავებული ვითარების გამო ამ ცდებმა წარმატება ვერ ჰპოვა. კერძო საკუთრების ინსტიტუტი აქ ისე მაღალგანვითარებული და ფეოდალიზაციის პროცესი ისე შორს წასული იყო, რომ „აზიური ფეოდალიზმისათვის“ დამახასიათებელი ცენტრალიზაციის რელსებზე გადასვლა უტოპია გამოდგა. ძალთა თანაფარდობა აქ აშკარად დიდებულთა (მსხვილ ფეოდალთა) მხარეზე იყო, რომელთაც ქვეყანა სულ უფრო და უფრო განვითარებული ფეოდალური საზოგადოების გზით მიჰყავდათ, სულ უფრო და უფრო აღრმავებდნენ ფეოდალიზაციის პროცესს. ყველაფერი ეს მკაფიოდ გამოჩნდა იმ მრავალრიცხოვან შინაპოლიტიკურ ბრძოლებში, რომლებითაც ასე მდიდარია XII საუკუნის მიწურულის საქართველოს ისტორია.

იმ ძალთა შესახებ, რომელსაც ქვეყნის შიგნით შეიძლებოდა ცენტრალური ხელისუფლება დაყრდნობოდა, ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ. როგორც ითქვა, ეს ძალები საკმაოდ მძლავრი აღმოჩნდა იმისათვის, რომ დროდადრო ცენტრალურ ხელისუფლებას ერთი შეხედვით გადამწყვეტი გამარჯვებებისათვის მიეღწია, მით უმეტეს, რომ მან ჰპოვა კიდევ ერთი მძლავრი მოკავშირე — უცხო ტომის ლაშქრის სახით (ყივჩაყები, ოსები). ცენტრალური ხელისუფლების

ამგვარ გამარჯვებათა მაგალითს წარმოადგენს დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა, რის შესახებაც გაკვრით ზემოთ არაერთხელ იყო საუბარი (ცენტრალური სამმართველო აპარატის — სავაზიროს განმტკიცება და მის სათავეში ჭყონდიდის ეპისკოპოსის დაყენება, სამოხელეო („მოსაკარგავე“) აზნაურთა ფენის გაძლიერება, ეკლესიაში „წარჩინებულთა შვილების“ მიერ მიტაცებულ თანამდებობებზე უბრალო წარმოშობის პირთა დანიშვნა, რომელნიც „ქეშმარიტნი მწყემსნი და სათნონი ღმრთისანი“ იყვნენ (ქც, I, 328) და ა. შ.), მაგრამ, ეტყობა, დროთა განმავლობაში ყველაფერი უღმობლად ისევ თავდაპირველი მდგომარეობისაკენ მიიმართებოდა, რაკი გიორგი III-ს თავისი მეფობის ბოლოს კვლავ გადამწყვეტი ოპერაციის ჩატარება მოუხდა ამ მიმართულებით. როდესაც საქართველოს ლაშქრის მხედართმთავარმა ივანე ორბელმა მოინდომა გიორგი III-ის ტახტიდან ჩამოგდება და მასზე თავისი სიძის — უფლისწულ დემნას დასმა, მეფის უყოყმანო ერთგულებას უპირატესად უგვარონი და უხანონი (ე. ი. ახალკაცნი) შერჩინენ<sup>115</sup>. როგორც ცნობილია, აქტიური როლი დემნა უფლისწულის აჯანყების ჩაქრობაში შეასრულა ყივჩაყთა რაზმმაც, რომელსაც ყუბასარი ედგა სათავეში. ეს უკანასკნელი აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მეფემ სამეფოს მთავარსარდლად — ამირსპასალარად დანიშნა. „აღზევებულ იქნა ბევრი სხვა უგვაროც“, მაგალითად, „აზნაურის ყმა“ აფრიდონი მსახურთუხუცესი გახდა, შეიძლება ასევე ამ დროს დაწინაურდა მეჭურჭლეთუხუცესად ყუთლუ-არსლანიც, რომელიც, თუ მისი უცხო იერის სახელის მიხედვით ვიმსჯელებთ, ქართულ გარემოში დიდი ხნის წინ მოხვედრილი კაცი არ უნდა ყოფილიყო. ვაზირთა სათავეშიც თამარის მეფობის დასაწყისში ჩანს სამეფო კარის ერთგული ანტონ გლონისთავის ძე—ჭყონდიდელი და მწიგნობართუხუცესი (ქც. II, 25), რომელიც იმავე „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ში დახასიათებულია როგორც „გ ა ზ რ დ ი ლ ი მ ა მ ი ს ა მ ა თ ი ს ა“ (ე. ი. თამარის მამის, გიორგი III-ის), პ ა ტ რ ო ნ თ ა თ ვ ს ს ვ ა ნ ი და ე რ თ გ უ ლ ი“ (ქც, II, 32—33). აღნიშნულ ანტონს

<sup>115</sup> ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, წიგნში: საქართველოს ისტორია, I, მეექვსე, თბ. 1956, გვ. 177. მეფის წინააღმდეგ ამბოხებაში უმთავრესად აღმ. საქართველოს, აგრეთვე სომხეთის დიდებულნი ჩანან ჩათრეული; მეფემ ყივჩაყთა და სხვ. ძალთა გარდა, აჯანყების ჩაქრობისას დაიხმარა მთიელნიც — კერძოდ, „ყოველნი ჰერნი სრულთა ლეკითა და კავკასითა“ — იხ. ივ. ქ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 240—243.

ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა, უეპქველია, გიორგი III-ის დროს ჰქონდა მიღებული.

მაგრამ სულ მალე დიდებულებმა მუსრი გაავლეს გიორგი III-ის მიერ სახელმწიფოს მართვის სათავეში დაყენებულ, სამეფო ტახტის ერთგულთა ამ დასს. თამარის გამეფებისთანავე, როგორც ცნობილია, ადგილი ჰქონდა დიდებულთა ენერგიულ დემარშს, რასაც ყუბასარისა და აფრიდონის გადაყენება მოჰყვა. „ისტორიანი და აზმანი შარავენდედთანი“ აღნიშნავს: „ამას ესევითარსა შინა დაწყებასა წყალობისასა იმიერთა და ამიერთა, ზემოთა და ქუემოთა შუდთავე თემთასა იწყეს რომელთამე ძუელებრი კაცთა დაუდგრომელობისა შე[მსგავსებული] საქმე; და დიდებულთა ვიეთმე ქელისუფალთა ყვეს ფიცი ესრეთ, ვითარმედ: „აღარ ვეგებით ძუელთა ქელისუფალთა და გამგებელთა საქმისათა ფარმანსა ქუეშე მყოფნი, ვინათგან მათგან დაძრკვილნი და უნატოდ გაძეულნი ვართ, და გუარიანნი და მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახელოდ გასრულ ვართ უგუაროთა და უქმართაგან“. დაღათაჲცუ ერთგული და კარგი მოყმე და ჰბატუცი იყო ყუბასარ, გაზრდილი პატრონთაგან, და იყო ამირსპასალარი და მანდატურთ-უხუცესი, გარნა სენისა მიერ ფილენჯად წოდებულისა მოღებოდა ენა, ჰელი და ფერჯნი და აწვეს მეფესა თამარს მოღებად ყოვლისა დიდებულისა ჰონებისა და სიმდიდრისა, გარნა უქმ იქმნა განზრახვა მათი, ვინათგან თამარი სახიერ იყო და მოწყალე, მოიქსენა სიყუარული, სამსახური და ზრდილობა მისი, თვნიერ ჰელისუფლობისა და ლორისაგან კიდე არა რა დააკლო, და ეგრეცა სიყუარულითა დიდითა და პატივითა დაიჰირა დღემდი მიცვალებისა. კუალად აფრიდონ, აზნაურისა ყმობისაგან ღმრთის მობაძაობითა კაც-ჰმნილი, მიიწია მსახურთ-უხუცესობამდის, თმოგვისა და სხუათა ციხეთა და ქუეყანათა პატრონობამდის აღზეებული, — მოიშალა და დაიმკო ნებითა და თნევითა ლაშქართათა“ (ქც, II, 30).

დაემხო აგრეთვე თვით უპირველესი ვაზირი — ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი ანტონ გლონისთავის ძე. „ისტორიანი და აზმანი შარავენდედთანი“ აღნიშნავს, რომ ქართლის კათალიკოსმა მიქაელ მირიანის-ძემ მოსტაცა მას ჰყონდიდლობა (ქც, II, 32), ხოლო ბასილი ეზოსმოძღვართან ნათქვამია, რომ აღნიშნულ ქართლის კათალიკოსს „მოევერაგა უფლისაგან“ „ჰყონდიდელ-მაწყუერელობა და მწიგნობართ-უხუცესობა“ (ქც. II, 118). ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა (პირველი ვაზირის, ვაზირთა უპირველესის საკელოს დაკავშირება „ჰყონდიდლობასთან“, ე. ი. ჰყონდიდის ეპის-



კომოსობასთან) ცენტრალური ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური სვლა იყო საერო თუ საეკლესიო დიდებულებთან, მათ შორის ალბათ ქართლის (მცხეთის) ეკლესიის მესვეურებთან ბრძოლაში. ამიტომაც სამეფო ხელისუფლება ასე ადვილად ვერ შეეღწეოდა ამ საკუთარ გადასვლას ქართლის კათალიკოსების ხელში. თამარმა, ეტყობა, სცადა მიქაელის გადაყენება, მაგრამ ეს ვერ შესძლო. მან სპეციალურად გამოიწვია იერუსალემს მყოფი, ჩანს, მიქაელ მირიანის ძის მიერ ქართლის კათალიკოსობიდან გადაყენებული, ნიკოლაოზ გულაბერის ძე და სცადა მისი აღდგენა კათალიკოსის ტახტზე, მაგრამ ვერ მოახერხა. თამარის მიერ მოწვეულ საეკლესიო კრებაზე, რომელზედაც ზემოაღნიშნული ნიკოლაოზ გულაბერის ძე და ანტონი ქუთათელი საღირის ძე მოთავეობდნენ, შეეცადნენ ზემოაღნიშნულ მიქაელ მირიანის ძის გადაყენებას, მაგრამ „გერა განაყენეს, დაღაცათუ ფრიად იღუაწეს“, მხოლოდ „სხუანი ვინმე უბისკოპოსნი შეიცვალნეს და მათ წილ საღმრთონი კაცნი დასხნეს“ (ქც, II, 118—119). ყოფილი ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი ანტონი გლონისთავის ძე ამ დროს, ჩანს, გარეჯის მონასტერში იყო გაქვევებული ბერად (ქც, II, 122).

სამეფო ხელისუფლებაზე ასეთი ენერგიული შეტევის ქაშს თავი იჩინა კიდევ ერთმა მოძრაობამ, რომლის ხასიათი დღემდე მთლად ნათელი არ არის და მკვლევართა შორის ბევრ დავას იწვევს. საქმე ეხება მეჭურჭლეთუხუცეს ყუთლუ-არსლანის გამოსვლას. ამის შესახებ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ გვაუწყებს: „და ესეცა უცხო მოსაგონებელი: ყუთლუ-არსლან, ცხოვარმან ჯორის სახ[ედ] ორ ბუნებისა მყოფელმან, ვითარ მისცემს ბიჭთა გონებისა მზაკუარება, მომღებელმან წესსა რასამე სპარსთა განაგისსა, ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისანისასა და სანახებსა სალოდებლისასა და თქუა: „დასხდომილნი მუნ შიგა, განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვკადარებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა; მაშინლა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩუენი“. ესე ვიეთ საწყენელ იყო — დასასრულისა კელმწიფობისა პატრონისასა მიმცემელი — ესრეთ იწყინა, და გაიკვრვა, და გაიგონა უკლებელმან გონებითა და საუნჯემან სიბრძნისამან და მოიღონა კელით გდება თავისა მის მოქმედთასა და, თანამზრახველ მყოფელმან ერთგულთა და საკუთართა მისთამან, შეიპყრა ყუთლუ-არსლან, მეჭურჭლეთ-უხუცესი და აწ თავისა თვისისა ამირსპასალარად და სომხითს სომეხთა მეფისა ადგილსა ლორეს დაჯდომად განმზადებული. და ვითარცა ცნეს ესე ლაშქართა თანა-

შეფიცულთა და თანაშემწეთა მისისა მის გზად-გამყუელობისა და უკეთურებისათა, შეიყარნეს და უკუადგეს თამარს, დაადგინეს ახალი სიმტიკე ყუთლუ-არსლანის გაშუებულობისა და, არა მიშუეებისა ვნებად მისსა მეტყუელნი, განემზადნეს ისანისაცა შემობმად: გარნა ვინათგან ჯელი საუფლო და მკლავი მაღალი შემწე და თანამბრძოლ [ქენებოდა] მბრძოლთა მათ მისთა, და მის წილ აზღებელი ჭურისა და ფარისა ეკუეთებოდა დამკობად წინააღმდეგომთა მისთა, ცუდ სამე იქმნა განზრახვა მათი, ვითარ განზრახვა აბიათარ მღდელისა და იოაბ სპასპეტისა, რომელნი ეთანებოდეს ორნიას, ძმასა სოლომონისსა; და ამას შინა თამარ, წარმგზავილმან ორთა საპატიოთა დიოფალთამან, რომელი იყო ერთი ხუაშაქი ცოქალი, დედა ქართლისა ერისთავთ-ერისთავისა რატისი, და ერთი კრავაჲ ჯაყელი, დედა აწ მყოფთა სამძივართა, უბრძანა ფიცით მინდობა და სხვსა არავისი ბრალობა. და მოჰყვეს დიდებულნი ბრძანებასა პატრონისასა და წინაშე მოსრულთა დავრდომით თაყუანისცეს, აღიღეს ფიცი პატრონისაგან და მისცეს მათ პირი ერთგულობისა და ნების-მყოფლობისა მათისა“ (ქც, II, 30—32).

აკად. ნ. ბერძენიშვილი ყუთლუ-არსლანის გამოსვლას თამარის მეფობის დასაწყისში ზემოხსენებულ დიდებულთა გამოსვლების რიგში ათავსებს და იმავე რიგის მოვლენად განიხილავს. „ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური მოთხოვნების მიზანი, — წერს იგი, — იყო ისეთი სახელმწიფო წყობილების შექმნა, რომელშიაც რეალური ძალაუფლება ერთხელ და საბოლოოდ მოექცეოდა დიდგვარიან აზნაურთა ხელში; აღარ იქნებოდა შიში მეფის თვითმპყრობელური მიდრეკილების წინაშე: ძირძველ დიდგვარიან აზნაურთა ინტერესი საიმედოდ იქნებოდა დაცული და უხანო-უგვაროებს აღზევება-დაწინაურების გზა მოჭრილი ექნებოდათ; მეფე დიდგვარიან აზნაურთა ტყვე იქნებოდა. ყუთლუ-არსლანის ეს პოლიტიკური პროგრამა იყო შემდგომი განვითარება, მაღალი საფეხური იმ საუკუნოვანი ბრძოლისა, რომელსაც ფეოდალური ოპოზიცია აწარმოებდა მეფის თვითმპყრობელური მიდრეკილების წინააღმდეგ“<sup>116</sup>.

აკად. ნ. ბერძენიშვილის ამ თვალსაზრისს ვერ დავეთანხმებით. ჩვენი აზრით, სწორი უნდა იყოს აკად. ივ. ჯავახიშვილი, როდესაც ეკვობს, რომ ყუთლუ-არსლანი გიორგი III-ის პოლიტიკით უკმა-

<sup>116</sup> საქართველოს ისტორია, I, მაკეტი, თბ., 1956, გვ. 180. დიდებულთა გამოსვლად თვლიდა ყუთლუ-არსლანის გამოსვლას აგრეთვე, პროფ. გ. სოსელია—უფრო დაწვრილებით საკითხის ისტორიოგრაფიის შესახებ იხ. შ. მ. ე. ს. ი. ა. საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, გვ. 101 შმდ.

ყოფილო დიდებულთა წრეს ეკუთვნოდეს. იგი აღნიშნავს, რომ ყუთლუ-არსლანი მეკურკლეუხუცესი იყო, ე. ი. თვითონ ვაზირი; ამიტომაც, „შეუძლებელია იგი გაფიცულ დიდგვარიან აზნაურთა-ჯგუფში ყოფილიყო, რომელიც თავის თავს „უპატივოდ და უსახელოდ გასულად“ სთვლიდა და გულნატკენი იყო, უმაღლეს მოხელეობას არ გვადირსესო“. ის გარემოებაც, რომ წყაროში იგი „ბიქად“ არის წოდებული, ივ. ჭავჭავიძის აზრით, მაინცადამაინც მის მაღალწოდებულობას არ ამტკიცებს. იგი ყურადღებას აქცევს იმასაც, რომ ყუთლუ-არსლანი გიორგი III-მ გაავაზირა, იგი ვაზირად დემნას განდგომის დათრგუნვის შემდგომ ჩანს. ამიტომაც, ივ. ჭავჭავიძე ფიქრობს, რომ ყუთლუ-არსლანი არამცთუ იმ დიდგვარიან აზნაურთა ჯგუფს არ ეკუთვნოდა, რომელმაც ივანე ორბელის მეთაურობით დემნას განდგომა მოაწყო, არამედ იგი გიორგი III-ის პოლიტიკის მომხრე მოღვაწე უნდა ყოფილიყო<sup>117</sup>. შეიძლება ჩვენ ისიც დავუმატოთ, რომ მისი საკმაოდ უჩვეულო და იშვიათი სახელიც შეიძლება მოწმობდეს, რომ ყუთლუ-არსლანი ქართულ გარემოში დიდი ხნის წინ მოხვედრილი კაცი არ უნდა ყოფილიყო, — იგი შეიძლება ქალაქის აღმოსავლური წარმომავლობის სავაქრო წრეებიდან გამოსული პირიც კი იყო. ასეა თუ ისე, ნაკლებ სავარაუდებელია, რომ ყუთლუ-არსლანის გამოსვლა წარმოადგენდა დიდებულთა ერთ-ერთ გამოხდომას, რომელთაც ყუბასარისა და აფრიდონის დამხობის შემდეგ თანამდებობებისა და ხელისუფლებისათვის ურთიერთ შორის ბრძოლა გააჩაღეს (როგორც შემატიანე ამბობს: „და ბრძოლამყოფთა კელისუფლობისა და დიდებისათვის ურთიერთს დაუწყეს ზიდვა“ — ქც, II, 30).

უფრო ის უნდა ვიფიქროთ, რომ ყუთლუ-არსლანის დასის ესოდენ რადიკალური პროგრამით გამოსვლა ნაკარანხევი იყო შექმნილი სიტუაციით — საერთოდ ალბათ დიდგვარიანთა წინააღმდეგ განწყობილ, ცენტრალური ხელისუფლების მომხრეთა ამ დასს იმ პირობებში, როდესაც ცენტრალური ხელისუფლება ფაქტიურად ჰკარგავდა მმართველობის სადავეებს და მასზე ორიენტაცია უპერსპექტივო ჩანდა, სურდა ძალაუფლების ხელში აღება, რომ დაკნინებული სამეფო ხელისუფლების ნაცვლად და მისი სახელით ემართა ქვეყანა. თუ ეს ასეა, ყუთლუ-არსლანის დასში ჩვენ ძირითადად აქამდე ცენტრალური ხელისუფლების მომხრე ძალები უნდა ვიგულებოთ: ქალაქის სავაქრო-ხელოსნური წრეები, წარჩინებულ სა-

<sup>117</sup> ივ. ჭავჭავიძის, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 249.

გვარეულოთა ზოგიერთი წარმომადგენელი (კერძოდ, ჯაყელებისა<sup>118</sup> და სურამელების საგვარეულოებიდან? — ეგებ ამიტომ აგზავნის თამარი აჭანყებულებთან მოსალაპარაკებლად ამ საგვარეულოთა წევრ მანდილოსნებს), შეიძლება აგრეთვე უცხო ტომის დაქირავებული ლაშქრის ზედაფენა და სხვა ამგვარი ელემენტები. მაგრამ ამგვარი აქცია დიდად ნაადრევი იყო და ქართველ მემკვიდრეებს ჰქონდა საფუძველი ეთქვა მასზე: „და ესეცა უცხო მოსაგონებელი!“ „მესამე წოდება“ იმდროის საქართველოში იმდენად სუსტი და არაორგანიზებული იყო, ფეოდალური უღლის გარეთ დარჩენილი ფენა მნიშვნელოვნწილად ან უცხო ტომის ხალხის ან დეკლასირებული ელემენტებისაგან (გლახაკნი, მეკობრენი) შედგებოდა, რომ მას არ შეეძლო ხელთ აეღო მმართველობის სადავეები თვით ან აბსოლუტური მონარქიის დასაყრდენი ბაზა გამხდარიყო. გამარჯვების შემთხვევაშიც კი, უნდა ვიფიქროთ, ძალაუფლების ხელში ჩამგდებნი მალე თვით დაეპატრონებოდნენ ახალ-ახალ სამოხელეო თანამდებობებსა და ქვეყნებს, ე. ი. ისეთივე ვითარება შეიქმნებოდა, როგორც შეიქმნა კიდეც, იმ განსხვავებით, რომ ქვეყნის მართვა-გამგეობის სადავეები სხვა პირთა ხელში აღმოჩნდებოდა. მაინც, თვით ფაქტი ამგვარი შეზღუდული მონარქიისა და ერთგვარი პარლამენტის შექმნის პროგრამით გარკვეული პოლიტიკური დასის გამოსვლისა უაღრესად საინტერესოა და იმდროინდელ საქართველოში არსებული ღრმად სპეციფიკური ვითარების მოწმობაა<sup>119</sup>.

უნდა ვიფიქროთ, ყუთლუ-არსლანის გამოსვლის მარცხი განაპირობა ძალთა განწყობილებამ — დიდებულთა, განსაკუთრებით დიდ-

<sup>118</sup> ანდა, შეიძლება სამძივართა საგვარეულოდან: თამარის მიერ აჭანყებულებთან მოსალაპარაკებლად გაგზავნილი ერთ-ერთი მანდილოსანი — კრავაჟ ჯაყელი — სამძივრის ცოლი იყო, იგი იყო „დედა აწ მყოფთა სამძივართა“ (ქვ., II, 32). ამ საგვარეულოსა და თორელთა სახლთან მისი მიმართების შესახებ იხ. ნოღარშოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრებ. „შოთა რუსთაველი. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი“, თბ., 1966.

<sup>119</sup> «Всемирная история»-ს მე-3 ტომში ყუთლუ-არსლანის გამოსვლასთან დაკავშირებით ნათქვამია: «Кутлу-Арслан, опиравшийся на купечество, добивался учреждения сословно-представительной палаты с законодательной властью, но эта попытка горожан была подавлена феодалами» (გვ. 488). დიდად აფასებს ივ. ჯავახიშვილი ყუთლუ-არსლანის მოთხოვნებს, თელის რა მათ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გაყოფის მოთხოვნად, პარლამენტის შექმნის ცდად (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 249—251). პროფ. შ. მესხია თვლიდა რომ ყუთლუ-არსლანის გამოსვლაში ჩვენ შეიძლება თბილისის მოსახლეობის ზედა ფენის კლასობრივი ბრძოლის გამოვლენა დავინახოთ (იხ. შ. მესხიას საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, გვ. 101).

გვარიანთა უდიდესი ნაწილი კმაყოფილი იყო მიღწეულით და ახლა მარტო დიდ-დიდი თანამდებობებისათვის ექიშებოდა ერთმანეთს. სახელმწიფო ძალაუფლება თითქმის მთლიანად მათ ხელში გადავიდა. სიმპტომატურია, რომ თამარმა ვერ შესძლო მიქაელ კათალიკოსისათვისაც კი წაერთმია მის მიერ მიტაცებული „პირველი ვაზირის“ (კყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის) სახელო. საინტერესოა წყაროს მიერ ხაზგასმული გარემოება, რომ თამარმა ვაზირებად ესა თუ ის პირი დაამტკიცა, უმაღლეს სახელმწიფო პოსტებზე ხალხი დანიშნა „თანადგომითა და ერთ-ნებაობითა დიდებულთა შვდთავე სამეფოთათა“. ეს ნიშნავს, რომ ახალი ვაზირები და სპასპეტნი, მეფის მიერ დამტკიცებულნი, არჩეული ყოფილან ყველა დიდებულთა ერთიანი სურვილის შესაბამისად, ხოლო მეფემ „ბრძანა დამტკიცებად“ ამ ერთ-ნებაობისა (იხ. აგრეთვე ცნობები დიდ ლაშქრობათა გამო დიდებულთა ბკობისა და განგების შესახებ)<sup>120</sup>.

1191 წელს კიდევ ერთ დიდ მოძრაობას ჰქონდა ადგილი საქართველოში. ეს მოძრაობა სამეცნიერო ლიტერატურაში, ვფიქრობთ, არ არის ყოველმხრივ შეფასებული<sup>121</sup>, თუმცა იგიც ბევრ საინტერესო საკითხს სვამს მკვლევართა წინაშე. საქმე ეხება საქართველოს სამეფოს ერთი ნაწილის აჯანყებას თამარის წინააღმდეგ, რომელსაც მიზნად ჰქონდა გიორგი რუსის ხელახლა გამეფება.

თამარის საქმროთა არჩევაც, როგორც ცნობილია, დიდებულთა განსჯის და გადაწყვეტის საგანი გახდა. დიდებულთა არჩევანიც ორივეჯერ, შემთხვევითი არ არის, რომ ისეთ კანდიდატებზე შეჩერდა (გიორგი რუსი, დავით სოსლანი), რომელთა უკან რეალური რამ ძალა მაინცდამაინც არ იდგა. ქვეყნად გაბატონებულ დიდებულებს ამგვარი მეფეები აწყობდათ. მიუხედავად ამისა, გიორგი რუსი, რომელიც 1185 წლის დამლევეს შერთეს თამარს, უკვე 1187—1188 წლებში საქართველოდან გააძევეს<sup>122</sup>. ჩვენი წყაროები („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულება) ერთხმად ამ გაძევების მიზეზად გიორგის ცუდ ქცევას, „სოდომურ ცოდვას“ და სხვ. ასახელებენ. მაგრამ, რამდენადაც სულ მალე მას

<sup>120</sup> ივ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 253.

<sup>121</sup> პროფ. შ. მესხია 1191 წლის აჯანყებას თვლიდა დიდვაჰართა წრეებისა და ძლიერი ცენტრალისტური ხელისუფლების მოწინააღმდეგე დიდგვარიანთა გამოსვლად (იხ. შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, გვ. 141); თბილისის საეპარქო წრეებს უკავშირებს ამ გამოსვლას აგრეთვე რ. მებრეველი — იხ. მისი წერილი ეურნალში „მაცნე“. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“, 1973 წ., № 4.

<sup>122</sup> ივ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 259.

ნახევარი საქართველო მიემხრო და თამარის ნაცვლად, ჩანს, ტახტზე აყვანას უპირებდა (თამარს ამ დროს უკვე მეორე ქმარი ჰყავდა და, მაშასადამე, წარსული მდგომარეობის — თამართან ერთად მეფობის — აღდგენა გამორიცხული იყო), უნდა ვიფიქროთ, რომ იგი არც ისე ძლიერ კომპრომენტირებული იყო. ამიტომ მის გადაცემაში გარკვეული როლი, საფიქრებელია, პოლიტიკურ მოტივებსაც უნდა შეესრულებინა. ეგებების ძველი რუსეთის სამეფოს განსხვავებულ პირობებში გაზრდილი გიორგისთვის უცხო იყო დიდებულთა ესოდენი მძლავრობა და ამას არც მალავდა. ბუნებრივია, ამის გამო მას ამ უკანასკნელთა მხრით ანტიპათია უნდა დაემსახურებინა და მისი გადაცემაც მათი აქტიური მხარდაჭერით და, ეგებების, სულაც მათი ინიციატივით უნდა მომხდარიყო. წყარო ამ საქმის მომწყობთა სახით პირდაპირ „ვაზირებსა და დიდებულებს“ ასახელებს (ქც, II, 41). ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ ის გარემოება, რომ გიორგი რუსის ხელახლა გამეფებისათვის ბრძოლამ ფაქტიურად მიიღო დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ფეოდალთა შეტაკების სახე. ვრცლად არის ეს ამბავი გადმოცემული „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ფურცლებზე (ქც, II, 48—55). კონსტანტინეპოლიდან კარნუ-ქალაქში ჩამოსული გიორგი რუსი ხვდება აქ საქმიანი მისიით ჩამოსულ „მეკურკლეთუხუცესის ნაცვალს“, რომელსაც წყარო უწოდებს „სჯულითა ბარბაროზს და ქევეითა ტარტაროზს, კეთილთა და ჰამოთა პატრონთაგან სრულწყლიანს (ე. ი. გაბედნიერებულს)“. მემატინე ამის შემდეგ აღნიშნავს: „[მი უ]ღ გ ე ს ი მ ი ე რ ნ ი, რ ა თ ა [რ უ ს ი] ს ა ს ა ხ ლ ე ს ა შ ი ნ ა [შ ე ყ ვ ა ნ ი ლ] ყ ო ნ“ (ქც, II, 48). როგორც ძირითადად იმერთა (ე. ი. ლიხს იქითა საქართველოს, დასავლეთ საქართველოს) განდგომა, კვალიფიცირებული აქვს ეს აჩანყება თამარის მეორე ისტორიკოსსაც — ბასილი ეზოსმოდვარს. მას ნათქვამი აქვს: „ამას ეამსა მცირედ რამე აღიძრნეს იმერელსუანნი მსგავსად ჩუეულობისა ურჯულობისა და რუსი მოიყვანეს, რეცა კულად განსამეფებლად. ეუბნებოდეს მესხთაცა მირთვასა, რომელი ვერა უძლეს, არამედ უფროსლა შეიმტერნეს. გააქცივეს და წავიდეს სირცხვლეულნი, რამეთუ ღმერთი თამარისათვს მოურნეობდა“ (ქც, II, 122). „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ იმათ შორის ვინც მხარი დაუჭირა გიორგი რუსს, ასახელებს „კლარჯეთისა და შავშეთის“ პატრონ გუზანს, სამცხის სპასალარს ბოცოს, მაგრამ მთავარი ფიგურა ამ საქმეში, რა თქმა უნდა, იყო „ვარდან დადიანი, მსახურთ-უზუცესი, ლიხთ-აქით პატრონი ორბეთისა და კაენისა, ლიხთ იქით ნიკოფსამდის უცხოლობლად ქონებისა, და თვთ

ქუეშისა ციხესა მყოფი, მაგარსა და მტერთაგან უვნებელსა“. წყარო განაგრძობს: აღნიშნული ვარდან დადიანი „წარვიდა და მივიდა გეგუთს, რეცა პატრონისა წადილითა. შეყარა ყოველი სუანეთი და აფხაზეთი, საეგროი, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაკუერი და არგუეთი. მომრთველმან სანიგთა და ქეშიგთამან აფიცა რუსისა გამეფებისა და მისის მეფე-ყოფისათვს დიდებულნი და ლაშქარნი ქუეყანისანი“ (ქც, II, 49). როგორც ვხედავთ, ეს იყო ფაქტიურად დასავლეთ საქართველოს (აღრეული ნომენკლატურით „აფხაზეთის“) გამოსვლა. სამაგიეროდ თამარის გარშემო შემოიკრიბნენ აღმოსავლეთ საქართველოსა და ჩრდილო სომხეთის ფეოდალები. თამარი, წყაროს თქმით, „მბრძანებელ ექმნა ყოველთა ერისთავთა ერთგულთა, ვინაცა შემოკრბეს სპასალარნი და დიდებულნი ჰერეთით, კახეთით, ქართლით, სომხითით და სამცხით“ (ქც, II, 51). თამარის ლაშქარს ამირსპასალარი გამრეკელი და მხარგრძელები მეთაურობდნენ. გიორგი რუსის მომხრეთა ერთ რაზმს, რომელმაც ქართლში შემოაღწია, შეუერთდნენ „ვიეთნიმე ქართველნიცა და სიმრავლე ყოვლისა კავკასიისა და მთეულობისა“. ამათ წინააღმდეგ გამოვიდნენ „თვთ ჭიაბერი მანდატურთ-უხუცესი, ჰერნი და კახნი, დიდებულნი აზნაურნი, თანადართვითა ყვიჩაყთათა, და შეყრილთა ქართლისა ერისთავისა და ქართველთა დიდებულთა. წინაძღუანვითა დავით მეფისა სკანისათა“ (ქც. II, 53). განდგომილნი, როგორც ცნობილია, დამარცხდნენ. თამარმა დაასაჩუქრა მხარდამჰერნი და მაინც-დამაინც არ დაუსჯია განდგომილი ლიხთიმერნი დიდებულნი. იბტორიკოსი ამბობს: „და ლიხთ-იმერთა დიდებულთა, შემნანებელთა შეცოდებისათა და მოაჩეთა შენდობისათა, ითხოვნეს ცხოველნი ხატნი და თვთ დედოფალი რუსუდან მათ წინაშე საყოფელად, კათალიკოსი, მანდატურთ-უხუცესნი და სხუანი ეპისკოპოსნი შინაური-თურთ სახელდებულთ. ვინაცა გარდამოვიდეს სუანნი დიდებულნი და მკევენი და გარდამოიტანეს რუსი, მეფე-ყოფილი, და მისცა დედოფალმან სიმტკიცე პირველად რუსის უვნებელად გაშუებისათვს, და მერმე მის ჟამისა შეცოდებისათვს არას შენანებისა, და წარმოდღუანეებითა დედოფლისათა მოვიდეს ნაჭარმაგვეად და რუსი, იჯანეს მისანდობელად მოთხოველი, წარვიდა, მასვე მისსა სუე-უბედურსა გზასა გაემართა, და შეიქმნა მშვდობა, სიხარული და ერთობა, რომელი არაოდეს სადა ვის უხილავს. და „ერთბამად ძოვდეს ლომი და ქარი, და იხარებდეს ვეფხი თიკანთა თანა, და მგელი ცხუართა თანა“ (ქც, II, გვ. 54—55).

არ შეიძლება არ მიიქციოს ყურადღება იმან, რომ გიორგი რუსის მომხრეთა ბანაკი თითქოს ბევრად უფრო დიდ მასივს მოიცავდა,

ვიდრე თამარის ბანაკი. გიორგი რუსთან იყო თითქოს მთელი დასავლეთ საქართველო ნიკოფსიიდან დაწყებული ლიხის მთამდე (სვანეთი, აფხაზეთი, საეგრო, გურია, სამოქალაქო, რაქა, თაკვერი, არგვეთი), მესხეთის ნაწილი, მას მიემხრნენ ზოგიერთი ქართლელნიც და, რაც მთავარია, მის მხარეზე იბრძვიან თითქოს დასავლეთ და აღმოსავლეთ კავკასიონის მთიელებიც: სანიგები, ქაშაგები, „სიმრავლე ყოვლისა კავკასიისა და მთეულობისა“. თამართან დასახელებული არიან: მესხთა ნაწილი, ჰერეთი, კახეთი, ქართლი, სომხითი, ყივჩაყები. ამიტომაც გაკვირვებას იწვევს ის სიადვილე, რომლითაც მეფის ჭარებმა მოახერხეს გიორგი რუსის მომხრეთა დამარცხება. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ უკანასკნელებმა ვერ შეძლეს ზემოაღნიშნულ მხარეთა სამხედრო ძალის სრული მობილიზაცია და ალბათ საგანგებოდ სანდო, ერთგული რაზმების გამოყვანით შემოიფარგლნენ. საქმე ეხებოდა, ჩანს, ძირითადად დასავლეთ საქართველოს ფეოდალთა ასეთი რაზმების შემოკრებას. მთელი მოსახლეობიდან ლაშქრის გამოყვანა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ალბათ საშიში წამოწყება იყო. ეს კიდევ უფრო გვარწმუნებს იმაში, რომ გიორგი რუსის გამეფებისათვის ბრძოლას ძირითადად ჰქონდა იმ ფეოდალური წრის გამოსვლის ხასიათი, რომელიც უკმაყოფილო იყო სახელმწიფოში ფეოდალურ პრივილეგიათა არსებული განაწილებით. ამიტომაც გასაგებია, თუ რატომ ასრულებდნენ თამარის (ე. ი. არსებული სიტუაციის) წინააღმდეგ ამბოხებულთა შორის წამყვან როლს სწორედ დასავლეთ საქართველოს ფეოდალები (აზნაურობა, დიდებულნი, ლაშქრის ზედაფენა).

აშკარაა, რომ გიორგი რუსის გასამეფებლად წარმოებულმა ბრძოლამ დასავლეთ საქართველოს ფეოდალთა ამბოხების ხასიათი მიიღო აღმოსავლეთ საქართველოსა და ჩრდილო სომხეთის ფეოდალთა წინააღმდეგ. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთ ორ ბანაკად გათიშვა მოხდა იმის მიხედვით, თუ ვინ იყო კმაყოფილი თამარის მეფობის დასაწყისში შექმნილი სიტუაციით და ვინ არა. ჩანს, დასავლეთის ფეოდალური წრეები უკმაყოფილოთა ბანაკში ყოფილან. რას წარმოადგენდა ეს სიტუაცია, ჩვენ ზემოთ უკვე დავინახეთ — ეს იყო დიდგვარიან ფეოდალთა მიერ მთელი საერო თუ საეკლესიო ძალაუფლების ხელში ჩაგდება. თუ გავითვალისწინებთ აგრეთვე ზემოთ არაერთგზის ხაზგასმულ გარემოებას, რომ ფეოდალიზაციის პროცესი აღმოსავლეთ საქართველოში (ისევე როგორც მასთან სოციალურ-ეკონომიური განვითარების თვალსაზრისით მეტად ახლო მდგომ ჩრდ. სომხეთში) ბევრად უფრო ღრმად წასული იყო, ვიდრე დასავლეთ საქართველოში, რომ ფეოდალთა კლასს, კერძოდ, მის



ზედაფენას, აღმოსავლეთში ბევრად უფრო მტკიცე და გაბატონებული პოზიციები ჰქონდა მოპოვებული, ვიდრე დასავლეთში, ბუნებრივი ჩანს, რომ დიდგვარიან ფეოდალთა გაბატონება საქართველოში ამავე დროს მოასწავებდა აღმოსავლეთ საქართველოსა და ჩრდილო სომხეთის ფეოდალთა გაბატონებას და მათი პოზიციების განმტკიცებას. ბუნებრივია, რომ დასავლეთ საქართველოს ფეოდალები, რომელთაც ჯერ ამგვარ პრივილეგიებისათვის ვერ მიეღწიათ, უკმაყოფილონი იქნებოდნენ შექმნილი ვითარებით და თავისი მიზნების მიღწევას ეგების ცენტრალური ხელისუფლების დაკნინების წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით შეეცდებოდნენ. გიორგი რუსის პოლიტიკა, უნდა ვიფიქროთ, აგრეთვე ამგვარ მიზანს ისახავდა, თუმცა რეალურად რას მივიღებდით მისი ბანაკის გამარჯვების შემთხვევაში — არც ისე ადვილი სათქმელია. უნდა ვიფიქროთ, რომ დასავლეთ საქართველოს ფეოდალური წრეების მიზანდასახულობა ამ დროს უკვე რეალურად შორს იყო ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების დავით აღმაშენებელ — გიორგი III-ისეულ იდეალებისაგან და არსებითად ისეთივე პრივილეგიების მოპოვებას ისახავდა მიზნად, რაც გააჩნდათ აღმოსავლეთის ფეოდალურ წრეებს. ამიტომაც, საფიქრებელია, გიორგი რუსის ბანაკის (resp. დასავლეთ საქართველოს ფეოდალთა) გამარჯვების შემთხვევაშიც განვითარება იმავე გზით წავიდოდა, როგორც აქამდე მიდიოდა.

რაც შეეხება იმას, რომ თამარი და დავით სოსლანი, ე. ი. სამეფო კარი, ამჯერად აღმოჩნდნენ ფეოდალური დეცენტრალიზაციის მოსურნე ბანაკში, გარეგნულად ეგების სწორედ ცენტრალიზაციისათვის მებრძოლი ძალების წინააღმდეგ, სავსებით გასაგებია, რადგანაც მათ სხვა გზა არც ჰქონდათ — მეორე ბანაკის გამარჯვების შემთხვევაში მიღწეული ცენტრალიზაცია მათ არ აწყობდათ — ასეთ შემთხვევაში მათ ხომ საერთოდ სამეფო ტახტის დაკარგვა ემუქრებოდათ.

როგორც ვიცით, ამ ბრძოლაში, გიორგი რუსის მომხრენი, მთელთა მხრით დახმარების (ქაშაგები და სანიგები, „სიმრავლე ყოვლისა კავკასიისა და მთეულობისა“) მიუხედავად, მაინც დამარცხდნენ, მაგრამ სამეფო ხელისუფლებამ, როგორც ჩანს, მაინც გარკვეული სარგებლობა მიიღო ამ ამბებიდან, თავისი პოზიციების ერთგვარ განმტკიცებას მიაღწია. ამის მომასწავებელი უნდა იყოს თუნდაც ის, რომ თამარმა ამ ამბების შემდეგ (როდესაც მიქაელ მირიანის ძე — ქართლის კათალიკოსიც მიიცვალა) შოახერხა ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის პოსტი დაებრუნებინა გარეჯის უდაბნოში გაძევებული ანტონ გლონისთავის ძისათვის (ქც, II, 122), რასაც

იგი ადრე ვერ ახერხებდა. აღნიშნული ანტონ გლონისთავის ძე, ეტყობა, განსაკუთრებით საძულველ პიროვნებას წარმოადგენდა გიორგი III-ის პოლიტიკის მოწინააღმდეგე დიდებულთა შორის. ბასილი ეზოსმოდღვარი საგანგებოდ აღნიშნავს, როგორც მაგალითს იმისა, თუ რა შეიძლება მოაქვეს საქმის (ლაშქრობის) გარეშე ხალხის დატოვებას — ისინი ათასგვარ სისაზიზღრეს ჩაიდენენ, როგორც ეს იყო თამარის მეფობის დასაწყისს („დაწყებასავე ამისსა მეფობისასა“), როდესაც „ორნი ძმანი ანტონი ჭყონდიდელისანი დაკოცნეს“ (ქც. II, 131). მართალია, მკვლელნი კახაბერისძეთა საგვარეულოდან თამარმა გააძევა ქვეყნიდან, მაგრამ თვით ანტონიც, როგორც ვიცით, სახელმწიფო მართვა-გამგეობას ჩამოაცილეს და გარეჯის მონასტერში უკრეს თავი. თუმცა, უნდა ითქვას, რომ როგორც მომდევნო ხანის ამბებიდან ჩანს, ამ საკელოს (ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობას) მაინცადამაინც აღარ ჰქონდა ის მნიშვნელობა, რაც მან ადრე, დავით აღმაშენებლის დროს მოიპოვა; ანტონი ხელისუფლების დაბრუნების შემდეგ წყაროებში სულ რამდენიმეჯერ იხსენიება, ისიც სიტუაციებში, როდესაც იგი რაიმეს გადაწყვეტად არ ჩანს, უბრალოდ საპატიო პირის როლში. ქვეყნად პირველობა ამ დროს უმეტესად სამხედრო ხელისუფალთა ხელში ჩანს. მალე ვაზირთა უპირველესობაშიც, როგორც ცნობილია, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს მეტოქე გაუჩნდა „ათაბაგის“ სახით.

სამეფო ხელისუფლება განაგრძობდა სამსახურისათვის ქალაქების, ციხეებისა და მხარეების დარიგებას. თამარის ისტორიკოსებთან საკმაოდ ხშირადაა დასახელებული ამგვარი წყალობანი: როდესაც ამირსპასალარად დანიშნეს სარგის მხარგრძელი, თამარმა მას „უბოძა ლორე სათავადო და სამთავრო სომხითსა შინა“ (ქც., II, 33). წყარო ჩამოთვლის, ვაზირებს გარდა, ცალკეული ოლქების ხელისუფლებსაც — ერისთავებს, მაგრამ ბევრ შემთხვევაში, ჩანს, აქ საქმე ეხება თვითეული მათგანის მიერ მტკიცედ მოპოვებულ პრივილეგიებს და არა მოხელეობას. ერთ-ერთი ასეთი ერისთავის — ჰერეთის ერისთავის ასათ გრიგოლის ძის შესახებ, მაგალითად, ნათქვამია, რომ მან „მისტაცა მძლავრობით და მორევით საღირს კოლონკელის-ძესა და მცირედ-ჟამ ქონებასა შინა იაჯა არიშიანის ადგილსა დაჯდომა სასთაულითა, და კელთ-უდვა შეიღსა მისსა გრიგოლს ჰერეთის ერისთაობა“ (ქც, II, 34). როგორც ვხედავთ, დიდებულები ერთმანეთს სტაცებენ არა მარტო უმაღლეს საკარისკაცო თანამდებობებს, არამედ ეროსთაობასაც. გიორგი რუსზე გამარჯვების შემდეგ თამარმა ისინი, ვინც მის მხარეზე იბრძოდნენ, დიდად დააჯილდოვა: „შეიწყალა ზაქარია ვარამის ძე, და უბოძა გაგი ქურდ-

ვაჭრითა განძამდის მრავლითა საკუთარითა და მრავლითა სანახევროთა ქალაქებითა, ციხეებითა და სოფლებითა. შეიწყალეს და უბოძეს სარგისის ძესა ივანეს პირველად მსახურთ-უხუცესობა, კელი შინაური და საპატიო, და კაენი და კაიწონი გელაქუნით და სხვთა მრავლითა სახარაჯოთა ქალაქითა და ციხითა. შეიწყალნეს და დალოცნეს სხუანიცა დიდებულნი მრავალნი“ (ქც, II, 54). ახალი დასაჩუქრებანი მოხდა, როდესაც გარდაიცვალა ამირსპასალარი გამრეკელი. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ამბობს, რომ მინ შვილებს, არაფერი ჩამოართვესო თმოგვის გარდა. ამირსპასალარი გახდა ზაქარია მხარგრძელი: მას ლორეს გარდა, რომლის „პატრონიც“ იგი იყო, „მოუმატეს ქალაქიცა რუსთავი... და ქიაბერსა მანდატურთუხუცესსა მოუმატეს და უბოძეს ჟინვანი, ქალაქი და ციხე, მრავალთა მთიულეთითა. და შეიწყალეს სარგის ვარამის ძე, დალოცეს და უბოძეს თმოგვი, და ქუემოთ წირქუალელნი, ზარტიბის ძენი, გრიგოლის ძენი, ჳიაბერის ძენი და მახატლის ძენი, და თავნი კახეთისანი თორღას ძენი, — შეიწყალნეს თვთოეულნი თვისითა წესითა: რომელნიმე ახლად დალოცვითა, რომელნიმე მომატებითა“ (ქც, II, 55). ასე იყო დანაწილებული საქართველო ფეოდალთა შორის სამემკვიდრეო სამფლობელოებად. რაც შეეხება დაპყრობილ ტერიტორიებს, წყარო, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, საგანგებოდ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დაპყრობილ ტერიტორიებს თამარი სამეფოდ კი არ იღებდა, არამედ თავის ლაშქარს (resp. მხედართმთავრებს) ურიგებდა. გამონაკლისი გახდა კარი, რომლის მცხოვრებლებმა თამარს კატეგორიულად მოთხოვეს მათი ქალაქის სამეფოდ აღება და არა ამგვარად გაცემა.

სამართლიანად მიუთითებს ნ. ბერძენიშვილი იმ განსხვავებულ ზიდგომაზე, რომელსაც იჩენს სამეფო კარი, ერთი მხრით, დავით აღმაშენებლის და, მეორე მხრივ, თამარ მეფის დროს დაპყრობილ შემოერთებული მხარეების მიმართ: „დავით აღმაშენებელი მათ უშუალოდ უერთებს საქართველოს სამეფოს, თამარი კი საგამგებლოდ აძლევს ცალკეულ ფეოდალებს. ეს გასაგებიცაა — დავითი ქვეყნის შიგნით ამხობს დიდებულთა სახლებს. ასევე ამხობს ის უცხო სახლებსაც. თამარის დროს კი დიდებულები იმარჯვებენ... ნახევრად ხელმწიფობის აღწევენ თავიანთ ქვეყნებში. ამისდა შესაბამისად შემუშავდა საგარეო პოლიტიკა ყმაღნაფიცობისა“<sup>123</sup>.

<sup>123</sup> ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 42.

XIII ს-ში, როგორც ცნობილია, ინტენსიურად მიმდინარეობს ამა თუ იმ სახელმწიფო თანამდებობების („დიდების“) ცალკეულ ფეოდალურ სახლებში დამკვიდრების პროცესი. ეს შეეხება, კერძოდ, პროვინციათა გამგებლებს — ერისთავებს და ერისთავთერისთავებს. თანდათან ეს თანამდებობები მემკვიდრეული ხდება. რაჭა-არგვეთისა და თაკვერის ერისთავთერისთავებად უკვე XI ს-დან ჩვენ ვხვდებით კახაბერთა საგვარეულოს წარმომადგენლებს მიუხედავად იმისა, რომ თამარის დროს ანტონ გლონისთავის ძის ძმების მოკვლისათვის ამ საგვარეულოს ხუთი წევრი ექსორიაქმნილ იქნა, ამის შემდეგ კახაბერიძეებს ვხვდავთ რაჭის ერისთავებად. 1180-იანი წლებიდან, იმ ხანიდან, როდესაც რატი სურამელი იხსენიება ქართლის ერისთავთ-ერისთავად, ამ თანამდებობაზე სურამელთა სახლის წარმომადგენლები ინიშნებიან. სამცხის ერისთავისა და სპასალარის საკვლო მკვიდრდება ჯაყელთა სახლში. აღსანიშნავია ისიც, რომ თამარის დროს ერისთავები და ერისთავთერისთავები ამავე დროს ამა თუ იმ ცენტრალური საკვლოს მფლობელები ხდებიან: ვარდან სვანთა ერისთავი ხდება მეჭურჭლეთუხუცესი, სამცხის ერისთავი ბოცო ჯაყელი — ამირსპასალარი<sup>24</sup>. ცნობილია აგრეთვე ჩრდილოეთ სომხეთის და სხვ. ტერიტორიების მფლობელ მხარგრძელთა მაღალი მდგომარეობა (ამირსპასალარი, მსახურთუხუცესი, ათაბაგი) სამეფო კარზე და ა. შ. ერთი სიტყვით, ყველა პირობა იქმნება დიდებულთა „გახელმწიფებისათვის“.

გასაგებია, რომ ფეოდალიზაციის პროცესის ესოდენ გაღრმავების ვითარებაში სახელმწიფოს მთლიანობას ინახავდა თვით ფეოდალთა კლასის დაინტერესებულნი მთლიანობაში, რომელშიც იგი ხედავდა არსებულ ხელსაყრელ ისტორიულ სიტუაციაში საკუთარ გაძლიერებისა და წინსვლის გარანტიას. რა თქმა უნდა, ასეთ მთლიანობაზეც იგი თანახმა იყო მხოლოდ იმგვარი სტრუქტურის პირობით, რაც ჩამოყალიბდა თამარის ხანაში და ვერ შეეგუებოდა გიორგი III-ის ტიპის ხელისუფლებს. ამიტომ იყო, რომ როდესაც თამარის მემკვიდრე ლაშა-გიორგიმ თავის ჰყუაზე სიარული მიიწოდოდა, დიდებულთა მეურვეობას ვერ ეგუებოდა და „უწესობებს სჩადიოდა“, დიდებულებმა ზურგი აქციეს მას და ამგვარი ერთიანობის ინტერესიც დაკარგეს. მით უმეტეს, რომ თანდათან შეცვლილი ისტორიული სიტუაციის გამო ამ ერთიანობას უკვე დიდი შედეგი აღარ მოჰქონდა ფეოდალთა სარგებლობის თვალსაზრისით. სა-

<sup>24</sup> მ ა მ ი ს ა ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველო XI—XII საუკუნეებში, თბ., 1970, გვ. 49—55.

ინტერესოდ გადმოგვცემს ამ სიტუაციას „უამთაღმწერელი“: „რამეთუ იყო ესე ლაშა-გიორგი მკნე, ახოვანი, ძლიერი, ლალი, ამპარტავანი, თავკედი, თკთუნება, ვითართა მითქუამს, უხვ, სახიობის მოყუარე, ღვინის მოყუარე და გემოთ-მოყუარე. და მშვედობა იყო სამეფოსა შინა მისსა, და შექცეულ იყო სმასა და ჭამასა, რომლისათვის დასწერენ მამანი, ვითარმედ: „სამნი არიან მიზეზნი ვნებათანი, რომელთაგან იშვებიან ყოველნი ბოროტნი: გემოთ-მოყუარებანი, ვეცხლის-მოყუარება და დიდების-მოყუარება... ეგრეთვე იქმნა ნათესავსაცა ამას შინა ქართველთასა, რამეთუ განძღეს და იშუებდეს და უწესობად მიდრკეს სიძვათა შინა და მთრვალობათა უგუნურნი კაცნი, მეფის კარსა ზედა არა-ყოფისა — ღირსნი და აწ კარსა ზედა მყოფნი. დაღათუ კათალიკოსთა ორთავე და თავადთა ამის სამეფოსათა, და უმეტეს ივანე ათაბაგსა უმძიმდათ საქმე ესე, არღარა ინებეს მას თანა სამარადისო ყოფა, არამედ განეშორნეს და თვის-თვისად იყოფოდეს. ამისთვის აღმოსცენდეს მიზეზნი, ცოდვათა სიმრავლითა, საქართველოსა მოოკრებისანი, რომელი ქუემორე სიტყუამან ცხად ყოს“ (ქც, II, 156—157). კარგად არის აქ შენიშნული, რომ ფაქტიურად საქართველო უკვე დაშლილი იყო მონღოლთა მიერ მოოხრებამდის. მონღოლთა ბატონობამ და შეეცვლილმა ისტორიულმა ვითარებამ მხოლოდ გააფორმა ის, რაც ძირითადად სწორედ წინამდევალ ხანაში, XII საუკუნეში, მომზადდა: ბატონყმობის გამარჯვება და საქართველოს დაშლა ცალკეულ საფეოდალოებად. XII საუკუნე წარმოადგენდა განვითარებულ ფეოდალიზმზე გადასვლის პროცესის დასასრულს.

დასასრულს, თუ შევაჯამებთ ყოველივეს, რაც ზემოთ ითქვა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისა და საქართველოში მონღოლთა შემოსევის უწინარეს ხანაში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ აუცილებელია ყურადღების გამახვილება ფეოდალურ სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობათა განვითარების თვალსაზრისით საქართველოს სწვადასხვა რეგიონებს შორის არსებულ განსხვავებაზე, რადგანაც იგი მნიშვნელოვანწილად უგულვებელყოფილია ამ პრობლემისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურაში. საქართველოს ტერიტორიაზე გამოიყოფა ძირითადად სამი განსხვავებული რეგიონი: ქართლი და მესხეთი (ტაო-კლარჯეთი) ქმნის ყველაზე დაწინაურებულ რეგიონს ფეოდალური ურთიერთობის განვითარების თვალსაზრისით. სუსტად არის ჩაბმული კლასობრივი ურთიერთობის ორბიტაში საქართველოს მთა. მისი მოსახლეობა ძირითადად ჯერ კიდევ პირველყოფილ-თემური ან ადრეკლასობრივი წინა-

ფეოდალური წყობილების პირობებში ცხოვრობს. ამ ორ რეგიონს შორის ერთგვარად შუალედ პოზიციაში იმყოფება საქართველოს ზოგი სხვა რეგიონი (დას. საქართველოს — ისტორიული „აფხაზეთის“ — მნიშვნელოვანი ნაწილი, კახეთი), სადაც ფეოდალიზაციის პროცესი ნაკლებ ღრმადაა წასული, ვიდრე ქართლსა და ტაო-კლარჯეთში, მწარმოებელი მოსახლეობა კარგა ხანს ინარჩუნებს თავისუფალი მეთემის სტატუსს, მსხვილი ფეოდალური მიწისმფლობელობა სუსტად არის განვითარებული და ამის გამო ცენტრალური ხელისუფლებაც ძლიერია, მისი დასაყრდენი ბაზა შედარებით ფართოა.

სწორედ ამ ვითარებაში უნდა ვეძებოთ ჩვენ ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ერთ-ერთმა ასეთმა ადრეფეოდალურმა ერთეულმა — „აფხაზეთის სამეფომ“ შეასრულა გადამწყვეტი როლი ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საქმეში. ამიტომაც ჩვენ უფლება გვაქვს თვით ეს გაერთიანება ძირითადად ადრეფეოდალურ საფუძველზე აღმოცენებულ გაერთიანებად მივიჩნიოთ. მაგრამ საქართველოს გაერთიანებით X ს. ბოლოს მთავრდება ადრეფეოდალური პერიოდიც. XI—XII საუკუნეები წარმოადგენს გარდამავალ ხანას განვითარებულ ფეოდალიზმზე, ამასთანავე ეს პროცესი მიმდინარეობს უკვე თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით (რა თქმა უნდა, მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობის გამოკლებით). ფეოდალთა მიერ მთელი ძალაუფლების ხელთგდება, ქვეყნის დანაწილება ფეოდალებს შორის „სამამულოდ“, მემკვიდრეულად, მათი ძალაუფლების უსაზღვროდ გაფართოება დაქვემდებარებულ მოსახლეობაზე, ფაქტიურად მოასწავებდა ყველა პირობის შექმნას მწარმოებელი მოსახლეობის სრული დაყმევებისა (ე. ი. ბატონყმობის გამარჯვებისა) და ქვეყნის ცალკეულ ფეოდალურ სამეფო-სამთავროებად დანაწილება-დაშლისათვის. მაინც, XII საუკუნეში შექმნილი კონკრეტული ისტორიული სიტუაცია (საქართველოს სამეფო მძლავრ სახელმწიფოდ ყალიბდება, ზედაფენა მნიშვნელოვანწილად მეზობლების რბევით ცხოვრობს და მრავალრიცხოვან მოლაშქრეთა ყოლის საჭიროებას განიცდის, ერთი მხრივ, ზოლო გახელმწიფების შესაძლებლობის მქონე დიდებულები და ფეოდალთა სხვა წრეები ჯერ კიდევ თვითონ საჭიროებენ სახელმწიფო ერთიანობას, მეორე მხრივ) არ ქმნიდა ამ დროს ხელსაყრელ ვითარებას ბატონყმური ურთიერთობის სრული გაფორმებისა და ქვეყნის ფეოდალური დაშლა-დაქუცმაცებისათვის. მონღოლთა შემოსევამ სიტუაციის სათანადო შეცვლა გამოიწვია და განაპირობა ბატონყმობის დამყარებისა და ფეოდალური საქართველოს დაშლა-დაქუცმაცების სწრაფი განხორციელება.

### III. ქონო-სოციალურ ერთობათა სახეები და ერთიანი პარტიული ფეოდალური ეროვნების (ხალხის) ჩამოყალიბების საკითხი

„ერის“ ცნების საკითხი საბჭოთა მეცნიერებაში დიდი ყურადღებით სარგებლობს. განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ ამ საკითხისადმი, ბუნებრივია, ის მეცლევარნი, რომელნიც ეროვნული ისტორიითა და ეროვნული საკითხით იყვნენ დაინტერესებულნი. ი. ბ. სტალინის ცნობილი განსაზღვრება „ერისა“ ხშირად საფუძვლად ედო ამა თუ იმ ერის ეთნოგენეზის პრობლემის დამუშავებას. ქართველი ხალხის მიმართ ამგვარ ცდას წარმოადგენდა, კერძოდ, აკად. ს. ჭანაშიას გამოკვლევა „ქართველი ერის წარმოშობა ი. ბ. სტალინის მოძღვრების სინათლეზე ნაციის შესახებ“ (1944 წ.). ეს გამოკვლევა გარკვეულად შთაგონებული იყო ი. ბ. სტალინის სათანადო განსაზღვრებათა არასწორი გაგების უკუგდების სურვილით. ასეთი არასწორი გაგება — გაგება, რომელიც მთელ რიგ გაუგებრობებს ჰბადებდა, მართლაც, ბოგინობდა ქართველ ინტელიგენციაში. საქმე ეხებოდა ი. ბ. სტალინის იმ ნათქვამს, რომ ქართველები ერად მხოლოდ XIX ს-ის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდნენ, რომ საერთოდ ერები კაპიტალისტური ეპოქის პროდუქტია და ა. შ. ბუნებრივია, რომ ქართველ ინტელიგენციაში, რომელიც XIX ს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა მეცადინეობით ამ დროს დარწმუნებული იყო, რომ ქართველები ერთ-ერთი უძველესი ერია მსოფლიოში, რომ მათ უმდიდრესი ისტორია აქვთ და სხვ., აღნიშნული გამოთქმები გაკვირვებას იწვევდა. რა თქმა უნდა, აქ საქმე ეხებოდა ი. ბ. სტალინის გამონათქვამების არასწორ გაგებას. 1929 წ. დაწერილ წერილში „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“ ი. ბ. სტალინმა ზოგი რამ განმარტა, რაც ზემოაღნიშნულ გაუგებრობას მნიშვნელოვანწილად აქარწყლებდა. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ მისი ცნობილი განმარტება „ერისა“, მოცემული 1913 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ („ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრების

და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა“), რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ერის ყველა ეს ნიშანი უცაბედად, კაპიტალიზმისავე ხანაში იქმნება, რომ ერის, ტერიტორიის, კულტურული ერთობის შექმნა ხანგრძლივი პროცესია — ამ ერთობის ელემენტები წინაკაპიტალისტურ პერიოდშიც არსებობდნენ და ა. შ. სწორედ ასეთივე იყო ს. ჯანაშიას ზემოდასახელებული გამოკვლევის დედააზრი, ისიც „ერის“ ცნების მიღებული ფორმულის ამგვარ ინტერპრეტაციას გვთავაზობდა, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ი. ბ. სტალინის ამ ნაშრომის არსებობა მაშინ (1944 წ.) უცნობი იყო (იგი პირველად 1950 წელს გამოქვეყნდა)<sup>1</sup>.

მომდევნო ხანაში, იმასთან დაკავშირებით, რომ ქართულ საისტორიო სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა XII ს. საქართველოს კაპიტალიზმის ზღურბლთან მდგომი წარმონაქმის სახით განხილვის ცდა, თავი იჩინა ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესის უკვე ამ დროისათვის დამთავრებულობის თეზისმა (შ. მესხია, ი. კაჭარავა, ა. აფაქიძე)<sup>2</sup>. ამასთან ერთად წამოაყენეს ბურჟუაზიული და სოციალისტური ერების გვერდით აგრეთვე ფეოდალური ერების არსებობის აზრი (ი. კაჭარავა). მართალია, ეს თვალსაზრისი ქართულსავე სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გაკრიტიკებულ იქნა<sup>3</sup>, მაგრამ ზედმეტი არ იქნება გავერკვეთ, თუ ძირითადად რას ემყარებოდა ეს თვალსაზრისი, რითი იყო იგი შთაგონებული.

ძნელი არ არის დავასკვნათ, რომ ძირითადი ამ ახალი თვალსაზრისის არგუმენტაციაში უნდა ყოფილიყო და იყო კიდევ მტკიცება; რომ უკვე ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის წიაღში აღდგილი ჰქონდა „ეკონომიური ცხოვრების ერთობას“. მართალია, ამ თვალსაზრისის მიმდევრები (ა. აფაქიძე, ი. კაჭარავა) დასძენენ, რომ ერის ეს ნიშანი მაშინ უფრო სუსტი იყო, ვიდრე კაპიტალისტურ და; მით უფრო, სოციალისტურ ეპოქაში, მაგრამ არსებითია აქ ის, რომ

<sup>1</sup> ი. კაჭარავა, ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის ეტაპები; თბ., 1966, გვ. 7.

<sup>2</sup> ი. კაჭარავა, დასახ. ნაშრ., გვ. 9, შუნ. I და სხვ.; ა. აფაქიძე, „ნათესაეთ ქართველი“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ივ. ჯავახიშვილის დაბადების 90 წლისთავისადმი, თეზისები, თბ., 1966, გვ. 10—11; შტრ. ა. კ. სურგულაძე, ერის ცნებისა და რევოლუციამდელ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების შესახებ, თბ., 1970, გვ. 33, 41—42 და სხვ.

<sup>3</sup> გ. ბრეგვაძე, ერის ცნება და ერების ტიპები, „მაცნე“, 1967, № 5; ა. კ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 32 შმდ.



ასე თუ ისე ეს ნიშანი მაინც სახეზეა და, მაშასადამე, ერის არსებობაც ამიტომ ფაქტია.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული ეს თვალსაზრისი. ყოველგვარი ცდა ამტკიცონ „ქართული ფეოდალური ერის“ ან საერთოდ რომელიც არ გინდა „ფეოდალური ერის“ არსებობა უმართებულოა, რამდენადაც მარქსისტულ-ლენინური თეორია სრულიად სამართლიანად მიიჩნევს კაპიტალიზმის ხანას დიდი გარდატეხის მომენტად მსოფლიოს მოსახლეობის ეთნო-სოციალური განვითარების პროცესში, სთვლის მას ახალი, უფრო მაღალი ხარისხის ეთნო-სოციალურ ერთობათა წარმოქმნის ხანად. ამიტომაც მტკიცება ამ ხარისხის ეთნო-სოციალურ ერთობათა უფრო ადრე, კაპიტალიზმამდელ ხანაშიც, არსებობის შესახებ, უარყოფს ამ ეპოქაში რეალურად მომხდარ თვისობრივ ნახტომს ხალხთა ეთნო-სოციალური განვითარების პროცესში და არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს. სწორედ ახალი ხანა — კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ხანა — არის ახალი, აქამდე არნახული (თავისი მასშტაბითა და კონსოლიდაციის ხარისხით) ეთნო-სოციალურ ერთობათა — ერების ჩამოყალიბების ხანა და მისი ცალკე ეტაპის სახით გამოყოფა სავსებით გამართლებულია.

მაგრამ უკვე ნათქვამიდან ჩანს, რომ „ერის“ სახით საქმე ეხება მხოლოდ გარკვეულ ერთიან პროცესში ცალკე ეტაპის გამოყოფას, ამ ეტაპისათვის დამახასიათებელ ერთობათა ტიპის განსაზღვრას. იმისათვის, რომ აშკარა გახდეს, თუ სახელდობრ რა ეტაპია ეს ეტაპი ან რას წარმოადგენს ამ ეტაპისათვის დამახასიათებელ ერთობათა ძირითადი ტიპი (სახე) — „ერი“, საჭიროა თვალი გავადევნოთ მთელ პროცესს, მთელ მის მიმდინარეობას. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში თვალნათლივ გამოჩნდება ამ პროცესის ფარგლებში ამა თუ იმ ეტაპის გამოყოფის კანონზომიერება. ჩვენთან მიმდინარე მრავალრიცხოვან დისკუსიებს სწორედ ეს აკლდათ. „ერის“, მისი ნიშნების შესახებ მსჯელობა წარმოებდა, როგორც წესი, აბსტრაქტულად, მხოლოდ „ერების“ არსებობის ეტაპის ფარგლებში. მხოლოდ იშვიათად ცალკეული მკვლევარები იხედებოდნენ უფრო შორს — ერის წინაისტორიაში, მსჯელობდნენ „ერის“ წინაპარნი ეთნო-სოციალური ერთობების შესახებ (შეიძლება მივეუთითოთ, კერძოდ, მასალაებზე, რომელიც ამ საკითხზე წარმოებულ დისკუსიასთან დაკავშირებით დაიბეჭდა ჩვენი სამეცნიერო ჟურნალების, განსაკუთრებით «Вопросы Истории»-ს ფურცლებზე).

იმის საილუსტრაციოდ, რომ ერის დახასიათება ცნობილი ოთხი ნიშნის მიხედვით ბევრ უხერხულობას შეიცავს, შეიძლება მივეუ-

თითოთ შემდეგ გარემოებაზე. როგორც ცნობილია, ეთნო-სოციალურ ერთობათა სახეებად გამოპყოფენ: ტომს, ეროვნებასა და ერს. ამბობენ, რომ „ერი“ არის ადამიანთა მყარი ერთობა, რომლისათვისაც დამახასიათებელია ენის, კულტურის, ტერიტორიისა და ეკონომიური ცხოვრების ერთობა. ერთი შეხედვითაც ცხადია, რომ ყველაზე რთული დასამტკიცებელია, რომ „ერის“ ყველა ეს ნიშანი მიუღებდა აგრეთვე (ყოველ შემთხვევაში ზოგიერთ) „ეროვნების“ ტიპის (წინაკაპიტალისტური კლასობრივი ხანის ეთნო-სოციალურ) ერთობას. ბევრად უფრო ადვილი მისაყენებელია იგი უფრო ადრეული ეთნო-სოციალური ერთობის — ტომის მიმართ. განა ტომისათვის არ არის დამახასიათებელი ენის, კულტურის, ტერიტორიის (resp. საზოგადოებრივი ორგანიზაციის) და ეკონომიური ცხოვრების ერთობა? რა თქმა უნდა, დამახასიათებელია და, უნდა ითქვას, იმ დროისდა მიხედვით იგი საკმაოდ მტკიცედაც გამოიყურება. რა თქმა უნდა, გვეტყვიან, რომ ამ განსაზღვრების ავტორები და მიმდევრები ხაზს უსვამენ, რომ ერი — ეს ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობაა, ჩვეულებრივ სხვადასხვა ტომისა და სისხლის ადამიანებისაგან, ხოლო გვარი ან ტომი — სისხლით ნათესაობაზე დამყარებული კოლექტივია და ა. შ., მაგრამ ამა თუ იმ მოვლენის დახასიათებისას მისი ნიშნების დასახელება (ე. ი. მისი, როგორც პისტემის, სტრუქტურის ფუნქციონირების განსაზღვრა) უფრო არსებითია, ვიდრე მისი წარმომავლობის (ისტორიის) ჩვენება, ხოლო ფაქტია, რომ საკუთრივ ზემოხსენებული ნიშნებით დასახელებული სხვადასხვა ეთნო-სოციალური ერთობები პრინციპულად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მიუხედავად ამისა, მაინც აშკარაა, რომ ტომი და ერი სულ სხვადასხვა ეტაპებისათვის დამახასიათებელი ეთნოსოციალური ერთობებია და მათ შორის განსხვავებაც აუცილებლად მოსაძიებია, მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული ოთხივე ნიშანი, ვფიქრობთ, ორივე მათგანისათვის დამახასიათებელია.

გარკვეული ხარისხით (თუ რა ხარისხით — ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი) ენის, კულტურის, ტერიტორიისა და ეკონომიური ცხოვრების ერთობა შეიძლება ახასიათებდეს აგრეთვე მომდევნო ეტაპისათვის დამახასიათებელ ეთნო-სოციალურ ერთობას — ეროვნებას. ვფიქრობთ, სწორედ ამ გარემოებითაა შეპირობებული ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ბოლო ხანს გაჩენილი მტკიცება „ქართული ფეოდალური ერის“ და, საერთოდ, „ფეოდალური ერების“ არსებობის შესახებ. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც გვეტყვიან, რომ საქმე ეხება აღნიშნული ნიშნების არსებობას სულ სხვა ხარისხით, „არსებობას პოტენციაში“, „ჩანასახის სახით“ და ა. შ.,

მაგრამ ეს მაინც არ აქარწყლებს ექვს, თუ რამდენად მართებულია „ერის“ ბუნების განსაზღვრა დასახელებული ოთხი ნიშნით (ენის, კულტურის, ტერიტორიისა და ეკონომიური ცხოვრების ერთობა), თუკი ამა თუ იმ ხარისხით, ამა თუ იმ სახით, ეს ნიშნები შეიძლება ახასიათებდეს ეთნო-სოციალურ ერთობათა წინამავალ სახეებსაც.

იმ ნიშნებს შორის, რომელიც ახასიათებს ყოველგვარ ეთნოსს და, მათ შორის, ეთნო-სოციალურ ერთობებსაც, არ შეიძლება გამოირიცხოს აგრეთვე ფიზიკური ტიპიც. მთელ რიგ შემთხვევებში დღევანდელი ერები და ხალხებიც კი, მიუხედავად მრავალრიცხოვანი შერევებისა და აღრევებისა, ერთმანეთისაგან, ენისა და კულტურის გარდა, ფიზიკური ტიპითაც განირჩევიან. რა თქმა უნდა, იმისდაკვალ თუ რამდენად არის ესა თუ ის ხალხი ნარევი, რამდენად სხვადასხვა რასიული და ანთროპოლოგიური ტიპის მატარებელი კოლექტივებიდან არის იგი შეკრული, მასში შეიძლება გამოიყოს არა ერთი, არამედ რამდენიმე ძირითადი ფიზიკური (ანთროპოლოგიური) ტიპი, შეიძლება თავს იჩენდნენ სხვადასხვა რასიული ნიშნები. მაგრამ ფაქტია, რომ ესა თუ ის ხალხი, ენისა და კულტურის სპეციფიკის გვერდით, შეიძლება ანთროპოლოგიურადაც, ე. ი. ფიზიკური ტიპის (ტიპების) მიხედვით დახასიათდეს. ამიტომაც ამ მომენტის სრული უგულებელყოფა არ იქნება მართებული თვით ეთნო-სოციალურ ერთობებზე მსჯელობისას.

განმარტებას მოითხოვს ერის თუ სხვა ეთნო-სოციალურ ერთობათა დეფინიციაში ერთიმეორის გვერდით, ერთ სიბრტყეზე სულ სხვადასხვა რიგის ნიშნების დასახელება. ერთი რიგის (ეთნიკური ხასიათის) ნიშნებია ენა და კულტურა, ხოლო მეორე რიგისა „ტერიტორია“ და „ეკონომიური ცხოვრება“. ეს უკანასკნელები უფრო პირობებია, ფაქტორებია ზემოდასახელებული ეთნიკური ნიშნების ჩამოყალიბებისა და შენარჩუნებისათვის. ისინი ქმნიან გარკვეულ საზოგადოებას, აუცილებელი კომუნიკაციების (კავშირ-ურთიერთობათა) სისტემას, რომელსაც შედეგად მოსდევს ამ კომუნიკაციების ორბიტაში მოხვედრილი ადამიანების გაერთგვაროვნება (და ამ ერთგვაროვნების შენარჩუნება) ენითა და კულტურით, ისევე როგორც ეთნიკური კუთვნილების შეგნების გამომუშავება მათში.

ამასთანავე, არც „ეკონომიური ცხოვრების ერთობა“ და „ტერიტორიის ერთობა“ არის ერთი რიგის მოვლენები. „ტერიტორიის ერთობის“ სახით ეთნო-სოციალური ერთობის არსებობის კიდევ უფრო შორეული პირობა, შორეული საფუძველია დასახელებული. „ტერიტორიის ერთობა“ ეთნოგენეტიკურ პროცესში პირობაა ამ

ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ერთიანი პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ფერხულში ჩაბმისა, მკიდრო კავშირ-ურთიერთობათა არსებობისა, რაც თავისი მხრით ხდება პირობა ეთნოსოციალურ ერთობათა ისეთი ნიშნების შექმნისა და შენარჩუნებისათვის, როგორცაა ენისა და კულტურის ერთობა, აგრეთვე ეთნიკური კუთვნილების შეგნება. ამიტომაც, როდესაც ეთნოსოციალურ ერთობათა დახასიათებას ეხება საქმე, ჩვენი აზრით, საჭიროა განვასხვავოთ ამ ერთობისათვის, როგორც სოციალური ორგანიზმისათვის დამახასიათებელი ნიშნები — ეკონომიური და პოლიტიკური (resp. საზოგადოებრივი) ცხოვრების ერთობა და ეთნიკური რიგის ნიშნები — ენისა და კულტურის ერთობა, ეთნიკური კუთვნილების შეგნება. ეთნოსოციალური ერთობა არა მხოლოდ ეთნიკური ერთობაა, არამედ აგრეთვე გარკვეულ საზოგადოებას წარმოადგენს.

ეთნოსი ობიექტურად არსებული კატეგორიაა. ჩვენ, მაგალითად, შეიძლება ვილაპარაკოთ, როგორც ეთნიკურ ჯგუფებზე, ინდოევროპელებზე, სემიტებზე, სლავებზე, არიელებზე და სხვ. ისეთ ეპოქებშიც, როდესაც მათ ცალკეულ განშტოებებს დაკარგული აქვთ ერთობის ყოველგვარი შეგნება და მათი სიახლოვე (ენით, უფრო მცირე მასშტაბით — კულტურით ან ფიზიკური ტიპით) სპეციალური მეთოდებით შეიარაღებულ თანამედროვე მკვლევრისათვის თუ არის შესაძენი. ან კიდევ, ჩვენ, მაგალითად, ვლაპარაკობთ ქართველი ტომების შესახებ ძვ. წ. II—Iათასწლეულებში, ვსწავლობთ მათ როგორც გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფს, ვხედავთ ბევრ რამეს, რაც მათ საერთო ჰქონიათ კულტურაში, აგრეთვე, რამდენადაც ანთროპოლოგია გვიჩვენებს, ფიზიკური ტიპითაც და ა. შ., მაგრამ საუქვოა, იყო თუ არა მათში ერთობის რაიმე თვითშეგნება. ჩვენ, რატომ უნდა, ამ რიგის ეთნიკური ერთობები არ გვაინტერესებს, არც ეთნოტერიტორიული ჯგუფები (მაგ., კავკასიელები, ბალტიისპირელები, დასავლეთ ევროპელები) გვყავს მხედველობაში, რომელნიც, ლინგვისტიკაში დამკვიდრებული ტერმინის ანალოგიით რომ ვიმსჯელოთ, ხალხთა ერთგვარ „ეთნიკურ კავშირს“ განასახიერებენ; ჩვენ ენითა და კულტურით ერთგვაროვანი ისეთი კოლექტივები გვაინტერესებს, რომლის წევრებს გააჩნიათ ამ კოლექტივის ერთობისა და ამ ერთობისადმი მათი კუთვნილების გარკვეული შეგნება. სწორედ ამგვარი კოლექტივები შეადგენენ არა უბრალოდ ეთნოსს, ეთნიკურ ჯგუფს, არამედ გარკვეულ ეთნოსოციალურ (ეთნო-პოლიტიკურ) ერთობას. ასეთი თვითშეგნება სახეზეა, როგორც წესი, მაშინ, როდესაც ენითა და კულტურით (ამ უკანასკნელში ჩვენ ბევრ რამეს ვგულისხმობთ: სულიერი და მატერიალური კულტურა, რელიგია,

ზნე-ჩვეულებანი, „ფსიქიკური წყობა“...) ერთგვაროვანი კოლექტივი ამავე დროს გარკვეულ სოციალურ-პოლიტიკურ ორგანიზმს — ე. ი. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ან ეკონომიური ცხოვრებით გაერთიანებულ კოლექტივს — „საზოგადოებას“ — წარმოადგენს (ანდა, წარსულში წარმოადგენდა). ამის უმთავრესი პირობაა საერთო ტერიტორიაზე ცხოვრება — „ტერიტორიული ერთობა“, რაც ესოდენ გავრცელებული მომენტია ჩვენთან ეთნო-სოციალურ ერთობათა ბუნების განსაზღვრაში. ჩვეულებრივ სწორედ აქედან მოდის ერთობის ზემოაღნიშნული თვითშეგნება, რომლის გარეშეც არ შეიძლება არსებობდეს, რომელიც არ გინდათ ეთნო-სოციალური ერთეული. ამიტომ არის, რომ პირველყოფილ-თემური წყობილების ბატონობის ეპოქაში ჩვენ შეიძლება საქმე გვექონდეს მრავალ სხვადასხვა ტომთან, რომლებიც ჩვენი დღევანდელი თვალსაზრისით ერთსა და იმავე ენაზე (ან მის ახლო მდგომ დიალექტებზე) მეტყველებდნენ, ზნე-ჩვეულებითა და კულტურის სხვა ელემენტებით მეტად ახლო იდგნენ ერთმანეთთან, მაგრამ მაინც განსხვავებულ ეთნო-სოციალურ ერთეულებს (resp. ერთობებს) ქმნიდნენ. ამიტომ იყო ამ უპოქის ძირითადი ეთნო-სოციალური ერთობა არა მონათესავე ტომთა მასივი, არამედ საკუთრივ ტომი. ჩვენ, მკვლევარნა, ვაერთიანებთ მათ ხშირად დიდ ჯგუფებად (ვამბობთ: X—ტომები ან Y—კულტურის მატარებელი ტომები და სხვ.), ნამდვილად ისინი სრულიად განცალკევებულ ეთნო-სოციალურ ერთეულებს წარმოადგენდნენ, რომელთათვისაც დამახასიათებელი იყო ენისა და კულტურის ერთობა, გარკვეული საზოგადოებრივი ორგანიზაცია და ეკონომიური ცხოვრების ერთობა. არა „ნიშნების“ მიხედვით განსხვავდებოდნენ ეს ერთეულები უფრო გვიანი ხანის ეთნო-სოციალური ერთობებისაგან (ენა, კულტურა, ერთიანი საზოგადოებრივი ორგანიზაცია და ეკონომიური ცხოვრება, ისევე როგორც თვითშეგნება ახასიათებთ ყველა მათ), არამედ სხვა რიგის გარემოებებით — წარმომავლობითი ერთობით (სისხლით მონათესავეთა კრებული) და მცირერიცხოვნებით, მცირე მასშტაბით, რაც ბუნებრივად ნიშნავს იმ პირველყოფილ ეპოქაში ეთნო-სოციალურ ერთობათა უდიდეს მრავალრიცხოვნებასაც. მართალია, ასევე ეთნო-სოციალური ერთეულები საერთო წარმომავლობით ხასიათდებიან და ერთობის ელემენტები ძირითადად აქედან მოდის, მაგრამ არ იქნება სწორი, უფრო მოგვიანრო ხანის ეთნო-სოციალურ ერთობათაგან განსხვავებით, ჩვენ მათ არსებობაში საზოგადოებრივი და ეკონომიური ცხოვრების ერთობისა და ამ საფუძველზე აღმოცენებულ კავშირურთიერთობათა კომპლექსის მნიშვნელობას თუ უარცყობთ. უამი-

ზოდ ასეთ ეთნო-სოციალურ ერთობას არსებობა არ უწერია, ის ადრე თუ გვიან მოიშლება, გაქრება... ასე რომ, საზოგადოებრივი და ეკონომიური ცხოვრების ერთობა აუცილებელი პირობაა თვით ადრეული ხანის ეთნო-სოციალურ ერთობათა არსებობისათვის. იქ, სადაც ეს პირობა მოიშლებოდა, ხდებოდა თვით ეთნო-სოციალური ერთეულის მოშლა-ლიკვიდაციაც.

ახლა შეიძლება, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, თვით ცნება „ეთნო-სოციალური“ ერთობის ზოგადი განსაზღვრა ვცადოთ. ჩვენი აზრით, საერთო წარმოშობისა, თანაცხოვრებისა და ცხოველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურულ-რელიგიურ კავშირ-ურთიერთობათა საფუძველზე ამა თუ იმ კონკრეტული ერთობისადმი კუთვნილების თვითშეგნების, საერთო ენისა და კულტურის მქონე ადამიანთა მყარი ერთობა არის ეთნო-სოციალური ერთობა.

ეს განსაზღვრა შეიცავს ერთობის ეთნიკური რიგის ნიშნების შექმნის პირობებს (ფაქტორებს) და ღვით ნიშნებს, რაც აღნიშნული ფაქტორების მოქმედების შედეგს წარმოადგენს. მართალია, პირობების მოშლას ავტომატურად, მაშინათვე, არ მოსდევს ამ ნიშნების გაქრობაც, მაგრამ ადრე თუ გვიან განვითარება აქეთკენ მიდის. მეორე მხრივ სათანადო პირობების გაჩენას ასევე ავტომატურად, მაშინათვე, არ მოსდევს ეთნიკური ერთობის ჩამოყალიბება, მაგრამ განვითარება ამ შემთხვევაშიც აქეთკენ მიდის, ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა ინტენსივობით, რამდენად ხანგრძლივად მოქმედებენ დასახელებული ფაქტორები.

ნაწილობრივ ზემოთ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმაზე, თუ როგორია ადრეული, პირველყოფილ-თემური წყობილების დროინდელი ეთნო-სოციალური ერთობების (ტომი) ადგილი ეთნო-სოციალურ ერთობათა სახეებს შორის.

ძნელი არ არის დავასკვნათ, რომ კონსოლიდაციის ხარისხით ტომი უფრო ახლოს დგას ახალი დროის ერთობასთან — „ერთთან“, ვიდრე მონათმფლობელურ-ფეოდალური ხანის „ეროვნებასთან“. უაღრესად მკიდრო კავშირ-ურთიერთობათა სისტემა (მართალია, სულ სხვა მასშტაბებში), შეპირობებული მტკიცე საზოგადოებრივი ორგანიზაციითა და მკიდრო ეკონომიური ცხოვრებით, ორივე შემთხვევაში იძლევა ენითა და კულტურით ერთგვაროვნების უაღრესად მაღალ ხარისხს. ეს სიახლოვე ამ ორი ეპოქის ეთნო-სოციალურ ერთობათა შორის სრულიადაც არ არის მოულოდნელი. ახალი ეპოქა ადამიანთა პოლიტიკური (უფლებრივი) და ეკონომიური მდგომარეობის ნიველირების („კაპიტალისტური“, „სოციალის-

ტური“) ტენდენციებით, უკლასო სოციალურ სტრუქტურაზე გადასვლის მძლავრი ტენდენციით, გასაგებია, გარკვეული თვალსაზრისით ახლო დგას პირველყოფილი უკლასო საზოგადოების ეტაპზე არსებულ სიტუაციასთან. რა თქმა უნდა, როგორც სოციალურად, ისე ეთნიკურად ტომსა და ერს (განსაკუთრებით, სოციალისტურ ერს) შორის სიახლოვე „უარყოფის უარყოფის“ კატეგორიის სიახლოვეა — გამეორებაა წინასაფხურისა ახალ, უფრო მაღალ, დონეზე.

ტომის ეტაპზე მტკიცეა, მონოლითურია სოციალური ორგანიზმი (საზოგადოებრივად, ეკონომიურად, კულტურულად), არ არის მასში ან ჯერ კიდევ მეტად სუსტადაა ჩასახული სოციალურ-ეკონომიური, კლასობრივი განსხვავება. ამიტომ ენაშიც, კულტურაშიც დიდია ერთობის ხარისხი, მტკიცეა თვითშეგნებაც. რა თქმა უნდა, ასეთი ერთობანი მეტად მცირერიცხოვნები არიან, ამას გარდა თვით ენის, კულტურის მოქმედების არე მეტად შეზღუდულია. „ეროვნების“ ეტაპზე საერთო წარმოშობასთან შედარებით ერთობის შემქმნელ ფაქტორებად უფრო მეტად გამოდის თანაცხოვრება და ინტენსიური კავშირ-ურთიერთობა. ამისდაკვალ ფიზიკური ერთობა („სისხლით ნათესაობა“) უკანა პლანზე გადადის, უფრო სუსტია ერთობის ფარგლებში პოლიტიკური და ეკონომიური კავშირებიც. ამიტომაც ენობრივი (დიალექტების გამრავლება) და კულტურული ერთობაც შორსაა უწინდელი სიმტკიცისაგან. ეთნიკური კუთვნილების თვითშეგნებაც უფრო მერყევია. ხშირად ერთი და იმავე საზოგადოების გაბატონებული და დამორჩილებული ნაწილები სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობისანი არიან (მონათმფლობელობა) ან ცდილობენ ასე დასახონ თავი (გაბატონებული ფენები ფეოდალიზმის დროს). სამაგიეროდ წინა (ტომების) ეტაპთან შედარებით ახალი გაერთიანებანი ბევრად უფრო დიდი მასშტაბისანი, უფრო მრავალრიცხოვანნი არიან, ეთნიკური ერთობის ნიშნების (ენის, კულტურის) ქმედითობაც ბევრად უფრო მაღალია (სამწერლობო ენა, განვითარებული რელიგიური სისტემები, კულტურის სხვა ფენომენების დაწინაურება...)

დაბოლოს, დგება განვითარების კიდევ უფრო მაღალი ეტაპი — ახალი ხანა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ეკონომიურ-პოლიტიკურ-კულტურულ კავშირ-ურთიერთობათა უაღრესი ინტენსიფიკაცია. „სისხლით ნათესაობა“ სულ უფრო ნაკლებ ხელშესახები ხდება — შერევის პროცესები, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების გათქვეფის პროცესები დიდ სიძლიერეს აღწევს, სამაგიეროდ, მიიღწევა ერთი, კულტურით ერთობის აქამდე არნახული დონე. ასევე აქა-

დე არნახული მასშტაბის ხდებიან ახალი დროის ეთნო-სოციალური ერთეულები („ერები“). არნახულ დონეზე აღის აგრეთვე კომუნიკაციის საშუალებანი და ერთობის ელემენტები — ენა, კულტურა. ისინი დიდად იფართოებენ მოქმედების ასპარეზს...

ამრიგად, ეთნო-სოციალურ ერთობათა განვითარება მეტად მჭიდრო კავშირშია საზოგადოებრივი განვითარების პროცესთან საერთოდ. იგი ნახტომისებრ, თვისობრივ ცვლილებებს აჩენს სწორედ იმ მომენტებში, სადაც ამ რიგის ცვლილებები ხდება საზოგადოებრივი განვითარების (resp. მსოფლიო-ისტორიულ) პროცესში საერთოდ (ამ უკანასკნელი პროცესის პერიოდისა და შესახებ ჩვენ სხვა ადგილას სპეციალურად უკვე გვქონდა საუბარი)<sup>4</sup>.

მაშასადამე, თუ გვინდა გავიგოთ განსხვავება ეთნო-სოციალურ ერთობათა სახეებს შორის, უნდა გავითვალისწინოთ თითოეული ამ ეპოქის თავისებურება, განვსაზღვროთ ის, თუ როგორ, რა მიმართულებით მოქმედებს ამ ეპოქაში არსებული სოციალ-ეკონომიური, პოლიტიკური და სხვ. პირობები ეთნიკური განვითარების პროცესზე, ეთნო-სოციალურ ერთობათა ჩამოყალიბებასა და მათ შემდგომ ბედილბაღზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გვარ-ტომობის ხანა, ერთი მხრივ, და ახალი ხანა, მეორე მხრივ, უახლოვდება ერთმანეთს ეთნო-სოციალურ ერთეულთა შიგნით კავშირ-ურთიერთობათა ინტენსივობით. რა თქმა უნდა, ხდება ეს სრულიად განსხვავებულ სიტუაციებში და დიდად განსხვავებული მასშტაბის ერთეულებში. გვარი ან ტომი მცირერიცხოვანი კოლექტივია, მაგრამ ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელია დიდი მონოლითურობა — ეკონომიური ცხოვრება, თავდაცვითი თუ შეტევეითი ომი, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა — მეტ-ნაკლებად კოლექტივის ყველა წევრს ეხება. ასეთი სიმტკიცისა და მონოლითურობის ვითარებაში გვარ-ტომის ფარგლებში არ არსებობს პირობები ენითა და კულტურით (=მატერიალური და სულიერი კულტურა, ზნე-ჩვეულებები, კულტი და რელიგია) კოლექტივის შიგნით განსხვავებათა განვითარებისათვის.

ახალი დროისათვის დამახასიათებელი ეკონომიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ინტენსივობა ასევე ადგილს არ ტოვებს ამგვარი პროცესისათვის. აქ, პირიქით, დიდი ინტენსივო-

<sup>4</sup> იხ. გ. მელიქიშვილი, „ძველი საქართველოს სოციალ-ეკონომიური წყობილების საკითხი, „მაცნე“, 1966, № 1; მისივე, კლასობრივ საზოგადოებათა ტიპოლოგიური და სტრუქტურული კლასიფიკაცია და უძველესი კლასობრივი საზოგადოებების ხასიათის საკითხი, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1971, № 3.



ბით მიმდინარეობს, მეტად ფართო საზღვრებში, ძველი დროის ნა-  
მემკვიდრევი ენობრივი, კულტურული, საერთოდ ეთნიკური მრავალ-  
ფეროვნების ლიკვიდაცია, მიმდინარეობს „ერის“ მასშტაბით გა-  
ერთგვაროვნების, ნიველირების მძლავრი პროცესი.

წინაკაპიტალისტური ხანის კლასობრივ საზოგადოებებში კი, როგორც აღვნიშნეთ, ბევრი მხრით განსხვავებულ სიტუაციასთან გვაქვს საქმე. აქ საზოგადოების გათიშვა, მისი გაბატონებული და დამორჩილებული ნაწილების პოლარიზაცია ბევრ შემთხვევაში უკიდურესობამდე აღწევს. ამის შედეგია, რომ ერთი საზოგადოება ზოგჯერ განსხვავებულ ეთნო-სოციალურ ერთეულებად გათიშული გამოიყურება. ძველ საბერძნეთში, მაგალითად ატიკაში, მრავალრიცხოვანი მონები, რა თქმა უნდა, არ შედიოდნენ ატიკურ და საერთოდ ელინურ ეროვნებათა შემადგენლობაში. ასევე, რა ცოტა რამ ჰქონდა საერთო გვიანფეოდალური ხანის დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის (მათ შორის რუსეთის) ფეოდალურ არისტოკრატიას ამავე ქვეყნების ყმა-გლეხთა ფართო მასებთან. მეორე მხრივ, ანტიკური სამყაროსათვის დამახასიათებელი პოლისური სისტემა ან დასავლეთ ევროპული ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური დაქუცმაცებულობა რაოდენ ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა თვით ეთნიკურად ერთგვაროვანი ან ერთმანეთთან ახლო მდგომი მოსახლეობის შიგნით ცალკე ეთნო-სოციალური ერთეულების ჩამოყალიბებისათვის, მრავალი ცალკე „საზოგადოების“ („ქვეყნის“) გაჩენისათვის. ეს არ ითქმის აღმოსავლურ-საზოგადოებაზე, სადაც „აზიური წყობისა“ თუ აღმოსავლური ტიპის ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი ცენტრალიზაციის მაღალი დონე ამგვარ პროცესს ნაკლებ უწყობდა ხელს. მაგრამ აქაც ნატურალური მეურნეობის ბატონობა, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ნაკლებ განვითარება და სხვ. ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესს არ უწყობდა მინიმალური ხელს. შუასაუკუნეების ეპოქაში ეთნიკურ პროცესებზე საკმაოდ დიდ ზეგავლენას ახდენდა იმ დროს ფართოდ გავრცელებული „მსოფლიო რელიგიები“ (ქრისტიანობა, ისლამი), რომლებიც, თუმცა, ჩვეულებრივ ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მიზანდასახულებათა განხორციელების იარაღად გამოდიოდნენ და ამ პოლიტიკურ ძალთა კიდლის მეორად გამოხატულებას, არეკვლას უფრო წარმოადგენდნენ.

თუ რა მკვეთრი განსხვავებაა კონსოლიდაციის ხარისხში ეროვნებასა და ერს შორის, შეიძლება ვაჩვენოთ იმ ფაქტზე მითითებით, რომ ხშირად მონათმფლობელობის ან ფეოდალიზმის ხანაში ესა თუ ის პირი ერთდროულად შეიძლება იყოს ორი ეროვნების — უფრო

ვიწროსი და უფრო ვრცელის — წევრი (მაგ., ატიკელების, სპარტიატების და სხვ. ეროვნებანი და ელინური ეროვნება ანტიკურ ხანაში, ქართვები, კახელები, იმერლები, მეგრელები, სვანები და სხვ. და საერთო ქართული ეროვნება შუასაუფუნეებში და ა. შ.).

თუ ერთგვარად შევაჯამებთ ზემონათქვამს, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ეთნო-სოციალურ ერთობათა ტიპების მონაცვლეობის პროცესში განსხვავებას ცალკეულ ეტაპებს შორის ძირითადად ქმნის თვით გაერთიანებათა სიდიდე და ენის, კულტურის მხრით გაერთიანების წევრთა კონსოლიდაციის, აღებული გაერთიანების (ეთნო-სოციალური ერთობის) მონოლითურობის ხარისხი. ამ უკანასკნელ გარემოებაში, ამასთანავე, ჩვენ უნდა ვიგულისხმობთ არა მარტო გაერთიანების წევრთა ეკონომიური და პოლიტიკური კავშირების ინტენსივობა და ენითა და კულტურით გაერთგვაროვნება, არამედ თვით ამ ეთნიკური ნიშნების ქმედითობის ხარისხი, მოქმედების არე.

ამიტომაცაა, რომ „ეროვნება“ — წინაკაპიტალისტური ხანის კლასობრივი საზოგადოებებისათვის დამახასიათებელი ეთნო-სოციალური ერთობა, მიუხედავად ზოგი მხრით უკუსვლისა, მაინც დიდ ნახტომს ქმნის ეთნო-სოციალურ ერთობათა განვითარებაში, დიდ ნაბიჯს წარმოადგენს წინამავალი გვარ-ტომობის საფეხურთან შედარებით. ეს ვლინდება, პირველყოელისა, გაერთიანებათა მასშტაბის მკვეთრ ზრდაში, საერთოდ, ასეთი ზრდისათვის განუსაზღვრელი გასაქანის შექმნაში. თუ გვარი და ტომი მნიშვნელოვანწილად ჩაეკტილი, ვიწრო ერთობა იყო, მისი ასე თუ ისე მნიშვნელოვნად ზრდა-გაფართოება უცხო მასის შესისხლბორცების გზით თითქმის გამოირიცხებოდა, „ეროვნების“ ეტაპზე, ტომობრიობის არტახებისაგან განთავისუფლებული კოლექტივის წინ ამ მხრივ ზრდა-გაფართოების უსაზღვრო პერსპექტივები გადაიშალა. ამიტომ არის, რომ ამ ეტაპზე საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს ყოველგვარი ასიმილაციის, ინტეგრაციის და სხვა მისთანა პროცესები. შეიძლება გავიხსენოთ, რომ გაერთიანებათა მასშტაბის ასეთ ზრდა-გაფართოებით (ე. ი., მათ მიერ ექსპლუატირებული მასის გამრავალრიცხოვნებით) განსაკუთრებით დაინტერესებული იყვნენ ამგვარი (აღრეკლასობრივი და განვითარებული კლასობრივი, აზიურ-მონათმფლობელურ-ფეოდალური) საზოგადოებების გაბატონებული წრეები.

არც მეორე ნიშნით — კონსოლიდაციის ხარისხით — შეიძლება ახალი ეტაპი უკუსვლად მივიჩნიოთ. მართალია, შინაგანი მონოლითურობა იმ დონეზე ვერ არის, რაც გვარისა თუ ტომის წიაღში გვქონდა (ერთგვარად ანალოგიურია ვითარება ამ პერიოდში საკუთ-

რივ სოციალურ ურთიერთობათა სფეროშიც — სახეზეა საზოგადოების მონოლითურობის რღვევა, ანტაგონისტურ კლასებად გათიშვა; მაგრამ ესეც ხომ მოჩვენებითი უკუსვლაა საზოგადოებრივი განვითარების პროცესში, მაგრამ, სამაგიეროდ, დიდად წინაურდება საკუთრივ ეთნიკური ნიშნების — ენის, კულტურის — ქმედობის ძალა. არც გაერთვებაროვნების პროცესზე ითქმის, რომ აქ აბსოლუტურ უკუსვლას აქვს ადგილი. ყურადღებას იქცევს ამ მხრივ მკვეთრად განსხვავებული ვითარება საზოგადოების დაბალ და მაღალ ფენებს შორის. ამ უკანასკნელში — მოცემული ერთობის წამყვან ნაწილში (ხშირად ქვეყნების მთელი ჯგუფის მასშტაბით) — მეტად ინტენსიურად მიმდინარეობს ენობრივი და კულტურული ნიველირების პროცესი, თუმცა, ხშირად, ეს ნიველირება მკვეთრად უპირისპირდება ამავე საზოგადოების დაბალ ფენებში (ენობრივად, კულტურულად) არსებულ ვითარებას და ამ ფენისაგან ზედაფენის კიდევ და კიდევ უფრო გამოთიშვა-განცალკევებას უწყობს ხელს. ამ მხრივ განსაკუთრებით ნიშანდობლივია კულტურითა და, ძალზე ხშირად, ენითაც მკვეთრი განსხვავება, გათიშულობა დასავლეთისა თუ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ფეოდალურ არისტოკრატიასა და ამავე ქვეყნების ყმა-გლეხობას შორის. ასეთი უფსკრულის კიდევ უფრო თვალსაჩინო ნიმუშს იძლევა ანტიკური მონათმფლობელური საზოგადოება, სადაც გაბატონებული თემის — ანტიკური პოლისის მოსახლეობა სავსებით გამოთიშულია ამ სახელმწიფოს მოსახლეობის ჩაგრული ნაწილისაგან — მრავალრიცხოვანი მონებისაგან.

ახალ დროს მოაქვს ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების აქამდე არნახული ინტენსიფიკაცია, კავშირ-ურთიერთობათა (კომუნიკაციების) უსაზღვრო გაფართოება. ამ ნიადაგზეა აღმოცენებული ახალი ნახტომი ეთნო-სოციალურ ერთობათა განვითარებაში — ახალი, ბევრად უფრო მაღალი ხარისხის ეთნო-სოციალურ ერთობათა — „ერების“ ჩამოყალიბება. ამ უკანასკნელებისათვის დამახასიათებელია, ჭერ ერთი, წინანდელთან (ტომი, ეროვნება) ზედარებით მეტი მასშტაბურობა და, მეორე მხრივ, კონსოლიდაციის ბევრად მაღალი ხარისხი, ვიდრე ეს გვაქვს „ეროვნებათა“ ეტაპზე. მიმდინარეობს, ენისა და კულტურის სფეროში, გაერთფეროვნების, ნიველირების მძლავრი პროცესი, ამას გარდა, ენაცა და კულტურაც დიდად წინაურდება, მათი ქმედების არე დიდად ფართოვდება. ასეთი ეთნიკური კონსოლიდაციის სასარგებლოდ მოქმედებს ამ დროს მიმდინარე სოციალური პროცესებიც — ჭერ მწარმოებელი მოსახლეობის უფლებრივი, თუნდაც ფორმალური, თანასწორობის მოპოვება, ხოლო შემდეგ (სოციალიზმის პირობებში) უკვე სრული

უფლებრივი და ეკონომიური თანასწორობის მიღწევა. ერი — ახალი დროის (კაპიტალისტური და სოციალისტური ეპოქის) ეთნო-სოციალური ერთობაა, რომელიც ხალხის დიდ მასას მოიცავს და ეთნიკური კონსოლიდაციის (თვითშეგნება, ენა, კულტურა) მეტად მაღალ დონეს ავლენს. მისთვის, ამასთანავე, დამახასიათებელია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში სრულფასოვანი ფუნქციონირება ან ამისკენ სწრაფვა („ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ — როგორც ამბობდა დიდი ილია).

უახლეს პერიოდში ეთნო-სოციალური განვითარება კიდევ უფრო შორს მიდის. მიმდინარეობს ენობრივ-კულტურული ნიშნით ნიველირების მძლავრი პროცესი უკვე მსოფლიოს მთელი დიდი რეგიონებისა და თვით საერთო-საკაცობრიო მასშტაბითაც. განვითარების საერთო ტენდენციას ერთიანი მსოფლიოსაკენ მიეყავართ. ამრიგად, ეთნო-სოციალურ ერთობათა განვითარების მსოფლიო პროცესი, როგორც უკვე ვთქვით, დიალექტიკური განვითარების კიდევ ერთ ნიმუშს იძლევა: ერთიანობა — გათიშვა — კვლავ ერთიანობა (უფრო მაღალ დონეზე).



რა თქმა უნდა, თითოეული ეთნო-სოციალური ერთობის განვითარება, მის მიერ განვლილი გზა ღრმად თავისებურია და ცალკე განხილვას მოითხოვს. ერები, ისევე როგორც ეროვნებები, სულაც არაა სავალდებულო, რომ მაინცადამაინც სრულიად სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების შერწყმის გზით ჩამოყალიბდნენ. ერთიც და მეორეც შეიძლება ძირითადად წინამავალი საფეხურის ეთნო-სოციალური ერთობის (ეროვნება — ტომის, მონათესავე ტომთა კავშირის, ხოლო ერი — შესატყვისი ეროვნების) ტრანსფორმაციას, ეთნიკური კონსოლიდაციის ახალ საფეხურზე ასვლას გულისხმობდეს. გულდასმითი შესწავლა ეთნო-სოციალურ ერთობათა განვითარების ცალკეული შემთხვევებისა ჩვენ საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ განვითარების ტიპური გზები, მოვახდინოთ ამ გზების გარკვეული კლასიფიკაცია. ჩვენ ამჟამად ამ რთულ ამოცანას არ გამოვეკიდებით და გვინდა ცოტა რამ ვთქვათ ქართველთა ეთნო-სოციალური ერთობების განვითარების შესახებ, რომელმაც ქართველი ერის ჩამოყალიბებადღე მიგვიყვანა.

ამ საკითხს ბევრი მკვლევარი შეხებია, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო პროცესის ზოგი მხარე არ არის სრულად და სწორად შეფასებული. ამიტომაც ზედმეტი არ იქნება მოკლედ კიდევ ერთხელ მიმოვიხილოთ ეს პროცესი, გამოვყოთ ის ძირითადი ფაქტორები, რო-

მელთაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს ერთიანი ქართველი ეროვნებისა და შემდეგ ქართველი ერის ჩამოყალიბებაში.

ქართულ ეთნიკურ ჯგუფს ხანგრძლივი ისტორია გააჩნია<sup>5</sup>.

ვარაუდობენ, რომ დღევანდელი ქართველური ენების (ქართული, მეგრულ-ქანურის, სვანურის) საერთო წინაპარი — ქართველური ენების ფუძე-ენა უნდა არსებულებოდა ძვ. წ. III ათასწლეულში, ამ 4 000 წლის წინათ. შეიძლება მსჯელობა იმის შესახებაც, თუ სად უნდა ყოფილიყო ამ ფუძე-ენის მატარებელი ეთნიკური ჯგუფის ადგილსამყოფელი. იმ პერიოდში ფუძე-ენაში არსებული ლექსიკის (კერძოდ, მცენარეული და ცხოველური სამყაროს აღმნიშვნელი ტერმინების) მიხედვით ამ ეთნიკური ჯგუფის ადგილსამყოფელი ივარაუდება კავკასიისავე მიწაწყალზე<sup>6</sup>. ამრიგად, ქართველთა წინაპრებს უკვე ძვ. წ. III ათასწლეულში მაინც, ე. ი. ამ 4 000—5 000 წლის წინათ, კავკასიაშივე უნდა ეცხოვრათ.

ქართველთა მონათესაობის საკითხი სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შეეხება კიდევ უფრო შორეულ ხანას. მეცნიერებაში დიდი ხანია, რაც ისმის საკითხი ქართველთა ენობრივი მონათესაობის შესახებ დღევანდელ კავკასიელ ხალხებთან (აფხაზები, ადიღეელები, ჩაჩნები, დაღესტნელები), ბასკებთან, აგრეთვე ძველი აღმოსავლეთის ზოგიერთ ხალხთან (შუმერები, პროტოხეთები; ხურიტები, ურარტელები, ელამელები). დღესდღეობით ამ მონათესაობის ჩვენება მეცნიერულად მეტად რთული ამოცანაა, თითქმის შეუძლებელია. ვარაუდობენ, რომ თუ მართლა არსებობს იგი, ყველა ამ ენის საერთო წინაპარი ფუძე-ენა მრავალი ათასი წლის წინ უნდა არსებულებოდა. შენაძლებელია ისიც, რომ მონათესაობა არსებობდეს არა ყველა ჩამოთვლილ ენასთან, არამედ მხოლოდ ზოგიერთთან. ყველაზე მეტად პერსპექტიული, ახალი გამოკვლევების მიხედვით, თითქოს ჩანს სიახლოვე აფხაზურ-ადიღეურთან და მასთან ახლო მდგომ პროტოხეთურთან<sup>7</sup>.

<sup>5</sup> ქართველთა წარმომავლობის (ეთნოგენეზის), აგრეთვე ქართველთა კონსოლდაციის პროცესის ცალკეული საკითხები დაწერილებით გაშუქებული გვაქვს ჩვენს ნაშრომებში: *К истории древней Грузии*, თბ., 1959; *საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის*, თბ., 1965; ჩვენი ავტორობით „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რეკომენდების I ტომში (თბ., 1970) შესულ ნაწილში და სხვ.

<sup>6</sup> იხ. Г. А. К л и м о в, *Этимологический словарь картвельских языков*, Москва, 1964, стр. 37.

<sup>7</sup> იხ. G. Deeters, *Die Stellung der Karthwelsprachen unter den Kaukasischen Sprachen*, «Bedi Karthlisa. Revue de Karthvéologie», № 23, 1957; თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი, *სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში*, თბ., 1965; Г. И. М а ч а в а р и а н и, *К типологичес-*

მეორე მხრივ, ყურადღება ექცევა ქართული ეთნიკური ჯგუფის კიდევ უფრო შორეული მონათესაობის პრობლემას. უკანასკნელ დროს, კერძოდ, საკმაოდ ინტენსიურად განიხილება ენათა ე. წ. „ნოსტრატული ჯგუფის (ოჯახის)“ არსებობის საკითხი, სადაც ინდო-ევროპულ, სემიტურ და ზოგიერთ სხვა ენასთან ერთად ათავსებენ აგრეთვე ქართველურ ენებსაც<sup>8</sup>.

ისტორიულად ხელშესახები ზანის მიმართ უფრო საინტერესოა პრობლემა ქართული ეთნიკური ჯგუფის უძველესი კონტაქტებისა სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან, რომელსაც უკვალოდ არ უნდა ჩაეელო ქართველთა ეთნოგენეზის პროცესში. ასეთი ძლიერი კონტაქტები, ენობრივი მასალის საფუძველზე, ჩანს უძველეს ინდოევროპულთან. იგი უნდა დათარიღდეს ძვ. წ. III—II ათასწლეულებით. გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, მატერიალური კულტურის ფაქტების საფუძველზე, მძღავრი კონტაქტის შესახებ ხურიტებთან. ენობრივი მასალა გვაგარაუდებინებს ასეთივე კონტაქტებს ურარტელებთან, ჩაჩნურ (ვეინახურ)-დალესტნური წარმოშობის ტომებთან და ა. შ. აქ საქმე ეხება იმ რიგის კონტაქტებს, რომელსაც მოსდევდა ტომთა გარკვეული შერევა, ზოგჯერ უცხო წარმოშობის ტომთა ქართულ (ქართველურ) მეტყველებაზე გადასვლა და სხვ. მიუხედავად ამ მრავალრიცხოვანი შერევებისა, ანთროპოლოგიური<sup>9</sup>, ისევე როგორც მატერიალური კულტურის (არქეოლოგიური)<sup>10</sup> მონაცემების მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე მთელი ამ ხნის განმავლობაში არ ივარაუდება მოსახლეობის ერთიანად შეცვლა — ერთი და იგივე რჩება ძირითადად ფიზიკური (ანთროპოლოგიური) ტიპი, ძირითადად სახეზეა კულტურული განვითარების უწყვეტი ჯაჭვი და ა. შ.

---

кой характеристике общекартвельского языка-основы, «Вопросы Языкознания», 1966, № 1; Thomas V. Gamkrelidze, A Typology of Common Kartvelian, «Language», vol. 42, № 1, 1966.

<sup>8</sup> იხ. В. М. Иллич-Свитыч, Материалы к сравнительному словарю неостратических языков (индоевропейский, алтайский, уральский, дравидский, картвельский, семито-хамический), კრებულში: «Этимология. 1965», Москва, 1967.

<sup>9</sup> იხ. M. G. Abdushelishvili, The Genesis of the Aboriginal Population of the Caucasus in the Light of Anthropological Data, «Proceedings VIII-th Anthropological and Ethnological Sciences, 1968. Tokyo and Kyoto», Volume I, გვ. 134—136.

<sup>10</sup> იხ. Б. А. Куфтин, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, «საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შრომები», XII—B, 1944; მისივე, Археологическая маршрутная экспедиция 1945 г. в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси, 1949, стр. 4—5.

ამრიგად, საქმე, უნდა ვიფიქროთ, ეხებოდა შედარებით მცირე ეთნიკური ჯგუფების შერევას ცალკეულ ქართველურ ტომებთან, მათ გადასვლას ქართულ მეტყველებაზე, ასიმილაციას, გათქვეფას ქართულ ეთნიკურ ჯგუფში.

ამ უძველეს ხანაში, რომელიც პირველყოფილ-თემური წყობილების ეპოქას მოიცავს, ეთნო-სოციალური ერთობების სახით ჩვენ საქმე გვქონდა ძირითადად ცალკეულ ტომებთან, რომელთაც, ალბათ, მნიშვნელოვანწილად დაკარგული ჰქონდათ ურთიერთთან სიახლოვის შეგნება. ყოველშემთხვევაში, ასეთ შეგნებას ადგალი არ უნდა ჰქონოდა არა მარტო მთელი ქართული (resp. ქართველური) ეთნიკური ჯგუფის, არამედ ქართველურის შემადგენელი დიდი ჯგუფების (ქართვები, მეგრულ-ქანები, სვანები) მასშტაბითაც.

მაგრამ თანდათან, განსაკუთრებით გვიანი ბრინჯაოს ხანიდან (ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანები) იწყება მონათესავე ტომთა ფარგლებში დიდი ტომთა კავშირების ჩამოყალიბება, რითაც იქმნება პირობები ცალკეული ქართველური ეროვნებების (народности) ჩამოყალიბებისათვის. ამ ეპოქაში საქართველოს ტერიტორიაზე ფართო ტერიტორიის მომცველი დიდი არქეოლოგიური კულტურების ჩამოყალიბება ერთ-ერთი ნიშანია აქ ტომთა მსხვილი კავშირების არსებობისა, ცალკეულ ტომთა და ტომთა კავშირებს შორის ინტენსიური კავშირ-ურთიერთობის (კონტაქტების) არსებობისა და, მაშასადამე, ეთნო-სოციალური განვითარების პროცესის მნიშვნელოვანი წინსვლისა.

ფიქრობენ, რომ ენობრივად საერთო ქართველურიდან უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში გამოცალკეება უნდა დაეწყო სვანურ ეთნიკურ ჯგუფს, ქართულ-ზანური (ქართულ-მეგრულ-ქანური) ენობრივი ერთობის დაშლა კი ძვ. წ. VIII ს-დან უნდა დაწყებულიყო. ამიტომაც, უნდა ვიფიქროთ, რომ ლეგენდარული კოლხური სამეფოს (არსებობდა ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი საუკუნეების მანძილზე, დაემხო ძვ. წ. VIII ს. ბოლოს) წაპყვანი მოსახლეობა ენობრივად ასეთ გაუდიფერენცირებელ ან მეტად სუსტად დიფერენცირებულ ქართულ-ზანურ ელემენტს წარმოადგენდა. მას შემდეგ, რაც ეს სამეფო დაემხო, ძვ. წ. VIII—VI სს-ის ბნელ და მძიმე პერიოდში (დიდი კატასტროფების ხანა: ჩრდილოელ მომთაბარეთა — სკვით-კიმერიელთა — შემოსევები, დიდი ძველადმოსავლური სახელმწიფოების დაცემა), ჩანს, მეტად ინტენსიურად წავიდა დაშლა-დაქუცმაცების პროცესები, გაღრმავდა ენობრივი და სხვ. განსხვავებანი ქართვებისა და მეგრულ-ქანურ ტომებს შორის. შეიქმნა ქართვებისა თუ მეგრულ-ქანთა მრავალი ახალი გაერთიანება—

ტომთა კავშირი თუ ადრეკლასობრივი სახელმწიფო, რომელთაც გამუდმებული ბრძოლები ექნებოდათ ურთიერთშორის და უცხოელ დამპყრობლებთან. ამ ბრძოლების პროცესში ბოლოსდაბოლოს ყალიბდება, ერთი მხრივ, კოლხეთის (ეგრისის) და, მეორე მხრივ, იბერიის (ქართლის) სამეფო.

ბუნებრივია, ამას სათანადო ეთნო-სოციალურ ერთობათა („კოლხური“, „იბერიულის“) ჩამოყალიბება მოჰყვა შედეგად. თავიდანვე, როგორც ჩანს, ამ ერთობათა შორის განსხვავება მეტად ღრმა და არსებითი იყო. მაშინ, როდესაც იბერიულმა გაერთიანებამ მოიცილა არა მარტო ყველა ქართის ტომი, არამედ ბევრი სხვა წარმოშობის ტომიც, კოლხურ გაერთიანებაზე („კოლხეთის სამეფოზე“) არ ითქმის, რომ იგი ყველა მეგრულ-ქანურ ტომს აერთიანებდა. პონტოს მთებში მცხოვრები მეგრულ-ქანური ტომები ამ გაერთიანების გარეთ დარჩნენ. თვით კლასობრივი ურთიერთობის დონეზე აქ მოსახლეობის მხოლოდ მცირერიცხოვანი ნაწილი ავიდა. ეს იყო განვითარებული ცხოვრების ერთგვარი კუნძული, რომელიც გარშემორტყმული იყო ჭერ კიდევ ტომობრიობის პირობებში მცხოვრები მრავალრიცხოვანი მთიელების ოკეანეთი (ამათგან ნაწილი ასევე მეგრულ-ქანური, ნაწილი კი — სვანური, აფხაზურ-ადიღეური და სხვ. წარმომავლობისა იყო), რომელზედაც ეფექტური კონტროლის დაწესება, თავისი ცხოვრების ფერხულში მკიდროდ ჩათრევა, ამ კოლხურმა სახელმწიფოებრიობამ ვერ შესძლო. კოლხური სახელმწიფოს ეთნიკური ბირთვის მცირერიცხოვნება და სისუსტე, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელე, ძვ. წ. VI საუკუნიდან აქ მრავლად გაჩენილი ბერძნული ახალშენები, რომლებიც უკვე ამ დროს თავისი მაღალგანვითარებული კულტურის ექსპორტს იწყებენ, განაპირობებდა დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესის სისუსტეს. დამახასიათებელია, რომ ლეგენდარული (აიეტის დროინდელი) კოლხეთის შემდეგ ბერძენმა გეოგრაფოსმა სტრაბონმა არაფერი იცის ძლიერი და ერთიანი კოლხეთის არსებობის შესახებ: „თუ როგორ იყო სახელგანთქმული ძველად ეს ქვეყანა (კოლხეთი), — ამბობს იგი, — ცხადყოფენ ამას მითები, რომლებიც მოგვითხრობენ იაზონის ლაშქრობაზე და ამაზე უწინ კი ფრიქსეს (ლაშქრობაზე). ამის შემდეგ მემკვიდრე მეფეებმა სკეპტუხიებად დაჰყვეს ქვეყანა და ჰქონდათ ზომიერი ძალაუფლება“... (Strabo, XI, 2, 18). უკვე ძვ. წ. II საუკუნიდან კოლხეთი საერთოდ უცხო სახელმწიფოების ხვედრი ხდება — აქ ჭერ პონტოს სამეფო გაბატონდა, შემდეგ რომი, ბოლოს ბიზანტია... ძვ. და ახ. წელთაღრიცხვის მიჯნაზე დასავლეთ საქართველოში ად-



გილი აქვს მთიელთა სტიქიის მოძალეხას, მთიელი ტომების მასიურ ჩამოსახლებას, რაც, ბუნებრივია, კიდევ უფრო აფერხებს ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესს.

დასავლეთ საქართველოსთან შედარებით მკვეთრ კონტრასტს ქმნის აღმოსავლურ-ქართული, ქართის (იბერიული) სახელმწიფოებრიობის განვითარება. აქ ადგილი აქვს მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიურსა და პოლიტიკურ პროცესებს, რომელთაც მძლავრი და საკმაოდ ცენტრალიზებული სახელმწიფო წარმოშვეს. ამ პროცესში, უნდა ვიფიქროთ, საკმაოდ აქტიური როლი შეასრულა მცირეაზიული მაღალკულტურული ტრადიციების მატარებელმა მესხურმა ელემენტმა. ერთგვარად სიმბოლურია, რომ ქართების ეროვნებამ და შემდეგ მთელმა ქართულმა ეთნიკურმა ჯგუფმა — ქართველობამ სახელი მიიღო სწორედ ამ სახელმწიფოს დედაქალაქიდან, — სამცხო რეზიდენციიდან. ესაა ბაგინეთის მთაზე აღმართული ციხე-ქალაქი არმაზციხე, რომელსაც აგრეთვე (ან: თავდაპირველად) ქართი (resp. ქართა > ქართლი) უნდა რქმეოდა. ეს ტერმინი მცირეაზიულ-ინდოევროპული წარმოშობის სიტყვაა და საერთოდ ციხე-ქალაქს აღნიშნავს. ქვეყანამ, რომელზედაც გავრცელდა ამ ქართის (ქართლის) ძალაუფლება და აქ მოსახლე ხალხმა, მიუხედავად იმისა, რა წარმოშობისა იყო, ქართლის სახელწოდება მიიღო. მართალია, მმართველი წრეები ნერგავენ ადგილობრივ უმაღლეს ლვთაებათა თაყვანისცემას ხეთურ-მცირეაზიული სახელებით (არმაზი, ზადენი), მაგრამ ენობრივად და ყველა სხვა მხრივ ისინი სამეფოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობის გავლენას ექვემდებარებიან (თუ ამ მხრივ მმართველ წრესა და ამ მოსახლეობას შორის იყო განსხვავება), ე. ი. ქართლის (აღმოსავლურ-ქართულ) მეტყველებასა და რელიგია-კულტურას ამკვიდრებენ და მას ავრცელებენ მათი სამეფოს ფარგლებში შემავალ არაქართის ელემენტშიც. ეს აღმოსავლურ-ქართული (ქართლის) სახელმწიფოებრიობა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ თავის გავლენას ავრცელებს მთაზეც, სადაც აგრეთვე ზოგი არაქართის ტომი ცხოვრობდა, და ინტენსიურად ითრევს მათ სახელმწიფო ცხოვრების ფერხულში. შეიძლება გავიხსენოთ ანტიკური ხანის ავტორების (კერძოდ, იმავე სტრაბონის) ცნობები იმის შესახებ, თუ რა დიდ როლს ასრულებდნენ მთიელები და კიდევ უფრო ჩრდილოეთით, კავკასიონს გადაღმა მცხოვრები მომთაბარეები, იბერთა მმართველების სამხედრო პოლიტიკაში, მათი საგარეო-პოლიტიკური ძლიერება მნიშვნელოვანწილად სწორედ აღნიშნულ მთიელთა და მომთაბარეთა ძალების გამოყენებას ემყარებოდა. ასევე ჩიათრია აღმოსავლურ-ქართულმა სახელმწიფოებრი-

ბამ თავის წილში დასავლეთ ალბანეთის, აქამდე სოციალ-ეკონომიურად და კულტურულად უფრო ჩამორჩენილი, მოსახლეობა და გათქვიფა იგი დანარჩენში. ქართლის სახელმწიფოს მეტად ძლიერი პოზიციები ეკავა ანტიკურ ხანაში დასავლეთ საქართველოშიც. დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი და სამხრეთი რაიონები შეიქმლება ადრიდანვე ქართი-მესხური ტომებით იყო დასახლებული და აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი თავდაპირველად აღმოსავლეთ საქართველოზე ადრე, აქ დაირწა, ეს რაიონები, როგორც წესი, ანტიკურ ხანაში აგრეთვე ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდნენ. ამას ჩვენ ქართული საისტორიო ტრადიცია კარგად გვიდასტურებს.

ეს ძლიერი აღმოსავლურ-ქართული (ქართლის, იბერიის) სახელმწიფოებრიობა, როგორც ჩანს, კარგად უმკლავდებოდა ძლიერი უცხო ძალების პოლიტიკურსა თუ კულტურულ დაწოლას — არ კარგავდა თავის დამოუკიდებლობასა და თავისთავადობას, უცხო (სპარსული, ბერძნულ-რომაული) კულტურის ელემენტები აქ გადამუშავებას განიცდიდნენ და ეროვნული ეთნო-კულტურული სამყაროს ორგანული ნაწილი ხდებოდნენ.

ამრიგად: ანტიკური ხანის იბერიის (ქართლის, აღმოსავლურ-ქართული გაერთიანების) სახელმწიფოებრივი და კულტურული სიმტკიცე და სიძლიერე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფენომენია ქართველი ხალხის ჩამოყალიბების პროცესში. სწორედ მის ფარგლებში ანტიკურ ხანაში ყალიბდება საკმაოდ მტკიცე აღმოსავლურ-ქართული (ქართის) ეროვნება, რომელმაც შემდეგში მაკონსოლიდირებული ბირთვის როლი ითამაშა ერთიანი ქართველი ეროვნების (ხალხის) წარმოქმნაში.

რა თქმა უნდა, როგორც ყველა სხვა ეროვნების, მისი სიმტკიცე შედარებითი იყო და ეს ეთნო-სოციალური ერთობა შორს იყო ერისათვის დამახასიათებელი მონოლითურობისაგან. მართალია, ერთიანი სახელწოდება გადაეფარა სამეფოს მთელ მოსახლეობას, საერთო კომუნიაციების ენა ერთი იყო — ქართული, მთელი მოსახლეობა აღიარებდა ალბათ ამა თუ იმ ზომით ოფიციალურ რელიგიას და ერთიანი კულტურა სულ უფროდაუფრო მტკიცედ იკიდებდა ფეხს სამეფოს ყოველ კუნჭულში, მაგრამ მტკიცე ერთიანობისაგან ვითარება მაინც შორს იყო: ჭერ კიდევ მძლავრი იყო განსხვავება სხვადასხვა მხარეს შორის — ენითაც (დიალექტები, ზოგან კი სხვა ადგილობრივი ენები), ზნე-ჩვეულებებში, სარწმუნოებაში და სხვა. მეტად დამახასიათებელია იმავე სტრაბონის ნათქვამი, როდესაც იგი მკვეთრ განსხვავებას ხედავს ბარისა და მთიელ იბერებს შორის:

„(იბერიის) დაბლობზე, — ამბობს იგი, — ცხოვრობენ იბერთაგან უფრო მეტად მიწათმოქმედნი, ესენი მშვიდობიანად არიან განწყობილი, არმენიელთა და მიდიელთა მსგავსად ეწყობიან. უფრო დიდ ნაწილს, რომელიც მებრძოლი ბუნების არის, უჭირავს მთიანი მხარე და ცხოვრობს სკვითებისა და სარმატების ყაიდაზე, რომელთა მეზობლებიცა და ნათესაულებიც არიან...“ (Strabo, XI, 3, 3).

უეპველია, უკვე ანტიკურ ხანაში ჩაეყარა საფუძველი შედარებით მტკიცედკონსოლიდირებულ ქართის ეროვნებასთან დასავლურ-ქართული (მეგრულ-ქანური) მოსახლეობის ერთი ნაწილის დაახლოებას. ქართის ძლიერი სახელმწიფოებრიობის (ახ. წ. I—II სს-ში იბერია ძლევამოსილ რომსაც კი უწევდა ღირსეულ მეტოქეობას!) გავლენის გარეშე ამ პერიოდში ვერ დარჩებოდა დასავლეთ საქართველოში მცხოვრები არაქართის მოსახლეობაც და ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, ერთიანი ქართველი ხალხის (ეროვნების) ჩამოყალიბებისათვის ნიადაგი უკვე ამ პერიოდში მზადდებოდა.

შემდგომი ბიძგი ამ პროცესს ახ. წ. IV—V სს-დან მიეცა, როცა აღმოსავლურ-ქართული (ქართის) ეროვნების ხელში ამ მიმართულებით ახალი პოზიციების მოპოვების დიდი პერსპექტივა გადაიშალა იმით, რომ მის ხელში აღმოჩნდა ისეთი მძლავრი იარაღი, როგორიც იყო ქართული ქრისტიანობა (ქართული ქრისტიანული ეკლესია) და ქართული მწიგნობრობა. მომდევნო ხანაში ეს უკანასკნელი უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორები შეიქნენ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ქართის მოსახლეობასთან დაახლოება-შერწყმავში. საქმე იმაშია, რომ დასავლეთ საქართველოში უკვე აღრეანტიკური ხანიდან არაერთი გარემოების გამო (ბერძნული ახალშენები კოლხეთის სანაპიროზე, პონტოს სამეფოსა და რომის ბატონობა, შემდეგ ბიზანტიის კიდევ უფრო მყარი გაბატონება) მეტად ფეხმოკიდებული იყო კულტურის სფეროში დასავლური, ბერძნულ-რომაული გავლენა. პოლიტიკურ დამოუკიდებლობისა და კულტურული თავისთავადობისათვის ბრძოლაში დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ და მისმა მმართველებმა მძლავრი იარაღი ჰპოვეს ქართული ქრისტიანული ეკლესიისა და ქართული მწიგნობრობის სახით. ამ უკანასკნელთა მიერ ახალ-ახალი პოზიციების მოპოვება დასავლეთ საქართველოში სულაც არ უკავშირდება ძალის პოლიტიკას (აღმოსავლეთ საქართველოს ხელისუფალთ ამისათვის ამ დროს საჭირო ძალა არც გააჩნდათ). ამ მხრივ ინიციატორებად თვით დასავლეთ საქართველოს (VIII საუკუნის შემდგომი ნომენკლატურით: „აფხაზეთის“) მმართველი წრეები გამოდიან. მათი პოლიტიკური მიზნების განხორციელება (ბიზანტიისაგან დამოუკიდებლობის მოპოვება და აღმოსავლეთ

და სამხრეთ საქართველოს მიწების შემოერთება) მოითხოვდა ბერძნულისაგან განსხვავებული ერთადერთი შესაძლებელი იარაღის — ქართული ეკლესიისა და ქართული მწიგნობრობის მაქსიმალურ გამოყენებას და ეს ასეც ხდებოდა. გაერთიანებისათვის ბრძოლაში წარმატება „აფხაზეთის“ საქმეფომ მოიპოვა. გაერთიანების პოლიტიკური ჰეგემონი უცილობლად ის იყო (ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ზემოთ ითქვა, შეცდომით აწერენ ამ როლს ტაო-კლარჯეთის სამეფოს) — ეს კარგად აისახა გაერთიანებული საქართველოს მმართველთა ტიტულატურაშიც („მეფე აფხაზთა, ქართველთა...“ და ა. შ.).

ქართული ქრისტიანობა, ქართული მწიგნობრობა უდიდესი იარაღი აღმოჩნდა მთის კულტურულ-რელიგიური დამოუკიდებლობის ლიკვიდაციის საქმეშიც. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მკვეთრი განსხვავებულობა ბარის მოსახლეობისაგან ამით თითქმის ლიკვიდირებულ იქნა, ხოლო დასავლეთში, შორეულ სვანეთშიც კი, ქართული ეკლესია და, მასთან ერთად, ქართული მწიგნობრობა, ისე მძლავრად შეიქრა, ისე მტკიცედ მოიკიდა ფეხი, რომ სავარაუდებელია ამისათვის აქ ნიადაგი მომზადებული იყო არა მარტო მმართველი წრეების პოლიტიკური მიზანდასახულებებით, არამედ აგრეთვე დასავლეთ საქართველოს მეგრული, სვანური, აფხაზური მოსახლეობის ფართო ფენებში ქართული ენის, როგორც კომუნიკაციების ენის, გავრცელებით. საეკლესიო მწიგნობრობას საერო მწერლობაც და კულტურის სხვა ელემენტებიც მიჰყვებოდა თან... ქართული ენა და ქართული კულტურა აქ ამიერიდან ქართის (ქართლელთა, ქართლ-კახელთა) ეროვნების ენასა და კულტურასთან ზიარება კი არ იყო, არამედ უკვე ერთიანი ქართველი ხალხის (ეროვნების) ენა და კულტურა ხდებოდა, ასე იწყებდა ფუნქციონირებას. უკვე X საუკუნეში მწერალ გიორგი მერჩულეს „ქართლად“ დიდი ქვეყანა, ფაქტიურად მთელი საქართველო, წარმოუდგენია — ქვეყანა, სადაც ქრისტიანული მღვდელთმსახურება ქართულ ენაზე მიმდინარეობს.

ფეოდალური საქართველოს გაერთიანებამ XI—XII სს-ში განამტკიცა ერთიანობის ეს ელემენტები და, შეიძლება ითქვას, დაასრულა ერთიანი ქართველი ხალხის (ქართველთა ეროვნების) ჩამოყალიბება. ასე შეიქმნა „საქართველო“ და ერთიანი ქართველი ხალხი (ეროვნება).

ამრიგად, თუ შევაჯამებთ ზემონათქვამს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ანტიკური იბერიის (ქართლის) ძლიერება, ქართული ეკლესია და ქართული მწიგნობრობა, ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქია — წარმოადგენენ გადამწყვეტ ფაქტორებს ერთიანი ქართველი

ეროვნების (ხალხის) ჩამოყალიბებაში და, მაშასადამე, საერთოდ ქართველი ერის ჩამოყალიბების გზაზე.

ამასთანავე, ისეთი ფაქტორების მოქმედება, როგორცაა ქართული კულტურა, ქართული ქრისტიანული ეკლესია და თვით XI—XII სს-ის ერთიანი ქართული სახელმწიფო, როდი შემოიფარგლება XIII საუკუნემდელი ეპოქით, არამედ მძლავრად მოქმედებდა როგორც მიღწეული ერთიანობის შემნარჩუნებელი და კიდევ უფრო განმავითარებელი მომდევნო ხანაშიც. XIII—XVIII სს. მანძილზე, როდესაც მოიშალა გამაერთიანებელი, მაკონსოლიდირებელი პირობები და, პირიქით, ფართო გასაქანი მოიპოვეს ძალებმა, რომლებსაც ქვეყანა პოლიტიკური დაშლა-დაქუცმაცების გზით მიჰყავდათ, ამ პერიოდში, ცალკეული ფეოდალური სამთავროების ჩამოყალიბებისა და მრავალსაუკუნოვანი არსებობის დროს, საბოლოოდ გაფორმდა ქართველთა მრავალი ეთნოგრაფიული ჯგუფი (ქართლელნი, კახელებნი, ხევსურნი, იმერლები, გურულები, აპარლები, ინგილოები, მეგრელები, სვანები, რაჭველები და სხვ.), მაგრამ არ დაკარგულა მოპოვებული ერთიანობის შეგნება. ერთიანი ქართული ეროვნება არსებობდა, მაგრამ იგი სულ უფროდაუფრო სუსტდებოდა...

არ იქნება სწორი, თუ ვიტყვით, რომ ქართველთა ეროვნების ასეთი დაქუცმაცება მხოლოდ მონღოლთა შემდგომი ხანის შემონაქმედია. უეჭველია, XI—XII სს. ერთიანი ფეოდალური საქართველოც ეთნიკურად მეტად მრავალფეროვანი ქვეყანა იყო. ქვეყნის სხვადასხვა კუთხეები მაშინაც ალბათ ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებოდნენ სასაუბრო ენითა თუ ზნე-ჩვეულებებით. საყურადღებოა, რომ ქართული წყაროები ერთიანობის ხანაში ხშირად ასახელებენ ქართველთა ეთნოგრაფიულ ჯგუფებს ცალ-ცალკე: სვანეთი, ეგრისი, გურია, რაჭა-თაკვერი, პერ-კახნი, ქართლელნი, მესხები, შავშები, კლარჯები და სხვ. (იხ. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და სხვ.). ფეოდალურ საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის პირობებშიც არ შესწევდა ძალა ყველა ამ თავისებურებათა გაერთმნიშვნელოვანებისა, ერთიანობის ისეთ დონეზე აყვანისა, როგორც უკვე სხვა ფაქტორების გავლენით იქნა მიღწეული გვიან, XIX—XX სს. მანძილზე.

უფრო მეტად მოქმედებდა მანიველირებელი ფაქტორები ერთიანი ქართული მონარქიის წიაღში ვაბატონებული წრის — ფეოდალური არისტოკრატის — შიგნით. მდაბიო ხალხი ნაკლებ განიცდიდა ამ ფაქტორის გავლენას, რადგანაც თვით ენისა და კულტურის მოქმედების არე ამ ეპოქაში საკმაოდ შეზღუდული იყო. სამწერლო ენა, მაღალი ქართული კულტურა, როგორც წესი, პრივი-

ლეგიური წოდებების მონოპოლია იყო. გაბატონებული ფენებისა და მდაბიო მასების გათიშულობა სხვა მხრივაც ბევრ რამეში იჩენდა თავს. ფეოდალური არისტოკრატია არამცთუ არ იყო დაინტერესებული თავისი ხალხის მდაბიო ფენებთან ერთიანობის პროპაგანდით, არამედ, პირიქით, ყოველმხრივ ცდილობდა გამოსთიშოდა მას და წარმოშობითაც არაფერი საერთო არ ჰქონოდა მასთან. ქართველთა სინამდვილეში ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მივუთითოთ ბაგრატიონების მიერ თავისი უცხოური წარმოშობის მტკიცებაზე, ან მეგრელთა შორის გვიან შუასაუკუნეებში არსებულ დაპირისპირებაზე ზედა და ქვედა ფენებს შორის — „ჟინოსქუასა“ (=აზნაურთა) და „მარგალთა“ (=გლებთა) შორის.

უცხოელთა ბატონობა ამ ხანაში ხშირად აგრეთვე ქართველთა ეროვნული ერთიანობის დამანგრეველი ფაქტორი ხდებოდა. საქართველოდან დიდძალი ხალხის აყრა-გასახლება, ტყვეთა მასობრივი გაყიდვა, გამაჰნადიანება და სხვ., სწორედ ამ მიმართულებით მოქმედებდა.

ამრიგად, ქართველთა ეროვნების ხასიათი, ბუნება, შეუძლებელია გავიგოთ მისი ისტორიული თავგადასავლის გარეშე. დიდად მნიშვნელოვანია ამისათვის, რამდენადაც ქართველთა ეროვნება ფეოდალურ ხანაში ჩამოყალიბდა, თვით ქართული ფეოდალიზმის ბუნების განსაზღვრა. ზემოთ ჩვენ გაკვრით უკვე შევეჩეთ „დასავლური“ და „აღმოსავლური“ ფეოდალური სისტემების განსხვავებას და მის როლს ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესში, აღვნიშნეთ, რომ „აღმოსავლური ფეოდალიზმი“ ცენტრალიზაციის მაღალი დონით ხელს უწყობდა უფრო დიდი ეთნო-სოციალური ერთობების შექმნას, მაშინ, როდესაც დასავლეთევროპული ფეოდალური სისტემა, პირიქით, საფუძველს წარმოადგენდა ცალკეული მცირე ეროვნებების ჩამოყალიბებისათვის. საქართველოს ბუნების თავისებურებებმა — ესაა ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო კულტურების ქვეყანა და სხვ. — ხელი შეუწყეს აქ კერძო საკუთრების ინსტიტუტის მაღალ განვითარებას, რამაც იმასთან ერთად, რომ მეზობლად მყოფ მძლავრ სახელმწიფოებს არაფრად აწყობდათ აქ ძლიერი ადგილობრივი ხელისუფლების არსებობა და ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცებას, განსაზღვრეს ქართული ფეოდალიზმის ძირითადად დასავლეთევროპული იერი. რა კარგად აქვს შენიშნული „ქართლის ცხოვრებას“ ძლიერი მეზობლების ეს როლი, როდესაც გუარამ კურაპალატის შესახებ ამბობს: „და მეფობდა კეთილად და უშფოთველად, არამედ ერისთავნი ქართლისანი ვერ სცვალნა საერისთვოთაგან მათთა, რამეთუ სპარსთა მეფისა-

